



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

**გიორგი ჟორჟოლიანი**

**კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი როგორც ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი  
ურთიერთობების მომწესრიგებელი**

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2023

## სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი ინტერნეტს, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, განიხილავს როგორც სამართლის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტს. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ინტერნეტი შესაძლოა იმეორებდეს ფიზიკურ სამყაროში არსებული სამოქალაქო ურთიერთობების შინაარს, ახლებურ პერსპექტივას სძენდეს მას ან სულაც, შესაძლოა წარმოშობდეს ახალი ურთიერთობების ტიპს.

ნაშრომში მოცემულია კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ტრანსფორმაცია ინტერნეტთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც ფიზიკურ სამყაროში არსებული მოწესრიგებისა და ახალი დოქტრინალური მიდგომების შესაბამისად გაანალიზებულია ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის სამართლებრივი გადაწყვეტა. ამრიგად, ნაშრომში განხილული სამართლებრივი საკითხები იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობები შესაძლოა მოერგოს ფიზიკურ სამყაროში არსებული ურთიერთობების რეგულატორულ ჩარჩოებს და ასევე, რიგ შემთხვევებში საჭიროებდეს ახალი სამართლებრივი მოწესრიგების არსებობას.

თავის მხრივ, კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლისთვის უმნიშვნელოვანესია იმის იდენტიფიცირება თუ რა ქონებრივ სიკეთეებს იცავს იგი ინტერნეტ სივრცეში, სწორედ ამიტომ, ნაშრომში ასევე წარმოდგენილია ვირტუალური ქონების ცნება და მისი ურთიერთმიმართება კანონისმიერ ვალდებულებებთან. დამატებით, კვლევაში განხილულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებითი სამართლის ურთიერთმიმართება ინტერნეტში, რომლის შედეგადაც დგინდება თუ რა მოცულობით შესაძლოა აწესრიგებდეს კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი ინტერნეტში წარმოშობილ ურთიერთობებს.

გამომდინარე იქიდან რომ სხვა ქვეყნის სამართლებრივი მიდგომები ინტერნეტთან შედარებით განვითარებულია, კონკრეტულად კი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის მიდგომები, ნაშრომში შემოთავაზებულია

შედარებით-სამართლებრივ ჭრილში აღნიშნული ქვეყნების პრაქტიკის გაზიარების გზები.

დისერტაციის ფარგლებში გაანალიზებულია ისეთი საკითხები, როგორცაა: ინტერნეტის სამართლებრივი ბუნება, სახელშეკრულებო ურთიერთობები და ელექტრონული ხელშეკრულებები, ვირტუალური ქონება როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის რეგულირების ობიექტი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ინტერნეტში (რომელიც მოიცავს კონდიქციებს, ინტერნეტ დელიქტებს და თანაზიარი უფლებების კანონისმიერ ვალდებულებით მოწესრიგებას). ბოლოს კი, გაანალიზებულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსის მიღმა, რომელიც მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებსა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას.

საბოლოოდ, ნაშრომი და მის ხუთ თავში მოცემული შედარებით-სამართლებრივი მსჯელობა ნათელს ხდის თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი გამოყენება აქვს კანონისმიერ ვალდებულებით სამართალს ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის, რომელიც ქართული მართლწესრიგისთვის სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

### **საკვანძო სიტყვები:**

კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი, ინტერნეტი, ინტერნეტ დელიქტი, ინტერნეტ კონდიქცია, ვირტუალური ქონება

## Thesis Abstract

The given doctoral thesis examines the Internet, one of the most significant phenomenon of the modernity, as an object deserving special attention of the law. By its very nature, the Internet may parallel the content of civil relations in the physical world, giving it a new perspective, or even creating new types of relations.

The thesis presents the transformation of statutory obligations in relation to the Internet. Within this discussion, the legal solution for the relations arising on the Internet is analyzed in accordance with the existing regulations in the physical world and new doctrinal approaches. Thus, the legal issues discussed in the thesis allow to conclude that the relations arising on the Internet may adapt to the regulatory framework of the relations in the physical world and also, in some cases, require the creation of a new legal arrangement.

It is of considerable importance for the law of statutory obligations to identify what property it protects in the Internet space, that is why the thesis also explores the concept of virtual property and its relation to legal obligations. In addition, the study discusses the interrelation of statutory obligations and contractual obligations on the Internet, as a result of which it is determined to what extent can statutory obligations regulate the relations which arise on the Internet.

Due to the fact that the legal approaches of other countries to the Internet are more developed and advanced, specifically the approaches of the United States of America, Great Britain and Germany, the thesis proposes the ways to share the practices of the mentioned countries from a comparative legal point of view.

Within the framework of the dissertation thesis, following issues are analyzed: the legal nature of the Internet, contractual obligations and electronic agreements, virtual property as an object of regulation of statutory obligations, statutory obligations on the Internet (which includes unjust enrichment, Internet torts and statutory regulation of co-ownership). Consequently, statutory

obligations are analyzed outside of the Civil Code, which includes intellectual property rights and unfair competition.

Finally, the thesis content and the comparative-legal study given in its five chapters elucidate how significant and versatile statutory obligation are for regulation the relations arising on the Internet, which is becoming increasingly relevant for the Georgian law.

**Keywords:**

Statutory Obligations, Internet, Internet Tort, Cyber Unjust Enrichment, Virtual Property

## სარჩევი

შესავალი.....	1
I. ინტერნეტის სამართლებრივი ბუნება.....	6
1. ინტერნეტის განვითარების ჩარჩო .....	6
2. ინტერნეტი, როგორც სამართლის ობიექტი.....	8
2.1. ინტერნეტის რეგულირებისა და თვითრეგულირების საკითხი.....	8
2.2. ინტერნეტის რეგულატორული არქიტექტურა .....	9
2.3. უსაზღვრო ინტერნეტი .....	12
3. ინტერნეტი და ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები.....	17
4. ინტერნეტის სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულებითი მოწესრიგების ჩარჩო.....	23
4.1. სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ტრანსფორმაცია ინტერნეტში.....	24
4.2. სახელშეკრულებო სამართალი ინტერნეტ ეპოქაში: შეცვლილი ფორმა, რეგულირების უცვლელი ობიექტი .....	26
4.3. ინტერნეტის მოწესრიგების ჩარჩოს მიმართება კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებთან.....	27
II. სახელშეკრულებო სამართალი ინტერნეტში: ელექტრონული ხელშეკრულებები30	
1. ელექტრონული ხელშეკრულების სახეები .....	31
1.1. მარტივი ელექტრონული ხელშეკრულებები.....	32
1.2. ელექტრონული ხელშეკრულებების Wrap-ტიპოლოგია .....	32
1.2.1. Shrinkwrap ხელშეკრულებები.....	34
1.2.2. Clickwrap ხელშეკრულებები.....	35
1.2.3. Browsewrap ხელშეკრულებები.....	36
1.2.4. Scrollwrap და Sign in Wrap ხელშეკრულებები .....	36
1.3. Wrap ტიპოლოგია ევროპის სამართალში.....	37
1.4. Wrap ტიპოლოგია ქართულ სამართალში.....	38
1.5. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია, როგორც ხელშეკრულება.....	40
1.6. ელექტრონული ფოსტით დადებული ხელშეკრულების ფორმა.....	40

2.	ოფერტი და აქცეპტი ელექტრონულ ხელშეკრულებებში .....	42
3.	ელექტრონული ხელმოწერა, როგორც ინსტრუმენტი ინტერნეტ გარიგებებში.....	47
III.	ვირტუალური ქონება, როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის რეგულირების ობიექტი .....	50
1.	ვირტუალური ქონების ცნება.....	53
2.	ვირტუალური ქონების მსგავსება რეალურ ქონებასთან.....	57
3.	ვირტუალური ქონების ობიექტები.....	60
3.1.	კრიპტოვალუტა, როგორც ვირტუალური ქონების ობიექტი .....	61
3.1.1.	განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია (Distributed Ledger Technology)..	61
3.1.2.	ბლოკჩეინი.....	63
3.1.3.	განსხვავება კოინსა და ტოკენს შორის .....	64
3.1.4.	კრიპტოვალუტის კანონისმიერი სისტემატიზაცია .....	65
3.1.4.1.	ბიტკოინი .....	67
3.1.4.2.	ბიტკოინის ოპერირების მექანიზმი.....	69
3.1.4.3.	კრიპტოვალუტა, როგორც საკუთრების ობიექტი .....	70
3.1.4.4.	ინგლისის პრაქტიკა.....	71
3.1.4.5.	ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა.....	72
3.1.4.6.	გერმანიის პრაქტიკა .....	73
3.1.4.7.	საქართველოს პრაქტიკა.....	75
3.1.4.8.	სამოქალაქო სამართლებრივი პერსპექტივა .....	77
3.2.	არაჩანაცვლებადი ტოკენები (NFT) .....	79
3.2.1.1.	საავტორო უფლებებისა და NFT-ის გამიჯვნა.....	82
3.2.1.2.	ტოკენიზებული ქონება.....	83
4.	ვირტუალური ქონების დაცვა.....	86
4.1.	სანივთო დაცვა.....	86
4.2.	დელიქტური დაცვის პერსპექტივა .....	89
4.3.	ინტერნეტ სივრცეში ვირტუალური ქონების ხელყოფისა და ფიზიკური ქონების ხელყოფის გამიჯვნა.....	92
4.4.	კონდიციური მოწესრიგების შესაძლებლობა.....	93

4.5.	თვითდახმარება, როგორც ვირტუალური საკუთრების დაცვის საშუალება ...	96
5.	ვირტუალური ქონების კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ფარგლებში შეფასება.....	97
IV.	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ინტერნეტ სივრცეში.....	100
1.	ფრაქციული საკუთრება - კანონისმიერი ვალდებულებითი მოწესრიგება ინტერნეტში .....	102
1.1.	თანაზიარი დომენური სახელები.....	102
1.2.	თანასაკუთრება საიტზე.....	103
1.3.	ბლოკჩეინი და ახალი საზიარო უფლებები .....	104
2.	უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები ინტერნეტში.....	108
2.1.	უსაფუძვლო გამდიდრების ტრანსფორმაცია ინტერნეტში .....	111
2.2.	შესრულების კონდიქცია ინტერნეტში .....	113
2.2.1.	პრაქტიკული გამოყენება .....	114
2.2.2.	შესრულების კონდიქციის სპეციალური შემთხვევები ინტერნეტში.....	116
2.2.3.	სპეციალური შემთხვევების გადაწყვეტა.....	117
2.2.3.1.	შეცდომა ტრანზაქციის მოცულობაში.....	117
2.2.3.2.	შეცდომა განსაზღვრულ ოპერაციაში.....	118
2.2.3.3.	სისტემური ხარვეზი.....	119
2.2.4.	შესრულების კონდიქციის პერსპექტივის შეფასება ინტერნეტში.....	120
2.3.	ხელყოფის კონდიქცია ინტერნეტში .....	122
2.3.1.	ხელყოფის კონდიქციის შემთხვევები ინტერნეტში .....	124
2.3.1.1.	ინტერნეტის საშუალებით კომპიუტერული სისტემის ხელყოფა.....	125
2.3.1.1.1.	„რაიმეს“ მოპოვება ხელყოფით .....	126
2.3.1.1.2.	რეალიზაცია-გამოყენების ექსკლუზიური უფლება – „მიკუთვნებული უფლების დაცვითი სფერო“ .....	126
2.3.1.1.3.	გამდიდრება კომპიუტერული სისტემის მესაკუთრის ხარჯზე.....	126
2.3.1.1.4.	რეალიზაციის შესაძლებლობა .....	127
2.3.1.2.	ფარული მაინინგი - მომხმარებლის ხარჯზე გამდიდრება.....	128
2.3.1.3.	მონაცემთა ხელყოფა როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი	129



2.3.1.3.1. მონაცემთა დეფინიცია.....	129
2.3.1.3.2. პერსონალური მონაცემები და ხელყოფა.....	130
2.3.1.3.3. გამდიდრება პერსონალური მონაცემების ხარჯზე.....	130
2.3.1.3.4. მონაცემების ხელყოფა ფართოდ .....	132
2.3.1.3.5. Davis v. Facebook, Inc.....	134
2.3.1.3.6. მონაცემების ხელყოფიდან გამომდინარე მოთხოვნა ქართულ სამართალში .....	135
2.3.2. ხელყოფის სპეციალური შემთხვევები ინტერნეტ სივრცეში.....	137
2.3.2.1. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების გავრცელება ინტერნეტით .....	137
2.3.2.2. პირადი გამოსახულების უნებართვო გამოყენება .....	138
2.3.2.3. საფირმო სახელწოდების ხელყოფა .....	140
2.3.3. ხელყოფის კონდიქციის პერსპექტივის შეფასება ინტერნეტში .....	142
3. ინტერნეტ დელიქტები .....	143
3.1. დელიქტური ვალდებულებების ტრანსფორმაცია ინტერნეტში.....	144
3.2. ვირტუალური ქონება და ინტერნეტ დელიქტები .....	146
3.3. ინტერნეტ დელიქტების სპეციალური შემთხვევები .....	148
3.3.1. კრიპტოვალუტა.....	148
3.3.2. მონაცემების წაშლა როგორც დელიქტი .....	151
3.4. ცილისწამებისა და ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება ინტერნეტში .....	153
3.4.1. სპეციალური საკანონმდებლო რეგულაცია .....	154
3.4.2. ცნობების გავრცელების სივრცეები.....	154
3.4.3. ცნობების წყარო.....	156
3.4.4. ხელოვნური ინტელექტის მიერ გავრცელებული ცნობები .....	157
3.4.4.1. ხელოვნური ინტელექტის დაცვა.....	158
3.4.4.2. მოთხოვნის ფარგლები, უფლების აღსრულება და სასამართლო პრაქტიკა.....	160
3.5. პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ინტერნეტში .....	161
3.5.1. პასუხისმგებლობა ნივთების ინტერნეტიდან წარმოშობილი ზიანისთვის 161	
3.5.2. წუნის კატეგორიზაცია.....	162

3.5.3. მწარმოებლის პასუხისმგებლობის ფარგლები .....	163
V. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსის მიღმა	165
1. ინტელექტუალური საკუთრება ინტერნეტ სივრცეში.....	165
1.1. ინტერნეტ მეკობრეობა.....	165
1.1.1. რეგულატორული ჩარჩოს შედარებით სამართლებრივი ანალიზი.....	166
1.1.2. სასამართლო პრაქტიკა .....	168
1.2. კიბერსქვათინგი.....	169
1.2.1. საკანონმდებლო რეგულაცია .....	170
1.2.2. კიბერსქვათინგთან დაკავშირებული განვითარების პერსპექტივა.....	171
1.2.3. სასამართლო და UDRP პრაქტიკა .....	172
2. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა ინტერნეტ სივრცეში .....	173
2.1. სპეციალური მოწესრიგებისა და ხელყოფის კონდიქციის კონკურენცია .....	174
2.2. ხელყოფის კონდიქციისა და დელიქტური ვალდებულების კონკურენცია ...	175
3. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.....	176
დასკვნა .....	178
ბიბლიოგრაფია.....	188

## ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

იხ.	იხილეთ
ა.შ.	ასე შემდეგ
მაგ.	მაგალითად
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
რედ.	რედაქტორი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
სკ	სამოქალაქო კოდექსი
სსკ	სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
ACPA	Anticybersquatting Consumer Protection Act
ICANN	Internet Corporation for Assigned Names and Numbers
DMCA	Digital Millennium Copyright Act
IoT	Internet of Things
WIPO	World Intellectual Property Organization
GDPR	General Data Protection Regulation
Vol.	Volume
Eds.	Editors
No.	Number
ECLI	European Case Law Identifier
Cir.	Circuit

## შესავალი

სადისერტაციო თემის აქტუალობა და კვლევის სიახლე: ინტერნეტსა და ტექნოლოგიურ განვითარებას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ყოველდღიურ კომუნიკაციასა და ბიზნეს ურთიერთობებში. ინტერნეტი მისი გამოჩენისთანავე გახდა სამართლის კვლევისა და ინტერესის საგანი და მისი განვითარების ტემპები და გავლენა შეიძლება ითქვას რომ უსაზღვროა. 2015 წლისთვის არსებობდა მოსაზრება, რომ ინტერნეტი მნიშვნელოვნად არის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული,<sup>1</sup> თუმცა როგორც აღინიშნა, მუდმივი ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე იგი სულ უფრო და უფრო ფართო მოვლენად იქცევა. თანამედროვე სამყაროში მისი საშუალებით შესაძლებელია ბიზნესის წარმოება,<sup>2</sup> ინდუსტრიული საქმიანობა, დამოუკიდებელი კრეატიული საქმიანობა,<sup>3</sup> ვირტუალური აქტივების შექმნა და გასხვისება, მოძრავი და უძრავი ნივთების მართვა. უფრო მეტიც, ინტერნეტმა და მასში არსებულმა ვირტუალურმა სამყარომ შეიძინა ფიზიკური სამყაროსთვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგალითად, ვირტუალური ქონების სახით.

სადისერტაციო ნაშრომის თემატიკა, ფაქტობრივად, არ არის დამუშავებული ქართულ სამართალში. არ არსებობს დოქტრინალური მიდგომა საკითხისადმი, რომელიც ქართული კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის სწორ ტრანსფორმაციას მოახდენს ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილ ურთიერთობებთან. შესაბამისად, თემა უაღრესად აქტუალურია, რასაც ისიც ემატება, რომ საკვლევ საკითხთან მიმართებაში ქართული სასამართლო პრაქტიკა სულ უფრო და უფრო მოცულობითი ხდება და მისთვის აუცილებელია დოქტრინალური საყრდენი.

---

<sup>1</sup> *Kustron K. G.*, *Internet and Technology Law: A U.S. Perspective*, BookBoon, 2015, 12.

<sup>2</sup> 2020 წელს მსოფლიო მასშტაბით ელექტრონული კომერციის სფეროში გაყიდვებმა შეადგინა დაახლოებით 4.2 ტრილიონი აშშ დოლარი, ხოლო, 2021 წლისთვის გაყიდვები დაახლოებით 4.9 ტრილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა. ვრცლად იხ. <https://www.statista.com/topics/871/online-shopping/#dossierKeyfigures> [21.02.2023] და <https://www.shopify.com/enterprise/global-ecommerce-statistics> [21.02.2023].

<sup>3</sup> COVID 19 პანდემიის გამო თითქმის ყველა ქვეყანაში დამსაქმებელთა უმეტესობას მოუწია საკუთარი დასაქმებულების დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადაყვანა, რა დროსაც ინტერნეტი გადაიქცა ბიზნესის ოპერირების, ინტელექტუალური შემოქმედებისა და საქმიანობის მთავარ ადგილად.

თემის აქტუალობის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი ინტერნეტ სივრცის ფენომენია, რომელიც განსხვავდება ყველა არსებული კომუნიკაციის საშუალებისგან არა მხოლოდ მისი მასშტაბითა და მარტივი ხელმისაწვდომობით, არამედ იმითაც, რომ ინტერნეტ სივრცის თითოეული სუბიექტი მისი აქტიური მონაწილეა და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე საშუალება აქვს განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც ინტერნეტშია შესაძლებელი. გამომდინარე აქედან, ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელი თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობს ქმედების განსახორციელებლად ვიდრე ეს რეალურ, ფიზიკურ სამყაროშია. ასეთი სიმარტივისა და თავისუფლების გამო მომხმარებლებს ხშირად გაუმართლებელი შეხედულება უჩნდებათ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ქმედებას სამართლებრივი რეგულირება არ გააჩნია, რაც არასწორია. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის, რადგანაც ელექტრონული და ინტერნეტ ხელშეკრულებების და მათი თანმდევი ტრანზაქციების გარდა, ყველა სხვა ურთიერთობა სწორედ კანონისმიერ რეგულაციაში ექცევა.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომის პირველი თავი ეთმობა ინტერნეტის სამართლებრივი ბუნების განხილვას, კერძოდ ინტერნეტის განვითარების ზოგადი ჩარჩოს ანალიზს, მისი საწყისი წერტილიდან კომერციულ განვითარებამდე. შემდეგი აქცენტი კი გაკეთებული ინტერნეტზე როგორც სამართლის ობიექტზე, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთისგან გამიჯნულია ის ტექნოლოგიური მახასიათებელი, რაც ინტერნეტის თვითრეგულირების საშუალებას იძლევა და მისი ნორმატიული რეგულირება. თავისთავად, პირველივე თავში მოცემულია ინტერნეტისა და ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების დინამიკა, რასაც მოჰყვება სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ურთიერთმიმართების განხილვა.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია სახელშეკრულებო სამართლის კონკრეტული ტრანსფორმაცია ინტერნეტში, რომელიც ხელშეკრულების დადებასა და ელექტრონულ ხელშეკრულებებს მიემართება. მის ფარგლებში განხილულია თუ რა ტიპის ელექტრონული ხელშეკრულებები არსებობს ინტერნეტ სივრცეში, როდის ითვლება

ელექტრონული ხელშეკრულება დადებულად და ასევე, ელექტრონული ხელმოწერის ფენომენი, როგორც ნების გამოხატვის დადასტურება ვირტუალურ სამყაროში.

მესამე თავი დათმობილია ვირტუალური ქონებისადმი, როგორც ინტერნეტ სივრცეში არსებული მთავარი აბსოლუტური ქონებრივი სიკეთისადმი. ვირტუალური ქონების ანალიზის ცალკე თავად გამოყოფა განპირობებულია იმით, რომ შეუძლებელია კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის კვლევა ინტერნეტ სივრცესთან მიმართებით ამ საკითხის სიღრმისეული განხილვის გარეშე. ამავე თავში წარმოდგენილია ყველა ვირტუალური ქონების ის ტიპი, რომელიც ინტერნეტსივრცეში შეიძლება არსებობდეს, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიპტოაქტივსა და ბლოკჩეინის სისტემას.

მეოთხე თავში მოცემულია კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ფუნდამენტური კვლევა ინტერნეტ სივრცესთან მიმართებით. ამ თავში წარმოდგენილია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ყველა შემთხვევა, რომელიც შესაძლოა ვირტუალურ სამყაროში არსებობდეს, იმ სტრუქტურის შესაბამისად, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ამავე თავში წარმოდგენილია ქართულ სამართალწარმოებაში უკვე არსებული პრაქტიკის ანალიზი და ასევე, სამართლებრივი გზები იმ შემთხვევებისთვის, რომელიც ქართულ ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილა, თუმცა სამართალწარმოების ფარგლებში არ განვითარებულა. ასევე, ნაშრომის ამ ნაწილში შემოთავაზებულია ის შესაძლო გადაწყვეტები, რომელიც უფლების აღსრულებას შეიძლება უკავშირდებოდეს ინტერნეტ სივრცეში კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ფარგლებში.

ნაშრომის მეხუთე თავში განხილულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ფართო გაგებით, რომელიც ძირითადად მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფას ინტერნეტ სივრცეში, ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები ახალ ნორმატიულ მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

ნაშრომის ბოლოს დასკვნის სახით შეჯამებულია საკვლევი თემის საკვანძო საკითხები და მათი შედეგები.

**კვლევის მიზნები და ამოცანები:** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შემდეგი საკვლევი ამოცანების გადაწყვეტა:

- კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ტრანსფორმაცია რეალურ სამყაროდან ვირტუალურ სამყაროში.
- ინტერნეტში ახალი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების იდენტიფიცირება და მათი არსებული მოწესრიგებისადმი მიკუთვნება.
- ინტერნეტ სივრცის თვითრეგულირების შესაძლებლობა და ურთიერთმიმართება კანონისმიერ რეგულირებასთან.
- კონკურენციის დადგენა სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებას შორის ინტერნეტ სივრცესთან დაკავშირებით.
- ისეთი დამოუკიდებელი და ახალი რეგულატორული კომპლექსის შექმნის საჭიროების განხილვა, რომელიც მიმართული იქნება მხოლოდ ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობების მოწესრიგებისკენ.
- საყოველთაოდ მისაწვდომი ტექნოლოგიური მოვლენის ნორმატიული მოწესრიგების გავლენის შესწავლა ვირტუალურ სამყაროზე.
- დოქტრინისთვის რეგულატორული კომპლექსის შექმნისა და სრულყოფის შესაძლო გზების შეთავაზება.

**კვლევის მეთოდოლოგია:** წინამდებარე ნაშრომის მიზნების მისაღწევად გამოყენებულია ზოგადი სამეცნიერო და კონკრეტული ანალიტიკური მეთოდები, როგორებიცაა ნორმატიული და სისტემური ანალიზი, კრიტიკული ანალიზი, ინდუქცია და დედუქცია. შესასწავლი საკითხის კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ორი მეთოდი:

**შედარებითსამართლებრივი:** ქართული სამართლისთვის ინტერნეტის რეგულირება ლიმიტირებულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების მართლწესრიგის

დოგმატური მიდგომის ანალიზი. გამომდინარე იქიდან რომ სხვა სამართალსივრცეებისთვის საკითხი შესწავლის ეტაპზეა, უმნიშვნელოვანესია მათი შეპირისპირება ეროვნულ მიდგომებთან, რაც ერთადერთი საშუალებაა საკვლევი საკითხისა და ამ მიმართულებით სამართლის განვითარებისთვის.

ინტერდისციპლინარული: შესაძლოა საკვლევი საკითხი მოექცეს ინტერდისციპლინარული კვლევის ფარგლებშიც, გამომდინარე იქიდან, რომ განხილულია ტექნოლოგიური პერსპექტივიდან არსებული საკითხისადმი კვლევის ტენდენციები.

**კვლევის შედეგი:** კვლევა დასრულებული სახით ერთგვარი საფუძველი იქნება ქართული სამართლისთვის, შექმნას კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მოწესრიგების შესაძლებლობა ინტერნეტ სამართლისთვის, რაც თანამედროვე მსოფლიოს ყველა დარგისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ინტერნეტ სივრცეში გაანალიზება საშუალებას მისცემს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს, წინასწარ განსაზღვრონ ინტერნეტში განხორციელებული ქმედებებისა და ტრანზაქციების მნიშვნელობები და რისკები. ნებისმიერი პირის თუ ბიზნესის კომერციული საქმიანობის წარმატება მათ ინტერნეტ და კიბერ უნარებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ინტერნეტის რეგულირებისთვის ტრანსფორმირებული დოქტრინა ნაკლებად არსებობს ქართულ მართლწესრიგში და წინამდებარე კვლევა სარეკომენდაციო იქნება ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობების კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ჭრილში გადასაწყვეტად.



## I. ინტერნეტის სამართლებრივი ბუნება

### 1. ინტერნეტის განვითარების ჩარჩო

ინტერნეტი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების საერთაშორისო ქსელს, რომელიც განვითარდა ამერიკის შეერთებული შტატების 1969 წლის სამხედრო პროგრამის ARPANET-ის ფარგლებში,<sup>4</sup> თუმცა ინტერნეტის კონცეფცია შესაძლოა ჯერ კიდევ 1950-იან წლებში დაბადებულიყო, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დამაბულობა უკიდურესად მაღალი იყო და მხარეები ატომური ომისთვისაც კი ემზადებოდნენ.<sup>5</sup> სწორედ აღნიშნულის გამო ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მიერ წინა ფონზე წამოიწია სამხედრო ძალების ახალი საკომუნიკაციო გზების შექმნის აუცილებლობამ.<sup>6</sup> 1950-იანი წლების ბოლოსა და 1960-იანი წლების დასაწყისში RAND Corporation-ის<sup>7</sup> მკვლევარი პოლ ბარანი (Paul Baran) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ მუდმივად საჭირო იყო სამხედრო დანაყოფებთან კომუნიკაცია, რათა თავიდან აეცილებინათ ნებისმიერი გაუგებრობა, რასაც შეიძლებოდა ატომური ომი გამოეწვია.<sup>8</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლ ბარანი მივიდა საკომუნიკაციო ქსელის ახალი მოდელის პროტოტიპის იდეამდე, რომელიც განსხვავებით ტრადიციული საკომუნიკაციო სისტემებისა, რომლებიც დაფუძნებული იყო საკონტროლო პუნქტებზე როგორც ქსელის ცენტრებზე, არ იყენებდა ცენტრალურ საკონტროლო პუნქტებს, არამედ მას შეეძლო ოპერირება გარე სარეზერვო ქსელებზე დაყრდნობით.<sup>9</sup> პოლ ბარანი აღწერს თუ როგორ მუშაობს ქსელი 1962 წლის ნაშრომში „განაწილებული საკომუნიკაციო ქსელების შესახებ“,

---

<sup>4</sup> *Swan E. J.*, Internet Law a Concise Guide to Regulation Around the World, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2022, xxi.

<sup>5</sup> *Ryan J.*, A history of the Internet and the digital future, Reaktion Books, London, 2010, 11.

<sup>6</sup> იქვე, 12-13.

<sup>7</sup> RAND Corporation – 1948 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც დამოუკიდებელი და არაკომერციული ორგანიზაციის სახით ოპერირებს და რომლის მთავარი მიზანაც სამხედრო ორგანიზაციების დაკავშირებაა კვლევისა და განვითარების გადაწყვეტილებებთან. ვრცლად მის შესახებ იხ. <https://www.rand.org/about/history.html> [20.12.2022]

<sup>8</sup> *Ryan J.*, A history of the Internet and the digital future, Reaktion Books, London, 2010, 14.

<sup>9</sup> იქვე, 14.

რომლის მიხედვითაც ქსელური კვანძები ერთმანეთს ქსელში ცენტრალიზაციის გარეშე უკავშირდებოდა და შეტყობინების გადასაცემად ყველაზე სწრაფ და მოკლე დანიშნულებას იყენებდა, ყოველგვარი წინასწარ განსაზღვრული საკომუნიკაციო მარშრუტის გარეშე.<sup>10</sup>

ზემოაღნიშნულის შემდეგ, ინტერნეტის განვითარებამ დიდი გზა განვლო. მსოფლიო კომპიუტერული ქსელი (WWW / World Wide Web), იმ ფორმით რა ფორმითაც დღეს ვიცნობთ, არ იარსებებდა ხსენებული ARPANET-ის გარეშე<sup>11</sup> და დღესდღეობით იგი აღარ არის მხოლოდ შეტყობინებების გასაგზავნად ან მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო საშუალება. ინტერნეტის განვითარებისთვის და მისი როგორც სოციალური და ყოველი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილის ქცევისთვის უმთავრეს და გარდამტეხ მომენტს წარმოადგენს მისი კომერციალიზაცია, რომელიც შესაძლებელი გახდა 1995 წლიდან, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრიდან ყველანაირი კომერციული შეზღუდვა მოიხსნა ინტერნეტზე და მსოფლიო კომპიუტერულ ქსელზე წვდომა კიდევ უფრო ფართოდ ხელმისაწვდომი გახდა.<sup>12</sup>

2022 წელს ციფრული ეკონომიკა გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის 15.5%-ს შეადგენდა,<sup>13</sup> რაც სავარაუდოა რომ 2030 წლისთვის გაორმაგებული იქნება 30%-მდე. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ინტერნეტი და ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც სოციალური და ეკონომიკური ფენომენი, წარმოადგენს თანამედროვე სამყაროს უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რომელიც მუდმივად ვითარდება და იზრდება.

---

<sup>10</sup> იქვე, 14-15.

<sup>11</sup> *Rustad M. L.*, Global Internet Law in a Nutshell, Third Edition, West Academic Publishing, St. Paul, 2016, 7-8.

<sup>12</sup> *Ceruzzi P. E.*, The Internet before Commercialization, The Internet and American Business, Eds. *Ceruzzi P. E.*, *Aspray W.*, The MIT Press, Cambridge, 2008, 12.

<sup>13</sup> ICC White Paper on Delivering Universal Meaningful Connectivity ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://iccwbo.org/news-publications/policies-reports/icc-white-paper-on-delivering-universal-meaningful-connectivity/> (უკანასკნელი წვდომა 20.12.2023)

ინტერნეტის განვითარების სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა, თავის მხრივ, დაკავშირებულია ინტერნეტის, როგორც სამართლის ინტერესისა და ობიექტის ჩამოყალიბებასთან. შეუძლებელია სამართლებრივი რეგულირების მიღმა დარჩეს ისეთი ფენომენი, რომელიც ფიზიკური სამყაროს პარალელურად იძლევა შესაძლებლობას არსებობდეს ალტერნატიული, ვირტუალური სამყაროს სახით, სადაც არსებობს უფლებრივი ობიექტები და ინტერნეტის მომხმარებლებს წარმოეშობათ უფლებები და ვალდებულებები. უფრო მეტიც, ინტერნეტი არაერთხელ ყოფილა მისი შინაარსის მიღმა განხილული როგორც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული რესურსი, მათ შორის იურიდიული ლიტერატურაში.<sup>14</sup>

## 2. ინტერნეტი, როგორც სამართლის ობიექტი

### 2.1. ინტერნეტის რეგულირებისა და თვითრეგულირების საკითხი

ინტერნეტის სამართლებრივი ბუნების გასაგებად მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურის ანალიზი. არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ინტერნეტი და ზოგადად კიბერსივრცე<sup>15</sup> არის თვითრეგულირებადი და იგი თავად წარმოადგენს დამოუკიდებელი წესებისა და კანონების ერთობლიობას. კოდის, რომელიც ინტერნეტისა და სრულიად კიბერსივრცის საფუძველია, კანონთან გათანაბრება,<sup>16</sup> როგორც თვითმყოფადი

---

<sup>14</sup> ნათელია, რომ ინტერნეტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ რესურსს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ იურიდიული ლიტერატურა ეხებოდეს რაიმე ტიპის ინფრასტრუქტურულ საკითხს მაშინ როდესაც მას პირდაპირი შეხება არ აქვს სამართლებრივ საკითხთან ან სამართალწარმოებასთან. კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია შემთხვევაზე, როდესაც საქართველო-სომხეთის საზღვარზე 75 წლის საქართველოს მოქალაქემ გადაჭრა ინტერნეტის კაბელი, რის გამოც სომხეთის სამივე მთავარი ინტერნეტის პროვაიდერი გაითიშა. ვრცლად იხ. *Rustad M. L., How Armenian Cybertorts Can Advance Civil Society, Main Issues of Pedagogy and Psychology, Vol. 3, 2011, 117*

<sup>15</sup> კიბერსივრცე წარმოადგენს სივრცეს, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ერთმანეთთან აკავშირებს ყველა იმ მოწყობილობას, რომლის საშუალებითაც მის მომხმარებლებს აქვთ ერთმანეთთან ინტერაქციის საშუალება. საგულისხმოა, რომ კიბერსივრცის განმარტებას ქართულ რეგულატორულ სივრცეში იძლევა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვით კიბერსივრცე არის „სივრცე, რომლის განმასხვავებელი ნიშანია ელექტრონული მოწყობილობებისა და ელექტრომაგნიტური სპექტრის გამოყენება ქსელით დაკავშირებული სისტემებისა და დამხმარე ფიზიკური ინფრასტრუქტურის მეშვეობით მონაცემთა შენახვისათვის, შეცვლისათვის ან გაცვლისათვის“.

<sup>16</sup> *Lessig L., Code and Other Laws of Cyberspace, Basic Books, New York, 1999, 6.*

რეგულატორისა, შესაძლებელია მხოლოდ იმ გაგებით, თუ ინტერნეტ სივრცე და ზოგადად ნებისმიერი კოდი არ იქნება ინტერაქტიული და მასში მომხმარებლებს შეეძლება მხოლოდ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც წინასწარ იქნება გაწერილი ალტერნატიული დაშვებების გარეშე. აღნიშნულს შესაძლოა ამყარებდეს ისიც, რომ დიგიტალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის სწრაფი და შეუჩერებელი ტემპები მიუთითებენ იმაზე, რომ ყველა წესის, იქნება ეს კანონი თუ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, მომავალი კოდია, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის ტრანსფორმაცია კოდის სახით.<sup>17</sup> თუმცა, კოდის, როგორც კანონის და კანონის, როგორც კოდის, პრაქტიკული სრულყოფა არის ის, რომ კოდის ფუნქციაში მოხდეს ნორმატიული შინაარსის ინტეგრაცია და მისი დაქვემდებარება. კოდისა და კანონის მსგავსი თანხვედრა ძირითადად განპირობებულია მათი წინაპირობების მსგავსებითა და მათი შედეგისკენ მიმართულობით - მოაწესრიგოს კონკრეტული საკითხი, თუმცა უდიდეს განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ კანონი არ არის ავტომატურად აღსრულებადი, ხოლო, კოდი შესაძლოა თვითაღსრულებადი იყოს იმ ფარგლებში, რომლებსაც თავადვე განსაზღვრავს, მაგალითად, ინტერნეტ სივრცის მომხმარებელს რისი განხორციელება შეუძლია და რა არის აკრძალული.<sup>18</sup>

## 2.2. ინტერნეტის რეგულატორული არქიტექტურა

ინტერნეტი, მიუხედავად იმისა რომ თავისთავად წარმოადგენს კოდების გაერთიანებას, გაცილებით ფართო მოვლენაა ვიდრე მხოლოდ კომპიუტერული კოდი და მისი სამართლებრივი ბუნების ზოგადი განხილვა მხოლოდ აღნიშნულთან მიმართებით მართებული არ იქნებოდა. ინტერნეტის სამართლებრივი ბუნების გასაგებად უმთავრესია თავად ინტერნეტის ბუნების ანალიზი, ხოლო მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი

---

<sup>17</sup> *ბრაიდენბახი შ.*, გადაწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020, 2020, 2.

<sup>18</sup> *სირდაძე ლ., ჟორჟოლიანი გ.*, საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 5/2020, 2020, 12-13.

იდენტიფიცირებული იქნება, შესაძლებელი ხდება ინტერნეტის სამართლებრივ ბუნებაზე საუბარი.<sup>19</sup> იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ინტერნეტის რეგულირება შესაძლოა რამდენიმე მიმართულებით დაიყოს: სტრუქტურული რეგულირება, რაც გულისხმობს თავად ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე რეგულირებას; კომერციული რეგულირება, რომლის მიხედვითაც ინტერნეტის რეგულირება ხორციელდება იმ კომერციული ბაზრის მიერ, რომელშიც იგი არსებობს; გამოცდილების შესაბამისი რეგულირება, რის მიხედვითაც ინტერნეტ სივრცის მომხმარებლებს აქვთ მოლოდინი, რომ მათი წარსული გამოცდილება განმეორდება;<sup>20</sup> პოლიტიკური რეგულირება, რომელშიც მოიაზრება სახელისუფლებლო პოლიტიკა, თუ როგორ რეაგირებს ხელისუფლება ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, რომელიც ინტერნეტს უკავშირდება; საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების მხრივ მოწესრიგება, რომელიც ნათელია რომ გულისხმობს ისეთი რეგულატორული სივრცის შექმნას, რომლის საშუალებითაც ფორმალურ დონეზე სახელმწიფო განსაზღვრავს საკანონმდებლო ჩარჩოს და ინტერნეტის მომხმარებლებს პირდაპირ უწესებს, რა არის ნებადართული და რა აკრძალული, რა ტრანზაქციების განხორციელება შეიძლება ინტერნეტში და სხვა; ბოლო კი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების კუთხით რეგულირებაა, გამომდინარე იქიდან რომ ინტერნეტის ბუნება უსაზღვროა, მას მნიშვნელოვანი როლი აქვს ინტერნეტის რეგულირებაში.<sup>21</sup> აღნიშნული წყაროები ძირითად შემთხვევაში გასაზიარებელია და შესაძლოა ინტერნეტის მოწესრიგების ძირითად სისტემატიზაციას იძლეოდეს. საგულისხმოა ასევე, რომ მოცემული რეგულირების წყაროების დაყოფა შესაძლოა ორ ნაწილად, ძირითადი, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, სუპრანაციონალურ სამართალს და

---

<sup>19</sup> *Solum L. B. / Chung M.*, The Layers Principle: Internet Architecture and the Law, Notre Dame Law Review, Vol. 79, Issue 3, 2004, 817.

<sup>20</sup> აღნიშნული, როგორც ინტერნეტის რეგულირების წყარო, მნიშვნელოვნად სადავოა. გამომდინარე იქიდან რომ ინტერნეტი მუდმივად ცვალებადია, შეუძლებელია მისი დინამიკის განსაზღვრა და მითუმეტეს, რაიმე ერთგვაროვანი სოციალური პრაქტიკის არსებობა.

<sup>21</sup> *Swan E. J.*, Internet Law a Concise Guide to Regulation Around the World, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2022, 5-6.

შიდასახელმწიფოებრივ სამართალს. ასევე, დამატებითი რეგულირების წყარო, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებსა და სასამართლო პრაქტიკას.<sup>22</sup>

ნათელია, რომ მიუხედავად ტექნოლოგიური ინოვაციისა, ინტერნეტისა და სამართლის ურთიერთმიმართება უმთავრესად შემოფარგლულია რეგულატორული კომპლექსით. თუმცა, ინტერნეტის სამართლებრივი ბუნებისთვის აღნიშნულის იდენტიფიცირება არ არის საკმარისი. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში არსებობს, რა თქმა უნდა, არის კანონის რეგულირების ობიექტი. ფიზიკურ სამყაროში მარტივად არის აღქმადი ის, თუ როგორ ახდენს სამართალი სხვადასხვა საკითხის რეგულირებას,<sup>23</sup> იქნება ეს კონსტიტუციის, კანონის თუ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის შესაბამისად.<sup>24</sup> თუმცა მთავარი კითხვა არის ის, თუ როგორ ხდება ინტერნეტის, როგორც კოდების მოწესრიგებისა და მასში არსებული სამართლებრივი რეგულირების სინთეზი. აღნიშნულ კითხვაზე პასუხისთვის კიდევ ერთხელ უნდა მოხდეს დაბრუნება ინტერნეტის ბუნებასთან, სამართლისგან განყენებულად. მომხმარებლებს ხშირად რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ინტერნეტი არის ის, რაზეც წვდომა ბრაუზერის, სხვადასხვა საიტის ან სოციალური ქსელის<sup>25</sup> საშუალებით არის შესაძლებელი.<sup>26</sup> თავის მხრივ, აღნიშნული ბრაუზერი არის მხოლოდ კომპიუტერული პროგრამა, უფრო კონკრეტულად კი კომპიუტერული კოდი, საინფორმაციო პროტოკოლი HTTP, რომელიც არის საფუძველი მსოფლიო კომპიუტერული ქსელისთვის.<sup>27</sup> თუმცა, მხოლოდ ეს არ წარმოადგენს ინტერნეტს, ეს არის მხოლოდ ერთი შემთხვევა რა დროსაც შესაძლებელი ინტერნეტის გამოყენება. მაგალითისთვის დამოუკიდებელი პროგრამული

---

<sup>22</sup> გაბისონია ზ., ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2022, 35-36.

<sup>23</sup> იგულისხმება არა უშუალოდ სამართლის მოწესრიგება, რას გულისხმობს სამართალი და მისი მეცნიერული გაგება, არამედ სამოქალაქო ბრუნვაში არსებული სამართლებრივი მოწესრიგების არსებობა, როგორც ინსტიტუციური მოცემულობა.

<sup>24</sup> Lessig L., Code and Other Laws of Cyberspace, Basic Books, New York, 1999, 6.

<sup>25</sup> ვრცლად სოციალური ქსელების შესახებ იხ. გორბენაძე ს., სოციალური მედიის სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2019, 38-40

<sup>26</sup> Solum L. B., Chung M., The Layers Principle: Internet Architecture and the Law, Notre Dame Law Review, Vol. 79, Issue 3, 2004, 829

<sup>27</sup> იქვე.

უზრუნველყოფის საშუალებით შეტყობინებების მიღება და გაგზავნა. ასევე, მულტიმედია ფაილების გაზიარება, ფინანსური ოპერაციების განხორციელება, ვირტუალურ რეალობაში ინტერაქცია,<sup>28</sup> ბლოკჩეინ ტრანზაქციების განხორციელება,<sup>29</sup> კომპიუტერული თამაშების გამოყენება და მათ შორის ფიზიკურ სამყაროში არსებული უძრავი თუ მოძრავი ნივთების მართვა. ეს უკანასკნელი ცნობილია ქოლგა სახელდების ქვეშ როგორც ნივთების ინტერნეტი (Internet of Things / IoT),<sup>30</sup> რომელიც აერთიანებს ფიზიკურ სამყაროში არსებული ნივთების ინტერნეტის საშუალებით ურთიერთდაკავშირებულ ქსელს.

### 2.3. უსაზღვრო ინტერნეტი

ინტერნეტის განვითარების საწყის პერიოდში, მაშინ როდესაც სამართალმცნიერებაც ინტერნეტის შესწავლის ადრეულ ეტაპზე იყო, იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება ინტერნეტის სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემატიკასთან მიმართებით, რომელიც მის უსაზღვრო ბუნებას უკავშირდება, რაც, რა თქმა უნდა, მართებულად იყო განხილვის საკითხი მაშინ როდესაც არცერთი ქვეყნის ეროვნულ დონეზეც კი არ არსებობდა რაიმე ტიპის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც

---

<sup>28</sup> ტერმინი ვირტუალური რეალობა მოიცავს, როგორც თავად ვირტუალურ რეალობას (Virtual Reality), რომელიც შესაძლებელია არსებობდეს კომპიუტერული კოდისა და სპეციალური მოწყობილობების საშუალებით და მხოლოდ ვირტუალური გარემოთი შემოიფარგლება. ასევე, იგი მოიცავს გაფართოებულ რეალობას (Augmented Reality), რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც რეალურ სამყაროს, ისე ვირტუალური სამყაროს ელემენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა მოწყობილობების, მათ შორის მობილური ტელეფონების საშუალებით. ვრცლად. იხ. *Lemley M. A., Volokh E., Law, Virtual Reality, and Augmented Reality, Vol. 166, No. 5, 2018, 1058-1059.*

<sup>29</sup> ბლოკჩეინი არის განაწილებული მონაცემთა ბაზა ან ტრანზაქციების საჯარო სააღრიცხვო წიგნაკი, ყველა იმ ტრანზაქციისა, რომელიც აღსრულდა ბლოკჩეინის მხარეთა შერის. ბლოკჩეინში თითოეული ტრანზაქცია დადასტურებულია სისტემის მონაწილეთა უმეტესობის მიერ და მასში ერთხელ აღრიცხული ინფორმაციის წაშლა შეუძლებელია. ბლოკჩეინის პირველი პროტოტიპი, რომელიც 2008 წელს შეიქმნა, წარმოადგენდა მთავარ საყრდენსა და ტრანზაქციების ფუმეს კრიპტოვალუტა ბიტკოინისთვის. თუმცა, მას გაცილებით ფართო გამოყენება აქვს, მათ შორის როგორც ეკონომიკური ისე არაეკონომიკური თვალსაზრისით. იხ. *Shrier D. L., Basic Blockchain: What It Is and How It Will Transform the Way We Work and Live, Robinson, London, 2020, 20;* ასევე იხ. *გაბისონა ზ., ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2022, 382-383.*

<sup>30</sup> *ჟორჯოლიანი გ., ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 65-66.*

არათუ მოაწესრიგებდა ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილ ურთიერთობებს, არამედ რაიმე ტიპის სამართლებრივ დეფინიციას მისცემდა ინტერნეტ სივრცეს.

საკითხის მნიშვნელობის აღსაქმელად აუცილებელია, რომ ხაზი გაესვას ინტერნეტ სივრცის მომხმარებლების მიერ, როგორც უსაზღვრო და დაურეგულირებელი სივრცის აღქმას,<sup>31</sup> რაც თავის მხრივ, განპირობებულია იმით რომ ინტერნეტ სივრცეში არსებული პირების თუ ობიექტების<sup>32</sup> არსებობა სრულიად განცალკევებულია მათი ფიზიკური ადგილმდებარეობისგან. შესაბამისად, ადრეული მოსაზრების მიხედვით, ინტერნეტი არღვევს კავშირს გეოგრაფიულ საზღვრებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალას შორის, რათა გააკონტროლოს ინტერნეტ სივრცეში არსებული აქტივობები.<sup>33</sup> გამომდინარე აქედან, წარსულ პერიოდში ინტერნეტ ენთუზიასტები მხარს უჭერდნენ ინტერნეტის როგორც დამოუკიდებელი და დაურეგულირებელი სივრცის არსებობას, სადაც თითქმის ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებაც კი შესაბამისი პასუხისმგებლობის გარეშე უნდა დარჩენილიყო.<sup>34</sup> დამატებით კი, არა მხოლოდ ენთუზიასტებს, მათ შორის იმ პირებსაც კი ვინც უშუალოდ ინტერნეტ სივრცის შემქმნელებად შეიძლება მოვიაზროთ, აღელვებდათ საკითხი, რომ ყველა ქვეყნის მართლწესრიგის ინტერნეტზე გავრცელებით საბოლოოდ მივიღებდით ყოველმხრივ შეზღუდულ და სამართლით შებოჭილ ვირტუალურ სივრცეს.<sup>35</sup> აღნიშნული უპირველესად ითვალისწინებდა ტერიტორიული რეგულირების, ანუ ქვეყნის შიდა ეროვნული კანონმდებლობის უარყოფას, რაც, თავის მხრივ, საბოლოოდ მიდიოდა

---

<sup>31</sup> *Reidenberg J. R.*, Technology and Internet Jurisdiction, University of Pennsylvania Law Review, Vol. 153, No. 6, 2005, 1952-1953

<sup>32</sup> იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, მაგალითად, სერვისის პროვაიდერები. ხოლო, ობიექტებში იგულისხმება საიტები, საკომუნიკაციო საშუალებები და სხვა.

<sup>33</sup> *Johnson D. R., Post D. G.*, Law and Borders - the Rise of Law in Cyberspace, Stanford Law Review, Vol. 48, 1996, 1370.

<sup>34</sup> მაგალითისთვის, სისხლის სამართლის დანაშაულით დაწყებული დამთავრებული საავტორო უფლებების დარღვევით. ვრცლად იხ. *Reidenberg J. R.*, Technology and Internet Jurisdiction, University of Pennsylvania Law Review, Vol. 153, No. 6, 2005, 1950-1951.

<sup>35</sup> მაგალითისთვის, აღნიშნული მოსაზრების მიხედვით გერმანია შეზღუდავდა ნებისმიერ ონლაინ ვიდეო თამაშს, რომელშიც ძალადობის მცირე ნიშნები იქნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატები შეზღუდავდა ონლაინ აზარტულ თამაშებზე წვდომას და ასე შემდეგ. ვრცლად იხ. *Grimmelmann J.*, Virtual Borders: The Interdependence of Real and Virtual Worlds. First Monday, Vol. 11(2), 2006, 3-4.



იქამდე, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ინტერნეტის უსაზღვრო ბუნების გამო აღუსრულებელი დარჩებოდა.<sup>36</sup> სწორედ ხსენებულმა საკითხმა წამოწია პრობლემატიკა, რომ არსებული რეგულატორული კომპლექსები არ იყო საკმარისი ან მათი ადაპტაცია ძალიან რთული იყო<sup>37</sup> ისეთ ტექნოლოგიურ სიახლესთან, რომელსაც ვერანაირ ტერიტორიულ განსჯადობასაც კი ვერ დაეკვემდებარება სამართალწარმოების ფარგლებში. შესაბამისად, ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, ინტერნეტ სამართლისა და ზოგადად ტექნოლოგიური სამართლის განვითარებასთან ერთად უარყოფილ იქნა.<sup>38</sup>

ინტერნეტის თანამედროვე რეგულირების განვითარებამ ინტერნეტის უსაზღვრო ბუნების პრობლემატიკა მნიშვნელოვნად ამოწურა. თავის მხრივ, აღნიშნული გადაწყვეტა მოიცავს სამართლისა და ინტერნეტის ტექნიკური შესაძლებლობების სინთეზს, რაც გულისხმობს, რომ კომპიუტერული კოდის საშუალებით შესაძლებელი გახდა ინტერნეტ სივრცის სხვადასხვა მართლწესრიგზე ადაპტაცია. ეს თვალსაჩინოდ ჩანს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (General Data Protection Regulation / GDPR) შემთხვევაში, როდესაც ევროპის კავშირის მოქალაქეების სხვადასხვა საიტზე შესვლის დროს, ამ საიტებს წარმოეშობათ ვალდებულება პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში უზრუნველყონ შესაბამისი სტანდარტი.<sup>39</sup>

როგორც ზევით აღინიშნა, თანამედროვე ინტერნეტ სამართლისა და ინტერნეტის რეგულირების განვითარება ფაქტობრივად თავის თავში აერთიანებს ტექნოლოგიური

---

<sup>36</sup> იქვე, 1951.

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> *Rustad M. L.*, *Global Internet Law in a Nutshell*, Third Edition, West Academic Publishing, St. Paul, 2016, 36.

<sup>39</sup> აღნიშნული შესაძლებელია IP (Internet Protocol) მისამართის იდენტიფიცირებით, რომელიც, თავის მხრივ, ატარებს ინფორმაციას გეოლოკაციის შესახებ. IP მისამართი არის უნიკალური რიცხვთა კომბინაცია, რომელიც ყოველ ინტერნეტთან დაკავშირებულ მოწყობილობას ენიჭება. ინტერნეტ სივრცეში ნებისმიერი აქტივობის დროს აღნიშნული IP მისამართების აღრიცხვა და შენახვა ხდება სხვადასხვა მიზნით, თუმცა თავისი ფუნქციონალობიდან გამომდინარე, IP მისამართი შეიცავს ისეთ მონაცემებსაც, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იდენტიფიცირება, თუ რომელი ქვეყნის სივრციდან უკავშირდება მომხმარებელი საიტს. ვრცლად იხ. *McIntyre J. J.*, *Balancing Expectations of Online Privacy: Why Internet Protocol (IP) Addresses Should Be Protected as Personally Identifiable Information*, Vol. 60, Issue 3, 2011, 896.

განვითარების შესაძლებლობებს. Google-ის საჩივრის შეტყობინების საწყისი გვერდი სწორედ იმის ახსნა-განმარტებას ეთმობა, რომ უშუალოდ პლატფორმის სამართლებრივი პოლიტიკა ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე სრულად ვრცელდება პლანეტის ნებისმიერ წერტილში, თუმცა, ამ კონკრეტული პლატფორმის პოლიტიკისგან დამოუკიდებლად, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>40</sup> ამავე გვერდზე შესაძლებელია სამართლებრივი ახსნა-განმარტების ამოკითხვა იმის შესახებ, რომ რაც ერთი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად არ არის დაშვებული და აკრძალულია, შესაძლოა სრულიად კანონთან შესაბამისობაში იყოს სხვა ქვეყნის სამართალ სივრცესთან მიმართებით, შესაბამისად, ისეთ შემთხვევაში თუ Google-თან წარდგენილი იქნება მის სისტემაში მოხვედრილი კონტენტის კანონსაწინააღმდეგობა, პლატფორმა ასეთ საიტს დაბლოკავს და მიუწვდომელს გახდის მხოლოდ იმ ქვეყნისთვის, რომლის მართლწესრიგსაც ეწინააღმდეგება უშუალოდ საიტზე განთავსებული კონტენტი. შესაბამისად, Google ოპერირებს კომბინირებული ტერიტორიულობის პრინციპით, იგი მომხმარებლების IP-ების საშუალებით ახდენს მათ იდენტიფიცირებას, თუ რომელი ქვეყნის მართლწესრიგში ექცევიან ისინი და შემდეგ ფილტრავს მონაცემებს. Google-ის სხვადასხვა მართლწესრიგში არსებული სამართლებრივი შეზღუდვებისთვის გადაწყვეტის მოძებნა, ერთი მხრივ, ლოგიკური გამოსავალია, რასაც ინტერნეტის ტექნოლოგიური განვითარება ხდის შესაძლებელს, ხოლო მეორე მხრივ, ეს არის სხვადასხვა ეროვნული სამართალსივრცის მიმართ ადაპტაციის ერთადერთი საშუალება. აქვე, აღსანიშნავია, რომ გარდა ამ უკანასკნელი ადაპტაციის რეჟიმისა, Google-ს ასევე აქვს სპეციალური, საკანონმდებლო მოთხოვნებზე მორგებული საჩივრის წარდგენის ფუნქციები.<sup>41</sup> Google-ის მაგალითზე, თავისუფლად შესაძლოა ითქვას, რომ ინტერნეტ სივრცის, რომელიც, თავისთავად სხვადასხვა

---

<sup>40</sup> Google-ის პლატფორმა უშვებს, რომ მომხმარებელმა საჩივარი წარადგინოს როგორც საიტის პოლიტიკის შესაბამისად, როგორც მისი დარღვევა, ასევე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ვრცლად იხ. <https://support.google.com/legal/troubleshooter/1114905?hl=en> [03.02.2023]

<sup>41</sup> მაგალითისთვის იხ. *Urban J. M., Karaganis J., Schofield B. L., Notice and Takedown in Everyday Practice*, American Assembly, 2017, 82.

პლატფორმისგან შედგება, მოწესრიგება მომხმარებელთა ტერიტორიულობის მიხედვით პრობლემას არ წარმოადგენს.

ასევე მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ფენომენი, რომელიც უშუალოდ ერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტის გავლენას ეხება ზოგადად ინტერნეტ სივრცეზე, ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე. უფრო კონკრეტულად კი, თუ როგორ შეიძლება კონკრეტულ სამართალსივრცეში არსებული მოწესრიგების შესაბამისად მიღებულმა შედეგმა ზეგავლენა იქონიოს გლობალურ ინტერნეტზე. 1998 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო ახალი კანონი „საავტორო უფლებების შესახებ ციფრულ ეპოქაში“ (Digital Millennium Copyright Act / DMCA),<sup>42</sup> რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო არა მხოლოდ გლობალური ინტერნეტისთვის და იმ მატერიალისთვის რომლის განთავსებაც ინტერნეტში ხდება, არამედ იმ მხრივაც, რომ მისი არსებობის გამოძახილია არაერთი სისტემის არსებობა, რომელიც მიუხედავად იმისა რომ ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად არის შექმნილი, ხელმისაწვდომია ყველა ინტერნეტ მომხმარებლისთვის.<sup>43</sup> ერთ-ერთი ასეთი სისტემაა და შესაძლოა ითქვას ყველაზე გამორჩეული YouTube Content ID,<sup>44</sup> რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს DMCA-ს მიერ დადგენილი შეტყობინებისა და წაშლის (Notice and Takedown) აღსრულების საშუალებას. ამ სისტემით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს მიუხედავად იმისა იმყოფება იგი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე თუ არა.

---

<sup>42</sup> *Urban J. M., Quilter L., Efficient Process or 'Chilling Effects'? Takedown Notices Under Section 512 of the Digital Millennium Copyright Act*, Santa Clara Computer and High Technology Law Journal, Vol. 22, 2006, 621-623.

<sup>43</sup> მიუხედავად აღნიშნულისა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულა მოსაზრება, რომ საავტორო უფლებებისთვისა და ინტერნეტისთვის 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა არა რომელიმე საკანონმდებლო აქტმა შექმნა, არამედ თავად მომხმარებელთა მიერ შექმნილმა მასალამ. ვრცლად იხ. *Edward L., Warming Up to User-Generated Content*, University of Illinois Law Review, Vol. 2008, No. 5, 2008, 1460-1461

<sup>44</sup> აღნიშნული სისტემა ეკუთვნის Google-ს, მისი მუშაობის შესახებ ვრცლად იხ. <https://support.google.com/youtube/answer/2797370?hl=en> [06.02.2023]

შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინტერნეტისა და ინტერნეტ სამართლის საწყის ეტაპზე არსებული პრობლემატიკა, კერძოდ, თუ როგორც უნდა მოხდეს ინტერნეტ სივრცის რეგულირება, მაშინ როდესაც იგი უსაზღვროა და არ შეიძლება იქნეს მოქცეული რომელიმე ქვეყნის საზღვრებში, დროთა განმავლობაში მეტწილად ამოიწურა<sup>45</sup> და გამოიკვეთა ორი მიმართულება. პირველი, ეს არის შემთხვევა როცა ინტერნეტ სივრცეში ხდება იმ ქვეყნის სამართლებრივი მოწესრიგების გამოყენება, რომელშიც იმყოფება მომხმარებელი<sup>46</sup> და შესაბამისად, საიტზე შესაძლოა გავრცელდეს კონკრეტული სამართალ სივრცის იურისდიქცია, რის უზრუნველყოფილია, თავის მხრივ, ინტერნეტის განვითარების დონით, რომელიც რადიკალურად განსხვავდება 20-25 წლის წინ არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობებისგან. ხოლო მეორე მიმართულება, ეს არის შემთხვევა, როდესაც ერთი კონკრეტული ქვეყნის მართლწესრიგში არსებული მოვლენის შედეგად მიღებული მოვლენა ხელმისაწვდომია არა მხოლოდ იმ ქვეყნის ინტერნეტ მომხმარებლებისთვის, რომელი ქვეყნის მართლწესრიგის მოთხოვნათა შესაბამისადაც შეიქმნა ესა თუ ის სისტემა, არამედ ინტერნეტ სივრცეში არსებული ნებისმიერი მომხმარებლისთვის.

### 3. ინტერნეტი და ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები

თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის როლი თითოეული ადამიანის ცხოვრებაში ყოველდღე უფრო მეტად იზრდება და შესაბამისად საზღვარი ვირტუალურ რეალობასა<sup>47</sup> და ფიზიკურ რეალობას შორის სულ უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება.

---

<sup>45</sup> ზემოაღნიშნულთან ერთად, საწყის ეტაპზე ასევე არსებობდა მოსაზრება, რომ ინტერნეტის სამართლებრივი მოწესრიგება დამოკიდებული იყო ათეულობით ქვეყნის ინტერნეტ მომხმარებლის თანხმობაზე, შეეძინა თუ არა კონკრეტული ქვეყნის სამართალ მოწესრიგებას ლეგიტიმაცია. ვრცლად იხ. *Rustad M. L., Global Internet Law in a Nutshell, Third Edition, West Academic Publishing, St. Paul, 2016, 35*

<sup>46</sup> თავის მხრივ, სამართლებრივი მოწესრიგების ნაწილია უშუალოდ ინტერნეტ სივრცის პლატფორმების შიდა პოლიტიკა, სტანდარტული პირობები ან სხვა ტიპის წესები, რომელსაც უშუალოდ პლატფორმა განსაზღვრავს, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმებას და იგი უნდა გაიმიჯნოს საკანონმდებლო მოწესრიგებისგან.

<sup>47</sup> ვირტუალური რეალობაც აღქმული უნდა იქნეს როგორც ფიზიკური რეალობის შემადგენელი და განუყოფელი მოვლენა. იგი ისევე წარმოადგენს რეალურ სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ

შესაბამისად, სამართლისთვის მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების საკითხი, თუმცა იურისპრუდენციისთვისა და ზოგადად, იურისტისთვის მთავარი და უმნიშვნელოვანესი საკითხია, კონკრეტული მოვლენისთვისა და ფაქტებისთვის სამართლებრივი კვალიფიკაციის მოძებნა,<sup>48</sup> შესაბამისად, ამ თვალსაწიერიდან გააზრებული უნდა იყოს წარმოადგენს თუ არა ინტერნეტი და მასში წარმოშობილი და განვითარებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები რეალური სამყაროს დანამატს და მასში არსებული ურთიერთობების ანალოგს.<sup>49</sup>

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები თავისთავად გულისხმობს სოციალური მოვლენის, პირებს შორის არსებული ურთიერთობების ერთგვარ სამართლებრივ კლასიფიკაციას. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული სამართლებრივი კლასიფიკაცია ყოველთვის დაიყვანება უფლებებსა და მოვალეობებზე,<sup>50</sup> რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი ურთიერთობებიც, რომელიც არაფერია თუ არა მხოლოდ რეალაქტი, რომლის მიღმაც არანაირი ვალდებულება არ არსებობს. ასევე, შესაძლოა არსებობდეს სოციუმი, სადაც არანაირი სამართლებრივი რეგულირება არ არსებობს, რაც თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ უფლებებისა და ვალდებულებების საფუძველი არა რაიმე საკანონმდებლო მოწესრიგება, არამედ საზოგადოების გარკვეულ წრეში გავრცელებული ჩვეულებებია.<sup>51</sup> აქედან გამომდინარე, საინტერესოა შესაძლოა თუ არა, ინტერნეტი მოვიაზროთ ისეთ სივრცედ, სადაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები არ არსებობს და პირებს შორის ურთიერთობა არის მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალური მოვლენა, რომელიც არათუ ექცევა სამართლებრივ რეგულირებაში, არამედ არც კი საჭიროებს ასეთ

---

მოვლენას, როგორც ფიზიკურ სამყაროში განსხვავებული ნებისმიერი ფენომენი. ვრცლად იხ. *Lastowka G. F., Hunter D., The Laws of the Virtual Worlds, California Law Review, Vol. 92, No. 1, 2004, 7*

<sup>48</sup> *Kerr O. S., The Problem of Perspective in Internet Law, Georgetown Law Journal, Vol. 91, 2003, 361.*

<sup>49</sup> იქვე, 361-362.

<sup>50</sup> სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მსგავსი დეფინიცია არა მხოლოდ ქართული სამოქალაქო სამართლისთვის, ან კონკრეტულად რომელიმე სამართლის სისტემისთვის, არამედ ზოგადად მეტ ნაკლებად მსგავსია ყველა მართლწესრიგისთვის. თუმცა, უფლებისა და ვალდებულების შინაარსი შესაძლოა რადიკალურად განსხვავდებოდეს სამართალ სივრცეების მიხედვით. ვრცლად იხ. *Hart H. L. A., The Concept of Law, Second Edition, Oxford University Press, Oxford, 1994, 82-84.*

<sup>51</sup> იქვე, 91-94.

რეგულირებას და არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სამართალურთიერთობას. პასუხი, რა თქმა უნდა, ცალსახაა, კერძოდ, რომ ინტერნეტი და მასში წარმოშობილი ურთიერთობები ვერ იქნება სამართლებრივი მოწესრიგების მიღმა დატოვებული.

მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების უზოგადესი და ფართო ცნების დავიწროვება, რაც თავის მხრივ პირთა შორის არსებული ურთიერთობების ჭრილში უფლებრივი და ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობას უკავშირდება. შესაბამისად, ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებიც აღქმული უნდა იყოს პირთა შორის ურთიერთობის დროს ვალდებულებითი სამართლის ჭრილში. თავის მხრივ, ტერმინი ვალდებულებითი სამართალი კონტინენტური ევროპის სამართლისთვის უფრო მეტად დამახასიათებელ ტერმინს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა მისი გამოყენება საერთო სამართლის ქვეყნებშიც ხდება და თავის თავში მოიაზრებს სახელშეკრულებო, დელიქტურ და რესტიტუციის სამართალს.<sup>52</sup> თუმცა, ვალდებულებითი სამართალი საფუძველს რომის სამართლიდან იღებს როგორც ერთი პირის მიერ განხორციელებული ქმედება (actiones in personam) მეორე პირის მიმართ.<sup>53</sup> აღსანიშნავია, რომ რომის სამართალში ვალდებულებით სამართალს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სანივთო სამართალთან,<sup>54</sup> რაც თავის მხრივ, კონტინენტური სამართლის ქვეყნებისთვის, მათ შორის ქართული სამართლისთვისაც, დღემდე დამახასიათებელია. მაგალითისთვის, მაშინ როდესაც სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის ნაწილში ვხვდებით ისეთ დათქმებს, რომელთა მიხედვითაც ვალდებულების განსაზღვრა პასუხისმგებლობის მიხედვით ხდება არა ნივთის, არამედ პირის მიმართ.<sup>55</sup>

სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულება უნდა გაიმიჯნოს მისი საფუძვლის მიხედვით. კონკრეტული, უშუალოდ სამართალისტიტუტების გამიჯვნის მიღმა,

---

<sup>52</sup> *Samuel G.*, Law of Obligations and Legal Remedies, Second Edition, Cavendish Publishing Limited, London, 2001, 1.

<sup>53</sup> იქვე, 1-2.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 11.

ვალდებულების წარმოშობის მიხედვით, ყველაზე ფართოდ გავრცელებულ გამიჯვნას წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებები და არასახელშეკრულებო ვალდებულებები.<sup>56</sup> შესაძლებელია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების კიდევ უფრო დაკონკრეტება შემდეგი სახით - სახელშეკრულებო სამართალი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, დელიქტური სამართალი და სხვა კანონისმიერი საფუძვლები.<sup>57</sup>

ვალდებულების წარმოშობის ზემოაღნიშნული ტიპოლოგია, რა თქმა უნდა, არ არის ამომწურავი არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსისთვის,<sup>58</sup> არც ქართული კერძო სამართლისთვის და ზოგადად, კონტინენტური ევროპის სამართლისთვის და საერთო სამართლის ქვეყნებისთვის.<sup>59</sup> ვალდებულებითი სამართლის, როგორც სახელშეკრულებო ისე კანონისმიერი მოწესრიგება მიმოფანტულია ასევე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, რისი ნათელი მაგალითია ინტელექტუალური საკუთრების მოწესრიგება,<sup>60</sup> თუმცა, რა

---

<sup>56</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006, 81.

<sup>57</sup> ანალოგიურ დეფინიციას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317 I მუხლი. თავის მხრივ, გერმანული ვალდებულებითი სამართალიც მსგავსად არის კონსტრუირებული. რაც შეეხება ანგლო-ამერიკულ სამართალს, ვალდებულების წყაროდ სახელშეკრულებო სამართალთან ერთად ყოველთვის მოიაზრებოდა დელიქტური სამართალი, ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი გაერთიანებული იყო კვაზი-ხელშეკრულებების ქვეშ, რაც თავის მხრივ, მე-20 საუკუნეში შეიცვალა და უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ანგლო-ამერიკული სამართლისთვისაც წარმოადგენს დამოუკიდებელ სამართლებრივ მოწესრიგებას, რაც იურიდიულ ლიტერატურაში ანგლო-ამერიკული კერძო სამართლისთვის მოიაზრება მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად. ვრცლად იხ. *Waddams S.*, *Dimensions of Private Law: Categories and Concepts in Anglo-American Legal Reasoning*, Cambridge University Press, Cambridge, 2003, 8-11.

<sup>58</sup> კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის მაგალითზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარდა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლისა და დელიქტური სამართლისა, სტრუქტურულად მათ წინ საზიარო უფლებებსა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მოწესრიგებას გვთავაზობს.

<sup>59</sup> მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლუიზიანას შტატში, სადაც მოქმედებს ეგრეთ წოდებული სამართლის შერეული სისტემა, ვხვდებით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ინსტიტუტს. ვრცლად იხ. *Ayres H. L., Landry E. R.*, *The Distinction Between Negotiorum Gestio and Mandate*, *Louisiana Law Review*, Vol. 49, No. 1, 1988, 111-113

<sup>60</sup> „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს როგორც პირთა შორის არასახელშეკრულებო ურთიერთობის შედეგებს (კანონისმიერი მოწესრიგება), ასევე, იძლევა ლიცენზიის არსებითი პირობების ჩამონათვალს და განსაზღვრავს ასეთი სალიცენზიო ხელშეკრულების ფორმას (სახელშეკრულებო მოწესრიგება). ანალოგიურ მოწესრიგებას ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში სადაც საავტორო უფლებებთან დაკავშირებით სპეციალური მოწესრიგებაა, როგორც არასახელშეკრულებო ურთიერთობებისთვის, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობებისთვის. ვრცლად იხ. U.S.C. Title 17 Chapter 1 & 2.

თქმა უნდა, ყველა იმ სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი მოწესრიგების სახელობითად იდენტიფიცირება არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის მიზანს.

ინტერნეტისა და მასში განვითარებული ურთიერთობებისთვის კითხვის ნიშნის მიღმაა ის, რომ შესაძლოა არსებობდეს როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები. ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების პრობლემატიკას წარმოადგენს ახალი რეგულატორული კომპლექსის შექმნის აუცილებლობის საკითხი და ფიზიკურ სამყაროში უკვე არსებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ტრანსფორმაცია, რაც თავის მხრივ, ურთიერთობებზე მსჯელობისას, დღესდღეობით, ეჭვს აღარ ჰბადებს ის ფაქტი, რომ ეს ურთიერთობები შეიძლება არსებობდეს, როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების სახით. ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების პრობლემატიკას წარმოადგენს ახალი რეგულატორული კომპლექსის შექმნის აუცილებლობის საკითხი და ფიზიკურ სამყაროში უკვე არსებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ტრანსფორმაცია, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია საკითხთან - საჭიროებს თუ არა ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები ცალკეული სამართლებრივი კომპლექსის შექმნას.

პრობლემატიკის ნაწილს წარმოადგენს, ასევე, რეგულაციათა კონკურენცია, რაც გულისხმობს არა კონკრეტული შემთხვევისთვის სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი მოწესრიგების გამოყენებას, არამედ ზოგადად ინტერნეტ სივრცისთვის ვალდებულებითი მოწესრიგების მნიშვნელობას.

ვალდებულებითი ურთიერთობებისგან განცალკევებით აღნიშნავს საჭიროებს ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი სანივთო სამართლებრივი ურთიერთობები, უშუალოდ ინტერნეტ და კიბერსივრცეში არსებულ ვირტუალურ ქონებასთან მიმართებით.

ვირტუალური ქონება აღქმული უნდა იყოს როგორც საკუთრების ობიექტი და იურიდიულ ლიტერატურაში განვითარებული ადრეული მოსაზრება, რომ



ვირტუალური ქონება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში არსებულ ფენომენს, რომელსაც არ გააჩნია ეკონომიკური ღირებულება და სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მისი გამოყენება შეუძლებელია, აღარ წარმოადგენს აქტუალურ საკითხს.<sup>61</sup> თავის მხრივ, კიდევ უფრო საყურადღებო საკითხია ფიზიკურ სამყაროში ვირტუალური მოვლენის არსებობა, რაც საბოლოოდ ტრანსფორმირდა იმ მოსაზრებაშიც კი, რომ ვირტუალური საკუთრების ობიექტები, რომელიც ვირტუალურ სამყაროში წარმოდგენილია იმ ფორმით რა ფორმითაც ისინი შესაძლოა ფიზიკურ სამყაროში იყოს წარმოდგენილი,<sup>62</sup> მოწესრიგებული უნდა იქნენ ისე, როგორც ფიზიკურ სამყაროში, მაგალითად, სანივთო სამართლის მიხედვით.<sup>63</sup> აღნიშნული პარადიგმის ჭრილში, ვირტუალური საკუთრების ობიექტებზე მათი მესაკუთრეები უნდა იძენდნენ უფლებრივ იმ პაკეტს, რაც ფიზიკურ სამყაროში მოძრავი და უძრავი ნივთებისთვის არის გათვალისწინებული სხვადასხვა მართლწესრიგში, თუმცა, ვირტუალური საკუთრების ობიექტები, რა თქმა უნდა, ვერასდროს ვერ იქნება სამართლებრივად, უფლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, სანივთო სამართლის ტრადიციულ ობიექტებთან გათანაბრებული.<sup>64</sup>

---

<sup>61</sup> ჟორჟოლიანი გ., ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2019, 2019, 27.

<sup>62</sup> მაგალითისთვის, ვირტუალურ სამყაროში თავისუფლად შესაძლოა არსებობდეს სხვადასხვა ობიექტი, რომელიც ფიზიკურ სამყაროში თავისთავად გვხვდება, ასეთია ავტომობილები, სახლები, მიწის ნაკვეთები და სხვა, შესაბამისად, მოსაზრების მიხედვით, მათზე უნდა გავრცელდეს მოძრავი და უძრავი ნივთებისთვის არსებული მოწესრიგება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ სივრცეში ვხვდებით ისეთი ვირტუალური საკუთრების ობიექტებს, რომელიც ფიზიკურ სამყაროში არ არსებობს დამოუკიდებლად, მაგალითად, სოციალური ქსელის ანგარიშები. ვრცლად იხ. *Nekit K., Social Media Account as an Object of Virtual Property, Masaryk University Journal of Law and Technology, Vol. 14, No. 2, 2020, 211-215.*

<sup>63</sup> ჟორჟოლიანი გ., ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2019, 2019, 27-28.

<sup>64</sup> იქვე, 28.

#### 4. ინტერნეტის სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულებითი მოწესრიგების

##### ჩარჩო

ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი წყაროებიდან,<sup>65</sup> განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, უდიდესი როლი აქვს სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებს. წინამდებარე თავის მიზანია ინტერნეტ სივრცეში სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მნიშვნელობის იდენტიფიცირება და ზოგადი მიმოხილვა, თუ რა როლი აქვთ მათ ინტერნეტის მოწესრიგებაში და რა ურთიერთმიმართებაა მათ შორის. წინამდებარე თავის მიზანი არ არის აღნიშნული ორი სამართალურთიერთობის დეტალური განხილვა, არამედ მისი მიზანია მათი წარმოჩენა როგორც ტექნოლოგიური ინოვაციის მოწესრიგების ინსტრუმენტებისა და მათი ურთიერთშედარება, ასევე, ნაწილობრივ მათ კონკურენციაზე ხაზგასმა.

ფიზიკურ სამყაროში, ყოველდღიური სოციალური ურთიერთობებიდან გამომდინარე, გარდა უშუალოდ სხვა პირებთან არსებული ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობებისა, ჩაბმულნი ვართ ისეთ ურთიერთობებში, რომელიც არ წარმოადგენს სამართლებრივ მოვლენას.<sup>66</sup> თუმცა, ინტერნეტში არ არსებობს თავისუფალი სივრცე, სადაც სტატიკურად მომხმარებლები შეძლებენ კონკრეტული ინტერნეტ პლატფორმის მოწესრიგებისა და პოლიტიკის მიღმა ერთმანეთთან სამართლებრივ თუ არასამართლებრივ ურთიერთობებში ჩაბმას.<sup>67</sup>

---

<sup>65</sup> *Swan E. J.*, *Internet Law a Concise Guide to Regulation Around the World*, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2022, 5-6.

<sup>66</sup> *Iacovino L.*, *Recordkeeping, Ethics and Law, Regulatory Models, Participant Relationships and Rights and Responsibilities in the Online World*, Springer, Dordrecht, 2006, 78-79

<sup>67</sup> ინტერნეტ სივრცის დამახასიათებელი ილუზიაა ის რომ ნებისმიერ პლატფორმაზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ურთიერთობის წარმოება, აღნიშნული პლატფორმა მომხმარებლებს არ აქცევს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, უფრო მეტიც, ხშირად მოსალოდნელია რომ ასეთი ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ და რეგისტრაციამდე ინტერნეტ სივრცის მომხმარებელი არის მხოლოდ ეგრეთ წოდებული

ფართო ჭრილში განხილვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის ასპექტებიდან ინტერნეტ სივრცის მოწესრიგება, არამედ სახელშეკრულებო ურთიერთობების გამიჯნულად განხილვა, როგორც ინტერნეტის დამოუკიდებელი მარეგულირებელი და კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის, როგორც საჯარო, ისე, კერძო ურთიერთობების ნაწილში ინტერნეტ სივრცის მომწესრიგებელი.<sup>68</sup> თუმცა, ასეთი განხილვა საბოლოო ჯამში დაიყვანება მოწესრიგებათა კონკურენციამდე, სადაც ინტერნეტ სივრცის ხელშეკრულებით რეგულირებას, მისი მიკრო მენეჯმენტის გამო შესაძლოა უპირატესობა მიენიჭოს, რაც თავის მხრივ, კანონისმიერ მოწესრიგებაზეც შეიძლება ითქვას კანონის პერსპექტივიდან, როგორც „მყარი“ მოწესრიგება.<sup>69</sup> საბოლოო ჯამში კი უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კონკურენცია გაუმართლებელია, გამომდინარე იქიდან რომ ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობები შესაძლოა მოწესრიგებული იყოს, როგორც სახელშეკრულებო სამართლით, ისე კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლით. თუმცა ეს უკანასკნელი ციფრული ტრანსფორმაციის ფარგლებში გაცილებით მოცულობითია და ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, წარმოადგენს არა უმეტესწილად ფორმის ცვლილებას, არამედ მნიშვნელოვნად განიცდის შინაარსობრივ ცვლილებებსაც, რაც საჭიროებს როგორც არსებული რეგულატორული ჩარჩოს მისადაგებას, ისე მთელ რიგ საკითხებში ახალი ნორმატიული მოწესრიგების შემუშავებას.

#### 4.1. სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ტრანსფორმაცია ინტერნეტში

ხელისუფლების დანაწილების მონტესკიეს მოდელის მიხედვით, რეალურ სამყაროსა და თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში ხელისუფლების გადანაწილება ხდება სამი მიმართულებით - აღმასრულებელი ხელისუფლება, საკანონმდებლო ხელისუფლება

---

დამთვარიელებელი, თუმცა, პლატფორმის მომხმარებელს ვალდებულება აღნიშნულ პლატფორმასთან წარმოეშობა მასზე წვდომისთანავე, ვრცლად იხ. *Robinson P. E., Zhu Y., Beyond “I Agree”: Users’ Understanding of Web Site Terms of Service, Social Media + Society, Vol. 6(1), 2020, 1-3*

<sup>68</sup> *Bygrave L., Contract Versus Statute in Internet Governance, Research Handbook on Governance of the Internet, Ed. Brown I., Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2013, 168-169*

<sup>69</sup> იქვე, 172-175.

და სასამართლო ხელისუფლება, რაც მიმართულია აღნიშნული დანაწილების ურთიერთბალანსისკენ და ძალაუფლების ისეთი კონცენტრაციის თავიდან აცილებისკენ, რომელიც საბოლოოდ გამოიწვევდა ტოტალიტარული რეჟიმის არსებობას.<sup>70</sup>

ინტერნეტ სივრცეში ხშირად ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით ძალის კონცენტრაცია პირიქით, ერთი პლატფორმის ფარგლებში ხდება, სადაც აღნიშნული ძალაუფლების მაკონტროლებელი კერძო პირები არიან და შესაბამისად, ინტერნეტ პლატფორმები იძენს კვაზი სუვერენიტეტს, რომლის ფარგლებშიც სრული ძალაუფლება გააჩნიათ.<sup>71</sup> უფრო დეტალურად განხილვისას, კვაზი საკანონმდებლო ხელისუფლებას ონლაინ პლატფორმა იძენს იმ სახელშეკრულებო ძალით, რომელსაც იგი მომხმარებელთან დებს მაშინვე როდესაც მომხმარებელი ამ პლატფორმის გამოყენებას იწყებს. აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობა, ფაქტობრივად, ინტერნეტ პლატფორმის წესებისა და ნორმების განმსაზღვრელია და პლატფორმას აღნიშნული წესებისა და ნორმების შეცვლა ნებისმიერ დროს შეუძლია.<sup>72</sup> კვაზი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით ინტერნეტ პლატფორმებს შეუძლიათ მათივე განსაზღვრული ნორმების შესაბამისად განახორციელონ მათი აღსრულება.<sup>73</sup> მაგალითისთვის, პლატფორმას შეუძლია დაბლოკოს მომხმარებელი, რომელიც პლატფორმაზე ავრცელებს ისეთ მასალას, რომელიც ეწინააღმდეგება ამ პლატფორმის წესებსა და პირობებს ან ერთი IP მისამართიდან არეგისტრირებს რამდენიმე სხვადასხვა მომხმარებელს. ფაქტობრივად, პლატფორმის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნებისმიერი სხვა სამართლებრივი საკითხიც შესაძლოა მოწესრიგდეს, მაგალითად მის მიერ ზიანის ანაზღაურების ფარგლები ან პირიქით, მის მიმართ ასანაზღაურებელი ზიანის საკითხი.<sup>74</sup>

---

<sup>70</sup> *Belli L., Venturini J.*, Private ordering and the rise of terms of service as cyber-regulation, *Internet Policy Review*, Vol. 5(4), 2016, 4.

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> მაგალითისთვის, Google განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს მისი სერვისების, როგორც ყველა მომხმარებლისთვის, ისე ცალკეულად მეწარმე სუბიექტებისთვის განსხვავებულ მოწესრიგებას. ვრცლად იხ. <https://policies.google.com/terms?hl=en-US> [23.03.2023]

ზემოგანხილული სახელშეკრულებო კვაზი ყოვლისმომცველი ურთიერთობა, რომელიც არსებობს ინტერნეტ პლატფორმებსა და მომხმარებლებს შორის, რა თქმა უნდა, ვერ იქნება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების აბსოლუტური მომწესრიგებელი და უფრო მეტიც, შესაძლოა არანაირი ზეგავლენა არ ჰქონდეს პლატფორმის მომხმარებელთა შორის არსებულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებზე.<sup>75</sup>

#### 4.2. სახელშეკრულებო სამართალი ინტერნეტ ეპოქაში: შეცვლილი ფორმა, რეგულირების უცვლელი ობიექტი

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სახელშეკრულებო სამართალმა, ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, შეიცვალა არა შინაარსობრივი ფორმა, არამედ ტექნიკური ფორმა.<sup>76</sup> აღნიშნული მოსაზრება მეტწილად მართებულია, გამომდინარე იქიდან რომ ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეცვალა არა სახელშეკრულებო სამართალი, არამედ პირიქით, სახელშეკრულებო სამართლის მოწესრიგებამ მოიცილა ახალი ტექნოლოგიური სფეროები.<sup>77</sup> ინტერნეტის განვითარებასთან ერთად სახელშეკრულებო სამართლის მთავარი სამართლებრივი სიახლე ელექტრონული ხელშეკრულებებია. ელექტრონული ხელშეკრულება თავისი შინაარსით წარმოადგენს არა ხელშეკრულების რაიმე კონკრეტულ ტიპს, არამედ ხელშეკრულების დადების ფორმას. უფრო მეტიც, ელექტრონული ხელშეკრულება შესაძლოა მოვიაზროთ როგორც სახელშეკრულებო სამართლის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტ სივრცეში ურთიერთობების სწრაფ წარმოშობასა და სახელშეკრულებო ფარგლებში მოქცევას.

---

<sup>75</sup> განცალკევებით აღსანიშნავია, ეგრეთ წოდებული ელექტრონული ხელშეკრულებები, რომელიც სუბიექტებს შორის იდება ინტერნეტის გამოყენებით. აღნიშნული ხელშეკრულებები, თავის მხრივ, როგორც ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი შესაძლოა მხოლოდ იყოს მისი შინაარსიდან გამომდინარე, სხვა შემთხვევაში ისინი მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულების ახალი ელექტრონული ფორმით განსხვავდებიან სტანდარტული გაგებით ხელშეკრულებებისგან.

<sup>76</sup> მაგალითად იხ. Kidd D., Daughtrey W., *Adapting Contract Law to Accommodate Electronic Contracts: Overview and Suggestions*, Rutgers Computer and Technology Law Journal, Vol. 26, 2000, 215; Blount S., *Electronic Contracts*, Second Edition, LexisNexis, Chatswood, 2015, 2.

<sup>77</sup> Reed C., *Computer Law*, Seventh Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 269.

ამრიგად, შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ინტერნეტ სივრცეში არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, რომელიც მეტ წილად ელექტრონულ ხელშეკრულებებთან არის დაკავშირებული, ვრცელდება ფიზიკურ სამყაროში არსებული სახელშეკრულებო სამართლის მოწესრიგება. მიუხედავად ამისა, ელექტრონული ხელშეკრულებები და ინტერნეტ სივრცეში დადებული გარიგებები მოიცავს მნიშვნელოვან სამართლებრივ ასპექტებს, მათ შორის ელექტრონული ხელშეკრულებების ტიპოლოგიებს, ელექტრონული ხელშეკრულების ფორმაციას, ასევე, აქცეპტისა და ოფერტის ნამდვილობას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები განცალკევებით განხილვას საჭიროებს მომდევნო თავებში.

#### 4.3. ინტერნეტის მოწესრიგების ჩარჩოს მიმართება კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებთან

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ შემოთავაზებული ზოგადი სახელდება „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი“ არასახელშეკრულებო ვალდებულებების სამოქალაქო კოდექსში გაერთიანების შედეგია, რომელიც მოიცავს საზიარო უფლებების, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების, უსაფუძვლო გამდიდრებისა და დელიქტური ვალდებულებების შესახებ მოწესრიგებას. თუმცა, ერთიანი სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მოწესრიგება კონტინენტური ევროპის სამართლისთვის ერთგვაროვან მოვლენას არ წარმოადგენს.<sup>78</sup> მაგალითისთვის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ცნებებს სისტემურად განცალკევებულად გვაწვდის,<sup>79</sup> ანალოგიური მოწესრიგებაა საფრანგეთის

<sup>78</sup> *Jansen N.*, The Concept of Non-Contractual Obligations: Rethinking the Divisions of Tort, Unjustified Enrichment, and Contract Law, *Journal of European Tort Law*, Vol. 1(1), 2010, 16-17.

<sup>79</sup> მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 677-687 პარაგრაფებში მოცემულია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მოწესრიგება. 812-822 პარაგრაფებით წესრიგდება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, ხოლო, 823-853 პარაგრაფებით დელიქტური ვალდებულებები. ვრცლად იხ. *Zimmermann R.*, Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 15, No. 3, 1995, 408-411; ასევე იხ. *Markesinis S., Bell J., Janssen A.*, *Markesinis's German Law of Torts, A Comparative Treatise*, Fifth Edition, Hart Publishing, Oxford, 2019, 29-30.

შემთხვევაშიც.<sup>80</sup> შესაბამისად აღნიშნულმა გამოიწვია ის რომ ზემოჩამოთვლილი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები კონტინენტური ევროპის სამართლისთვის და ნაწილობრივ საერთო სამართლის ქვეყნებისთვისაც ჩამოყალიბებულია ინდივიდუალურად და მათი განხილვა ხდება განცალკევებულად.<sup>81</sup>

ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების კვლევა უნდა მოხდეს ზემოგანხილული კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ტიპების შესაბამისად, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგი მათგანი საერთოდ არ გვხვდება სახეცვლილი ინტერნეტში, ხოლო, მაგალითად, დელიქტებმა ახალი სახელდებაც კი შეიძინა - ინტერნეტ დელიქტები (Cyber Torts / Internet Torts / Internetdelikt).<sup>82</sup>

განსხვავებით სახელშეკრულებო მოწესრიგებისგან, კანონისმიერი, იგივე არასახელშეკრულებო ურთიერთობები, ინტერნეტსა და კიბერ სივრცეში ტრანსფორმირდება არა მხოლოდ ფორმის მხრივ,<sup>83</sup> არამედ შინაარსობრივადაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ყველა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა უშუალოდ სამოქალაქო კოდექსის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების სამართლის ნაწილში არ არის თავმოყრილი და ნაწილობრივ ასახვას იძენს სანივთო სამართლის ნაწილში (ისევე როგორც სხვა კანონებში).<sup>84</sup> ხშირად კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა სანივთო ურთიერთობიდან არის

---

<sup>80</sup> ვრცლად იხ. *Dam C.*, European tort law, Second Edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 352-354;

<sup>81</sup> *Jansen N.*, The Concept of Non-Contractual Obligations: Rethinking the Divisions of Tort, Unjustified Enrichment, and Contract Law. *Journal of European Tort Law*, Vol. 1(1), 2010, 17-18.

<sup>82</sup> *ჟორჯოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 64-65.

<sup>83</sup> კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია ინტერნეტ სივრცეში ფორმის მხრივ, მაგალითად, შესაძლოა იყოს ვირტუალურ სივრცეში გავრცელებული ცილისმწამებლური ცნობები. ვრცლად იხ. *Chin B.*, Regulating Your Second Life: Defamation in Virtual Worlds, *Brooklyn Law Review*, Vol. 72, No. 4, 2007, 1316.

<sup>84</sup> *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 11.

ამოზრდილი (მაგ., სკ-ის 163-164-ე მუხლები), შესაბამისად, მნიშვნელოვანია სანივთო სამართლებრივი ურთიერთობების განხილვა ინტერნეტ სივრცეში.

სამოქალაქო კოდექსის დიქტომია არ ამოწურავს კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს და მათი მოწესრიგება სხვადასხვა ნორმატიულ აქტში გვხვდება, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების მომწესრიგებელ ნორმატიულ კომპლექსში,<sup>85</sup> ასევე მომხმარებელთა უფლებების დამცავ ნორმებში.

---

<sup>85</sup> ინტერნეტ სივრცესთან მიმართებაში დომინირებს საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნების საკითხები.



## II. სახელშეკრულებო სამართალი ინტერნეტში: ელექტრონული ხელშეკრულებები

ელექტრონული ხელშეკრულებები<sup>86</sup> ინტერნეტის კომერციალიზაციასთან ერთად, ინტერნეტისა და ელექტრონული კომერციის განუყოფელ ნაწილად იქცა.<sup>87</sup> უზოგადესი დეფინიციის მიხედვით, ელექტრონული ხელშეკრულება არის დოკუმენტი, რომელიც შექმნილია და ხელმოწერილია ელექტრონულად, განსხვავებით ფიზიკურ სამყაროში არსებული წერილობითი ხელშეკრულებებისა.<sup>88</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ელექტრონული ხელშეკრულებები განხილულ უნდა იქნეს სამი ძირითადი მიმართულებით - ხელშეკრულების ჩამოყალიბება, ელექტრონული ხელშეკრულების ნამდვილობა და სამართლებრივი რეგულირება.<sup>89</sup> თუმცა, ამასთან ერთად, განცალკევებით აღსანიშნია ელექტრონული ხელშეკრულების სახეები.

მნიშვნელოვანია, ასევე, ელექტრონული ხელშეკრულების ტრადიციული ხელშეკრულებების ტიპოლოგიისადმი მიკუთვნების საკითხი. ელექტრონული ხელშეკრულება, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური მატარებელი, თავის მხრივ, წარმოადგენს წერილობითი სახით შესრულებულ დოკუმენტს, რომლის ფორმულირებაც ციფრულად, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ხდება, შესაბამისად, ის მოაზრებული უნდა იქნეს როგორც მარტივი წერილობითი ფორმით შესრულებული ხელშეკრულება.<sup>90</sup>

---

<sup>86</sup> სახელდება ელექტრონული ხელშეკრულებები თავის თავში აერთიანებს ონლაინ ხელშეკრულებებს, ვებ ხელშეკრულებებსა და ციფრულ ხელშეკრულებებს.

<sup>87</sup> *Kilminster-Hadley S., Loza de Siles E., The Law of Electronic Contracts: The New United Nations Convention, The Advocate, Vol. 50, 2007, 40.*

<sup>88</sup> არ შეიძლება ფიზიკურ სამყაროში არსებული წერილობითი ხელშეკრულება, რომლის გაციფრულებაც ხდება, მაგალითად, სკანერის მეშვეობით ჩაითვალოს ელექტრონულ ხელშეკრულებად, როგორც ტექნოლოგიურ სიახლედ. ვრცლად იხ. *Gaur A., E-Contracts, Legal issues and challenges involved: An overview, Journal of Emerging Technologies and Innovative Research, Vol. 8, Issue 1, 2021, 404.*

<sup>89</sup> *Reed C., Computer Law, Seventh Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 269.*

<sup>90</sup> *ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, 150.*

ფიზიკურ სამყაროში ხელშეკრულების დადება უნივერსალური წესის - ორი თანმხვედრი და ურთიერთმფარავი ნების გამოვლენით ოფერტისა და აქცეპტის საშუალებით ხორციელდება.<sup>91</sup> თუმცა, ხელშეკრულების არსებობისთვის ასევე საჭიროა მის არსებით პირობებსა და შესაბამის ფორმაზე შეთანხმება.<sup>92</sup> ზემოაღნიშნულთან მიმართებით, ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არა უშუალოდ თუ რაზე (შინაარსი) თანხმდებიან ხელშემკვრელი მხარეები, არამედ როგორ და რა ფორმით ხდება ელექტრონული ხელშეკრულების დადება, ოფერტისა და აქცეპტის ფორმირება და მათი განხორციელება ვირტუალურ სამყაროში.<sup>93</sup>

თავის მხრივ, ელექტრონულ ხელშეკრულებებს ქართული სამართალწარმოებაც კარგად იცნობს რისი ნათელი მაგალითია უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრება: „... სტანდარტული პირობები ყოველდღიურად ვითარდება. აღნიშნულის დასტურია ელექტრონული ხელშეკრულება, რომელსაც მეწარმე სუბიექტები ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე დებენ. ამგვარი საშუალებით უფრო მარტივია ხელშეკრულების დადება, შეკვეთის გაკეთება და სხვ. ელექტრონული საშუალებით დადებული სტანდარტული პირობის მქონე ხელშეკრულების უმთავრეს მომწესრიგებლად სამოქალაქო სამართალში არსებული დათქმები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულების მეორე მხარის უფლებები მაქსიმალურად იქნება დაცული.“<sup>94</sup>

## 1. ელექტრონული ხელშეკრულების სახეები

ფიზიკურ სამყაროში ხელშეკრულების ფორმის მიხედვით სამოქალაქო სამართალი ორი ტიპის ხელშეკრულებას იცნობს, ზეპირსა და წერილობითს, მიუხედავად იმისა თუ

---

<sup>91</sup> *ბალიშვილი ე.*, მუხლი 327, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. *ჭანტურია ლ.*, თბილისი, 2019, ველი 2, 91.

<sup>92</sup> იქვე.

<sup>93</sup> *Reed C.*, *Computer Law*, Seventh Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 270.

<sup>94</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 05 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-812-2022

რომელ მართლწესრიგზე ვსაუბრობთ.<sup>95</sup> აღნიშნულისგან განსხვავებით ინტერნეტში დადებული ხელშეკრულებები გამოირჩევიან ფორმის სიმრავლით, რაც არა მხოლოდ მათი ტექნიკური განსხვავებულობით ხასიათდება, არამედ უშუალოდ ხელშეკრულების ჩამოყალიბებითა და დადებითაც კი.

### 1.1. მარტივი ელექტრონული ხელშეკრულებები

მარტივი ელექტრონული ხელშეკრულებები ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ სამყაროში არსებული ხელშეკრულებების გაციფრულებული ვერსიები, რომელიც მხარეთა შორის გაიცვლება ინტერნეტისა და კომპიუტერული სისტემების საშუალებით.<sup>96</sup> ასევე, სრულიად სამართლიანი იქნება, რომ ასეთი ხელშეკრულება არც კი ჩაითვალოს ელექტრონული ხელშეკრულების ნაირსახეობად, გამომდინარე იქიდან რომ ხელშეკრულების დადება რეალურად ხდება ფიზიკურ სამყაროში, ელექტრონული ვერსია კი წარმოადგენს ფიზიკური ვერსიის მხოლოდ ასლს.

### 1.2. ელექტრონული ხელშეკრულებების Wrap-ტიპოლოგია

ტიპოლოგიის მიხედვით ყველაზე ხშირად ინტერნეტ სივრცეში დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გვხვდება ტერმინები<sup>97</sup> “Shrinkwrap”, “Clickwrap” და “Browsewrap”, რომელთა სახელდებაც, თავის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების სამართალწარმოების შედეგია.<sup>98</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ ტერმინები “Clickwrap” და

---

<sup>95</sup> ქართული და გერმანული სახელშეკრულებო სამართლის მაგალითზე წერილობითი ფორმა შესაძლოა ორ ტიპად დაიყოს - მარტივი წერილობითი ფორმა და სანოტარო წერილობითი ფორმა. აღნიშნული მაგალითი არ ნიშნავს იმას რომ სხვა მართლწესრიგში არ გვხვდება ხელშეკრულების სანოტარო ფორმა. ვრცლად იხ. *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, 188-191. ასევე იხ. *Youngs R.*, Sourcebook on German Law, Second Edition, Cavendish Publishing Limited, London, 2002, 361.

<sup>96</sup> *Nimmer T. R.*, Electronic Contracting: Legal Issues, UIC John Marshall Journal of Information Technology & Privacy Law, Vol. 14, Issue 2, 1996, 211-212.

<sup>97</sup> მათ შორის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც, მაგ. იხ. *გაბისონია ზ.*, ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და სამომხმარებლო შეთანხმებებში არსებული დათქმები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 7/2020, 2020, 29-30

<sup>98</sup> *Blount S.*, Electronic Contracts, Second Edition, LexisNexis, Chatswood, 2015, 102.

“Browsewrap” არის “Shrinkwrap”-ის დერივაცია და მისგან წარმოდგება.<sup>99</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა სახელდებით მრავალი ტიპის ხელშეკრულება გვხვდება, რომელიც სინონიმურია ერთმანეთისა, მაგალითად, სამომხმარებლო შეთანხმება (User Agreement ან Member Agreement), გამომწერის შეთანხმება (Subscriber Agreement), გამოყენების პირობები (Terms of Use), სერვისის პირობები (Terms of Service), სამომხმარებლო ლიცენზია (End User License Agreement), წესები და პირობები (Terms and Conditions).<sup>100</sup>

ელექტრონული ხელშეკრულებების სპეციფიკური და სპეციალური ტიპოლოგიის მიხედვით დაყოფა, გარდა თავად ელექტრონული ხელშეკრულების ზოგადი სახეებისა, სრული ფიქციაა, გამომდინარე იქიდან რომ Wrap ტიპოლოგიის არსებობა ემსახურება არა სახელდებებით ელექტრონული ხელშეკრულების ტიპების გამიჯვნას არამედ ზოგადად ნების გამოხატვის ნაწილში, ფიზიკურ სამყაროში არსებული სტანდარტული წერილობითი ხელშეკრულებებისგან გამიჯვნას.<sup>101</sup> თუმცა, Wrap ტიპოლოგია ინდივიდუალურად განხილვას საჭიროებს, მიუხედავად იმისა რომ ისინი შესაძლოა გაფორმების ადგილის მიხედვით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ტექნიკურად და ნების გამოხატვის „ქმედებაში“, რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთის მსგავსი არაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელექტრონული ხელშეკრულების ტიპი, მაგალითად shrinkwrap ხელშეკრულებები, შესაძლოა სულაც არ იყოს ელექტრონული ფორმით მოცემული, ხოლო Browsewrap ხელშეკრულებები კი საერთოდ არ წარმოადგენდეს სამართლებრივად აღსრულებად ხელშეკრულებას.<sup>102</sup>

---

<sup>99</sup> *Moringiello M. J.*, Reynolds W. L., *Electronic Contracting Cases 2009-2010*, The Business Lawyer, Vol. 66, No. 1, 2010, 175-176

<sup>100</sup> *Goldman E.*, *Internet Law: Cases & Materials*, 2022 Edition, 2022, 56.

<sup>101</sup> *Kim S. N.*, *The Wrap Contract Morass*, *Southwestern University Law Review*, Vol. 44, No. 2, 2014, 309.

<sup>102</sup> *Blount S.*, *Electronic Contracts*, Second Edition, LexisNexis, Chatswood, 2015, 102.

თავისი ბუნებით Wrap ტიპოლოგიის ყველა სახის ხელშეკრულება, რომელშიც მეორე მხარეს ცვლილების განხორციელება არ შეუძლია, წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც შედგება სრულად სტანდარტული პირობებისგან.<sup>103</sup>

### 1.2.1. Shrinkwrap ხელშეკრულებები

Shrinkwrap ხელშეკრულებები გასაკვირი არ არის რომ Wrap ტიპოლოგიაში წარმოადგენს პირველი ტიპის ხელშეკრულებას, რომელიც ელექტრონული ხელშეკრულების ფორმატით გამოჩნდა ინტერნეტთან ერთად, რაც გამომდინარეობს თავის მხრივ იმით, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულებები ფიზიკურ სამყაროში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ასლის გაყიდვასთან ერთად იღებოდა გამყიდველსა და მყიდველს შორის.<sup>104</sup> Shrinkwrap ხელშეკრულება დადებულად ითვლება მაშინ, როდესაც მყიდველი პროგრამული უზრუნველყოფის შეფუთვას გახსნის, რომელზეც დატანებულია ერთგვარი Shrinkwrap შტამპი.<sup>105</sup> პროგრამული უზრუნველყოფის შეფუთვის აღნიშნული გახსნა, რა თქმა უნდა, ფიზიკურ სამყაროში ხდება და შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რატომ ითვლება ასეთი ტიპის ხელშეკრულება ელექტრონულად. აღნიშნულ კითხვაზე ორი პასუხი შესაძლოა არსებობდეს, პირველი ეს არის უშუალოდ ხელშეკრულების საგანი - პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც თავისი ბუნებით, მიუხედავად იმისა რომ ფიზიკურ სამყაროში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს მყარ მატარებელზე (მაგალითად CD ან DVD დისკზე), მისი გამოყენება კომპიუტერის გარეშე შეუძლებელია. ხოლო, მეორე პასუხი შესაძლოა იყოს ის რომ იგი თავად წარმოადგენდეს სამომხმარებლო ლიცენზიას (EULA).<sup>106</sup>

---

<sup>103</sup> *Oakley R.*, Fairness in Electronic Contracting: Minimum Standards for Non-Negotiated Contracts, *Houston Law Review*, Vol. 42, 2005, 1061-1063.

<sup>104</sup> *Founds G.*, Shrinkwrap and Clickwrap Agreements: 2B or Not 2B? *Federal Communications Law Journal*, Vol. 51, Issue 1, 1999, 100-101.

<sup>105</sup> *Goldman E.*, *Internet Law: Cases & Materials*, 2022 Edition, 2022, 56.

<sup>106</sup> *Lemley M.*, Terms of Use, *Minnesota Law Review*, Vol. 91, 2006, 459-460.

## 1.2.2. Clickwrap ხელშეკრულებები

შესაძლოა ითქვას რომ Clickwrap ტიპის ხელშეკრულებები ინტერნეტში ყველაზე ხშირად გამოყენებადი ხელშეკრულებებია.<sup>107</sup> ამ ხელშეკრულების მიხედვით მომხმარებელმა საიტზე, პლატფორმაზე ან რაიმე პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერულ სისტემაში დაყენების წინ წარმოდგენილ წესებზე და პირობებზე, რომელიც ხელშეკრულების შემადგენლობაა, უნდა განაცხადოს თანხმობა სპეციალური წესით, რომელიც ერთჯერადად ან ყოველი სპეციფიკური მოქმედების განხორციელების წინ, მაგალითად რომელიმე საიტიდან პროდუქტის შეძენის დროს, საჭიროებს მომხმარებლის მიერ საიტზე არსებულ ფანჯარაში თანხმობის მონიშვნას.<sup>108</sup>

აღნიშნული ხელშეკრულების უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს ის რომ მომხმარებელს წარმოდგენილ ხელშეკრულებაში არანაირი ცვლილების განხორციელება არ შეუძლია, არათუ იმ გაგებით რომ საიტი, პლატფორმა და პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი უარს აცხადებს შეთავაზებული პირობების ცვლილებაზე ან მხარეები ვერ შეთანხმდნენ შესაბამის დეტალებზე, არამედ Clickwrap ხელშეკრულების ცვლილების ტექნიკური შესაძლებლობა არ გააჩნია მომხმარებელს, იგი უბრალოდ ვერ შეცვლის სახელშეკრულებო პირობებს, რადგანაც ასეთი ხელშეკრულება წარმოდგენილია როგორც კოდის ნაწილი, იქნება ეს საიტი თუ რაიმე პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე, განსხვავებით Shrinkwrap ხელშეკრულებებისგან, Clickwrap ხელშეკრულებები სუფთა სამართლებრივი თვალსაზრისით შესაძლოა მიჩნეულ იყოს ნაკლებად პრობლემატურ ელექტრონულ ხელშეკრულებებად, გამომდინარე იქიდან რომ ამ ტიპის ხელშეკრულებებში მომხმარებელი ვერ ახორციელებს საიტიდან რაიმეს შესყიდვას ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას თუ ხელშეკრულებას არ

---

<sup>107</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულებები გამოყენებადია არა მხოლოდ ინტერნეტ სივრცეში, არამედ ზოგადად კიბერსივრცეში. მაგალითისთვის, მაშინ, როდესაც მომხმარებელი საკუთარ სისტემაში აყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას.

<sup>108</sup> *Goldman E.*, Internet Law: Cases & Materials, 2022 Edition, 2022, 56.

დათანხმდება, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულებებისთვის თანხმობის გამოხატვა პირდაპირ არის გაცხადებული.<sup>109</sup>

### 1.2.3. Browsewrap ხელშეკრულებები

Browsewrap ხელშეკრულებები წარმოადგენს სტატიკური ტიპის ელექტრონულ ხელშეკრულებებს, რომელიც საიტზე, პლატფორმაზე და მათ შორის, პროგრამულ უზრუნველყოფაშიც კი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს განცალკევებული ლინკის სახით, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ასეთი ტიპის ხელშეკრულებები საიტზე, სულ მცირე მთავარი გვერდის ან ყველა იმ გვერდის ბოლოშია განთავსებული, სადაც მომხმარებელი უნდა გაეცნოს სახელშეკრულებო პირობებს, რომელზეც, თავის მხრივ, თანხმობის გამოხატვა ხდება მოქმედებით.<sup>110</sup>

### 1.2.4. Scrollwrap და Sign in Wrap ხელშეკრულებები

Scrollwrap ხელშეკრულებები წარმოადგენს Clickwrap ხელშეკრულებების ნაირსახეობას, იმ განსხვავებით რომ ამ ტიპის ელექტრონულ ხელშეკრულებაში მომხმარებელი თანხმობას ვერ განაცხადებს მანამ სანამ ბოლომდე არ წაიკითხავს შემოთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებს.<sup>111</sup> „წაკითხვა“ ამ შემთხვევაში აბსოლუტური ფიქციაა, ვინაიდან ვერც ფიზიკურ სამყაროში და ვერც ვირტუალურ სამყაროში ვერ იარსებებს მექანიზმი, რომელიც ხელშეკრულების წაკითხვას დაავალდებულებს რომელიმე მხარეს და შემდეგ შეამოწმებს ნამდვილად წაკითხა თუ არა მხარემ ხელშეკრულება, თუმცა Scrollwrap-ის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი იმისა რომ მხარეს ხელშეკრულების გაცნობის ყველა შესაძლებლობა ჰქონდა და იგი ამ ხელშეკრულებას ნამდვილად გაეცნო და დაეთანხმა გაცილებით მარტივია იმ მხარისთვის რომლის საიტზეც არის Scrollwrap

<sup>109</sup> Nancy K., *Wrap Contracts: Foundations and Ramifications*, Oxford University Press, Oxford, 2013, 39.

<sup>110</sup> Goldman E., *Internet Law: Cases & Materials*, 2022 Edition, 2022, 56.

<sup>111</sup> იქვე.

ხელშეკრულება განთავსებული, გამომდინარე იქიდან რომ მხარე უბრალოდ ვერ დათანხმდება გარიგებას მანამ სანამ მას ბოლომდე არ გახსნის.<sup>112</sup>

Sign in Wrap ხელშეკრულების შემთხვევაში მომხმარებელს საიტი ან პლატფორმა სთავაზობს არა სპეციალური მონიშვნის წესით „მე ვეთანხმები“ პირობებზე დათანხმებას, არამედ მომხმარებელი საიტზე ან პლატფორმაზე რეგისტრაციის დროს ავტომატურად თანხმდება წარმოდგენილ სახელშეკრულებო პირობებს.<sup>113</sup>

### 1.3. Wrap ტიპოლოგია ევროპის სამართალში

მიუხედავად იმისა რომ Wrap ტიპოლოგია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ არის შექმნილი,<sup>114</sup> მას ევროპის კავშირის სამართალწარმოების ფარგლებშიც იყენებენ.<sup>115</sup> საქმეზე Jaouad El Majdoub v CarsOnTheWeb.Deutschland GmbH,<sup>116</sup> მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა Clickwrap ტიპის ელექტრონული ხელშეკრულებების შესახებ ბრიუსელი I რეგულაციის (Brussels I Regulation) ფარგლებში და დაადგინა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, რომელიც მოცემულია ელექტრონული ფორმატის სახით, მათ შორის დათქმები გამოსაყენებელი სამართლის შესახებ, არის ნამდვილი ონლაინ ბიზნეს ტრანზაქციების ფარგლებში, მაშინ როდესაც მხარეს შეუძლია მასზე გამოხატოს თანხმობა „თანახმა ვარ“ ლილაკის საიტზე მონიშვნით. დამატებით, სასამართლომ იმსჯელა ელექტრონული ხელშეკრულების ფორმაზე, რომლის მიხედვით, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების იმავე ჭრილში განხილვისთვის, როგორც ეს წერილობითი კომუნიკაციის ფორმის შემთხვევაშია, ევროპულ წარმოდგენილი ელექტრონული ხელშეკრულება მის

---

<sup>112</sup> *Estreicher S., Weiss H.*, 'Scrollwrap' Agreement to Arbitrate Held Enforceable While 'Clickwrap' Is Not, *New York Law Journal*, 2017, 1-2. ხელმისაწვდომია <https://www.srz.com/images/content/1/5/v2/151882/New-York-Law-Journal-Scrollwrap-Agreement-to-Arbitrate-Held-Enfo.pdf> [26.02.2023]

<sup>113</sup> *Goldman E.*, *Internet Law: Cases & Materials*, 2022 Edition, 2022, 56.

<sup>114</sup> *ProCD, Inc. v. Zeidenberg*, 86 F.3d 1447 (7th Cir. 1996)

<sup>115</sup> მაგალითისთვის იხ. *Tiketa UAB v MS* (C-536/20) EU:C:2022:112 (24 February 2022)

<sup>116</sup> *El Majdoub v CarsOnTheWeb.Deutschland GmbH* (C-322/14) EU:C:2015:334 (21 May 2015).



დადებამდე შესაძლებელი უნდა იყოს, რომ იძლეოდეს მისი შენახვისა და შემდეგ ამობეჭდვის საშუალებას.<sup>117</sup>

#### 1.4. Wrap ტიპოლოგია ქართულ სამართალში

განსხვავებით ევროპის სასამართლოებისგან, ქართულ სასამართლოებს Wrap ტიპოლოგიიდან არცერთი სახელდება არ გამოუყენებია მათ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში, თუმცა სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შესაბამისად ნათელია, რომ ქართული ინტერნეტ სივრცე როგორც სამოქალაქო სამართალურთიერთობებში, ისე სამართალწარმოების ფარგლებში იცნობს Wrap ტიპოლოგიის ხელშეკრულებებს.<sup>118</sup>

ქართულ სამართალში Wrap ტიპოლოგიის ხელშეკრულებებისთვის სრულად გამოსაყენებელი და გასაზიარებელია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მოწესრიგება. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც, რომლის მიხედვით „ელექტრონული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ქართულ კანონმდებლობაში ცალკეული მუხლებით არ წესრიგდება და გამოიყენება სსკ-ის სტანდარტული პირობების წესები.“<sup>119</sup>

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს არა მხოლოდ Wrap ელექტრონული ხელშეკრულების წაკითხვის პრობლემატიკა მომხმარებლების მხრიდან, არამედ ზოგადად, მეტწილად სტანდარტული პირობების შემცველი ნებისმიერი ელექტრონული ხელშეკრულების წაკითხვის საკითხი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის კავშირში, სადაც ელექტრონული კომერცია წარმოშობისთანავე ბიზნესისა და სამოქალაქო ურთიერთობების ნაწილია, ასეთი ტიპის ხელშეკრულებებს, როგორც ეს იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, ასევე არ კითხულობენ ცნობილი იურისტები,

---

<sup>117</sup> იქვე.

<sup>118</sup> Clickwrap და browswrap ხელშეკრულებებისთვის იხილეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/18450-17. Sing in wrap ხელშეკრულებისთვის იხილეთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/218.

<sup>119</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 05 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-812-2022.

სამართალ მეცნიერები და სასამართლო მოხელეები.<sup>120</sup> საქართველოსთვის, სადაც ელექტრონული კომერცია ახალ ინტერდისციპლინარულ მოვლენას წარმოადგენს, საკითხი კიდევ უფრო პრობლემურია.

ზოგადად, სახელშეკრულებო სამართალში მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელ მართლწესრიგზე ვსაუბრობთ, არსებობს ხელშეკრულების გაცნობისა და წაკითხვის ვალდებულება.<sup>121</sup> აღნიშნული ვალდებულება, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთხვევაში შეტრიალებულია და ხელშეკრულების მეორე მხარეს, რომელსაც ხელი არ მიუწვდება სტანდარტული პირობების შექმნის პროცესზე და ვერანაირად მასზე გავლენა ვერ ექნება, არ ევალდება ისეთი სტანდარტული პირობების წაკითხვა თავიდან ბოლომდე, რომელიც „წაუკითხავია“ და შესაბამისად, ამისი მოლოდინი არც იმ მხარეს უნდა წარმოეშვას, რომელმაც ასეთი სტანდარტული პირობები ან მთლიანად ხელშეკრულება შეადგინა, რომელიც მთლიანად სტანდარტული პირობებიანია.<sup>122</sup> სტანდარტული პირობების სამართლებრივი ძალის შექმნასთან დაკავშირებით ასევე გასათვალისწინებელია ასეთი ხელშეკრულებისა და სტანდარტული პირობების მოცულობა, მეორე მხარეზე ზეწოლის მომენტი - შეეძლო თუ არა მას უარი ეთქვა შესაბამის დროში ხელშეკრულების გაფორმებაზე და ასე შემდეგ.<sup>123</sup> შესაბამისად, ქართულ რეალობაში ელექტრონული ხელშეკრულებებისთვის, მნიშვნელობა არ აქვს ეს იქნება Wrap ტიპის ხელშეკრულებები თუ არა, ისეთ შემთხვევაში თუ ასეთი ხელშეკრულების შეცვლა შეუძლებელია მეორე მხარის მიერ და შეიცავს სტანდარტულ პირობებს, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მისი პლატფორმაზე განმეორებითი დუბლირება, ან განსაკუთრებულად აღნიშვნა, ან ხელშეკრული

---

<sup>120</sup> *Benoliel U., Becher S., The Duty to Read the Unreadable*, Boston College Law Review, Vol. 60, 2019, 2257-2258.

<sup>121</sup> მაგალითად, ამერიკის შერთებული შტატებისთვის იხ. *Knapp C., Is There a "Duty to Read"?*, Hastings Law Journal, Vol 66, 2015, 1085-1086.

<sup>122</sup> *რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. *ჭანტურია ლ.*, თბილისი, 2019, ველი 9, 222.

<sup>123</sup> *Oakley R., Fairness in Electronic Contracting: Minimum Standards for Non-Negotiated Contracts*, Houston Law Review, Vol. 42, 2005, 1063.

მხარისთვის დამატებით ველში გამოტანა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი აღქმადობა მხარისთვის.

### 1.5. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია, როგორც ხელშეკრულება

სამოქალაქო ურთიერთობებში ტრანზაქციის განხორციელების მთავარ საშუალებას გარიგება წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მხარეები საკუთარი მიზნების განსხეულებას ახორციელებენ.<sup>124</sup> უფრო მეტიც, გარიგება შეიძლება ჩაითვალოს ბიზნეს ურთიერთობების განხორციელების ძირითად მექანიზმად.<sup>125</sup> ელექტრონული ფოსტის საშუალებით დადებული ხელშეკრულების მიღმა იგულისხმება არა მხარეთა შორის ფიზიკურ სამყაროში არსებული ხელშეკრულების ასლი, როგორც ეს მარტივი ელექტრონული ხელშეკრულების შემთხვევაში აღინიშნა, არამედ მხარეთა შორის წარმოებული მიმოწერა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოხატული ნება. სწორედ აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენს იმ ტრანზაქციას, რომელიც ელექტრონული ფოსტის საშუალებით მხარეთა შორის გამოხატული ნებით იღებს გარიგების სახეს.

### 1.6. ელექტრონული ფოსტით დადებული ხელშეკრულების ფორმა

ელექტრონული ფოსტით წარმოებული კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში აღიქმება როგორც წერილობითი ფორმით განხორციელებული კომუნიკაცია, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გარიგება, რომლის არსებითი პირობებიც თანხმდება ელექტრონული ფოსტით, წარმოადგენს წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებას. სსკ-ს 368 II მუხლის მიხედვით, კანონმდებელი უშვებს, რომ წერილობითი „ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა.“ აღნიშნული, მიუხედავად იმისა რომ მუხლის ფორმულირებაში პირდაპირ არ მოიცავს ელექტრონულ ფოსტაზე

---

<sup>124</sup> *Kereselidze D.*, Der allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Eine rechtsvergleichende Untersuchung, Peter Lang GmbH, Frankfurt, 2004, 220-221.

<sup>125</sup> *Christensen S.*, Formation of Contracts by Email - Is it Just the Same as the Post?, QUT Law Review, Vol. 1, No. 1, 2001, 25

მითითებას, რა თქმა უნდა, მოიცავს ელექტრონული ფორმის ყველა გამოხატულებას, რომლის საშუალებითაც შესაძლოა წერილობითი გარიგება დაიდოს.<sup>126</sup>

ზემოხსენებულთან დაკავშირებით უნდა გაიმიჯნოს ორივე შემთხვევა. პირველი, ეს არის მოცემულობა როდესაც მხარეები ერთმანეთში თანხმდებიან ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რომელიც ნათლად აღქმადი უნდა იყოს მხარეთათვის და გაცვლიან ოფერტსა და აქცეპტს.<sup>127</sup> მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების სამართალწარმოების შედეგიდან,<sup>128</sup> იგი წარმატებით უნდა გავრცელდეს ქართულ სამართალურთიერთობებზეც, მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ეს ექცევა სსკ-ს 368 II მუხლის ფარგლებში და არა წერილობით ფორმასავალდებულო გარიგებების შემთხვევაში, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაზიარებულია - „ბოლო პერიოდში სამართლებრივ სივრცეში სულ უფრო მზარდია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით ხელშეკრულებების დადება. ამ ტიპის ხელშეკრულებაში კონტრაქტირება შესაძლებელია როგორც წინასწარ შედგენილი ხელშეკრულების ფორმულარზე თანხმობის ფანჯრის მონიშვნით, ისე, განსახილველი შემთხვევის ანალოგიურად, ელექტრონული მიმოწერის ფარგლებში ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმებითა და თანხმობის გამომხატველი ნების გამოვლენის მეორე მხარისათვის შეტყობინებით.“<sup>129</sup> მეორე შემთხვევა, წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც მხარეები ელექტრონული ფოსტის საშუალებით აწარმოებენ მიმოწერას, თუმცა საბოლოოდ სხვა ფორმით გადაწყვეტენ ხელშეკრულების დადებას. ასეთ დროს უპირატესობა მიენიჭება საბოლოო ხელშეკრულების ტექსტს, თუმცა ისეთი საკითხები, რომელიც მხარეთა მიერ დეტალურად იქნა აღწერილი ელექტრონული მიმოწერის

---

<sup>126</sup> ბაღიშვილი ე., მუხლი 328, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. *ჭანტურია ლ.*, 2019, ველი 33, 106.

<sup>127</sup> *Caterina J., Feitel J.*, Inadvertent Contract Formation under New York Law: An Update, *Syracuse Law Review*, Vol. 69, 2019, 736-737.

<sup>128</sup> იქვე, 740-741.

<sup>129</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1161-2018

საშუალებით, შესაძლოა სამართალწარმოების ეტაპზე გამოყენებულ იქნეს როგორც მტკიცებულება.

## 2. ოფერტი და აქცეპტი ელექტრონულ ხელშეკრულებებში

წინამდებარე ქვეთავის სათაური თავის მხრივ გულისხმობს არა მხოლოდ ელექტრონული ხელშეკრულების შემთხვევაში ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ოფერტისა და აქცეპტის შემთხვევებს, არამედ ისეთ შემთხვევებსაც როდესაც ზოგადად ოფერტისა და აქცეპტის განხორციელება ხდება ინტერნეტ სივრცეში, თუმცა ხელშეკრულება შესაძლოა ფიზიკური ფორმით დაიდოს.

ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე, ოფერტთან და აქცეპტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პირების ერთმანეთთან სივრცეში არათანმყოფადობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს ოფერტის გაკეთებას თანმყოფი და არათანმყოფი პირებისთვის,<sup>130</sup> რომელიც დაკავშირებულია დროისა და სივრცის ფაქტორთან, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აქცეპტის განხორციელების წესს ორივე შემთხვევისთვის. ასევე, მსგავს მოწესრიგებას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, რომელსაც დამატების სახით დაკონკრეტებული აქვს, რომ თანმყოფ პირთან გაკეთებულ ოფერტად ითვლება ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალების დახმარებით განხორციელებული ოფერტი,<sup>131</sup> ამ უკანასკნელში კი უნდა იგულისხმებოდეს ისეთი ტექნოლოგიური საშუალებები, რომელიც არამატერიალიზებული ნების გამოვლენის საშუალებას იძლევა და რომელიც მიმღებისთვის დროში დაყოვნების გარეშე აღქმადი.

ზემოგანხილულთან დაკავშირებით პრობლემატიკას წარმოადგენს ითვლება თუ არა ინტერნეტ სივრცეში ისეთი ოფერტის განხორციელება, რომელიც შესაძლოა ოფერტის

---

<sup>130</sup> სსკ-ს 330-ე მუხლის მიხედვით, მოწესრიგებულია ოფერტის გაკეთება თანმყოფი და არათანმყოფი პირებისთვის, რომელიც თავის თავში შეიცავს მოწესრიგებას ასევე ასეთი ოფერტის შემთხვევაში აქცეპტის გაცხადების წესსაც.

<sup>131</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 147-ე პარაგრაფი აწესრიგებს აქცეპტის დაბრუნების დროს, რაც თავის მხრივ სსკ-სგან განსხვავებით ნორმის სახელდების მართებულობით გამოირჩევა.

ადრესატთან მივიდეს დროში დაყოვნების გარეშე, მაგრამ ოფერენტისთვის უცნობი იყოს ოფერტის ადრესატი გაეცნო მას თუ არა, ან საერთოდ ჰქონდა გაცნობის საშუალება თუ არა, არათანმყოფ პირთან განხორციელებულ ოფერტად.<sup>132</sup> შესაბამისად, განხილული უნდა იქნეს ფიზიკურ სამყაროში ოფერტისა და აქცეპტის ურთიერთგადაფარვის მომენტი ფიზიკურ სამყაროში და მისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობა ვირტუალურ სივრცეში.

კონტინენტური ევროპის სამართლისა და საერთო სამართლის მიხედვით, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ბოჭვა ხორციელდება მხოლოდ აქცეპტის სამართლებრივი ძალის შექმნის შემდეგ. კონტინენტური ევროპის სამართლისთვის ნებისმიერი ნების გამოვლენა არათანმყოფი პირისადმი, მათ შორის იქნება ეს ოფერტი თუ აქცეპტი, ნამდვილად უნდა ჩაითვალოს თუ იგი აღწევს მისი დანიშნულების ადგილამდე და სწორედ ამ დანიშნულების ადგილის მიღწევის მომენტიდან ითვლება ნამდვილად, შესაბამისად, აღნიშნულ დანიშნულების ადგილზე ნების გამოვლენის მისვლა უნდა ჩაითვალოს მიმღების გავლენის სფეროში მოქცევად.<sup>133</sup> ეგრეთ წოდებული გავლენის სფეროში ნების გამოვლენის მოქცევა დაკავშირებულია რისკების სამართლიან გადანაწილებასთან, მაშინ როდესაც ოფერტსა და აქცეპტს შორის არის დროის ინტერვალი. შესაბამისად, ოფერტის გამგზავნი უნდა ატარებდეს რისკს იმ ნაწილში, რომელ ნაწილშიც მან თავად უკარნახა ოფერტის მიმღებს თუ სად უნდა დაებრუნებინა აქცეპტი.<sup>134</sup>

აქცეპტის ნამდვილობასთან მიმართებაში, საერთო სამართლისთვის მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ფოსტის წესი (Postal Rule), რომელიც მიუხედავად იმისა რომ ფიზიკურ სამყაროში არსებული ურთიერთობებიდან ნაწარმოები სამართალმოვლენაა, ელექტრონულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში არაერთხელ ყოფილა განხილვის საგანი. ფოსტის წესი საერთო სამართლისთვის მე-19 საუკუნის დასაწყისში

---

<sup>132</sup> *Nolan D.*, Offer and Acceptance in the Electronic Age, Contract Formation and Parties, Eds. *Burrows A., Peel E.*, Oxford University Press, Oxford, 2010, 63-64.

<sup>133</sup> *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, რედ. *ნინიძე თ.*, ჯისიაი, თბილისი, 2001, 47.

<sup>134</sup> იქვე.

სამართალწარმოების შედეგად შექმნილი მოვლენაა, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ განსაზღვრა თუ როდის ითვლება ხელშეკრულება დადებულიად ფოსტის საშუალებით. აღნიშნულის მიხედვით, მხარეებისთვის ზუსტი დრო თუ როდის მივა აქცეპტი ოფერენტამდე უცნობია, გამომდინარე იქიდან რომ ფოსტის საშუალებით კომუნიკაცია დაკავშირებულია დროში დაყოვნების მომენტთან.<sup>135</sup> ფოსტის წესის მიხედვით, იმ ურთიერთობებში, რომელშიც ფოსტა გამოყენებულია როგორც ოფერტზე აქცეპტის გასაცხადებლად, აქცეპტი ჩაითვლება ნამდვილად მას შემდეგ, რაც იგი ფოსტის საშუალებით გაიგზავნება.<sup>136</sup> შესაბამისად, ამ წესის მიხედვით, მნიშვნელოვანი არ არის ოფერენტი საბოლოოდ იღებს თუ არა გაცხადებულ აქცეპტს ფოსტის საშუალებით.

ზემოგანხილული აქცეპტის ნამდვილობის ორი მომწესრიგებელი შემთხვევის ელექტრონულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ ხაზი გაესვას კონკრეტულად რომელი ტიპის ელექტრონულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში უნდა მოხდეს მათი გამოყენების შესაძლებლობის განხილვა. ასეთი ელექტრონული ხელშეკრულებები ყველაზე მეტად დაახლოებული უნდა იყოს ფიზიკურ სამყაროში ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, როდესაც აქცეპტის გაცხადება ხორციელდება ფოსტის საშუალებით. ამგვარ ურთიერთობად უნდა ჩაითვალოს ისეთი ელექტრონული ხელშეკრულებებისთვის გაცხადებული აქცეპტი, რომელიც შესაძლოა დროში დაყოვნების გარეშე მიდიოდეს ოფერენტთან, თუმცა რეალურად დაუდგენელი იყოს აღმოჩნდება თუ არა აქცეპტი ოფერენტის გავლენის სფეროში. ასეთად შესაძლოა მიჩნეულ იყოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით განხორციელებული ურთიერთობა,<sup>137</sup> გამომდინარე იქიდან რომ ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინების ადრესატამდე მიდევნების შესაძლებლობა არ არსებობს,

---

<sup>135</sup> *Ibrahim M., Ababneh A., Tahat H., The Postal Acceptance Rule in the Digital Age, Journal of International Commercial Law and Technology, Vol. 2, Issue 1, 2007, 47.*

<sup>136</sup> იქვე.

<sup>137</sup> *Christensen S., Formation of Contracts by Email - Is it Just the Same as the Post?, QUT Law Review, v. 1, n. 1, 2001, 29-32*

შეუძლებელია იმისი დადგენაც კი მოექცა თუ არა შეტყობინება მიმღების გავლენის სფეროში.

ამრიგად, საერთო სამართლისთვის ფოსტის წესის შესაბამისად აქცეპტი იურიდიულ ძალას იძენს მისი ფოსტით გაგზავნისთანავე, ხოლო, კონტინენტური ევროპის სამართლისთვის აქცეპტისთვის ასეთი იურიდიული ძალა წარმოიშობა მაშინ როდესაც იგი ექცევა ოფერენტის გავლენის სფეროში. ორივე შემთხვევისთვის შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ელექტრონული საშუალებით განხორციელებული ოფერტი, რომელიც დროში შესაძლოა დაყოვნების გარეშე ექცეოდეს აქცეპტანტთან, თუმცა მასზე პასუხის - აქცეპტის მოლოდინი დაყოვნებლივი არ არის, უნდა ჩაითვალოს არათანმყოფი პირისთვის გაკეთებულ ოფერტად. ხოლო ოფერტზე დაბრუნებული აქცეპტი კი, გაგზავნისთანავე ოფერენტის ინტერესის სფეროში არსებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სწორედ ოფერენტი იმავე ელექტრონულ მისამართზე იღებს პასუხს საიდანაც გაგზავნა ოფერტი.<sup>138</sup> თავის მხრივ, აღნიშნულს ემთხვევა ფოსტის წესიც, როდესაც აქცეპტანტი გზავნის აქცეპტს, იგი ითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ.<sup>139</sup>

ელექტრონული ფოსტა და მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებები<sup>140</sup> გამოირჩევა ასინქრონულობით, რაც მას განასხვავებს სატელეფონო ან ჩათის საშუალებით კომუნიკაციისგან. ეს ასინქრონულობა სამართლისთვისა და ტექნოლოგიებისთვის ერთი და იგივე გამოხატულებისაა და შემდეგი სამი მიმართულებით შესაძლოა დაიყოს. პირველი - ეს არის შეტყობინების ფორმირების ეტაპი, შეტყობინების გადაგზავნამდე დროის მონაკვეთი. შეტყობინების ავტორს შეუძლია ელექტრონული ფოსტის საშუალებით შექმნილი შეტყობინების დარედაქტირება და მოდიფიცირება, განსხვავებით თანმყოფი კომუნიკაციისა. მეორე - დროის მონაკვეთი გაგზავნამდე და

---

<sup>138</sup> შესაბამისად, ატარებს ისეთივე რისკს, როდესაც აქცეპტანტს უთითებს თუ სად დააბრუნოს ოფერტზე აქცეპტი. ვრცლად იხ. *ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ.*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, რედ. *ნინიძე თ.*, ჯისიაი, თბილისი, 2001, 47.

<sup>139</sup> *Defossez D.*, Acceptance sent through email; is the postal rule applicable?, *Law, State and Telecommunications Review*, Vol. 11, No. 1, 2019, 36-39.

<sup>140</sup> უნდა ვიგულისხმობთ არა მხოლოდ სტრუქტურით ელექტრონული ფოსტის მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებები, არამედ სტრუქტურულად განსხვავებული სხვა ელექტრონული ფორმებიც.



მიღებამდე, რაშიც იგულისხმება მისი გაცნობა. ასეთი დროითი დაშორება თანამყოფი კომუნიკაციის შემთხვევაში არ არსებობს, გაქვლებული შეტყობინება ადრესატთან მისულად, შესაბამისად, გაცნობილად ითვლება დაყოვნების გარეშე. მესამე - ეს არის დროის მონაკვეთი შეტყობინების მიღებასა და მასზე გაცემულ პასუხს შორის. სტატიკურ სიტუაციაში შეტყობინების მიმღებს არ აქვს ვალდებულება მიღებულ შეტყობინებაზე პასუხი დააბრუნოს დაუყოვნებლივ. ამ დროის მონაკვეთში შესაძლოა სრულიად გაუთვალისწინებელი "დიდი" და "მცირე" მნიშვნელობის მოვლენებმა ზეგავლენა მოახდინონ პასუხის დაბრუნების დროზე.<sup>141</sup>

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამკვიდრებული ჩვეულებები და დამკვიდრებული ბიზნეს პრაქტიკა.<sup>142</sup> საქართველოს მაგალითზე უნდა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მხარეები ხშირად ელექტრონულ ფოსტას იყენებენ როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად და უთანაბრებენ მას ფიზიკურ მისამართს.<sup>143</sup> აღნიშნული მიესადაგება არა მხოლოდ უკვე დადებულ ხელშეკრულებაში სახელშეკრულებო დათქმას, რომ მხარეებმა საკომუნიკაციო საშუალებად გამოიყენონ ელექტრონული ფოსტა,<sup>144</sup> არამედ ხელშეკრულების ფორმირების ეტაპზევე განსხაზღვრონ კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართები, როგორც აქცეპტისა და ოფერტის გაცვლის საშუალება.

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ არ არსებობს უნივერსალური წესი იმის გადასაწყვეტად თუ როდის ითვლება ხელშეკრულება დადებულად ინტერნეტ სივრცეში, რაც არ ნიშნავს რომ აღნიშნული საკითხი გადაუწყვეტელია, არამედ ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ხელშეკრულებები მისი ფორმის სპეციფიკიდან გამომდინარე

---

<sup>141</sup> *Bowers, J., Churcher, J., Local and global structuring of computer mediated communication: developing linguistic perspectives on CSCW in cosmos. Proceedings of the 1988 ACM Conference on Computer-Supported Cooperative Work, 1988, 129.*

<sup>142</sup> *Christensen S., Formation of Contracts by Email - Is it Just the Same as the Post?, QUT Law Review, Vol. 1, No. 1, 2001, 35*

<sup>143</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-132-2022

<sup>144</sup> გარდა ელექტრონული ფოსტისა, მხარეებმა ასევე შესაძლოა მიუთითოთ სხვა საშუალებით განხორციელებულ ელექტრონულ შეტყობინებაზე.

ინდივიდუალურად არის განსახილველი ორი გარემოების გათვალისწინებით. პირველი, თუ რა კომუნიკაციის საშუალებით ან რა პლატფორმაზე ხორციელდება ხელშეკრულების დადება და მეორე, ამ კომუნიკაციის ან პლატფორმის ფარგლებში იმყოფებიან თუ არა მხარეები თანმყოფ ან არათანმყოფ პირებად.

### 3. ელექტრონული ხელმოწერა, როგორც ინსტრუმენტი ინტერნეტ გარიგებებში

ქვეთავის სახელდება დაკავშირებულია უშუალოდ ელექტრონული ხელმოწერის ფენომენთან, რომელიც მოწესრიგებულია არსებულ რეგულატორულ ფარგლებში, როგორც ელექტრონული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ხელმოწერის განხორციელება, რაც თავისთავად დაკავშირებულია დიქტომიასთან - ხელმოწერის განხორციელება ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით.

ევროპის კავშირისთვის ელექტრონული ხელმოწერის მოწესრიგება მოცემულია N910/2014<sup>145</sup> ევრო რეგულაციაში, რომელიც ასევე განსაზღვრავს ევროპის კავშირის ქვეყნებისთვის ნაციონალური კანონმდებლობის მოწესრიგებას ელექტრონულ ხელმოწერებთან დაკავშირებით.<sup>146</sup> აღნიშნული რეგულაცია იძლევა დეფინიციას ისეთი ტერმინებისთვის როგორცაა არა მხოლოდ ელექტრონული ხელმოწერა, არამედ განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა და ელექტრონული დოკუმენტი.<sup>147</sup>

---

<sup>145</sup> REGULATION (EU) No 910/2014 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 July 2014 on electronic identification and trust services for electronic transactions in the internal market and repealing Directive 1999/93/EC.

<sup>146</sup> მიუხედავად აღნიშნული აქტისა ევროპის კავშირის ქვეყნებს მის ამოქმედებამდე და ამოქმედების შემდეგაც ეროვნულ დონეზე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით აქვთ მოწესრიგებული ელექტრონული ხელმოწერის საკითხი, რომელიც, რა თქმა უნდა, შეესაბამება N910/2014 ევრო რეგულაციას. მაგალითისთვის, ფინეთისთვის ასეთი აქტია კანონი მყარი ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ (Laki vahvasta sähköisestä tunnistamisesta ja sähköisistä luottamuspalveluista), გერმანიისთვის კანონი სანდო მომსახურების შესახებ (Vertrauensdienstegesetz), ლტვიისთვის კანონი ელექტრონული დოკუმენტების შესახებ (Elektronisko dokumentu likums).

<sup>147</sup> REGULATION (EU) No 910/2014 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 July 2014 on electronic identification and trust services for electronic transactions in the internal market and repealing Directive 1999/93/EC, Art. 3 (11)(12)(35).

ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ორი ტიპის მიდგომა. პირველი, ეს არის მიდგომა, რომლის მიხედვითაც კანონმდებელი რეგულატორული მოწესრიგების ფარგლებში ცდილობს ციფრული სივრცისთვის მოახდინოს ტრადიციული ფიზიკური ხელმოწერის ჩანაცვლება ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით,<sup>148</sup> რის პარალელურადაც შეუძლებელია რაიმე სხვა ტიპის ელექტრონული ხელმოწერის იურიდიული ძალის მქონედ მიჩნევა, გარდა იმისა თუ რაც განსაზღვრულია კანონმდებლობით.<sup>149</sup> მეორე მიდგომა უკავშირდება ეგრეთ წოდებულ ორსაფეხუროვან მიდგომას, რომლის მიხედვითაც კანონმდებლობით განსაზღვრულ ელექტრონულ ხელმოწერასთან პარალელურად დასაშვებია სხვა ტიპის ელექტრონული ხელმოწერებიც, თუმცა რთულია იმის დადგენა აღნიშნულ სხვა ტიპის ელექტრონულ ხელმოწერებს აქვს თუ არა ყველა შემთხვევაში იგივე იურიდიული ძალა, რაც კანონმდებლობით განსაზღვრულ ელექტრონულ ხელმოწერას.<sup>150</sup>

სსკ-ს 69 III მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია მასზე ხელშემკვრელი მხარეების ხელმოწერის არსებობა, რაც განსაზღვრავს გარიგების ნამდვილობას.<sup>151</sup> 69-ე მუხლის ანალიზის შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ მასში პირდაპირი მითითება არ არის, ნათელია, რომ კანონმდებელი წერილობით ფორმაში გულისხმობს დოკუმენტს, რომელსაც გააჩნია ტექსტური ფორმა, რომელზეც დაიტანება მხარეთა ხელმოწერები.<sup>152</sup> ამ მუხლში ვერ შევხვდებით ელექტრონული დოკუმენტის ან ელექტრონული ხელმოწერის შესახებ მოწესრიგებას, თუმცა აღნიშნულის შესახებ მოწესრიგებას გვთავაზობს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის

---

<sup>148</sup> *Mason S.*, *Electronic Signatures in Law*, University of London Press, London, 2016, 116.

<sup>149</sup> „სხვა“ ელექტრონულ ხელმოწერაში იგულისხმება „ვეთანხმები“ ღილაკზე დაჭერა, ელექტრონული ფოსტის ტექსტის ან ელექტრონული დოკუმენტის ბოლოს საკუთარი სახელისა და გვარის აღნიშვნა, მატერიალურად განხორციელებული ხელმოწერის ელექტრონული ასლი. ვრცლად იხ. *Mason S.*, *Documents signed or executed with electronic signatures in English law*, *Computer Law & Security Review*, Vol. 34, Issue 4, 2018, 942

<sup>150</sup> *Mason S.*, *Electronic Signatures in Law*, University of London Press, London, 2016, 116-117.

<sup>151</sup> *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2011, 340

<sup>152</sup> *დარჯანია თ.*, მუხლი 69, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, წიგნი I, რედ. *ჭანტურია ლ.*, თბილისი, 2017, ველი 7, 396.

მიხედვითაც ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი, ხმოვანი, ვიზუალური ან აუდიოვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა. ამ დეფინიციის ფარგლებში ექცევა ხელშეკრულება, რომელიც კომპიუტერული სისტემის საშუალებით არის შექმნილი. ამავე კანონის მიხედვით კი ელექტრონული ხელმოწერა არის ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და მის ხელმოსაწერად გამოიყენება.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა უშვებს ელექტრონული ფორმით შედგენილი ხელშეკრულების ფორმის არსებობას, როგორც წერილობით ფორმას, ხოლო მასზე შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონულ ხელმოწერასთან მიმართებაში შესაძლოა მოვიაზროთ, რომ ქართული მართლწესრიგი იზიარებს ორსაფეხუროვან მიდგომას,<sup>153</sup> გამომდინარე იქიდან რომ ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ნებისმიერი ციფრული სახითაა წარმოდგენილი, სამართლებრივ ძალას ყოველთვის ვერ იძენს, მათ შორის ნების გამოხატვის ნაწილშიც. შესაბამისად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ კანონი ასევე იცნობს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ცნებას, რომლის მიხედვით, ასეთი ელექტრონული ხელმოწერა არის განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების გამოყენებით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის საფუძველზეა შესრულებული. სწორედ ასეთი ტიპის ხელმოწერა დაიშვება ისეთი ფორმასავალდებულო გარიგებებისთვის როგორცაა ეგრეთ წოდებული რთული წერილობითი ფორმით შესრულებული გარიგება.<sup>154</sup>

---

<sup>153</sup> *Mason S.*, *Electronic Signatures in Law*, University of London Press, London, 2016, 116-117.

<sup>154</sup> მაგალითისთვის, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში დარეგისტრირდეს უძრავ ნივთთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრანზაქცია, რომელიც უზრუნველყოფილია ციფრული მმართველობის სააგენტოს საიტის my.gov.ge-ს საშუალებით.

### III. ვირტუალური ქონება, როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის რეგულირების ობიექტი

ინტერნეტ სივრცეში კანონისმიერ ვალდებულებით სამართალზე საუბარი შეუძლებელია ვირტუალური ქონების სიღრმისეული სამართლებრივი ანალიზის გარეშე, გამომდინარე იქიდან რომ კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის რეგულირების ერთ-ერთ უმთავრეს ობიექტს ინტერნეტში სწორედ ვირტუალური ქონება წარმოადგენს.

ვირტუალური ქონება, როგორც ტექნიკური და სამართლებრივი ტერმინი, სრულად დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარებასთან.<sup>155</sup> თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარება, როგორც 21-ე საუკუნის ადამიანის განუყოფელი ყოველდღიურობისა და სოციალიზაციის ნაწილი, სრულად დამოუკიდებელი მოვლენა იყო და მრავალი წლის განმავლობაში იგი არ ექცეოდა თითქმის არცერთი ქვეყნის მართლწესრიგის რეგულირების სფეროში. თუმცა, ინტერნეტ სამართლის განვითარებამ და პარალელურად ვირტუალური საკუთრების ეკონომიკური ღირებულებისა და მასშტაბების ზრდამ 2000-იანი წლების დასაწყისში წარმოშვა ვირტუალური სამყაროსა<sup>156</sup> და ვირტუალური საკუთრების რეგულირების აუცილებლობა. სამართლისთვისა და სოციალური ურთიერთობებისთვის, რომელიც მხოლოდ მატერიალურ სამყაროში განსხეულებულ ან არაგანსხეულებულ, თუმცა უფლებრივად ღირებულ ცნებებს იცნობს, განსაკუთრებულად რთულია მოაწესრიგოს და მის ნაწილად აქციოს ისეთი მოვლენა, რომელიც ერთდროულად განუყოფელია ჩვენი

---

<sup>155</sup> აღნიშნული კავშირი არ ნიშნავს, რომ ვირტუალურ ქონებას არანაირი გავლენა არ აქვს ფიზიკურ სამყაროში არსებულ სამართალურთიერთობებზე, ასეთი მიდგომა გაუმართლებელი და მცდარია. ვრცლად იხ. *ჟორჯოლიანი გ.*, ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2019, 2019, 27.

<sup>156</sup> ვირტუალური სამყარო, მოსაზრების თანახმად, ანალოგია ფიზიკური სამყაროსი, რომელიც ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, იურიდიულ ლიტერატურაშიც საინტერესო განმარტებებს იძენდა. მაგალითისთვის, ავტორი უზუფრუქტის რომის სამართლის ტრადიციულ განმარტებას იყენებს ვირტუალური საკუთრებისა და ვირტუალური სამყაროს სამართლებრივი ტრანსფორაციისთვის, იხ. *Veloso M. G.*, Virtual Property Rights, A Modified Usufruct of Intangibles, *Philippine Law Journal*, Vol. 82, No. 4, 2008, 70-73.

რეალობისა, თუმცა სრულებით ვირტუალურია.<sup>157</sup> თუმცა, მოსაზრება რომ სრულებით ვირტუალური მოვლენა სამართლებრივი მოწესრიგების მიღმაა, მალევე გახდა არა მხოლოდ იურიდიული დოქტრინის ინტერესის სფერო, არამედ დავის საგანიც.<sup>158</sup> საკითხის სირთულეს ვირტუალური საკუთრებისა და სამყაროს უსაზღვრო, არაიდენტიფიცირებადი და განუსაზღვრელი ბუნება წარმოადგენს, რომელიც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მათზე ნებისმიერი ტიპის რეგულირებისა და მოწესრიგების მკაფიო და ცალსახა განსაზღვრას.<sup>159</sup> ამასთან დაკავშირებით კვლავ შეგვიძლია მოვიხმოთ მოსაზრება, რომლის მიხედვით, კოდი<sup>160</sup> თავად არის ვირტუალური სამყაროს რეგულატორი და მომწესრიგებელი. შესაბამისად, სწორედ კოდში დევს სამართლებრივი რეგულირება ვირტუალური ქონებისთვისაც, გამომდინარე აქედან, უფლების აღსრულება ხდება არა რაიმე ტიპის საჯარიმო სანქციის ან სამართალწარმოებისა და იძულებითი აღსრულების მეთოდებით, არამედ კოდში ინტეგრირებული წესების მიხედვით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს იმ მართლწესრიგად, რომელიც კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგებასა და სამართალაღსრულებას თავადვე მოიცავს.<sup>161</sup>

ვირტუალური ქონების ერთ-ერთი მთავარი პრობლემატიკა მისი დაცვის ფარგლებია, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით რომ არ არსებობს ვირტუალური ქონების, როგორც სანივთო სამართლის ობიექტის მკაფიო განსაზღვრება, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმართლებელი იქნებოდა რეალურ სამყაროში არსებული მოვლენის, მიუხედავად

---

<sup>157</sup> *Lastowka G., Hunter D., The Laws of the Virtual Worlds, California Law Review, Vol. 92, No. 1, 2004, 7.*

<sup>158</sup> იქვე, 43-48.

<sup>159</sup> *Lessig L., Code and Other Laws of Cyberspace, Basic Books, New York, 1999, 19.*

<sup>160</sup> კომპიუტერული კოდი არის ინტერნეტ სივრცეში არსებული ნებისმიერი ობიექტის, ვირტუალური საკუთრების, პროგრამული უზრუნველყოფისა და ყველა იმ კომპონენტის საფუძველი, რომელიც შესაძლებელს ხდის კომპიუტერისა და ინტერნეტის საშუალებით ნებისმიერ ინტერაქციას, ვრცლად იხ. *ჟორჟოლიანი გ., ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანი ჟურნალი 3/2019, 2019, 29.*

<sup>161</sup> *Lessig L., Code and Other Laws of Cyberspace, Basic Books, New York, 1999, 20*

იმისა, რომ იგი მხოლოდ ვირტუალურად არსებობს, სამართლებრივი რეგულირების მიღმა დატოვება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში კიდევ უფრო აქტუალური გახდა ვირტუალური ქონების მნიშვნელობა, მისი ეკონომიკური ღირებულება და სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობა. კრიპტოვალუტის<sup>162</sup> პოპულარიზაციასთან და მასთან დაკავშირებულ მანიპულაციასთან ერთად სამართლებრივი სიკეთე, რომელიც ჩვეულებრივი მოქალაქისთვის მიუწვდომელი იყო, ფართოდ გამოყენებადი გახდა ყოველდღიურ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, უფრო მეტიც, ეგრეთ წოდებული მეტასამყაროს (Metaverse) ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც კომპანია Meta-ს (წარსულში Facebook) მიერ შეიქმნა, ნაწილობრივ ფიზიკური სამყაროს ჩანაცვლებას გეგმავს,<sup>163</sup> ხოლო, ჩინეთმა ვირტუალური ქონების ცნება მის სამოქალაქო კოდექსშიც კი ასახა.<sup>164</sup>

კონტინენტური ევროპის სამართლისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, ვირტუალური ქონების კონცეფციის არსებობა და მისი დაცვა, როგორც სანივთო სამართლის ობიექტისა და მასზე სანივთო უფლებების გავრცელება განსაკუთრებულად რთულია *numerus clausus*-ის პრინციპის გამო. აღნიშნულის საპირისპიროდ საერთო სამართლისთვის იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ვირტუალური ქონება უნდა მოექცეს მოძრავი ან უძრავი ნივთებისთვის განსაზღვრული სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში.<sup>165</sup>

---

<sup>162</sup> კრიპტოვალუტა წარმოადგენს ციფრულ აქტივს. ასეთი აქტივებია მაგალითად ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვა. კრიპტოვალუტას შესაძლოა მრავალი დანიშნულება ჰქონდეს - ვალუტა, ფინანსური ინტრუმენტი, პროდუქტის გასაღები. ვრცლად იხ. *Sarel R.*, Property Rights in Cryptocurrencies: A Law and Economics Perspective, North Carolina Journal of Law & Technology, Vol. 22, Issue 3, 2021, 390.

<sup>163</sup> *Goossens S., Breen N.*, Ownership in the metaverse – the great illusion of non-fungible tokens (NFTs), Reed Smith Guide to the Metaverse, Issue 1, 2021, 55-56.

<sup>164</sup> 2020 წლის 28 მაისს ჩინეთის სახალხო კონგრესმა მიიღო ჩინეთის ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის 127-ე მუხლში ასახულია ვირტუალური საკუთრების შესახებ დათქმა. ვრცლად იხ. ჩინეთის სამოქალაქო კოდექსი ბმულზე - <http://www.npc.gov.cn/englishnpc/c23934/202012/f627aa3a4651475db936899d69419d1e/files/47c16489e186437eab3244495cb47d66.pdf> [12.11.2022]

<sup>165</sup> Fairfield J., Virtual Property, Boston University Law Review, Vol 85, 2005, 1049.

წინამდებარე თავის მიზანია მოახდინოს ვირტუალური საკუთრებისთვის, როგორც ინტერნეტ სივრცისა და ტექნოლოგიური განვითარების განუყოფელი ნაწილისთვის, დაცვის ადეკვატური საშუალებების იდენტიფიცირება და არსებული სანივთო და კანონისმიერი დამცავი რეგულატორული ფარგლების სწორი ტრანსფორმაცია მასთან მიმართებით.

## 1. ვირტუალური ქონების ცნება

ვირტუალური ქონება და მასზე საკუთრების უფლება, განსხვავებით ზოგადად სამოქალაქო სამართლებრივი უფლებებისა, რომლის არსებობაც ინტერნეტ სივრცესა და ვირტუალურ სამყაროში დაკავშირებულია ციფრული ტრანსფორმაციის პარადიგმასთან, წარმოადგენს არატრანსფორმირებად მოვლენას. შესაბამისად, შეუძლებელია, ქონების, მაგალითად, მიწის ნაკვეთის გაციფრულება ისეთი სახით, რომ მისი არსებობა ფიზიკურ სამყაროში აღარ იყოს საჭირო.<sup>166</sup> ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვირტუალური საკუთრება, როგორც ტექნოლოგიური განვითარების თანმდევი მოვლენა, გაუმართლებელია მხოლოდ ვირტუალური სამყაროს ფარგლებში მოექცეს და ამოიწუროს.<sup>167</sup> ამ თემისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური იურიდიული ნაშრომები მას მოიაზრებს ისეთ კომპიუტერულ კოდად, რომელიც მხოლოდ მომხმარებლის კომპიუტერში არსებობით არ შემოიფარგლება და ასევე, იგი არ წარმოადგენს სხვა უფლებების, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების უფლების ობიექტს ან მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მოწესრიგებულ რაიმე ტიპის აქტივს.<sup>168</sup> აღნიშნული მიდგომა გამართლებულია, იმდენად რამდენადაც ვირტუალური ქონების ბედის მხოლოდ იმ სისტემაზე დამოკიდებულება, რომელშიც იგი არსებობს და მისი მხოლოდ სახელშეკრულებო დაცვა, ვირტუალურ ქონებას დატოვებდა მუდმივი

---

<sup>166</sup> ისეთ შემთხვევაშიც კი თუ პირი ვირტუალური ქონების მესაკუთრეა და ასეთ ქონებაზე წვდომა მხოლოდ მას აქვს, შესაძლებელია, რომ აღნიშნული ქონება მას ჩამოერთვას ან შეეზღუდოს ვირტუალური სამყაროს ოპერატორის მიერ. ვრცლად იხ. Bragg v. Linden Research, Inc. - 487 F. Supp. 2d 593 (E.D. Pa. 2007)

<sup>167</sup> *Carrier A. M., Lastowka G., Against Cyberproperty*, Berkeley Technology Law Journal, Vol. 22, 2007, 1485.

<sup>168</sup> *Fairfield J., Virtual Property*, Boston University Law Review, Vol 85, 2005, 1078.



ხელყოფის რისკის ქვეშ, მათ შორის იმ სისტემის ადმინისტრატორის მხრიდან, რომელშიც იგი არსებობს. შესაბამისად, ვირტუალური ქონების არსებობა უნდა მოიაზრებოდეს იმ სისტემისგან დამოუკიდებლად, რომელშიც იგი ხელმისაწვდომია.<sup>169</sup>

იმისთვის რომ ვირტუალურ სამყაროში არსებული ობიექტი მივიჩნიოთ ვირტუალურ ქონებად და არა რაიმე ტიპის კოდად, რომელიც მხოლოდ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი შეიძლება იყოს, ვირტუალურ ქონებას უნდა ახასიათებდეს მყარი, ფიქსირებული ბუნება, რაც ნიშნავს იმას, რომ იგი მისი მესაკუთრის დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს და არ საჭიროებდეს კომპიუტერისა და პროგრამული უზრუნველყოფის აქტივაციას ხელმისაწვდომობისთვის. ასევე, მას, როგორც საკუთრების ობიექტს, სრულყოფს მისი ურთიერთდაკავშირებულობა. შესაბამისად, პირთა ფართო წრეს მასთან ინტერაქციის საშუალება უნდა ჰქონდეს და იგი არ უნდა ინახებოდეს მხოლოდ ერთი პირისთვის, მხოლოდ ამ პირის მყარ დისკზე ან სხვა რაიმე ტიპის მატარებელზე.<sup>170</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკურ სამყაროში არსებული ნებისმიერი განსხვავებული ნივთი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს, როგორც სარგებლობის ობიექტი, მხოლოდ მისი მესაკუთრე-მფლობელისთვის ან მფლობელისთვის და ამრიგად, ფიზიკურ სამყაროში პირს, რომელსაც რაიმე ნივთზე სანივთო უფლებები გააჩნია, ასევე შეუძლია ასეთი უფლების არსებობის დადასტურება, თუ, რა თქმა უნდა, ეს სადავოდ არ არის გახდილი სხვა პირების მიერ.<sup>171</sup> თუმცა, ვირტუალურ სამყაროში ვირტუალურ ობიექტზე რაიმე უფლების დადასტურება განსაკუთრებით რთულია, თუ ზოგადად მისი არსებობის დადასტურებაც კი პრობლემურია. სწორედ ამიტომ, ერთი მხრივ, შესაძლებელია ვირტუალური საკუთრების ყველასგან ხელმიუწვდომლად არსებობა,

---

<sup>169</sup> იქვე.

<sup>170</sup> აღნიშნულში არ მოიაზრება ის, რომ მყარ დისკზე ან რაიმე სხვა ტიპის ინფორმაციის მატარებელზე ვირტუალური ქონების შენახვა მას უკარგავს საკუთრების ობიექტის მახასიათებელს. იგულისხმება ის გარემოება, რომ საჭიროების შემთხვევაში ვირტუალური ქონება უნდა იყოს სამოქალაქო ბრუნვაუნარიანი. ვრცლად იხ. *ჟორჯოლიანი გ.*, ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2019, 2019, 27-28.

<sup>171</sup> საქართველოს მაგალითზე უძრავი ნივთის შემთხვევაში სანივთო უფლების გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის საშუალებით, ხოლო, უძრავ ნივთებთან მიმართებაში კონკრეტულად საკუთრების უფლებასთან მიმართებაში მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 158 I მუხლით განსაზღვრული პრეზუმფცია.

მაგალითად, კრიპტოვალუტის ეგრეთ წოდებულ მყარ საფულეში ქონა,<sup>172</sup> ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროა აღნიშნული ობიექტების სამოქალაქო ბრუნვაში არსებობის დადასტურება.

მნიშვნელოვანი საკითხია ვირტუალური საკუთრების დამოუკიდებელი სამართლებრივი ჩარჩოს არ არსებობა, რის გამოც წარსულში იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, როგორც აღინიშნა, ვირტუალური საკუთრება წარმოადგენდა სახელშეკრულებო სამართლით ან ინტელექტუალური საკუთრების სამართლით რეგულირებულ მოვლენას.<sup>173</sup> თუმცა, ამ მოსაზრებას თავიდანვე არ ჰქონდა მყარი სამართლებრივი პოზიცია. ჯერ კიდევ 2003 წელს პეკინის სასამართლომ ერთ საქმეზე (*Li Hongchen v. Beijing Arctic Ice Technology Development Co.*) დაადგინა, რომ ერთ-ერთი ონლაინ თამაშში არსებული ვირტუალური საკუთრების ობიექტები, ისეთ შემთხვევაში თუ ისინი მისი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ იქნება ჩამორთმეული, უნდა დაუბრუნდეს მის თავდაპირველ მესაკუთრეს.<sup>174</sup> მიუხედავად იმისა რომ ხსენებულ საქმეში სასამართლომ ძირითადად გამოიყენა სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები და დოქტრინალური მიდგომები, ეს მოცემულობა განპირობებული იყო იმით, რომ სასამართლოს დაეცვა ვირტუალურ სამყაროში არსებულ ქონებაზე საკუთრების უფლება, რითიც ხაზი გაუსვა ვირტუალური ქონების მნიშვნელობას.<sup>175</sup>

ვირტუალური ქონება ბოლომდე არ შეიძლება მიჩნეული იყოს როგორც ფიზიკურ სამყაროში არსებული ქონების პროტოტიპი და სანივთო სამართლის გაგებით ქონება და საკუთრება, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია იმით, რომ ვირტუალური ქონების

---

<sup>172</sup> Gideon S., BitMint Hard Wallet: Digital Payment without Network Communication: No Internet, yet Sustained Payment Regimen between Randomness-Verifiable Hard Wallets, 2020 IEEE International IOT, Electronics and Mechatronics Conference (IEMTRONICS), 2020, 1-2.

<sup>173</sup> Fairfield J., Nexus Crystals: Crystallizing Limits on Contractual Control of Virtual Worlds Virtual Worlds, William Mitchell Law Review, Vol. 38, Issue 1, 50-55.

<sup>174</sup> Fairfield J., Virtual Property, Boston University Law Review, Vol. 85, 1085-1086; ასევე, იხ. Glushko B., Tales of the (Virtual) City: Governing Property Disputes In Virtual Worlds, Berkeley Technology Law Journal Vol. 22, No. 1, 2007, 517-519.

<sup>175</sup> Fairfield J., Virtual Property, Boston University Law Review, Vol. 85, 1084-1085.

საფუძველი არის კოდი, რომელიც შეუძლებელია მისი ტექნოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე ბოლომდე მოექცეს სანივთო სამართლის რეგულირების ქვეშ, ხოლო, მეორე მხრივ, ვირტუალური ქონების სანივთო სამართლის მიღმა დატოვება, მას მნიშვნელოვნად დაუცველს გახდიდა და მისი მესაკუთრეები ჩაითვლებოდნენ კონკრეტული სერვისის მომხმარებლებად და სრულად დამოკიდებულები იქნებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მათ ბაზარზე სუსტი მხარის პოზიციაში დააყენებდა, სერვისის მიმწოდებელთან შედარებით.

აბსოლუტურად გასაზიარებელი და მართებულია მოსაზრება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, გარდაუვალი და აუცილებელია ტრადიციული გაგებით არსებული ქონების დემატერიალიზაცია და გაციფრულება, ასევე, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების მნიშვნელობის ზრდა.<sup>176</sup> გამომდინარე იქიდან, რომ სამართალი მუდმივად ცვალებადი კონსტრუქციაა, არა მხოლოდ შინაარსობრივად ერთსა და იმავე მოვლენის მიმართ, არამედ სხვადასხვა მოვლენის მიმართ სახელდებების ფარგლებშიც კი, შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია, რომ ახალი მოვლენა, იქნება ეს ტექნოლოგიური თუ რაიმე სხვა ტიპის, რომელიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება, პირდაპირ არ იქნება განსაზღვრული სამართლებრივი ცნებების ფარგლებით.<sup>177</sup> საბოლოო ჯამში, აღნიშნული იწვევს იმას რომ არა მხოლოდ სანივთო გაგებით ფართოვდება კონკრეტული ცნების, ჩვენ შემთხვევაში ქონების ფარგლები, არამედ სრულიად სამართალი განიცდის აღნიშნულ პროგრესს და ხდება მისი ტრანსფორმაცია და დიგიტალიზაცია. უფრო მეტიც, შესაძლოა ფუნდამენტურად იცვლებოდეს სამართლებრივი ცნებები, „მფლობელობა“ იცვლებოდეს „წვდომით“, ფიზიკური ქონებას ემატებოდეს ვირტუალური ქონება და ა.შ.<sup>178</sup>

---

<sup>176</sup> ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძველები: ქონება, მფლობელობა, საკუთრება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016, 2.

<sup>177</sup> იქვე.

<sup>178</sup> ბრაიდენბახი შ., გლატცი ფ., სამართლის დიგიტალიზაცია, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 2020, 1.

## 2. ვირტუალური ქონების მსგავსება რეალურ ქონებასთან

საერთო სამართლისთვის არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ვირტუალური ქონება, რომელიც ვირტუალურ სამყაროში არსებობს უთანაბრდება ფიზიკურ სამყაროში არსებულ ქონებას და იზიარებს მის მახასიათებლებს.<sup>179</sup> კონკურენტულობა, ფიქსირებულობა და ურთიერთდაკავშირებულობა,<sup>180</sup> ეს არის ის კომპონენტები, რომელიც საერთო სამართლისთვის ფიზიკურ სამყაროში არსებულ ნივთებს უნდა ახასიათებდეს. მოცემული მახასიათებლები თითქმის ყველა ქვეყნის მართლწესრიგისთვის ერთი და იგივეა ან სულ მცირე მიმსგავსებულია ერთმანეთთან და ზოგადად, საკუთრების შინაარს განსაზღვრავს.

კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისთვის, ზემოაღნიშნული მახასიათებლები *Ius in re*-უფლებრივი პაკეტით არის მოცული და სხვადასხვა სახით გამოხატულებას ჰპოვებს როგორც ქონებით განკარგვისა და სარგებლობის ნაწილში, ისე მისი დაცვის მხრივაც.<sup>181</sup>

კონკურენტულობა უშუალოდ ქონების მესაკუთრეს ან მფლობელს მიემართება, აუკრძალოს მან სხვა პირს მის ქონებაზე ნებისმიერი უნებართვო ჩარევა. ხშირად ვირტუალურ სამყაროში შეუძლებელია ვირტუალურ ქონებას ახასიათებდეს კონკურენტულობა, გამომდინარე იქიდან, რომ კოდი, როგორც ვირტუალური ქონების საფუძველი და საწყისი, შესაძლოა იყოს ცენტრალიზებული, რაც ნიშნავს იმას რომ მისი რეალური მესაკუთრე არის ცენტრალური ოპერატორი და არა პირი, რომელიც დროებით დაუფლებულია ვირტუალურ ქონებას. ქართული სამართლის მაგალითზე კონკურენტულობა ნათლად გამოიხატება სამოქალაქო კოდექსის 172 I და 172 II

---

<sup>179</sup> Fairfield J., *Virtual Property*, Boston University Law Review, Vol. 85, 1053

<sup>180</sup> დამატებით იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ სამ კომპონენტთან ერთად კიდევ ორ კომპონენტს გამოყოფენ როგორც ვირტუალური საკუთრების მახასიათებელს, ესენია მეორეულ ბაზრებზე ვაჭრობა და მესაკუთრის მიერ ფასის განსაზღვრის შესაძლებლობა. ვრცლად იხ. *Blazer C.*, *The Five Indicia of Virtual Property*, *The University of New Hampshire Law Review*, Vol 5, No. 1, 2006, 141-142.

<sup>181</sup> *Baur F., Baur J., Stürmer R.*, *Sachenrecht*, C.H. Beck, München, 2009, 29.

მუხლებში, რომლებიც შესაბამისად განსაზღვრავენ *rei vindicatio* და *actio negatoria* სარჩელების შინაარსს.<sup>182</sup> ვირტუალური ქონების შემთხვევაშიც მასზე საკუთრების უფლების აბსოლუტური ბუნება უნდა ვრცელდებოდეს, რომლის მიხედვითაც მესაკუთრე მისი შეხედულების მიხედვით ნებისმიერ დროს ეუფლება და სარგებლობს ქონებით, ასევე, აქვს უფლება გამოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან მისი ქონება.<sup>183</sup>

ფიქსირებულობა დაკავშირებულია ქონების ბუნებასთან, არსებობდეს იგი სამყაროში ფიქსირებულად. მაგალითად, უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც შევიძენთ არსებობის დროსა და სივრცეში, სანამ მასზე რაიმე ტიპის ჩარევა არ განხორციელდება - დაშლა, განადგურება, დაღუპვა თუ სხვა. თუმცა, მისი სისტემიდან გათიშვა შეუძლებელია, რაც ხშირ შემთხვევაში ვირტუალური ქონებისთვის პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, გამომდინარე იქიდან რომ ხშირად ვირტუალური ქონება მხოლოდ მყარ დისკზე არსებობს. მიუხედავად იმისა რომ ფიქსირებულობასთან დაკავშირებით ზუსტი სამართლებრივი დეფინიცია ქართულ დოქტრინაში არ მოიძებნება, მისი დაკავშირება შესაძლებელია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასთან შესაბამისად დელიქტურ ვალდებულებებთან.<sup>184</sup>

ხოლო, ურთიერთდაკავშირებულობა გულისხმობს, რომ ქონებასთან ინტერაქციის საშუალება შესაძლებელი უნდა იყოს. ამ მახასიათებლის მიხედვით, ქონება აღქმადი უნდა იყოს არა მხოლოდ მისი მესაკუთრისთვის ან მფლობელისთვის, არამედ ზოგადად მესამე პირებისთვისაც და შესაბამისი უფლებამოსილების შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ ქონებასთან ინტერაქციის საშუალება. თავის მხრივ, ინტერაქციის საშუალება არ

---

<sup>182</sup> თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულის პარალელთან ერთად შესაძლებელია ჩაშლილი გარიგების უსაფუძვლო გამდიდრებისმიერი მოწესრიგების მაგალითის მოყვანაც. ვრცლად იხ. *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017, 32-33.

<sup>183</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 06 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-205-198-2012

<sup>184</sup> ამ პერსპექტივის მიხედვით, დელიქტური სამართალი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ერთგვარი განმსაზღვრელი, რომელიც მიმართულია *status quo*-სკენ და ემსახურება ზიანის ანაზღაურებას, სწორედ უზრუნველყოფს ქონების ფიქსირებულობას, ხოლო მისი ხელყოფის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებას. ვრცლად იხ. *ბათლიძე გ.*, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 17-18.

გულისხმობს იმას რომ ქონებრივი სიკეთე მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს გარეშე სამყაროსთვისა და მესამე პირებისთვის, ან მათ შეეძლოთ რაიმე ზეგავლენის მოხდება ქონებრივ სიკეთეზე. ინტერაქციის საშუალებაში იგულისხმება ქონებრივი სიკეთის ბრუნვაუნარიანობა, რაც შესაძლოა განცალკევებულად დაცვის ობიექტადაც კი მოვიაზროთ სახელშეკრულებო კერძო ავტონომიურობის პრინციპის ფარგლებში რაიმე ტიპის შეზღუდვისგან.<sup>185</sup> ასევე, ინტერაქციასა და ბრუნვაუნარიანობას უკავშირდება ზემოხსენებული დამატებითი ორი კრიტერიუმი, კერძოდ, მეორეულ ბაზრებზე ვირტუალური ქონებით ვაჭრობა და ასეთ ქონებაზე ფასის განსაზღვრა, რაც პირდაპირ მიუთითებს ვირტუალური ქონების განკარგვის შესაძლებლობაზე.<sup>186</sup>

თავის მხრივ, გაერთიანებული სახით ეს მახასიათებლები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლშიც იკითხება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი უნდა იყოს ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა, რაც ნათელია, უკავშირდება ზემოაღნიშნულ მახასიათებლებს თანაბარწილად, სწორედ ეს სამი ცნება აყენებს ნივთის მესაკუთრეს, ხოლო, რიგ შემთხვევაში მფლობელს, სხვა მესამე პირებთან მიმართებაში უპირატეს მდგომარეობაში კონკრეტულ ქონებრივ სიკეთეებთან მიმართებაში.

ამრიგად, ნათელია, რომ ვირტუალური ქონება ნაწილობრივ იზიარებს ფიზიკურ სამყაროში არსებული ქონების მახასიათებლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვირტუალურ სამყაროში არსებული კვაზი-მოდრავი თუ უძრავი ნივთები მიეკუთვნება ვირტუალურ ქონებრივ სიკეთეებს, როგორც ვირტუალურ სივრცეში არსებული ობიექტები, თუმცა მათი მოქცევა ნივთების ცნების ქვეშ არ იქნებოდა სამართლებრივად გამართლებული. აქვე, უნდა ითქვას, რომ ვირტუალური ქონების სამართლებრივი კონცეფციის ადრეულ ეტაპზე იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ ვირტუალური ქონება შესაძლოა დაცვის ფარგლებს იძენდეს, როგორც ნივთი და არა

---

<sup>185</sup> *რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ.*, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2019, 205.

<sup>186</sup> *Blazer C.*, The Five Indicia of Virtual Property, *The University of New Hampshire Law Review*, Vol 5, No. 1, 2006, 141-142.

როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. აღნიშნული მნიშვნელოვანია არა უშუალოდ ვირტუალური ქონების დაცვის კუთხით, არამედ, იმიტომაც, რომ ვირტუალური ქონება საწყისი ეტაპებიდანვე მოიაზრებოდა როგორც სანივთო სამართლის შესაძლო ობიექტი.<sup>187</sup> შესაბამისად, გასაზიარებელია რომ ვირტუალური ქონება არის არამატერიალური საგანი, უსხეულო ნივთი,<sup>188</sup> რომელიც იმსახურებს ითვლებოდეს ქონებრივ ობიექტად.

ვირტუალურ ქონებასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იგი საერთოდ არ უნდა ექცეოდეს ქონების ცნების ქვეშ, არამედ განმარტებული უნდა იყოს როგორც ვირტუალური რესურსი, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივებს.<sup>189</sup> თუმცა, ამ მოსაზრების გასამართლებლად საჭიროა არსებობდეს ვირტუალურ სამყაროში არსებული ობიექტებისთვის ინდივიდუალური ნორმატიული მოწესრიგება, მაგალითად, ისევე როგორც ეს არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებისთვის. თავის მხრივ, ინდივიდუალური მოწესრიგების შექმნა, განცალკევებულად მხოლოდ ვირტუალური ქონებისთვის შესაძლოა საჭიროებას არ წარმოადგენდეს, გამომდინარე იქიდან, რომ მისი ტრანსფორმაცია შესაძლებელია არსებული სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებში, როგორც საერთო სამართლის ქვეყნებისთვის, ისე კონტინენტური ევროპისთვისაც.

### 3. ვირტუალური ქონების ობიექტები

ვირტუალური ქონება შეიძლება იყოს ვებგვერდები,<sup>190</sup> ვირტუალური სამყაროსა და კომპიუტერული თამაშების კომპონენტები, ონლაინ განთავსებული წიგნები, მუსიკა,

---

<sup>187</sup> *Epstein R.*, Cybertrespass, *University of Chicago Law Review*, Vol. 70, Issue 1, 2003, 79-82.

<sup>188</sup> *თოთლაძე ლ.*, მუხლი 147, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, წიგნი II, რედ. *ჭანტურია ლ.*, თბილისი, 2018, ველი 4, 2.

<sup>189</sup> *Nelson J. W.*, Virtual Property Problem: What Property Rights in Virtual Resources Might Look like, How They Might Work, and Why They Are a Bad Idea, *McGeorge Law Review*, Vol. 41, 2010, 285-286

<sup>190</sup> ვებგვერდი, როგორც საკუთრების ობიექტი წარმოადგენს პლატფორმასა და მასზე არსებულ მატერიალებს, რომელიც შესაძლოა იყოს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, მაგალითად სასაქონლო ნიშნები ან დიზაინები. მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ვებგვერდის, იგივე საიტის აღრევა მისი დომენის დასახელებაში, როგორც დაცვის ობიექტის, გამომდინარე იქიდან, რომ დომენური სახელი

ფილმები,<sup>191</sup> როგორც ციფრული ფაილები და არა მათთან დაკავშირებული საავტორო/მომიჯნავე უფლებები, კრიპტოვალუტა, სოციალური ქსელების მომხმარებლის ანგარიშები.<sup>192</sup> ამ ჩამონათვალთან ინდივიდუალურად უნდა გამოიყოს კრიპტოვალუტა და არაჩანაცვლებადი ტოკენები (Non-Fungible Token (NFT)), რომელიც თავის თავში ერთგვარი საკუთრების დამადასტურებელ რეესტრსაც მოიცავს.

### 3.1. კრიპტოვალუტა, როგორც ვირტუალური ქონების ობიექტი

#### 3.1.1. განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია (Distributed Ledger Technology)

კრიპტოვალუტაზე, როგორც ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ მოვლენაზე საუბარი შეუძლებელია იმ ტექნოლოგიის გარეშე, რომელიც მის საფუძველს წარმოადგენს. ასეთი ტექნოლოგია კრიპტოვალუტისთვის არის განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია (Distributed Ledger Technology / DLT), რომელიც კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას გულისხმობს, არის განაწილებული, ოპერირებს ერთთანრიგიან (მომხმარებლიდან მომხმარებელთან) ქსელში, არის გამჭვირვალე, სანდო (დადასტურებადი) და წარმოადგენს ყოველგვარი ჩარევისა და გატეხვისგან დაცულ, მდგრად სისტემას.<sup>193</sup> აღსანიშნავია, რომ განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია, როგორც გლობალური ტრანზაქციების განხორციელების მექანიზმი, მოაზრებულია როგორც სამართლებრივი გადაწყვეტების ალტერნატივა.<sup>194</sup> DLT-ის შექმნის მიზანს წარმოადგენდა არსებული საბანკო სისტემის ტრანზაქციების ჩანაცვლება დეცენტრალიზებული სისტემის საშუალებით, რომელზეც გავლენა არ ექნებოდა არც

---

და უშუალოდ საიტი წარმოადგენს ორ განცალკევებულ ობიექტს. დომენური სახელი შესაძლოა დაცული იყოს სასაქონლო ნიშნების დაცვის ფარგლებში. ასევე, იხ. *Hurter E.*, The international domain name classification debate: are domain names 'virtual property', intellectual property, property, or not property at all?, *The Comparative and International Law Journal of Southern Africa* Vol. 42, No. 3, 2009, 289-290.

<sup>191</sup> *Erlank W.*, Books, Apps, Movies and Music – Ownership of Virtual Property in the Digital Library, *European Property Law Journal*, Vol. 2, Issue 2, 2013, 196-200.

<sup>192</sup> *Nekit K.*, Social Media Account as an Object of Virtual Property, *Masaryk University Journal of Law and Technology*, Vol. 14, No. 2, 2020, 211-213.

<sup>193</sup> *Reyes C. L.*, Conceptualizing Cryptolaw, *Nebraska Law Review*, Vol. 96, Issue 2, 2017, 390-391.

<sup>194</sup> *Lehmann M.*, Who Owns Bitcoin? Private Law Facing the Blockchain, *Minnesota Journal of Law, Science & Technology*, Vol. 21, Issue 1, Article 4, 2020, 98.



ბანკებს და არც ხელისუფლებას.<sup>195</sup> ამრიგად, განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია გვთავაზობს კრიპტოგრაფიული ალგორითმებით შედგენილ განაწილებულ ერთთანრიგიან ქსელს, რომელზეც არცერთ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს არ აქვს კონტროლი და რომელშიც შესაძლებელია ტრანზაქციების როგორც განხორციელება, ისე მათი აღსრულება.<sup>196</sup>

ეს ტექნოლოგია, შესაძლოა ითქვას, რომ ამყარებს მოსაზრებას, რომელიც წინამდებარე ნაშრომში და იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა კოდის, როგორც თვითრეგულატორის შესახებ. DLT-ის საშუალებით შესაძლებელია ტრანზაქციების განხორციელება ინტერნეტით, მათ შორის საკუთრებისა და აქტივების გადაცემა საბანკო სისტემის ან სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი კონტროლისა და ჩარევის გარეშე, რაც მიუთითებს იმაზე რომ DLT-ში, როგორც კოდში, მოქმედებს თვითრეგულაცია.<sup>197</sup>

DLT-ის კიდევ ერთი უმთავრესი მახასიათებელი ის არის, რომ მასში ასახული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის შეცვლა, ფაქტობრივად, ურთულესი მოვლენაა.<sup>198</sup> ამ ტექნოლოგიის დაცულობის უკეთესად აღსაქმელად შესაძლებელია შედარებითი ანალიზი ცენტრალიზებულ სისტემებთან მიმართებით. ცენტრალიზებული რეესტრის შემთხვევაში განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია ინახება ცენტრალურ რეესტრში, რომელზეც წვდომა აქვს შესაბამის ავტორიზებულ პირს.<sup>199</sup> ასეთ რეესტრს, რა თქმა უნდა, მრავალი რისკი აქვს, მაგალითად, მონაცემები შეიძლება განადგურდეს, ჰაკერული შეტევის ფარგლებში მარტივად იყოს გატეხვადი და რეესტრში

---

<sup>195</sup> იქვე.

<sup>196</sup> *Reyes C. L.*, Conceptualizing Cryptolaw, *Nebraska Law Review*, Vol. 96, Issue 2, 2017, 391.

<sup>197</sup> *Lehmann M.*, Who Owns Bitcoin? Private Law Facing the Blockchain, *Minnesota Journal of Law, Science & Technology*, Vol. 21, Issue 1, Article 4, 2020, 100.

<sup>198</sup> მიუხედავად ამისა, ფაქტობრივი შეუძლებლობა არ ნიშნავს სრულად დაცულობას. განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიაში შენახული ინფორმაციის შეცვლა შესაძლებელია მაშინ თუ ინფორმაციის ცვლილებას დაეთანხმება რეესტრში ჩართული ყველა მონაწილეთა 51%. აღნიშნულ დათანხმებაში ასევე იგულისხმება ჰაკერული შეტევა. ვრცლად იხ. *Werbach K.*, Trust, But Verify: Why the Blockchain Needs the Law, *Berkeley Technology Law Journal*, Vol. 33, Issue 2, 2018, 505.

<sup>199</sup> *Zetsche D. A., Buckley R. P., Arner D. W.*, The Distributed Liability of Distributed Ledgers: Legal Risks of Blockchain, *University of Illinois Law Review*, Vol. 2018, No. 4, 2018, 1370-1371.

არსებული ინფორმაცია შესაძლოა ჩანაცვლდეს არასწორი მონაცემებით.<sup>200</sup> განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის ფარგლებში, მასში არსებული ყველა მონაცემები ინახება არა ცენტრალური რეესტრის ფარგლებში, არამედ განაწილება ნიშნავს სწორედ იმას რომ რეესტრში ჩართული თითოეული მონაწილე ინახავს განხორციელებული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციას.<sup>201</sup>

### 3.1.2. ბლოკჩეინი

განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ცნობილი მაგალითია ბლოკჩეინი. ბლოკჩეინი შიფრავს მასში განხორციელებულ ყოველ ტრანზაქციას და ანაწილებს მას ტრანზაქციების უფრო პატარა მწყობრად, რომლებსაც ვუწოდებთ ბლოკებს.<sup>202</sup> ყოველი ასეთი ბლოკი ახარისხებს ტრანზაქციებს, ნიშნავს მას დროის შტამპით და აკავშირებს მათ ბლოკჩეინში არსებულ მის წინა ბლოკთან. აქვე, აღსანიშნავია რომ ბლოკჩეინში ახალი ბლოკის დამატება ხდება მხოლოდ მისი ვერიფიცირების შემდეგ.<sup>203</sup> საინტერესოა, რომ ხშირად ბლოკჩეინისა და განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის ურთიერთგაიგივებაც კი ხდება.

არსებობს ორი ტიპის ბლოკჩეინი, საჯარო, იგივე ღია ბლოკჩეინი და კერძო, დახურული ტიპის ბლოკჩეინი.<sup>204</sup> დახურული ბლოკჩეინის შემთხვევაში სულ მცირე საჭიროა ბლოკჩეინის პოლიტიკის განსაზღვრა, თუ ვინ შეძლებს მასში მონაწილეობას. ხოლო, ღია ბლოკჩეინის შემთხვევაში ასეთი საჭიროება არ არსებობს და ნებისმიერ პირს შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება. სწორედ ბიტკოინი ოპერირებს ასეთი ტიპის ბლოკჩეინზე.<sup>205</sup>

---

<sup>200</sup> იქვე, 1371.

<sup>201</sup> იქვე. 1371-1372.

<sup>202</sup> *Reyes C. L.*, Conceptualizing Cryptolaw, *Nebraska Law Review*, Vol. 96, Issue 2, 2017, 391.

<sup>203</sup> იქვე, 392.

<sup>204</sup> *Walch A.*, The Path of the Blockchain Lexicon (and the Law), *Review of Banking & Financial Law*, Vol. 36, 2017, 719-720.

<sup>205</sup> *Zetsche D. A.*, *Buckley R. P.*, *Arner D. W.*, The Distributed Liability of Distributed Ledgers: Legal Risks of Blockchain, *University of Illinois Law Review*, Vol. 2018, No. 4, 2018, 1372-1373.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ქართული პრაქტიკის აღნიშვნა, რომელიც მართალია არაჩანაცვლებად ტოკენებს არ ეხება, თუმცა დაკავშირებულია ბლოკჩეინთან. 2017 წლიდან სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ იყენებს ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს<sup>206</sup> უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების ინფორმაციის შესანახად. ეს მომენტი ხშირად აღრევადია და ჩვეულებრივი მოქალაქისთვის ტოკენებს შთაბეჭდილებას, რომ საჯარო რეესტრი უძრავი ქონების რეგისტრაციას ახორციელებს ბლოკჩეინში ან ბლოკჩეინ ტექნოლოგიების საშუალებით, რაც არ არის მართებული. საჯარო რეესტრი ბლოკჩეინში ათავსებს მხოლოდ იმ კონკრეტულ ინფორმაციას, რომელსაც შესაბამისი ამონაწერი ინახავს ყოველი ტრანზაქციის შემდეგ, იქნება ეს საკუთრების გადაცემა თუ სხვა. ამასთან, ბლოკჩეინს ისედაც არ გააჩნია რაიმე მარეგისტრირებელი ფუნქცია. ამრიგად, უდავოდ შესაძლებელია ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა სიკეთესთან მიმართებაში მათ შესახებ ინფორმაციის დასაფიქსირებლად. ბლოკჩეინის საჯარო მმართველობაში გამოყენების ნათელია მაგალითია ესტონეთი, რომელიც სახელმწიფო მონაცემებს, ელექტრონულ სერვისებსა და მათ შორის ჭკვიან მოწყობილობებს იყენებს როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში.<sup>207</sup>

### 3.1.3. განსხვავება კოინსა და ტოკენს შორის

კოინი (Coin)<sup>208</sup> და ტოკენი (Token)<sup>209</sup> კრიპტოაქტივთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტერმინებია და მათი არევა ან ერთმანეთთან გაიგივება იშვიათი არაა.<sup>210</sup>

---

<sup>206</sup> ვრცლად იხ. <https://napr.gov.ge/p/1544> [19.12.2022]

<sup>207</sup> ვრცლად იხ. - <https://www.grantthornton.ee/en/insights1/estonia-is-at-the-forefront-of-the-worlds-crypto-scene/> [20.03.2023]

<sup>208</sup> ყველაზე ცნობილი და გავრცელებული კოინებია: Bitcoin და Ethereum

<sup>209</sup> მაგალითისთვის ტოკენია: Uniswap, Chainlink და Aave.

<sup>210</sup> *Oliveira L., Zavolokina L., Bauer I., Schwabe G., To Token or not to Token: Tools for Understanding Blockchain Tokens, Zurich Open Repository and Archive, 2018, 5-6.*

კოინი არის კრიპტოვალუტა, რომელიც მიეკუთვნება კონკრეტულ ბლოკჩეინს და მისი გამოყენება სხვა ბლოკჩეინის ფარგლებში შეუძლებელია. კოინის გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებითაა შესაძლებელი, მაგალითად, გაცვლის საშუალებად, ლიკვიდური აქტივის შენახვის საშუალებად ან სააღრიცხვო ერთეულად. კოინის მოპოვება შესაძლებელია მაინინგის საშუალებით და მისი მთავარი უპირატესობაა დეცენტრალიზაცია, შესაბამისად, კოინის გაკონტროლება არ ხდება. ასევე, აღსანიშნავია კოინის დაცულობა კრიპტოგრაფიული დამიფვრის გამო. კოინები ხშირად ლიმიტირებული რაოდენობითაც გამოირჩევიან, რაც ნიშნავს იმას რომ მათი რაოდენობა წინასწარვე ალგორითმულად არის გაწერილი, თუმცა არა ყველა.<sup>211</sup>

ტოკენი, წარმოადგენს ერთგვარ „დაშენებას“ არსებულ სხვადასხვა ბლოკჩეინზე და მისი ოპერირება სრულიად დამოკიდებულია ამ ბლოკჩეინზე. ტოკენის წარმოშობის პროცესს არ ეწოდება მაინინგი, აღნიშნული პროცესი ცნობილია როგორც ტოკენიზაცია. ტოკენის გამოყენების არეალი გაცილებით ფართოა, პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში ის შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც გადახდის საშუალება და პროგრამული უზრუნველყოფის ფარგლებში როგორც პროცესების სამართავი საშუალება. მნიშვნელოვანია, რომ კოინისგან განსხვავებით ტოკენის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა ბლოკჩეინის ფარგლებში.<sup>212</sup>

ამრიგად, კოინი და ტოკენი წარმოადგენს ორ განსხვავებულ მოვლენას კრიპტოსამყაროში, როგორც მათი წარმოშობის, ისე ოპერირებისა და ფუნქციონალური გამოყენების ასპექტების გათვალისწინებით.

### 3.1.4. კრიპტოვალუტის კანონისმიერი სისტემატიზაცია

ტერმინი კრიპტოვალუტა კრიპტოაქტივებისთვის კრებსითი სახელდებაა, რომელიც თავის თავში სხვადასხვა კრიპტო აქტივს მოიცავს. თავის მხრივ, ვალუტაზე მითითება

---

<sup>211</sup> ვრცლად იხ. Coin vs Token: What Is the Difference? ხელმისაწვდომია - <https://coinmarketcap.com/alexandria/article/coin-vs-token:-what-is-the-difference>.

<sup>212</sup> იქვე.

აჩენს ასოციაციას, რომ კრიპტოვალუტა წარმოადგენს ფულის ნაირსახეობას, რაც მცდარი მოსაზრებაა. ფულის კლასიფიკაცია თანამედროვე სამართალურთიერთობებში შესაძლებელია დაიყოს ორ ტიპად, პირველი ეს არის ფიზიკური ფული, ხოლო, მეორე ციფრული ფული. საქართველოს რეგულატორული სივრცისთვის ფულის დეფინიციას იძლევა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონი, რომლის მიხედვით ფულის ნიშნები არის „ეროვნული ბანკისა და სხვა ქვეყნის ემიტენტი დაწესებულებების მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებული ბანკნოტები და მონეტები“. ფულის დეფინიციასთან დაკავშირებით, როგორც გადახდის კანონიერ საშუალებისა, ევროპის კავშირი<sup>213</sup> და ამერიკის შეერთებული შტატებიც<sup>214</sup> მსგავს დეფინიციას იძლევა. შესაბამისად, აღნიშნული დეფინიციების მიხედვით, კრიპტოვალუტა არ წარმოადგენს ფულს არცერთი ქვეყნის მართლწესრიგისთვის გარდა საგამონაკლისო ორი შემთხვევისა, სალვადორისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა.<sup>215</sup>

საგულისხმოა ციფრული ვალუტის საკითხი კრიპტოვალუტასთან მიმართებაში. ციფრული ვალუტა შესაძლოა მოვიაზროთ როგორც იგივე ელექტრონული ფული, რომელიც სხვადასხვა სამართალსივრცისთვის რეგულირებადი გადახდის საშუალებაა. ასეთი ციფრული ფულია ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მიერ ფულის გაციფრულება და შემდეგ მის ტრანზაქციების ქსელში ასახვა, რაც კანონმდებლობით დაშვებულია და წარმოადგენს რეგულირებად ციფრულ ვალუტას. ზოგადად, ვირტუალური ვალუტის სრულად არარეგულირებად ხასიათზე ხაზის გასმა უნდა ჩაითვალოს არასწორად, გამომდინარე იქიდან ციფრული ვალუტის რეგულირება ან

---

<sup>213</sup> Article 128 (1) TFEU: „The European Central Bank shall have the exclusive right to authorise the issue of euro banknotes within the Union. The European Central Bank and the national central banks may issue such notes. The banknotes issued by the European Central Bank and the national central banks shall be the only such notes to have the status of legal tender within the Union. “

<sup>214</sup> 31 USC 5103. Legal tender: United States coins and currency (including Federal reserve notes and circulating notes of Federal reserve banks and national banks) are legal tender for all debts, public charges, taxes, and dues. Foreign gold or silver coins are not legal tender for debts.

<sup>215</sup> ვრცლად იხ. <https://coinmarketcap.com/legal-tender-countries/> [11.02.2023]

იგივე კრიპტოვალუტის რეგულირება შესაძლოა პირდაპირ არ ხდებოდეს, თუმცა მისი რეგულატორულ სივრცეში ასახვა ირიბად მაინც იყოს მოცემული.<sup>216</sup>

#### 3.1.4.1. ბიტკოინი

ბიტკოინი კრიპტოვალუტის მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის საგანს არ წარმოადგენს კრიპტოვალუტის ყველა სახეობის სამართლებრივი ანალიზი.<sup>217</sup> ბიტკოინი ერთ-ერთი პირველი, ყველაზე პოპულარული და ძვირადღირებული კრიპტოვალუტაა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ვირტუალური ვალუტების დასაბამი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში იღებს სათავეს, ხოლო, 1990 წელს პირველი ვირტუალური ვალუტა ჩნდება eCash-ის სახით, რომელიც კომპანია DigiCash-ის ექსპერიმენტი იყო და მან ფუნქციონირება 1999 წელს შეწყვიტა.<sup>218</sup>

უშუალოდ ბიტკოინი 2009 წელს შეიქმნა ანონიმური პირის ან პირთა წრის მიერ, რომლის სახელწოდება სატოში ნაკამოტო (Satoshi Nakamoto). ბიტკოინი არის ვირტუალური ვალუტა, რომელიც ემყარება ერთსაფეხურიან გაცვლით სისტემას (Peer-to-peer) და რომლის მიზანიცაა იყოს სრულიად განაწილებული, ყოველგვარი მაკონტროლებლისა და ზედამხედველობის გარეშე, ასევე, მისი მიზანია რაღაც დონეზე უზრუნველყოს ანონიმური ტრანზაქციები.<sup>219</sup>

ბიტკოინის კომპლექსური სისტემა რამდენიმე ელემენტისგან შედგება, ესენია მაინინგი, ბიტკოინის გამცვლელი ოპერატორები და პირები, რომლებიც იღებენ ბიტკოინს როგორც

---

<sup>216</sup> *გაბისონია ზ.*, ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2022, 404

<sup>217</sup> სხვადასხვა კრიპტოვალუტა მათი ერთეულის ღირებულების, მთლიანად საბაზრო მოცულობისა და სხვადასხვა სტატისტიკის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე - <https://coinmarketcap.com/> (უკანასკნელი წვდომა 12.12.2022)

<sup>218</sup> *Trautman L. J.*, Bitcoin, Virtual Currencies, and the Struggle of Law and Regulation to Keep Pace, *Marquette Law Review*, Vol. 102, Issue 2, 2018, 451.

<sup>219</sup> იქვე, 454.

გადახდის საშუალებას მათი პროდუქტისთვის ან მომსახურებისთვის.<sup>220</sup> ტერმინი მაინინგი (Mining) წარმოადგენს წიაღისეულის მოპოვების ანალოგიურ პროცესს ბიტკოინისთვის, ხოლო, თავად პირს ვინც ბიტკოინს მოიპოვებს ეწოდება მაინერი (Miner), პროცესის სახელდება გამომდინარეობს ბიტკოინის და ბუნებრივი რესურსის მოპოვების მსგავსებიდან.<sup>221</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ ბიტკოინი წარმოადგენს შეზღუდულ რესურსს და მისი მოპოვება ლიმიტირებულია.<sup>222</sup>

ბიტკოინის მოპოვების გარდა, ასევე, შესაძლებელია მისი შეძენა ან გადაცვლა. სწორედ ამ გაყიდვისა და გაცვლის ტრანზაქციების გამცვლელი ოპერატორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბიტკოინის კომპლექსურ სისტემაში. ისინი ამთხვევენ ბიტკოინის შეძენის მსურველისა და გამყიდველის მოთხოვნებს და შემდეგ მათ შორის ახორციელებენ ტრანზაქციებს. მსგავსად საფონდო ბირჟისა, მყიდველს შეუძლია ბიტკოინი შეიძინოს სხვადასხვა ვალუტით.<sup>223</sup>

ბოლოს კი, ბიტკოინის კომპლექსური სისტემისთვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია პირები, რომლებიც საკუთარი პროდუქტისთვის ან მომსახურებისთვის გადახდის საშუალებად იღებენ ბიტკოინს. მიუხედავად იმისა რომ ბიტკოინი, გარდა ზემოთ აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევისა, არცერთი ქვეყნის მართლწესრიგისთვის არ წარმოადგენს აღიარებულ ფულს, მრავალი კომპანია, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს ინტერნეტის საშუალებით, საკუთარ სისტემაში მომხმარებლებისთვის უშვებს შესაძლებლობას, რომ მათ მიერ პროდუქტისთვის ან მომსახურებისთვის საფასური გადახდილი იყოს ბიტკოინის საშუალებით.<sup>224</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ბიტკოინის ფასის ზრდის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სწორედ მისმა

---

<sup>220</sup> *Ly M. K., Coining Bitcoin's "Legal-Bits": Examining the. Regulatory Framework for Bitcoin and Virtual Currencies, Harvard Journal of Law & Technology, Vol. 27, No. 2, 2014, 591.*

<sup>221</sup> იქვე.

<sup>222</sup> ბიტკოინის ზღვრული რაოდენობა გაწერილია მის ალგორითმულ სისტემაში და მისი მაქსიმალური ზღვარი წარმოადგენს 21 000 000 ერთეულს. სულ მოპოვებული ბიტკოინის რაოდენობის ხილვა შესაძლებელია ბმულზე - <https://coinmarketcap.com/currencies/bitcoin/> [12.12.2022]

<sup>223</sup> *Ly M. K., Coining Bitcoin's "Legal-Bits": Examining the. Regulatory Framework for Bitcoin and Virtual Currencies, Harvard Journal of Law & Technology, Vol. 27, No. 2, 2014, 592.*

<sup>224</sup> იქვე.

სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენებამ, რომელსაც ხელს უწყობდნენ ზემოაღნიშნული პირები, თუმცა საბოლოოდ ფასის მნიშვნელოვნად მატება გამოიწვია არა ამ ფაქტორმა, არამედ კრიპტოვალუტის გაცვლის პლატფორმებზე ბიტკოინითა და სხვა კრიპტოვალუტებით აქტიურმა ვაჭრობამ.

#### 3.1.4.2. ბიტკოინის ოპერირების მექანიზმი

ბიტკოინს საფუძვლად უდევს საჯარო გასაღების კრიპტოგრაფია, რომელიც პირებს აძლევს საშუალებას გაგზავნონ ან მიიღონ დაშიფრული შეტყობინებები სრულიად უცხო პირებისგან.<sup>225</sup> საჯარო გასაღების კრიპტოგრაფია, იგივე ასიმეტრიული კრიპტოსისტემა, თავის მხრივ ეფუძნება საბაზისო შიფრაციას. რაღაცის დაშიფვრა ნიშნავს ალგორითმის, თანმიმდევრული პროტოკოლის გამოყენებას, რომლის აღსრულებაც არის პროცესი, რის ფარგლებშიც ტექსტი, რომლის გაგზავნაც სურს გამგზავნს მიმღებისთვის, ტრანსფორმირდება სრულიად წაუკითხავ მონაცემებში. იმისთვის რომ მიმღებმა ასეთი დაშიფრული ტექსტი წაიკითხოს მას სჭირდება გასაღები, რომელიც ტექსტს დაუბრუნებს პირველად ფორმას. სწორედ ასეთი ალგორითმის გასაღებია, საჯარო გასაღები და მისი არარსებობის შემთხვევაში დაშიფრული ტექსტი სრულიად გამოუსადეგარია.<sup>226</sup>

ოპერირების მხრივ, ბიტკოინის ტრანზაქცია ერთი შეხედვით ძალიან ჰგავს საბანკო ტრანზაქციას, თუმცა ფაქტობრივად სრულებით განსხვავდება მისგან. ბიტკოინი, როგორც პროგრამული უზრუნველყოფა, წარმოადგენს ღია პროგრამულ უზრუნველყოფას,<sup>227</sup> რომლის გამოყენებაც ნებისმიერ პირს თავისუფლად შეუძლია,

---

<sup>225</sup> *McJohn S. M., McJohn I., The Commercial Law of Bitcoin and Blockchain Transactions, Uniform Commercial Code Law Journal, Vol. 47, 2017, 189.*

<sup>226</sup> *Jiang W., Public Key Encryption, Georgetown Law Technology Review, Vol. 1, 2016, 105.*

<sup>227</sup> Open-source software - ღია პროგრამული უზრუნველყოფა, იგივე პროგრამული უზრუნველყოფა ღია საწყისი კოდით, წარმოადგენს ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის ტიპს, რომლის საწყისი კოდის ცვლილება, დაშლა და გაფართოება შეუძლია ნებისმიერ პირს ყოველგვარი ლიცენზირებისა და საფასურის გადახდის გარეშე. საწყისი კოდი არის პროგრამული უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მისი მომხმარებლისთვის არ არის აღქმადი. აღნიშნული კოდის ცვლილებით პროგრამისტს შეუძლია შეცვალოს თავად პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობის მექანიზმი. ვრცლად იხ. <https://opensource.com/resources/what-open-source> [20.12.2022]



თუმცა უმეტეს შემთხვევაში პირი, რომელსაც აქვს ბიტკოინი ან ნებისმიერი კრიპტოვალუტა, უპირატესობას ანიჭებს გამცვლელი ოპერატორების მეშვეობით ტრანზაქციების განხორციელებას.<sup>228</sup> ნებისმიერ შემთხვევაში პირმა, რომელსაც სურს სხვა პირისთვის ბიტკოინის გაგზავნა უნდა იცოდეს მიმღების ბიტკოინის საფულის მისამართი, რომელიც წარმოადგენს სწორედ საჯარო გასაღების დერივაციას. სამართლებრივად ტრანზაქციის განხორციელების მომენტში გამგზავნი საკუთარი საჯარო გასაღებით ადასტურებს, გამოხატავს ნებას ტრანზაქციაზე, ხოლო მიმღების საჯარო გასაღებით უთითებს თუ ვის წინაშეა ნება გამოხატული.<sup>229</sup>

### 3.1.4.3. კრიპტოვალუტა, როგორც საკუთრების ობიექტი

ბიტკოინი და ყველა სხვა კრიპტოვალუტა, უმეტესად აღიქმება, როგორც ვირტუალური ფული ან ვირტუალური ვალუტა, რაც არ წარმოადგენს სწორ მოსაზრებას, როგორც ეს ზევით არის განხილული. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია საკითხის გადაწყვეტა - არის თუ არა ბიტკოინი ან ნებისმიერი სხვა კრიპტოვალუტა ქონებრივი სიკეთის ობიექტი.

ამის განსახილველად აღებული უნდა იქნეს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის მიდგომები საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, ასევე, უნდა აღინიშნოს კანადის, სინგაპურისა და ახალი ზელანდიის სასამართლოები, რომლებიც აქტიურად გამოხატავენ მათ გადაწყვეტილებებში მოსაზრებას, რომ კრიპტოვალუტა არის ქონებრივი სიკეთის ობიექტი და არა პირდაპირი გაგებით ფული ან ვალუტა.<sup>230</sup> კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებს ასევე ჰონგ-კონგის სასამართლოც.<sup>231</sup>

---

<sup>228</sup> *McJohn S. M., McJohn I.*, The Commercial Law of Bitcoin and Blockchain Transactions, Uniform Commercial Code Law Journal, Vol. 47, 2017, 190.

<sup>229</sup> იქვე.

<sup>230</sup> *Sarel R.*, Property Rights in Cryptocurrencies: A Law and Economics Perspective, North Carolina Journal of Law & Technology, Vol. 22, Issue 3, 2021, 393.

<sup>231</sup> RE GATECOIN LTD (IN LIQUIDATION) [2023] HKCFI 914; HCCW 18/2019 (31 March 2023)

#### 3.1.4.4. ინგლისის პრაქტიკა

ბიტკოინთან დაკავშირებულ საქმეზე<sup>232</sup> ინგლისისა და უელსის სასამართლოების მიერ დადგინდა, რომ ბიტკოინი წარმოადგენს ქონებას და შესაბამისად უნდა იყოს დაცული.<sup>233</sup> მოცემულ საქმეზე კრიპტო აქტივის არამართლზომიერად დაუფლების გზით, ჰაკერთა ჯგუფმა მოიპოვა კანადური სადაზღვეო კომპანიისგან 109.25 ბიტკოინი, როგორც გამოსასყიდი სადაზღვეო სისტემაზე წვდომისთვის. ამ ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ სადაზღვეო კომპანიამ დაიქირავა კონსულტანტთა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც გადარიცხულ ბიტკოინებს მიაკვლიეს გამცვლელი ოპერატორის Bitfinex-ის საფულეში, აქედან გამომდინარე მოსარჩელეს მოთხოვნილი ჰქონდა უზრუნველყოფის ღონისძიებად განკარგვის აკრძალვა.<sup>234</sup> სასამართლოს მიერ პრობლემურ საკითხად იყო დასმული გარემოება, რომლის მიხედვითაც ბიტკოინი არ ექცეოდა ინგლისური სამართლის ფარგლებში ქონებრივ სიკეთედ, გამომდინარე იქიდან, რომ მისი დეფინიცია პირდაპირ არ იყო არც ნივთი და არც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.<sup>235</sup> თუმცა, ბიტკოინის, როგორც ქონებრივი ობიექტის საკუთრების მიღმა დატოვების მიდგომა სასამართლოს მიერ საბოლოოდ უარყოფილი იყო და ბიტკოინი მიჩნეულ იქნა ქონებად, არა როგორც ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, არამედ როგორც სპეციალური ტიპის ქონებრივი ობიექტი და სასამართლომ შესაბამისად გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>236</sup>

აქვე აღსანიშნია, რომ ინგლისისა და უელსის სასამართლოს ასევე ნამსჯელი აქვს კრიპტოვალუტასთან მიმართებაში უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებასთან დაკავშირებით.<sup>237</sup>

---

<sup>232</sup> AA v Persons Unknown [2019] EWHC 3556

<sup>233</sup> იქვე, ველი 61.

<sup>234</sup> იქვე, ველი 38.

<sup>235</sup> იქვე, ველი 55.

<sup>236</sup> იქვე, ველი 63.

<sup>237</sup> Jahangir Piroozzadeh v Persons Unknown et al [2023] EWHC 1024 (Ch).

### 3.1.4.5. ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არ არსებობს ცალსახა არც სასამართლო და არც საკანონმდებლო გადაწყვეტა იმის შესახებ წარმოადგენს თუ არა კრიპტოვალუტა სანივთო სამართლის ობიექტს, ვალდებულებითი სამართლის ობიექტს თუ ზოგადად ფულს.<sup>238</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ქსელის (Financial Crimes Enforcement Network / FinCEN) დეფინიციის მიხედვით, ვირტუალური ვალუტა არის ვალუტა, რომელიც რიგ შემთხვევებში ოპერირებს როგორც ჩვეულებრივი გადახდის საშუალება, თუმცა მას არ აქვს სამართლებრივად ფულის სტატუსი.<sup>239</sup>

საკითხის ფართო გაგებისთვის მნიშვნელოვანია, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავლების სამსახურის (Internal Revenue Service / IRS) მიდგომა ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, გამომდინარე იქიდან, რომ კრიპტო ვალუტა არ წარმოადგენს გადახდის ოფიციალურ საშუალებას, საგადასახადო მიზნებისთვის კრიპტო ვალუტა არის ქონებრივი ობიექტი.<sup>240</sup> ამასთან დაკავშირებით არსებობდა მოსაზრება, რომ ასეთი მიდგომა გამოიწვევდა კრიპტო ვალუტის მთელ რიგ სირთულეებს საგადასახადო დეკლარაციების შევსების ნაწილში და ასევე, გაართულებდა კრიპტო ვალუტის სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებში გამოყენებას.<sup>241</sup> საბოლოოდ, აღნიშნული მოსაზრებები მხოლოდ ნაწილობრივ გამართლა და კრიპტო ვალუტის განვითარება საგადასახადო მოწესრიგებას არ შეუფერხებია.

არაერთგვაროვანია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიდგომა კრიპტო ვალუტასთან, როგორც ქონებრივ ობიექტთან. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე

---

<sup>238</sup> *Sarel R.*, Property Rights in Cryptocurrencies: A Law and Economics Perspective, North Carolina Journal of Law & Technology, Vol. 22, Issue 3, 2021, 393-394.

<sup>239</sup> *Trautman L.*, Virtual Currencies; Bitcoin & What Now after Liberty Reserve, Silk Road, and Mt. Gox?, Richmond Journal of Law and Technology, Vol. 20, Issue 4, 2014, 3.

<sup>240</sup> *Wiseman A. S.*, Property or Currency? The Tax Dilemma Behind Bitcoin, Utah Law Review, Vol. 2016, No. 2, 419

<sup>241</sup> იქვე.

Currier v. PDL Recovery Grp., LLC<sup>242</sup> სასამართლომ იმსჯელა კრიპტო ვალუტაზე, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, საქმეზე Temurian v. Piccolo<sup>243</sup> სასამართლო იმსჯელობიდან იკითხება, რომ იგი არ ცნობს კრიპტო ვალუტას როგორც საკუთრებას, გამომდინარე იქიდან რომ მისი ბუნება ძალიან ახლოს არის ფულის მახასიათებლებთან.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კრიპტო ვალუტა წარმოადგენს უფრო მეტად აქტივს, რომელიც არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა, ვიდრე რაიმე სხვა ტიპის სამართლებრივ მოვლენას, თუმცა, რა თქმა უნდა, სამომავლოდ მოსალოდნელია, რომ კრიპტო ვალუტასთან დაკავშირებული მოწესრიგება შეერთებული შტატების, ინტერნეტ სამართლისა და ტექნოლოგიური სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე ქვეყნის რეგულატორულ კომპლექსში პირდაპირ აისახება.

#### 3.1.4.6. გერმანიის პრაქტიკა

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიხედვით, კრიპტოვალუტა, კონკრეტულად კი ბიტკოინი, მიჩნეულია როგორც კერძო ფინანსური ინსტრუმენტი.<sup>244</sup> ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კრიპტოვალუტა, როგორც ქონებრივი ობიექტი საჯარო სამართლის მიზნებისთვის არ მოიაზრება.

კერძო სამართლის მიმართულებით, სამწუხაროდ, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არ მოიძებნება გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს კრიპტოვალუტის სამართლებრივ ბუნებაზე სანივთო სამართლის ჭრილში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 90-ე პარაგრაფის მიხედვით, სანივთო სამართლის გაგებით ნივთებად ითვლება მხოლოდ ისეთი ობიექტები რომელსაც ფიზიკური განსხეულება გააჩნიათ.<sup>245</sup> შესაბამისად, კრიპტოვალუტის მესაკუთრე მის კრიპტოვალუტაზე ვერ გამოიყენებს

<sup>242</sup> Currier v. PDL Recovery Grp., LLC, Case No. 14-12179 (E.D. Mich. Feb. 23, 2017).

<sup>243</sup> Temurian v. Piccolo, CASE NO.: 18-CV-62737-SMITH/VALLE (S.D. Fla. Nov. 13, 2019).

<sup>244</sup> *Ibold V.*, Private Geldschöpfung durch virtuelle Währungen, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik 2/2019, 2019, 95-96.

<sup>245</sup> Bürgerliches Gesetzbuch (BGB) § 90.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 903-ე პარაგრაფით განსაზღვრულ უფლებებს, რომელიც, ფაქტობრივად, საკუთრების შინაარს განსაზღვრავს - გამოიყენოს საკუთარი ნივთი მესაკუთრემ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც იგი მესამე პირის უფლებებს არ ლახავს და ასევე, აუკრძალოს მესამე პირებს საკუთრების უფლებაში ჩარევა.<sup>246</sup> შესაბამისად, კრიპტოვალუტაზე საკუთრების გადაცემა გერმანულ სამართალში მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ როგორც რეალაქტი და მასზე დადებული გარიგება ემსგავსება ერთგვარად მოთხოვნის გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილ ურთიერთობას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, კრიპტოვალუტა გერმანულ სამართალში მართებულად მოიაზრება არამატერიალურ ქონებრივ აქტივად (Immaterielle Vermögensgegenstände), გამომდინარე იქიდან რომ მისი დეფინიცია გერმანულ სამართალსივრცეში არ არის მოცემული პირდაპირ როგორც გადახდის საშუალება და მისი ტრანსფორმაციაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან პირდაპირი გაგებით როგორც სანივთო სამართლის ობიექტისა შეუძლებელია. ამ მოსაზრებას ასევე იზიარებს სასამართლო პრაქტიკა.<sup>247</sup>

ნათელია, რომ ვირტუალური მოვლენისთვის საკუთრების გადაცემის ნაწილში შეუძლებელია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 873-ე პარაგრაფის<sup>248</sup>, როგორც მიწის ნაკვეთზე საკუთრების შეძენის (უძრავი ნივთი) და 929-ე პარაგრაფის<sup>249</sup> გამოყენება, როგორც მოძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის ნორმებისა. შესაბამისად, კრიპტოვალუტის გადაცემა წარმოადგენს რეალაქტს, რომელიც მფლობელობის მინიჭების ძალით შემძენს გადასცემს საკუთრებას. კრიპტოვალუტაზე საკუთრების შეძენა ემსგავსება ერთგვარად გარიგების ფარგლებში მოთხოვნის კრედიტორის ჩანაცვლების ურთიერთობას, როდესაც კრიპტოვალუტის შემძენი მის ყოფილ მესაკუთრეს ანაცვლებს კრიპტოვალუტაზე მოთხოვნისა და უფლებების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია

---

<sup>246</sup> იქვე, § 903.

<sup>247</sup> FG Baden-Württemberg Urteil vom 11.6.2021, 5 K 1996/19.

<sup>248</sup> Bürgerliches Gesetzbuch (BGB) § 873.

<sup>249</sup> იქვე, § 929.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 398-ე პარაგრაფით.<sup>250</sup> შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს ეს იქნება განხორციელებული შუამავლის საშუალებით ორი პირის ელექტრონულ საფულეზე თუ ფიზიკური საფულის გადაცემით, რომელზეც განთავსებულია კრიპტო ვალუტა, კრიპტო ვალუტის ფაქტობრივი გადაცემა უნდა ემთხვეოდეს მასზე უფლებების გადაცემის მომენტს და იგი არ უნდა იყოს განხორციელებული ცალ-ცალკე, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია რომ მიმღები კრიპტო ვალუტის ფაქტობრივი მიღების გარეშე იპენდეს მხოლოდ უფლებებს მასზე, რომელიც გარიგების ფარგლებში აღუსრულებელი დარჩეს, ხოლო, გადამცემი კი, მაგალითად, კრიპტო ვალუტის გადაცემის ფარგლებში, შესაძლოა დაცვის ფარგლებს მიღმა დარჩეს თუ გარიგება სამომავლოდ ჩაიშლება და ვერ შეძლოს ვერც კრიპტო ვალუტის უკან დაბრუნება და ვერც მისი ჩანაცვლება ფულადი მოთხოვნის ფარგლებით.

#### 3.1.4.7. საქართველოს პრაქტიკა

ქართულ რეგულატორულ სივრცეში ტერმინი კრიპტოგრაფიული ვალუტა იგივე კრიპტო ვალუტა ან კრიპტოაქტივი საჯარო სამართლებრივი მოწესრიგებისთვის ფართოდ ნაცნობი ტერმინია. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160 I გ) მუხლის მიხედვით, კრიპტოგრაფიული ვალუტა საქონლად არ განიხილება საგადასახადო მიზნებისთვის, ხოლო თავად საქონლის იმავე კოდექსისეული დეფინიციის შესაბამისად, იგი არის მატერიალური ან არამატერიალური ქონება. აქედან გამომდინარე, კრიპტოგრაფიული ვალუტა არ წარმოადგენს მატერიალურ ან არამატერიალურ ქონებას, რაც, რა თქმა უნდა, საგადასახადო მიზნების ფარგლებს მიღმა არამართებულია და მისი გაზიარება არ შეიძლება.

დეფინიციურად კრიპტოაქტივის განმარტებას იძლევა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება №201, რომლის მიხედვით კრიპტოაქტივი „არის ციფრული აქტივი, რომლის შენახვა და გაცვლა ხორციელდება ელექტრონულად, ერთრანგიანი (დეცენტრალიზებული, Peer-to-peer) ქსელით, არ საჭიროებს სანდო

---

<sup>250</sup> იქვე, § 398.

შუამავალს, და ფუნქციონირებს კომპიუტერების ქსელში მომუშავე განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის (Distributed ledger technology) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. კრიპტოაქტივი ღირებულების ციფრული გამოხატულებაა, მისი გამოშვება და გაცვლა ხორციელდება დეცენტრალიზებული კონსენსუსის მექანიზმით ცენტრალური სანდო ემიტენტი და ზედამხედველი/მაკონტროლებელი ორგანოს გარეშე, ხოლო მასზე საკუთრების უფლება დასტურდება კრიპტოგრაფიული მეთოდებით.<sup>251</sup>

მოცემული გადაწყვეტილება ასევე გვაწვდის წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული მაინინგის შესახებ განმარტებას, რომელიც კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლით სიჩქარეს უკავშირებს და უფრო მეტიც, შემდეგ ინფორმაციას იძლევა ბლოკჩეინის შესახებ: „კრიპტოაქტივის მოპოვება გულისხმობს კრიპტოაქტივის პლატფორმის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ახალი სტრუქტურების (ბლოკების) შექმნის საქმიანობას, რომლის შედეგადაც ამ საქმიანობის განმახორციელებელი პირი (მაინერი) ჯილდოვდება კრიპტოაქტივით.“<sup>252</sup> ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სამართლისთვის უნივერსალური დეფინიციის აღება შესაძლებელია საჯარო აქტიდან, რომელიც მიუხედავად იმისა რომ საგადასახადო მიზნებს ემსახურება, იძლევა კრიპტო ვალუტისთვისა და ბლოკჩეინისთვის ამ მიმართულებით სხვა უფრო მეტად განვითარებული ქვეყნების მართლწესრიგისთვის დამკვიდრებული განმარტებების მსგავს დეფინიციებს.

ქართული სამართალსივრცე ასევე იცნობს ტერმინს ვირტუალური აქტივი, რომელიც „ღირებულების ციფრული გამოხატულებაა, რომელიც არის ურთიერთჩანაცვლებადი და არ არის უნიკალური, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემის ან ვაჭრობის საგანს და

---

<sup>251</sup> ვრცლად რეგულატორული მოწესრიგების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება №201, „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“, მუხლი 1 II.

<sup>252</sup> იქვე.

გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების განხორციელების მიზნით.<sup>253</sup> მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული ტერმინი განსხვავდება კრიპტოაქტივისგან, ვირტუალური აქტივი თავის თავში უნდა მოიცავდეს კრიპტოაქტივსაც და შესაბამისად, ნებისმიერი მოწესრიგება რომელიც შეეხება ვირტუალურ აქტივებს გავრცელდება მასზეც. აქვე, ვირტუალური აქტივი არ არის გადახდის კანონიერი საშუალება.<sup>254</sup> ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია დარეგისტრირდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში „ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად.

#### **3.1.4.8. სამოქალაქო სამართლებრივი პერსპექტივა**

განხილული კრიპტო ვალუტის სამართლებრივი ასპექტები ეხება მხოლოდ საჯარო სამართლებრივი მოწესრიგების ფარგლებს. კრიპტო ვალუტას, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ბრუნვის ობიექტს, მხოლოდ კერძო პირებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების ფარგლებში ჯერ-ჯერობით არ განიხილავს ქართული რეგულატორული სივრცე, თუმცა ეს მომენტი სრულიად გასაგებია, ვინაიდან განცალკევებულად კრიპტო ვალუტის, ან ფართო გაგებით ვირტუალური აქტივის ინკორპორაცია, მაგალითისთვის, სამოქალაქო კოდექსში, შორეული პერსპექტივაა. შესაბამისად, კრიპტო ვალუტის სამოქალაქო სამართლის ობიექტად იდენტიფიცირების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული დოქტრინისა და სამართალწარმოების საგანია.

გარკვეულწილად შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსში არსებობდეს მითითება ვირტუალურ ქონებაზე. მაგალითისთვის, სანივთო სამართლის წიგნში ქონების დეფინიციასთან ერთად განისაზღვროს ასევე ვირტუალური ქონების ცნება. თუმცა,

---

<sup>253</sup> დამატებით იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი მუხლი 2 <sup>311</sup>.

<sup>254</sup> იქვე, მუხლი 39<sup>1</sup> I.



საკითხავია, რამდენად არის საჭირო აღნიშნული ჩანაწერის არსებობა მაშინ როდესაც ვირტუალურ ქონების მოქცევა შესაძლებელია არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ქვეშ. თუმცა, არსებული ქონებრივი დიქტომიისგან<sup>255</sup> საგამონაკლისო მაგალითია ჩინეთი, რომლის სამოქალაქო კოდექსშიც პირდაპირ არის მითითება გაკეთებული ვირტუალურ აქტივებზე, რომელმაც ზედაპირული ანალიზით შესაძლოა შექმნას ილუზია, რომ ვირტუალურ აქტივზე საკანონმდებლო ჩანაწერი წარმოქმნის ახალ ქონებრივ უფლებას და ახალ ქონებრივ ობიექტს.<sup>256</sup> ახალი ქონებრივი ობიექტისთვის, რომელიც იწვევს არსებული სანივთო სამართლის დიქტომიის რღვევას, არ არის საკმარისი მხოლოდ საკანონმდებლო ჩანაწერის შექმნა, რომელიც დეფინიციურ დონეზე უშვებს ვირტუალური აქტივის არსებობის შესაძლებლობას, სხვა შემთხვევაში ვირტუალური აქტივი დარჩებოდა ყოველგვარი დაცვის გარეშე და მისი მოწესრიგების ფარგლები ისევ და ისევ განისაზღვრებოდა არსებული ქონებრივი მოწესრიგებით.

ამრიგად, ქართული სამოქალაქო სამართლისთვის კრიპტო ვალუტის, საჯარო მოწესრიგებასთან სისტემატიზაციისთვის კრიპტოაქტივის ქონებრივ ობიექტად განხილვა შესაძლებელია არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ქვეშ. ნათელია, რომ ქართული სამართლისთვის შეუძლებელია პარალელების გავლება არამატერიალურ მოვლენასა და ფიზიკურ სამყაროში არსებულ მოძრავ და უძრავ ნივთებს შორის შეუძლებელია, მათ შორის ჰიპოთეტური დაცვის ფარგლებშიც კი, განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნებისა, რომელთა იურიდიულ ლიტერატურაში მთელ რიგ შემთხვევებში სხვადასხვა ავტორი ავლებს პარალელს ვირტუალურ ქონებასა და მატერიალურ ნივთებს შორის.

---

<sup>255</sup> ქონებრივი დიქტომია თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დუბლირებულია სხვადასხვა მართლწესრიგში და მისი დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად - ქონება, როგორც უძრავი და მოძრავი ნივთები და ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები.

<sup>256</sup> ილუზორული შედეგი განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ პირდაპირი ჩანაწერი და მითითება ტექნოლოგიურ სიახლეზე არ ნიშნავს ახალი მოწესრიგების შექმნას მისთვის. ვრცლად იხ. *Zhang Q., Study on Legal Attribute of the Network Virtual Property, Advances in Social Science, Education and Humanities Research, Vol. 300, 2018, 477-478.*

კრიპტოაქტივზე საკუთრების გადაცემა ქართული სამართლისთვის სრულად ექცევა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის ფარგლებში. პრობლემატიკას წარმოადგენს ტრანზაქციის ანონიმურობა, რომელიც კერძო პირთა შორის კრიპტოაქტივის ნასყიდობის ფარგლებში განსაკუთრებულად ურთულეს კრედიტორს მოთხოვნის განხორციელებას ისეთ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას. ამას განაპირობებს ორი გარემოება, პირველი ეს არის კერძო სამართლებრივ სივრცეში კრიპტოაქტივის, როგორც ქონებრივი სიკეთის დეფინიციის არ არსებობა<sup>257</sup> და მეორე, საერთო სასამართლოების არაეფექტურობა ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა პლატფორმიდან ეფექტურად ინფორმაციის გამოთხოვაში.

ქართული სამოქალაქო ბრუნვისთვის, მიუხედავად იმისა რომ ვირტუალური ქონება და მათ შორის კრიპტო ვალუტა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონეა, სამწუხაროდ მასთან დაკავშირებული სამართალწარმოება, რომელიც შინაარსობრივად მსჯელობის საშუალებას შექმნიდა, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს.

### 3.2. არაჩანაცვლებადი ტოკენები (NFT)

Non-Fungible Token (NFT) იგივე არაჩანაცვლებადი ტოკენია, რომლის სახელდების მიღმა საჭიროა დამატებითი შინაარსობრივი განმარტება. ნებისმიერი პირისთვის, რომელიც კონკრეტულ ტექნოლოგიურ მოვლენას არ იცნობს, ამ აბრევიატურით ან თუნდაც დასახელებით სიცხადე არ ეფინება უშუალოდ ამ ციფრული მოვლენის რაობას. არაჩანაცვლებადი ტოკენი არის ციფრული აღრიცხვის ჩანაწერი, რომელიც ძირითადად მიუთითებს და აიდენტიფიცირებს ვირტუალურ აქტივს, რაც შეიძლება იყოს ფოტო, გრაფიკული გამოსახულება, ვიდეო, ვირტუალურ სამყაროში არსებული ნივთები, მათ შორის მიწის ნაკვეთებიც კი და სხვა.<sup>258</sup> აქედან გამომდინარე, არაჩანაცვლებადი ტოკენი ერთგვარ რეესტრსაც კი შეიძლება შევადაროთ, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას

---

<sup>257</sup> პრობლემურია უშუალოდ არა კრიპტოაქტივის როგორც ქონებრივი ობიექტისა და მისი ღირებულების განსაზღვრა, არამედ მასთან დაკავშირებული უფლებრივი პოზიციონირება, კერძოდ, როგორ ადასტურებს მესაკუთრე მასზე ქონებრივ უფლებას და ამ უფლების ლეგიტიმურობას.

<sup>258</sup> *Thompson C.*, The Untold Story of the NFT Boom, The New York Times, 2021. ონლაინ - <https://www.nytimes.com/2021/05/12/magazine/nft-art-crypto.html> [15.12.2022]

კონკრეტული ვირტუალური ქონებისა და წარსულში მისი მესაკუთრეების შესახებ, თუ ვინ იყვნენ ისინი.

არაჩანაცვლებადი ტოკენის ჩანაწერი, რომელიც შეიცავს კონკრეტული ტიპის ინფორმაციას, ინახება ბლოკჩეინზე და მისი ჩანაცვლება არასდროს არ ხდება მსგავსი ტიპის ჩანაწერით. დასახელებაში არაჩანაცვლებადი სწორედ ამას გულისხმობს, რაც ასევე მას განასხვავებს კრიპტოვალუტისგან, მათ შორის ყველაზე ცნობილი ბიტკოინისგან და ფიზიკურ სამყაროში არსებული ფულადი საშუალებებისგან, რომელიც თავისი ბუნებით ჩანაცვლებადია და არ ახასიათებთ რაიმე ინდივიდუალური მახასიათებელი, გარდა საადრიცხვო ნუმერაციისა.<sup>259</sup> 2021 წლის მონაცემებით ყველაზე ძვირადღირებული არაჩანაცვლებადი ტოკენი, რომელიც რეალურად გაყიდულა<sup>260</sup> და სამოქალაქო ბრუნვის ნაწილი გამხდარა “Everydays”-ია, რომელიც 2021 წელს 69.3 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.<sup>261</sup>

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ არაჩანაცვლებადი ტოკენები ყველაზე ხშირად აღრევადია იმ აქტივთან, რომლის შესახებაც უშუალოდ ტოკენი ინახავს ინფორმაციას. სწორედ ამიტომ, ყველაზე ხშირად არაჩანაცვლებად ტოკენებზე საუბრისას იგულისხმება უშუალოდ რაიმე ტიპის ვირტუალური საკუთრება, რაც შეცდომაა. არაჩანაცვლებადი ტოკენი არის ამ აქტივის შესახებ ინფორმაცია და თავის თავში არ მოიცავს უშუალოდ მას.

აღამიანები, რომლებიც არაჩანაცვლებადი ტოკენების პოპულარიზაციას ეწეოდნენ, ხშირად მას მოიაზრებდნენ როგორც ვირტუალური საკუთრების მომავლად და წინასწარმეტყველებდნენ დღეს, როდესაც სახელმწიფო დაკარგავდა იმ ძალაუფლებას რომლითაც იგი უფლებამოსილია ფულადი ემისიების კონტროლზე და საკუთრების

---

<sup>259</sup> *Chohan U.*, Non-Fungible Tokens: Blockchains, Scarcity and Value, Critical Blockchain Research Initiative (CBRI) Working Papers, 2021, 2

<sup>260</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არაჩანაცვლებადი ტოკენების ღირებულება სხვადასხვა საერთაშორისო აუქციონზე რეალიზებულია და მათი შეფასება მხოლოდ მათი შემქმნელების მიერ მინიჭებული ღირებულება არ არის, რომელსაც რეალურად შემძენი არ ჰყავს.

<sup>261</sup> *Dickens S.*, The top five most expensive NFT purchases in 2021, Yahoo Finance, 2021. იხ. ონლაინ - <https://finance.yahoo.com/news/top-five-most-expensive-nft-150249487.html> [03.11.2022]

დაცვაზე. თავის მხრივ, ამას ამყარებდა ისიც, რომ უდიდესი ფინანსური კომპანიები თავადვე ხელს უწყობდნენ არაჩანაცვლებადი ტოკენების გამოყენებას ფასიანი ქაღალდებისთვის, ინდუსტრიული აქტივებისთვის და უძრავი ქონებისთვისაც კი.<sup>262</sup> თუმცა, არაჩანაცვლებადი ტოკენების კრიპტო სამყაროში დომინირება, როგორც მომავლის პროდუქტისა დიდხანს არ გაგრძელდა. 2022 წლის ბოლოსთვის, სამოქალაქო ბრუნვაში არსებული არაჩანაცვლებადი ტოკენების თითქმის სრულმა უმრავლესობამ 99%-იანი ფასის ვარდნა განიცადა და, ფაქტობრივად, დაკარგა ინტერესი, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების, ისე მსხვილი კომპანიების მხრიდან.<sup>263</sup>

სამართლებრივი პერსპექტივა აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას ასევე არც ისე დამაიმედებელია. არაჩანაცვლებადი ტოკენები, როგორც ინფორმაციის სრული და უტყუარი მატარებელი, რომლის ჩანაწერიც მიუთითებს ვირტუალურ სამყაროში არსებულ ნივთებსა და მათ მესაკუთრეებზე ფუნქციონალობის მხრივ ამ ეტაპზე არ შეიძლება მივიჩნიოთ ფიზიკურ სამყაროში არსებული უფლებრივი ტრანზაქციების სრულ ჩამნაცვლებლად, თუმცა უდავოა, რომ როგორც ტექნოლოგიური მიღწევა მისი გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ სამართლებრივი თვალსაწიერიდან, არამედ სახელმწიფო მართვის კუთხითაც.

ტექნოლოგიურ სამართალში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სანივთო უფლებები არის ძირითადად ინფორმაცია, ხოლო სანივთო სამართლის სისტემები კი არის ის მეთოდები, რომლის მიხედვით საკუთრებასა და მასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ხდება.<sup>264</sup> ნებისმიერი სანივთო უფლება ინფორმაციის გარეშე არანაირი ღირებულების მატარებელი არ არის და დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაციულ, აბსტრაქტულ და არაიდენტიფიცირებად

---

<sup>262</sup> *Moringiello J., Odinet C., The Property Law of Tokens, University of Iowa Legal Studies Research Paper No. 2021-44, 2021, 1*

<sup>263</sup> ვრცლად იხ. - <https://www.theartnewspaper.com/2023/03/10/the-nft-bubble-has-popped-but-theres-still-untapped-potential-in-digital-art> [04.05.2023]

<sup>264</sup> *Fairfield J., Bitproperty, Southern California Law Review, Vol. 88, 2015, 844.*

უფლებამდე. შეუძლებელია კონკრეტულ პირს ჰქონდეს საკუთრება იმაზე, რაც არაიდენტიფიცირებადია, იქნება ეს მოძრავი ნივთი, უძრავი ნივთი თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.<sup>265</sup> შესაბამისად, არაჩანაცვლებადი ტოკენები შეიძლება მოვიაზროთ სწორედ ასეთი ინფორმაციის მატარებლად, რომელიც შესაძლოა მიკუთვნებული იყოს სხვადასხვა ობიექტზე.<sup>266</sup>

### 3.2.1.1. საავტორო უფლებებისა და NFT-ის გამიჯვნა

როგორც აღინიშნა, არაჩანაცვლებადი ტოკენი ყველაზე ხშირად მოცემულია რაიმე ობიექტის სახით, რომელიც შესაძლოა გამოხატული იყოს როგორც ვიზუალურად, ისე აუდიო ფაილის სახით. ორივე წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს და შესაბამისად, ჰყავს ავტორი, რომელმაც შექმნა ვიზუალური ან აუდიო ნაწარმოები.<sup>267</sup> თუმცა, არაჩანაცვლებად ტოკენს ჰყავს მესაკუთრე, რომელსაც შესაძლოა სულ არ შეუქმნია აღნიშნული ტოკენის ვიზუალური ან აუდიო ინტერპრეტაცია. ამ ფაქტმა შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენცია საავტორო უფლების მფლობელსა და NFT-ის მესაკუთრეს შორის. არსებობს მოსაზრება, რომ როდესაც ხდება არაჩანაცვლებადი ტოკენის შექმნა იმ ობიექტთან ერთად, რომელზეც იგი არის მიბმული შემძენი ასევე

---

<sup>265</sup> შეუძლებელია არაიდენტიფიცირებად ქონებაზე პირს ჰქონდეს საკუთრების უფლება. მხარეები ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტრანზაქციასთან დაკავშირებით სულ მცირე უნდა აიდენტიფიცირებდნენ და რაიმე მახასიათებლით უთითებდნენ ტრანზაქციის ობიექტის შესახებ ინფორმაციას, სხვა შემთხვევაში არაიდენტიფიცირებადი ქონების მიმღები ყოველთვის დაუცველი იქნებოდა და რიგ შემთხვევებში მას შედაგების უფლებაც კი მოესპობოდა, მაგალითად, ნაკლოვანი შესრულების დროს. აღნიშნულზე ასევე მიუთითებს როგორც ქართულ სამართალში, ისე გერმანულ სამართალში არსებული პრინციპი სამომავლო ქონებაზე, რომელიც რაიმე სახით უნდა იყოს იდენტიფიცირებადი. ვრცლად იხ. *შოთაძე თ.*, სამომავლო საკუთრების უფლების აღიარების პრობლემები ქართულ მართლმსაჯულებაში, სამართალი და მსოფლიო, N2, 2015, 71-72.

<sup>266</sup> ტოკენი და ობიექტი, რომელზეც მისი მიკუთვნება ხდება არ იქმნება თანადროულად. არაჩანაცვლებადი ტოკენის შემთხვევაში ჯერ იქმნება ობიექტი, რის შემდეგაც ხდება მისი ტოკენიზაცია და საბოლოო ჯამში მიიღება არაჩანაცვლებადი ტოკენი, რომელიც პირისთვის აღქმადია გამოსახულების, აუდიო ფაილის ან სამაგანზომილებიანი მოდელის სახით.

<sup>267</sup> 1886 წელს მიღებული ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის მიხედვით “ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები” მოიცავს ყველა ნამუშევარს ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში, მისი გამოხატვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად.

იღებს ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ამ ობიექტზე,<sup>268</sup> თუმცა ეს მოსაზრება მცდარია. გამომდინარე იქიდან, რომ NFT და ინტელექტუალური საკუთრების, კონკრეტულად საავტორო უფლების ობიექტი ორი დამოუკიდებელი ობიექტია, მათზე სამართლებრივი სტატუსიც განსხვავდება საკუთრების მხრივ და შესაბამისად, მხოლოდ NFT-ის შექმნა არ გულისხმობს იმ საავტორო უფლების ობიექტზე საავტორო უფლებების შექმნას, რომელზეც იგი არის მიკუთვნებული.<sup>269</sup> ამრიგად, NFT-ის შექმნა საავტორო უფლებების ჭრილში უფრო მეტად ემსგავსება ფიზიკურ სამყაროში იმ მატარებლის შექმნას, რომელზეც გამოხატულია საავტორო უფლების ობიექტი, მაგალითად, ფერწერული ნაწარმოები, რომელიც შესრულებულია ტილოზე ან ქაღალდზე. რა თქმა უნდა, მისი შექმნით შემქმნი იძენს საკუთრების უფლებას მხოლოდ ამ ობიექტზე და არა მთლიანად საავტორო უფლების ობიექტზე.<sup>270</sup>

ამრიგად, არაჩანაცვლებადი ტოკენი და ის საავტორო უფლების ობიექტია, რომელზეც აღნიშნული ტოკენი არის მიკუთვნებული. შესაბამისად, იგი წარმოადგენს ორ დამოუკიდებელ უფლებრივ ობიექტს და NFT-ის შემქმნი ავტომატურად ვერ ხდება საავტორო უფლების ობიექტზე უფლების მფლობელი თუ ეს დამატებითი შეთანხმების საგანი არ არის.

### 3.2.1.2. ტოკენიზებული ქონება

ერთი შეხედვით რთულად წარმოსადგენი უნდა იყოს უძრავი ქონების ისეთ ვირტუალურ მოვლენასთან დაკავშირება როგორცაა ტოკენი და ბლოკჩეინი. ეს ფენომენი ხასიათდება ორი მიმართულებით, ტოკენიზებული უძრავი ქონება, რომელიც ვირტუალურ

---

<sup>268</sup> *Vijayakumaran A.*, NFTs And Copyright Quandary, *Journal of Intellectual Property, Information Technology, and E-Commerce Law*, Vol 12, Issue 5, 2021, 408.

<sup>269</sup> იქვე, 409.

<sup>270</sup> იქვე.

სამყაროში არსებობს<sup>271</sup> და ტოკენიზებული უძრავი ქონება, რომელიც რეალურ სამყაროში არსებობს.<sup>272</sup>

ვირტუალური უძრავი ქონების შემთხვევაში ნათელია, რომ ტოკენი ასრულებს საკუთრების უფლების უზრუნველყოფის საშუალების ფუნქციას. გამომდინარე იქიდან რომ ვირტუალურ სამყაროში მნიშვნელოვანია ღირებულების მქონე აქტივზე<sup>273</sup> საკუთრების უფლება რაიმე სახით იყოს დაფიქსირებული, ტოკენიზაცია ამისთვის ნამდვილად ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ინსტრუმენტად შეიძლება იყოს მიჩნეული.

ზემოგანხილული მოვლენისგან განსხვავებით, ასევე შესაძლებელია ფიზიკურ სამყაროში არსებული უძრავი ქონების ტოკენიზაცია. უძრავი ქონება, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული აქტივი, ხშირად შესაძლოა საკუთრების გადაცემის ტრანზაქციის ფარგლებში სირთულეებთან, ზედმეტ ხარჯებთან და ინფორმაციის გადამოწმების ხანგრძლივ პროცესებთან იყოს დაკავშირებული.<sup>274</sup> უძრავი ქონების ტოკენიზაციის ფარგლებში შესაძლებელია როგორც კომერციული დანიშნულების უძრავ ქონებაზე უფლებების ტოკენიზაცია,<sup>275</sup> ასევე, საცხოვრებელი დანიშნულების უძრავი ქონების ტოკენიზაცია.<sup>276</sup> ქართული სამართლისთვის აღნიშნულ გამიჯვნას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ტოკენიზაციის ფარგლებში და შესაძლოა

---

<sup>271</sup> მაგალითისთვის, ერთ-ერთ მეტასამყაროში Decentraland შესაძლებელია ტოკენიზებული უძრავი ქონების - მიწის ნაკვეთის ყიდვა, რომელზეც საკუთრების უფლება წარმოიშობა ვირტუალურ სამყაროში. ვრცლად იხ. <https://decentraland.org/> [22.11.2022]

<sup>272</sup> ტოკენი შესაძლოა ატარებდეს ჩანაწერს საკუთრების შესახებ. ვრცლად იხ. *Konashevych O.*, General Concept of Real Estate Tokenization on Blockchain, *European Property Law Journal*, Vol. 9 (1), 2020, 26.

<sup>273</sup> *ქორჟოლიანი გ.*, ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2019, 2019, 27.

<sup>274</sup> *Mkrtchyan C.*, Tokenization of Real Estate: Revolutionizing Real Estate through Digitalization and Reduced Market Barriers, *USC Gould's Business Law Digest*, 2019, ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://lawforbusiness.usc.edu/tokenization-of-real-estate-revolutionizing-real-estate-through-digitalization-and-reduced-market-barriers/> [10.02.2023]

<sup>275</sup> *Smith J., Vora M., Benedetti H., Yoshida K., Vogel Z.*, Tokenized Securities & Commercial Real Estate, MIT Digital Currency Initiative, Working Group Research Paper, 2019, 15.

<sup>276</sup> *Swinkels L.*, Empirical evidence on the ownership and liquidity of real estate tokens, *Financial Innovation*, Vol. 9, Article 45, 2023, 4.

ტოკენიზაცია გენერალური ფარგლებით მოვიაზროთ ეროვნული მართლწესრიგისთვის ზოგადად უძრავ ქონებასთან მიმართებით.

ამრიგად, უძრავი ქონების ტოკენიზაცია გულისხმობს საკუთრების უფლების გაციფრულებას<sup>277</sup> და მის შესახებ ინფორმაციის ტოკენის სახით ასახვას, რომელიც თავის მხრივ, ბლოკჩეინში იქნება მოცემული. ტოკენიზებული უძრავი ქონება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საინვესტიციო მიზნებისთვის. ასეთი ინვესტიციის მთავარი უპირატესობა ის არის რომ შუამავალი კომპანიის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ ახორციელებს უძრავი ქონების ტოკენიზაციას, ინვესტორს მარტივად შეუძლია უძრავ ქონებაზე ტრანზაქციის განხორციელება, მაგალითად, უძრავი ქონების ტოკენზე საკუთრების სრული ან ნაწილობრივი შეძენა. შემდეგ კი ამავე შუამავლის საშუალებით ტოკენის მესაკუთრეს შეუძლია ავტომატურად მიიღოს ის ეკონომიკური სარგებელი, რომელიც, მაგალითად, იმ უძრავი ქონების გაქირავებიდან გენერირდება, რომელზეც ტოკენია მიბმული.<sup>278</sup> ასევე, მესაკუთრეს ინტერნეტის გამოყენებით და ბლოკჩეინის საშუალებით სრულიად დისტანციურად შეუძლია მიიღოს ინფორმაცია უძრავი ქონების მდგომარეობის, სარემონტო სამუშაოებისა და სხვა დეტალების შესახებ.<sup>279</sup>

ზემოგანხილული უძრავი ქონების გარდა, ასევე შესაძლებელია მოძრავი ქონების, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტოკენიზაცია.<sup>280</sup>

---

<sup>277</sup> როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე ნაშრომში, უშუალოდ ფიზიკურ სამყაროში არსებული საკუთრების ობიექტის გაციფრულება შეუძლებელია, სულ მცირე ისე რომ მან შეინარჩუნოს თავდაპირველი სახე.

<sup>278</sup> *Moringiello J. M., Odinet C. K., Blockchain Real Estate and NFTs, William & Mary Law Review, Vol. 64, Issue 4, 2023, 1169.*

<sup>279</sup> იქვე.

<sup>280</sup> *Vitelaru E., Persia L., Fractional Vehicle Ownership and Revenue Generation Through Blockchain Asset Tokenization, Transport and Telecommunication Journal, Vol. 24, Issue 2, 2023, 122-123.*



## 4. ვირტუალური ქონების დაცვა

ვირტუალური ქონება, როგორც არაერთხელ აღინიშნა, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებული ეკონომიკური ღირებულების მატარებელი გახდა.<sup>281</sup> სწორედ ამიტომ, გაუმართლებელია ვირტუალური ქონება შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის გარეშე არსებობდეს და მითუმეტეს მას არ ჰქონდეს ადეკვატური სამართლებრივი დაცვის ფარგლები.

### 4.1. სანივთო დაცვა

რიგ შემთხვევებში, ვირტუალურ სამყაროში სანივთო ან ნებისმიერი ტიპის სამართლებრივი დაცვის არსებობა აზრს და პრაქტიკულ შესაძლებლობასაა მოკლებული, გამომდინარე უშუალოდ ვირტუალური სამყაროს ბუნებიდან ან საწყისი კოდის „უუნარობიდან“.<sup>282</sup> ასეთი შემთხვევები ძირითადად გვხვდება მაშინ, როდესაც ვირტუალური სამყაროს ფარგლებში მონაწილეების მთავარი დანიშნულება სწორედ ერთმანეთის ვირტუალურ საკუთრებაზე ზემოქმედებაა. თუმცა, ამ საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ვირტუალური ქონების სამართლებრივი დაცვა ისევე უნდა მოხდეს როგორც ეს ფიზიკურ სამყაროში ხდება.

მსჯელობის ფარგლებში განხილულ უნდა იქნეს *rei vindicatio* და *actio negatoria*, მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალური ქონების ობიექტები პირდაპირი გაგებით არ ექცევა ნივთის ცნებაში. ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელების გამოყენება ვირტუალურ ქონებასთან მიმართებაში შესაძლებელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც

---

<sup>281</sup> მაგალითისთვის, სხვადასხვა ვირტუალურ სამყაროში ვირტუალური ქონება, კერძოდ კი მიწის ნაკვეთები რამდენიმე მილიონად გაყიდულა, ვრცლად იხ. <https://markets.businessinsider.com/news/currencies/metaverse-property-sandbox-virtual-real-estate-deal-record-4-million-2021-11> [21.12.2022] და <https://www.reuters.com/markets/currencies/virtual-real-estate-plot-sells-record-24-million-2021-11-23/> [21.12.2021]

<sup>282</sup> აღნიშნულ შემთხვევაში უუნარობა გულისხმობს კოდში წინასწარ გაწერილ შესაძლებლობებს თუ რისი განხორციელება შეუძლიათ იმ პირებს, რომელიც კონკრეტულ პლატფორმაზე იმყოფებიან, რაც ძირითადად ნეგატიური სახით არის გამოხატული და მოიცავს მრავალ შეზღუდვას, რომელიც კოდის მიხედვით შეუძლებელია პლატფორმაზე არსებობდეს.

ვირტუალური ქონება ცალსახად მის მესაკუთრეს ეკუთვნის და ეს არ არის ვირტუალურ სამყაროში არსებული ილუზია საკუთრების შესახებ, რომლის მიხედვითაც რეალურად ქონების მესაკუთრე არა კონკრეტული პირი, არამედ ვირტუალური სამყაროს ოპერატორია.<sup>283</sup> ორივე სარჩელის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვირტუალური ქონებისთვის დადასტურდეს მასზე საკუთრების უფლება. საკუთრების დამადასტურებელი ფუნქციის მატარებელი შესაძლოა იყოს არაჩანაცვლებად ტოკენებზე არსებული ინფორმაცია ან ბლოკჩეინში არსებული ინფორმაცია, რომელიც სასარჩელო წარმოების ეტაპზე იგივე ფუნქციას შეასრულებს, რასაც რეესტრიდან ამონაწერი შეასრულებდა, ხოლო, ისეთ შემთხვევაში როდესაც საკუთრების უფლების მსგავსი დადასტურება შეუძლებელია, მოსარჩელე მხარემ უნდა წარმოადგინოს ვირტუალური ქონების გადაცემის შესახებ ტრანზაქციის ინფორმაცია. საგულისხმოა, რომ ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 285-ე პარაგრაფის ფართო დეფინიციის მიხედვით პირის მიერ ნებისმიერი კონტროლირებადი აქტივი მოიაზრება ნივთად, შესაბამისად ვირტუალური ქონებაც არაპირდაპირი გაგებით შესაძლებელია სანივთო ცნებაში მოექცეს,<sup>284</sup> რაც აბსოლუტურად გასაზიარებელია. ასევე, გასათვალისწინებელია ლუქსემბურგის მიდგომა, რომელიც პირდაპირ შესაძლებელს ხდის არამატერიალური ნივთის უკან დაბრუნებას ვინდიკაციური მოთხოვნის მსგავსი საშუალებით, ლუქსემბურგის კომერციის შესახებ კოდექსის მიხედვით.<sup>285</sup>

სანივთო დაცვასთან მიმართებაში არაჩანაცვლებად ტოკენებს რთულია მივანიჭოთ ისეთი მნიშვნელობა, თითქოს ისინი ვირტუალური ქონების მესაკუთრეთათვის განსაკუთრებულ სამართლებრივ პოზიციონირებას ახდენენ. ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელების მხრივ NFT შეუძლებელია მოგვევლინოს სამართალწარმოების დამატებით ინსტრუმენტად, როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტი. მას აქვს

---

<sup>283</sup> *Erlank W.*, Finding Property in New Places – Property in Cyber and Outer Space, *Potchefstroom Electronic Law Journal*, Vol. 18, No. 5, 2015, 1782-1783.

<sup>284</sup> *Takahashi K.*, Cryptocurrencies Entrusted to An Exchange Provider: Shielded from the Provider’s Bankruptcy?, *Annual Banking Law Update 2018: Recent Legal Developments of Special Interest to Banks*, *Eds. Hugo C., Juta*, Johannesburg, 2018, 16.

<sup>285</sup> იქვე, 16-17.

მხოლოდ მტკიცებულების ძალა, რომელიც საპროცესო ფორმალურობის მიღმა შეიძლება მივიჩნიოთ როგორც უდავო ციფრული (წერილობითი) მტკიცებულება. თავის მხრივ, არაჩანაცვლებადი ტოკენები ისედაც არ ქმნის რაიმე განსაკუთრებულ დაცვას იმ ობიექტის მესაკუთრისთვის, რომლის შესახებაც ისინი ატარებენ ინფორმაციას. მეტიც, ნებისმიერი ისეთი ობიექტი, რომელსაც აქვს განკუთვნილი არაჩანაცვლებადი ტოკენი, შეიძლება ყოველგვარი სირთულის გარეშე იყოს გადმოწერილი ან/და შენახული მესამე პირის მიერ,<sup>286</sup> რაც აღიქმება, არა როგორც ვირტუალური ქონების ხელყოფად, არამედ როგორც ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფად და დაიყვანება ინტელექტუალური საკუთრების მომწესრიგებელ და დამცავ ნორმებზე.<sup>287</sup>

სამართლებრივად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ვირტუალურ სამყაროში ვინდიკაციური ან ნეგატორული სარჩელის შედეგად სამართალწარმოების შედეგის აღსრულების საკითხი. იძულებითი აღსრულება შეუძლებელია ვირტუალური პლატფორმის ოპერატორის ჩარევის გარეშე, გამომდინარე იქიდან რომ ვირტუალურ სამყაროში არ არსებობს სპეციალური ადმინისტრაციული ორგანო, ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანო, რომელიც იძულებით აღსრულებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი.<sup>288</sup> შესაბამისად, მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად იმ მართლწესრიგისთვის, რომელშიც მოწესრიგებული იქნება ვირტუალური საკუთრების საკითხები, აუცილებელია არსებობდეს ნორმატიული საფუძველი, რომელიც ვირტუალური სამყაროს ოპერატორებს დაავალებს შექმნან ვირტუალური სამყაროს ფარგლებში შესაბამისი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმები.

---

<sup>286</sup> *Morse J.*, NFT owners insist they're totally not owned by 'right-click savers', Mashable, 2021, ხელმისაწვდომია ონლაინ -<https://mashable.com/article/non-fungible-tokens-nfts-right-click-save> [04.01.2022]

<sup>287</sup> *Carroll R.*, NFTs: The Latest Technology Challenging Copyright Law's Relevance Within a Decentralized System, *Fordham Intellectual Property, Media and Entertainment Law Journal*, Vol. 32, No. 4, 2022, 994-995.

<sup>288</sup> ოპერატორის ჩარევის გარდაუვალობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს და ამყარებს წინამდებარე ნაშრომში განვითარებულ მსჯელობას ინტერნეტ სივრცეში ოპერირებადი პლატფორმების კვაზი სუვერენიტეტის შესახებ.

## 4.2. დელიქტური დაცვის პერსპექტივა

რიგ შემთხვევებში უშუალოდ ვირტუალური ქონების ბუნებიდან გამომდინარე ან არსებული სამართლებრივი მოწესრიგების ტრანსფორმაციის შეუძლებლობით ვირტუალურ ქონებასთან მიმართებაში ხშირად საერთოდ შეუძლებელია ვირტუალური საკუთრების ობიექტების დაცვა სანივთო ფარგლებში. ასევე, შეიძლება საერთოდ ვერ დადგინდეს კონკრეტული პირის საკუთრების უფლება ვირტუალურ ქონებაზე.<sup>289</sup> ეს უკანასკნელი შემთხვევა კანონისმიერი ვალდებულებითი მოთხოვნების შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი პრობლემურობით გამოირჩევა, გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნის წარმოშობა ყველა შემთხვევაში პირის სამართლებრივ პოზიციონირებაზე დამოკიდებული კონკრეტულ ქონებრივ ობიექტთან მიმართებაში.

დელიქტური სამართლის მიზანი კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართლისთვის ერთი და იგივეა, უზრუნველყოს ერთი პირის მიერ მეორე პირისთვის ბრალეული,<sup>290</sup> მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>291</sup> დელიქტური პასუხისმგებლობისთვის სავალდებულო არ არის პირმა მოიპოვოს რაიმე ტიპის გამდიდრება ან ქონებრივი სარგებელი.<sup>292</sup> სანივთო მოთხოვნებისა და კანონისმიერი ვალდებულებითი მოთხოვნების კონკურენციის დროს, მაშინ როდესაც ნივთის

---

<sup>289</sup> *Ludwig J.*, Protections for Virtual Property: A Modern Restitutionary Approach, *Loyola of Los Angeles Entertainment Law Review*, Vol. 32, No. 1, 2011, 15-16.

<sup>290</sup> საგამონაკლისო შემთხვევად გვევლინება არაბრალეული, ეგრეთ წოდებული მკაცრი პასუხისმგებლობის დელიქტი, საერთო სამართლისთვის ცნობილი როგორც - Strict Liability Tort. საინტერესოა გამკაცრებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობა, რომელიც 2016 წლის 11 მარტის განჩინება №ას-924-874-2015-ზე ამკვიდრებს მკაცრი პასუხისმგებლობის სტანდარტს, თუმცა მას გამიჯნავს დელიქტური ვალდებულებისგან, იმ არგუმენტით, რომ სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ბრალეული ქმედების პრინციპს, რაც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ყველა შემთხვევისთვის გაზიარებული. ასევე, დამატებით იხ. *Goold P. R.*, Is Copyright Infringement a Strict Liability Tort?, *Berkeley Technology Law Journal*, Vol. 30 : 1, 2015, 308.

<sup>291</sup> *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, *იურისტების სამყარო*, თბილისი, 2016 197-198

<sup>292</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სისტემური გაფანტულობის გამო, დელიქტურ ვალდებულებად არ არის აღქმული სპეციალური ნორმატიული მოწესრიგებს მქონე მართლსაწინააღმდეგო ქმედებები.

დაბრუნება მისი არარსებობის ან ნაწილობრივად განადგურების / დაღუპვის შემთხვევაში შეუძლებელია, გამოიყენება კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის მოწესრიგება.

ვირტუალური საკუთრების შემთხვევაში დელიქტური პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეკისროთ, როგორც ინტერნეტ სივრცის მონაწილეებს, ისე ინტერნეტ სივრცის ოპერატორებს.<sup>293</sup> ინტერნეტ სივრცის მონაწილეების შემთხვევაში ვირტუალური ქონების ხელყოფა ხდება და დელიქტური პასუხისმგებლობა დგება ისეთი გზებით როდესაც დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებია დაკმაყოფილებული, რომელიც სხვადასხვა მართლწესრიგისთვის მეტნაკლებად მსგავსია. ქართული სამართლისთვის კი შემდეგი მიმართულებებით შეიძლება მოხდეს მათი იდენტიფიცირება ა) სიკეთის ხელყოფა, ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გ) მიზეზ-შედეგობრიობა, დ) ბრალი, ე) ზიანი.<sup>294</sup> ვირტუალური ქონებისთვის დელიქტური ქმედება მარტივად შეიძლება გამოწვეული იყოს ვირტუალური ნივთების განადგურებით, მაგალითად, პირის ვირტუალურ ანგარიშში შეღწევით და იქ არსებული ვირტუალური ქონების ხელყოფით, რაც თავის მხრივ, იქნება როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, ასევე, დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველიც. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია კრიპტოვალუტის შემთხვევაში, ისეთ დროს როდესაც ხდება კონკრეტული საფულის მონაცემებში შეღწევა და იქ არსებული კრიპტოვალუტის მითვისება ან სხვაგვარი ხელყოფა.

დელიქტური პასუხისმგებლობა ასევე, შესაძლოა დაეკისროს იმ იურიდიულ პირსაც, რომელიც კრიპტოვალუტით ვაჭრობას ახორციელებს და პარალელურად მის მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ სივრცეში არსებულ საფულებებს კრიპტოვალუტისთვის. ასეთი სერვისით სარგებლობისას, როდესაც მომხმარებელი თავის ვირტუალურ აქტივს ან ნებისმიერი დასახელების კრიპტოვალუტას ათავსებს ონლაინ საფულეზე, იქმნება მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ სერვისის პროვაიდერს არ

---

<sup>293</sup> *Lichtman D., Posner E.*, Holding Internet Service Providers Accountable, *Supreme Court Economic Review*, Vol. 14, 2006, 222-224.

<sup>294</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-769-737-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 04 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-176-163-2015.

გააჩნდეს საფულის დაცვის შესაბამისი მექანიზმები, რამაც გამოიწვიოს კონკრეტულ ონლაინ საფულეზე არსებული ვირტუალური აქტივების სხვა პირების მიერ დაუფლება.<sup>295</sup> განხილულ შემთხვევაში, დელიქტური პასუხისმგებლობა შესაძლოა წარმოიშვას გაუფრთხილებლობისთვის.

თითოეული სერვისის პროვაიდერი, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს კრიპტოვალუტის ონლაინ საფულით სარგებლობას, ვალდებულია უზრუნველყოს სერვისის გამართულობა ბაზარზე არსებული სტანდარტის შესაბამისად, ხოლო ისეთ შემთხვევაში თუ ბაზარზე არსებული სტანდარტის მიღწევა ვერ ხერხდება სერვისის პროვაიდერის მიერ, მას შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის ხოლო, რიგ შემთხვევაში კი გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისთვის (Duty of Care).<sup>296</sup> ეს განპირობებულია არა მხოლოდ მომხმარებლის ანგარიშების დაცვის არასათანადოდ უზრუნველყოფით, არამედ იმითაც რომ მომხმარებელი ონლაინ საფულეში კრიპტოვალუტის განთავსებით ფაქტობრივად დროებით გადასცემს მის აქტივებს სერვისის პროვაიდერს, რომელსაც წარმოეშობა ვალდებულება განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინოს ასეთ აქტივებზე. ქართული სახელშეკრულებო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ენაზე Duty of Care უნდა ითარგმნოს, როგორც კლიენტის აქტივების დაცვითი ვალდებულება, ხოლო დელიქტური პასუხისმგებლობის ენაზე – უმოქმედობა, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა, ისევ და ისევ, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, ქმედების (ქონების დაცვის) ვალდებულების შესაბამისად.

---

<sup>295</sup> *Sarel R.*, Property Rights in Cryptocurrencies: A Law and Economics Perspective, North Carolina Journal of Law & Technology, Vol. 22, Issue 3, 2021, 427-429.

<sup>296</sup> *Button C.*, The Forking Phenomenon and The Future of Cryptocurrency in the Law, UIC Review of Intellectual Property, Vol. 19, No. 1, 2019, 25-27

### 4.3. ინტერნეტ სივრცეში ვირტუალური ქონების ხელყოფისა და ფიზიკური ქონების ხელყოფის გამიჯვნა

ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს ხელყოფა და ზიანი, რომელიც ინტერნეტ სივრცის ფარგლებში წარმოიშობა ვირტუალური ქონებისა და ფიზიკური ქონების მიმართ.

ზემოგანხილული ორივე შემთხვევის სათავეს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სამართალში განვითარებული კიბერხელყოფის (Cybertrespass) დოქტრინა, რომელიც, თავის მხრივ, ერთგვარი დერივაციაა ტრადიციული სხვის უფლებაში ჩარევის (Trespass) დელიქტისა.<sup>297</sup>

დოქტრინის ჩამოყალიბება და ამერიკის შეერთებული შტატების სამართალწარმოებაში დამკვიდრება მოხდა შემდეგ ორ საქმეზე *Compuserve v. Cyber Promotions*<sup>298</sup> და *eBay, Inc. v. Bidder's Edge*.<sup>299</sup> ორივე სასამართლო გადაწყვეტილებისთვის მთავარი განხილვის საგანი იყო მოსარჩელის მიერ ინტერნეტში განთავსებული ოპერირებადი სერვისებისთვის ხელის შეშლა და მის საქმიანობაში ჩარევა. ორივე საქმეზე ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ მოახდინა საერთო სამართლის ტრადიციული დელიქტის ტრანსფორმაცია ინტერნეტთან მიმართებაში და დაადგინა, რომ ინტერნეტ სივრცეში პირის საიტზე, ელექტრონულ ფოსტაზე, სერვერზე რაიმე ტიპის ზეგავლენა პირის სამართლებრივ სივრცეში არანებელობითი ჩარევაა. საინტერესოა, რომ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ასეთი ჩარევა შეფასდა როგორც მოძრავი ნივთის ხელყოფა (Trespass to Chattels). ეს გადაწყვეტა სავარაუდოა იმით რომ ხელყოფის ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ სივრცეს, სადაც დელიქტური ქმედება ხორციელდება, თუმცა მეორე მხრივ, ცალსახა ნაკლოვანებად

---

<sup>297</sup> *Balganesh S.*, Common Law Property Metaphors on the Internet: The Real Problem with the Doctrine of Cybertrespass, *Michigan Technology Law Review*, Vol. 12, Issue 2, 2006, 269-271.

<sup>298</sup> *CompuServe Inc. v. Cyber Promotions, Inc.*, 962 F. Supp. 1015 (S.D. Ohio 1997)

<sup>299</sup> *eBay, Inc. v. Bidder's Edge LLC*, 100 F. Supp. 2d 1058 (N.D. Cal. 2000)

შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირი გაგებით ნივთობრივი ობიექტის ხელყოფის ფარგლების გავრცელება ინტერნეტ სივრცისთვის.<sup>300</sup>

წინამდებარე ქვეთავის მიზანი არ არის ზემოაღნიშნული ტრანსფორმაციის დეტალური განხილვა და მსგავსი მოვლენის ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებობის შესაძლებლობის შეფასება, არამედ მისი მიზანი Trespass-ის ორი შემთხვევის გამიჯვნაა. ამრიგად, არსებობს ინტერნეტთან მიმართებით Trespass-ის ორი შემთხვევა, პირველი ეს არის ინტერნეტის საშუალებით პირის ვირტუალური ქონების ხელყოფა და მეორე, ინტერნეტის საშუალებით პირის ფიზიკური ქონების ხელყოფა.

აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მოძრავი ნივთის ხელყოფის ტრადიციული შემადგენლობის მისადაგება ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის ადრეულ ეტაპზე, მიუხედავად არსებული კრიტიკისა, მეტ-ნაკლებად მაინც მისაღები იყო, მათ შორის აკადემიურ სივრცეებშიც.<sup>301</sup> მიუხედავად ამისა, ინტერნეტის განვითარებასთან ერთად ამ საკითხთან მიმართებაში შეიცვალა როგორც სამართალწარმოებისას მისი გამოყენების ფარგლები, ასევე, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებიც.

#### 4.4. კონდიქციური მოწესრიგების შესაძლებლობა

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ინტერნეტ სივრცესა და ვირტუალურ საკუთრებასთან მიმართებით. ვირტუალურ საკუთრებასთან

---

<sup>300</sup> *Chang E. W.*, Bidding on Trespass: eBay, Inc. v. Bidder's Edge, Inc. and the Abuse of Trespass Theory in Cyberspace-Law, AIPLA Quarterly Journal, Vol. 29, 2001, 461-462.

<sup>301</sup> *Hedley S.*, Cybertrespass – A Solution in Search of a Problem?, Journal of European Tort Law, Vol. 5, Issue 2, 2014, 171-172



დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ გერმანულ სამართალში არსებულ<sup>302</sup> კონდიქციურ ტიპოლოგიათა სრული ტრანსფორმაცია შეუძლებელია.<sup>303</sup> ფაქტობრივად, დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქციის გამოყენება შეუძლებელია ვირტუალურ ქონებასთან მიმართებაში, გარდა ისეთი საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც ვირტუალურ სამყაროში არსებული ურთიერთობები სრულად ან უმეტესად გაიმეორებენ ფიზიკურ სამყაროში არსებული ურთიერთობების მახასიათებლებს. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებისთვის ფართოდ გამოყენებადია ვირტუალურ საკუთრებასთან მიმართებაში, უფრო კონკრეტულად კი კრიპტოვალუტასთან დაკავშირებულ დავებში.<sup>304</sup>

შესრულების კონდიქცია, როგორც ჩამოთვლილი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება, შესაძლებელია ვირტუალურ საკუთრებასთან მიმართებაში გამოყენებულ იქნეს შეცდომით გადაცემული ვირტუალური ქონების უკან დასაბრუნებლად. შეცდომა შესაძლოა განპირობებული იყოს უშუალოდ ტრანზაქციის შინაარსიდან, რა შემთხვევაშიც ვირტუალურ სამყაროში წარმოშობილი ურთიერთობა ანალოგიურია ფიზიკურ სამყაროში წარმოშობილი ურთიერთობისა და განსაკუთრებული სამართლებრივი სპეციფიკა არ არის სახეზე, იმ გაგებით რომ სამართლებრივ სირთულეს წარმოადგენდეს ვირტუალურ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის უკუქცევა შესრულების კონდიქციით. შესაბამისად, ურთიერთობა გადაწყდება ისე, როგორც ეს ფიზიკურ სამყაროში შესრულების კონდიქციის დროს.

საპირისპიროდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემატიკის მატარებელია შემთხვევა როდესაც ტრანზაქციაში შეცდომას უშვებს კომპიუტერული კოდი,

---

<sup>302</sup> აღნიშნულ ტიპოლოგიას ასევე იზიარებს ქართული სამართალიც, ვრცლად იხ. *რუსიაშილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, 7-8.

<sup>303</sup> მოცემულ ტრანსფორმაციაში იგულისხმება არსებული სამართლებრივი მოწესრიგების მისადაგება ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობისთვის, ისე რომ იგი არ იზიარებდეს ფიზიკურ სამყაროში წარმოშობილი ურთიერთობის მახასიათებლებს.

<sup>304</sup> მაგ. იხ. *Ooi V., Peng S.*, Cryptocurrencies and Code Before the Courts, *King's Law Journal*, Vol. 30, Issue 3, 2019, 331.

მაგალითად, გონიერი ხელშეკრულება. ასეთ დროს უმთავრესი კითხვაა თუ ვის მიემართება კონდიციის კრედიტორის მოთხოვნა ქონების დაბრუნებასთან ან მისი ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. გონიერ ხელშეკრულებას, რომელიც მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის აღსრულების მარტივ და ნაკლებად დანახარჯიან გზას წარმოადგენს, მაინც აქვს ნაკლოვანებები. მაგალითად, აღნიშნული აღსრულება სრულად ავტომატიზებულია და მოკლებულია ადამიანური ჩარევის შედეგად გადამოწმების მექანიზმებს, ეს, ერთი შეხედვით, პირიქით, შეცდომების მინიმიზაციას უნდა იწვევდეს, რაც ნამდვილად ასეც არის, თუმცა რიგ შემთხვევაში, კომპიუტერული კოდიც კი შესაძლოა შეცდეს ან ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში არასწორად იქნეს აღქმული დავალების მიმცემის გამოხატული სამართლებრივი ნება, როდესაც ტრანზაქციის განხორციელება ხელოვნური ინტელექტის საშუალებით ხდება<sup>305</sup>. ყოველი ასეთი სიტუაციისთვის ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს თუ ვისკენ იქნება მიმართული კონდიციის კრედიტორის მოთხოვნა, შეცდომის საფუძველზე გამდიდრებულის თუ გონიერი ხელშეკრულების კოდის შემქმნელის მიმართ.

ინტერნეტსა და ვირტუალურ სამყაროში არსებული ტრანზაქციათა ჯაჭვი ხშირად რთულად ან საერთოდ ვერ მიდევნებადი შეიძლება იყოს, გამომდინარე იქედან, რომ ზოგიერთი პლატფორმა ან სერვისი ანონიმურობით გამოირჩევა ასეთია, მაგალითად, კრიპტოვალუტის ტრანზაქციები. ასეთი პლატფორმის კომპიუტერული კოდის შეცდომის გამო მოთხოვნის განხორციელება იმ პირის მიმართ, რომელმაც გამდიდრება მიიღო, კონდიციის კრედიტორს ჩააყენებდა ურთულეს პოზიციაში, მაშინ როდესაც მიმღების ვინაობაც შეიძლება უცნობი იყოს მისთვის, დადგენა კი ფაქტობრივად შეუძლებელი. მეორე მხრივ, კონდიციური მოთხოვნის განხორციელება იმ პირის მიმართ, რომელმაც შექმნა კონკრეტული გონიერი ხელშეკრულების ან პლატფორმის კოდი, შეუძლებელია, გამომდინარე იქიდან რომ ამ პირთან გამდიდრება საერთოდ არ

---

<sup>305</sup> ხელოვნური ინტელექტი გულისხმობს კომპიუტერისა და კომპიუტერული სისტემის ერთობლიობას, რომელიც ახდენს ადამიანის ინტელექტუალური პროცესებისა და ფუნქციების სიმულაციას. ვრცლად იხ. გაბისონია ზ., ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2022, 443-444.

არსებობს და არც არასდროს მიუღია კონდიქციის კრედიტორის მხრიდან რაიმე ქონებრივი მატება. შესაბამისად, შესრულების კონდიქცია ასეთ შემთხვევაში საერთოდ არ იარსებებს. ამ უკანასკნელ მოცემულობაში დავა უნდა გადაწყდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, რა დროსაც გონიერი ხელშეკრულების ან სხვადასხვა ინტერნეტ სერვისის პროვაიდერი კისრულობს კონკრეტული მომსახურების განხორციელების ვალდებულებას.

ბოლოს, ვირტუალური ქონებასა და ხელყოფის კონდიქციასთან მიმართებაში განხილულ უნდა იქნეს არაჩანაცვლებადი ტოკენები, უფრო კონკრეტულად კი ის ობიექტები, რომლის შესახებაც NFT ატარებს ინფორმაციას. ხელყოფის კონდიქციისთვის, განსხვავებით დელიქტური მოთხოვნისა, სავალდებულო წინაპირობას არ წარმოადგენს პირმა ნახოს რაიმე ტიპის ქონებრივი დანაკლისი ან ზიანი.<sup>306</sup> არაჩანაცვლებადი ტოკენების შემთხვევაში, მასში აღნიშნული ობიექტები ხშირად მარტივად რეპროდუცირებადი და გავრცელებადია, რის გამოც მესამე პირებმა შესაძლოა ქონებრივი სარგებელი ნახონ და გამოიყენონ ეს ობიექტები ინტერნეტში მონეტიზაციისთვის. სწორედ ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ვირტუალური ქონების მესაკუთრეს წარმოეშვას, ხელყოფის კონდიქციიდან გამომდინარე, მოთხოვნები აღნიშნული პირების მიმართ.

#### 4.5. თვითდახმარება, როგორც ვირტუალური საკუთრების დაცვის საშუალება

ინტერნეტში ვირტუალური საკუთრების დაცვისთვის თვითდახმარება (Self-Help) ხშირად უფლების აღსრულების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.<sup>307</sup> ინტერნეტში თვითდახმარებისკენ მიმართული ქმედებები, რომელიც უფლების იძულებითი აღსრულების მიღმა შესაძლოა განხორციელდეს, გაცილებით შემცირებულია ვიდრე

---

<sup>306</sup> რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 97.

<sup>307</sup> Chandler J. A., Technological Self-Help and Equality in Cyberspace, McGill Law Journal, Vol. 56, No. 1, 2010, 42-43.

ფიზიკურ სამყაროში. თუმცა, ინტერნეტში უფლების ხელყოფის სისწრაფის საპირწონედ, ასეთივე სწრაფი შეიძლება იყოს თვითდახმარების მექანიზმებიც.<sup>308</sup> ასეთი მექანიზმებიდან შესაძლოა გამოიყოს IP მისამართების დაბლოკვა ხელმყოფი პირებისთვის,<sup>309</sup> DDoS შეტევებისგან დაცვის უზრუნველყოფა დამატებითი უსაფრთხოების ზომების საშუალებით,<sup>310</sup> მომხმარებელთა რეგისტრაციის შემდგომი მოდერაცია და სხვა.

## 5. ვირტუალური ქონების კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ფარგლებში შეფასება

ვირტუალური ქონება, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღირებულების მატარებელი აქტივი აუცილებელია ექვეოდეს შესაბამისი რეგულატორული ჩარჩოების ფარგლებში და, შესაბამისად, გააჩნდეს ადეკვატური სამართლებრივი დაცვა, თუმცა აღნიშნულ ჩარჩოებში მოქცევა პირდაპირ არ გულისხმობს ახალი სამართლებრივი მოწესრიგების შექმნას. შესაბამისად, როგორც წინამდებარე თავში გამოიკვეთა იგი სავალდებულოა რომ მოექცეს კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის მოწესრიგების სფეროში.

ტექნოლოგიური განვითარება იმდენად ჩქარია, რომ მას სამართალი ფეხს ვერ უწყობს, ვერც დეფინიციურ ეტაპზე და ვერც ახალი ნორმატიული ბაზის შექმნის მხრივ. უფრო მეტიც, შეუძლებელია თითქმის ყველა მართლწესრიგისთვის, მიუხედავად მისი განვითარების დონისა, ახალი ტექნოლოგიური მოვლენისთვის შესაბამისი მოწესრიგების შექმნა. სწორედ ამიტომ, ახალ რეგულაციებთან ერთად, აუცილებელია არსებულმა სამართლებრივმა მოწესრიგებამ განიცადოს ტრანსფორმაცია ტექნოლოგიურ სიახლეებთან და მიღწევებთან მიმართებაში. ამას თავის მხრივ განაპირობებს ისიც, რომ

---

<sup>308</sup> *Sinel Z.*, De-Ciphering Self-Help, *The University of Toronto Law Journal*, Vol. 67, No. 1, 2017, 32.

<sup>309</sup> *Facebook, Inc. v. Power Ventures, Inc.*, 844 F. Supp. 2d 1025 (N.D. Cal. 2012).

<sup>310</sup> *Heverly R. A.*, More Is Different: Tort Liability of Compromised Systems in Internet Denial of Service Attacks, *Florida State University Law Review*, Vol. 47, Issue 3, 2020, 541-542.

მრავალი ტექნოლოგიური მოვლენა არ არის მდგრადი და მუდმივად ვითარდება, შესაბამისად, იცვლება მისი შემადგენლობაც,<sup>311</sup> რამაც სპეციალური მოწესრიგებაც კი გამოუსადეგარი შეიძლება გახადოს. მეორე მხრივ, აღნიშნულის კიდევ ერთ არგუმენტად გამოდგება ისიც, რომ ინტერნეტ სივრცეში არსებული ახალი მოვლენა სულაც არ იმსახურებდეს რაიმე სპეციალური ტიპის დაცვას, როგორც ღირებული აქტივი, რისი ნათელი მაგალითია ნაშრომში განხილული არაჩანაცვლებადი ტოკენი, რომელიც მისი გამოჩენის მომენტიდან აღიქმებოდა როგორც მნიშვნელოვანი ფინანსური ღირებულების ვირტუალური აქტივი, რომელმაც თითქმის არასრულ ორ წელიწადში უდიდესი გაუფასურება განიცადა.<sup>312</sup>

ვირტუალური ქონების დაცვაც ხსენებული ტრანსფორმაციის ფარგლებშია შესაძლებელი. უპირველესად, უნდა მოხდეს ვირტუალური ქონების, როგორც საკუთრების ობიექტის აღიარება, რაც ნათელია, რომ შესაძლებელია და ვირტუალური ქონების როგორც საკუთრების ობიექტის მოაზრება სამართლებრივად არ წარმოადგენს მცდარ პოზიციას, რაც თავის მხრივ განპირობებულია მისი ეკონომიკური ღირებულებით. ხოლო მეორე მხრივ, იგი არის ქონებრივი აქტივი, რომელიც განუყოფელ ნაწილად იქცა თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ჩვენი ყოველდღიური სოციალური და სამართლებრივი ურთიერთობებისთვის. შესაბამისად, იგი როგორც აბსოლუტური ქონებრივი სიკეთე ექცევა კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის მოწესრიგების ფარგლებში.

---

<sup>311</sup> მაგალითისთვის, კომპიუტერული პროგრამებისთვის არსებობს მოვლენა ვერსიონირება (Software Versioning), რომელიც გულისხმობს არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის ნაწილობრივ შეცვლას, განახლებას, გაუმჯობესებას ან მოდიფიცირებას. ვერსიონირების ფარგლებში შესაძლებელია კონკრეტული კოდის ფუნქციონირების შეცვლა, რომელმაც საბოლოო არსებული ტექნოლოგიური მოვლენის შინაარსობრივი ცვლილებაც გამოიწვიოს, რაც იმ სამართლებრივ მოწესრიგებას, რომელიც შესაძლოა მისთვის შეიქმნა, გამოუსადეგარს გახდიდა. ვერსიონირება ასევე ზოგადად ციფრულ აქტივებთან მიმართებაშიც შეიძლება გამოიყენებოდეს. ვრცლად იხ. Helmholtz Metadata Collaboration; Guidance on Versioning of Digital Assets, 2022, 6, ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://oceanrep.geomar.de/id/eprint/57955/> [23.06.2023]

<sup>312</sup> 2021 წელს გაყიდული ერთ-ერთი NFT-ის ღირებულება 2.9 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო ერთ წელში, 2022 წელს ზუსტად იგივე NFT ღირებულება არ აღემატებოდა 280 აშშ დოლარს. ვრცლად იხ. - <https://english.elpais.com/economy-and-business/2023-05-01/an-nft-sold-for-29-million-is-now-worth-280-has-the-bubble-burst.html> [23.06.2023]

ვირტუალური საკუთრების დაცვის ფარგლები სხვადასხვა სამართლებრივი მოთხოვნის მოცემულობიდან გამომდინარე განსხვავებულია ერთმანეთისგან. უშუალოდ ვირტუალური საკუთრების ბუნებიდან გამომდინარე რიგ შემთხვევებში კონკრეტული სამართლებრივი დაცვის ფარგლების, მაგალითად სანივთო მოწესრიგების გამოყენება საერთოდ შეუძლებელია. ანალოგიური შეიძლება ითქვას კანონისმიერი ვალდებულებითი დაცვის ფარგლებზეც, სადაც უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში შესრულების კონდიცია იმეორებს ფიზიკურ სამყაროში არსებულ მოწესრიგებას კონდიციური ურთიერთობისას. ხოლო ხელყოფის კონდიცია, თავის მხრივ, უფრო ფართო გამოყენების შესაძლოა იყოს ვირტუალურ საკუთრებასთან მიმართებაში. გამომდინარე აქედან, აღნიშნული მოთხოვნები ვირტუალური საკუთრებისთვის არ კონკურირებენ, არამედ პირიქით ერთმანეთის შემავსებლად შეიძლება მოგვევლინოს.

განხილულ თავში ნათლად ჩანს, რომ ვირტუალური საკუთრებისთვის დაცვის ფარგლების ტრანსფორმაცია შესაძლებელია მატერიალურ სამყაროში არსებული ქონების დაცვის ფარგლებიდან, რაც რიგ შემთხვევაში ვირტუალური საკუთრების დაცვის ერთადერთი და მნიშვნელოვანი საშუალება შეიძლება იყოს.

#### IV. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ინტერნეტ სივრცეში

მიუხედავად იმისა რომ ნაშრომის ყოველ ნაწილში განხილულია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები სხვადასხვა ინტერდისციპლინარული ასპექტით, მათ შორის როგორც სამართლისა და ტექნოლოგიის ურთიერთგადაკვეთის ფარგლებში ისე, უშუალოდ სამართლის სხვადასხვა სფეროების მიხედვით, წინამდებარე თავი წარმოადგენს უშუალოდ არსებული კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების იმ სახელდებების მიხედვით განხილვას, რომელსაც სამოქალაქო კოდექსი გვაწვდის.

აღსანიშნავია, რომ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების სამოქალაქო კოდექსისეული სისტემატიზაცია წარმოადგენს სხვადასხვა მართლწესრიგში არსებული კანონისმიერი ვალდებულებების მომწესრიგებელი ურთიერთობების სახეცვლილებას,<sup>313</sup> თუმცა, იგი რა თქმა უნდა, მაინც ინდივიდუალურია. უფრო ფართო პერსპექტივიდან უნდა აღინიშნოს ისიც რომ, ზოგადად ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებად ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს კვაზი მოწესრიგებებს.<sup>314</sup> კიდევ ერთხელ აღსანიშნავია ის, რომ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი თავით, არამედ მის ნაწილობრივ მოწესრიგებას ვხვდებით მაგალითად სანივთო სამართლის ნაწილშიც, რაც

---

<sup>313</sup> მაგალითისთვის, ქართველი კანონმდებლის მიერ უსაფუძვლო გამდიდრების მოწესრიგებისთვის სრულად და თითქმის უცვლელად არის გაზიარებული დეტლევ კონიგის ის კანონპროექტი, რომელსაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსში უნდა ჩაენაცვლებინა არსებული უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, რაც საბოლოოდ არ მოხდა. მიუხედავად ამისა, გერმანული იურიდიული დოქტრინა უსაფუძვლოდ გამდიდრების დაყოფას იცნობს ზუსტად იმ სახით რა სახითაც ეს კონიგის პროექტშია, გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული დაყოფა ეკუთვნის ცნობილ სამართალ მეცნიერებს ვოლტერ ვილბურგსა და ერნსტ ფონ კემერერს და იგი მრავალი წელია აღიარებულია ასევე გერმანული სამართალწარმოების ფარგლებში. ვრცლად იხ. *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, 7; ასევე იხ. *Hay P.*, Unjust Enrichment in the Conflict of Laws: A Comparative View of German Law and the American Restatement 2d. *The American Journal of Comparative Law*, Vol. 26 (1), 1978, 7-9. დელიქტური პასუხისმგებლობისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იზიარებს ფრანგულ მიდგომას, რომელიც ცნობილია როგორც ეგრეთ წოდებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის გენერალური პრინციპი, იგივე გენერალური დელიქტური დათქმა, რომელიც თავის მხრივ, გერმანულ სამართალში არ არის გაზიარებული. *Tunc A.*, A Codified Law of Tort - The French Experience, *Louisiana Law Review*, Vol. 39, No. 4, 1979, 1055-1056.

<sup>314</sup> *ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.*, სახელმწიფოებო სამართალი, რედ. ჯუღელი გ., მერიდიანი, თბილისი, 2014, 50

მიუთითებს კანონისმიერი ვალდებულებების დიქტომიაზე სამოქალაქო კოდექსში.<sup>315</sup> წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ხაზი უნდა გაესვას სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ არსებულ კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, რომელიც თავისუფლად შეიძლება დავახასიათოთ როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ფართო გაგებით.

ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობები ხშირად აღიქმება, როგორც სამართლებრივი მოწესრიგების მიღმა არსებული მოვლენა ან მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში მოწესრიგებული ურთიერთობა, რომლის მხარეებსაც ინტერნეტში არსებული პლატფორმა და მისი მომხმარებლები წარმოადგენენ, რაც თავისთავად ნათელია, რომ არასწორია. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ვირტუალურ სამყაროშიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკურ სამყაროში. ხშირად კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ერთადერთი მომწესრიგებელიც კია. სწორედ ამიტომ, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტ სივრცის რეგულირებასა და ზოგადად ინტერნეტ სამართალში.

ამ თავში კანონისმიერი ვალდებულებები განხილული იქნება იმ სტრუქტურის მიხედვით, რომელიც ეს სამოქალაქო კოდექსშია მოცემული. თუმცა უნდა ითქვას, რომ ინტერნეტ სივრცესთან მიმართებით ყველა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა არ განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში შეგნებულად არ იქნება განხილული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი მოწესრიგება ინტერნეტში.

---

<sup>315</sup> რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 11.



# 1. ფრაქციული საკუთრება - კანონისმიერი ვალდებულებითი მოწესრიგება ინტერნეტში

## 1.1. თანაზიარი დომენური სახელები

საზიარო უფლებები ინტერნეტ სივრცეშიც შესაძლოა არსებობდეს. ამისი ნათელი მაგალითია დომენური სახელი,<sup>316</sup> რომელიც შესაძლოა რამდენიმე პირის თანასაკუთრება იყოს. დომენური სახელი, როგორც საკუთრების ობიექტი და ქონება, ხშირად ორმაგი ბუნების მატერებელია. დომენური სახელი, როგორც დასახელება შესაძლოა წარმოადგენდეს სასაქონლო ნიშანს, თუმცა ავტომატურად სასაქონლო ნიშნისა და დომენური სახელის გაიგივება არასწორია.<sup>317</sup> სამართლებრივად მარტივი კონსტრუქციაა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დომენური სახელი წარმოადგენს პარალელურად სასაქონლო ნიშანს. ასეთ დროს ნათელია, რომ დომენურ სახელს აქვს სპეციალური სამართლებრივი დაცვა სასაქონლო ნიშნების ფარგლებში და მას, რას თქმა უნდა, შესაძლოა ჰყავდეს რამდენიმე თანამესაკუთრე. თუმცა საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც დომენური სახელი არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშანს. მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ დომენური სახელი დამოუკიდებლად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს,<sup>318</sup> შესაბამისად, მასაც როგორც საკუთრების ობიექტს შესაძლოა ჰყავდეს რამდენიმე მესაკუთრე.<sup>319</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასაქონლო ნიშნებისა და დამოუკიდებელი დომენური სახელების, რომლებიც არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნებს, კონკურირებისას ამ უკანასკნელთა დაცვის საკითხი, როგორც

---

<sup>316</sup> დომენების შესახებ ვრცლად იხ. *ჯორბენაძე ს.*, სოციალური მედიის სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2019, 50-52.

<sup>317</sup> *Davis G. G.*, Internet Domain Names and Trademarks: Recent Developments in Domestic and International Disputes, *Hastings Communications and Entertainment Law Journal*, Vol. 21, No. 3, 1999, 617.

<sup>318</sup> *Abbott F. M.*, On the Duality of Internet Domain Names: Propertization and Its Discontents, *New York University Journal of Intellectual Property and Entertainment Law*, Vol. 3, No. 1, 2013, 24.

<sup>319</sup> ბოლო პერიოდში საზიარო დომენები მოიაზრება როგორც საინვესტიციო აქტივი, რაც უახლოეს წარსულში განხილვის საგანიც კი არ იყო. ვრცლად იხ.- <https://www.namecheap.com/blog/fractionalized-domain-ownership-becomes-a-reality/> [26.05.2023]

ქონებრივი ობიექტისა, პრობლემური რჩება და უმეტესად უკან იხევს სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით.<sup>320</sup>

## 1.2. თანასაკუთრება საიტზე

საიტი არ არის მხოლოდ დომენური დასახელება, მიუხედავად იმისა რომ ინტერნეტის მომხმარებლებისთვის ყველაზე ხშირად საიტთან სწორედ მისი დასახელებაა ასოცირებული. თუმცა, დასახელება არ არის საიტის მხოლოდ ერთადერთი შემადგენელი ნაწილი,<sup>321</sup> მისი უმნიშვნელოვანესი ელემენტია მასალა, რომელიც განთავსებულია მასზე. საიტზე განთავსებული მასალა უმეტეს შემთხვევაში შესაძლოა წარმოადგენდეს ინტელექტუალური საკუთრების, კონკრეტულად კი საავტორო ან მომიჯნავე უფლებების ობიექტს, მაგრამ მიუხედავად ამისა ყველა საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტი გამოხატულია რაიმე მატარებლის სახით, ინტერნეტის შემთხვევაში ეს არის ციფრული ასლი,<sup>322</sup> რომელიც როგორც განცალკევებული ობიექტი თავისუფლად შეიძლება მოვიაზროთ ვირტუალურ საკუთრებად. შესაბამისად, საიტზე განთავსებულ მასალაზე, როგორც საიტის შემადგენელზე, გავრცელდება მოწესრიგება, რომელიც საზიარო უფლებებზე ვრცელდება.

---

<sup>320</sup> *Hurner E.*, The international domain name classification debate: are domain names 'virtual property', intellectual property, property, or not property at all?, *The Comparative and International Law Journal of Southern Africa*, Vol. 42, No. 3, 2009, 307-308.

<sup>321</sup> დომენური სახელის ცვლილება არ წარმოადგენს არც სამართლებრივ და არც ტექნიკურ პრობლემას. საიტის მესაკუთრეს შეუძლია მისი საიტზე განთავსებული მასა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ერთგვარ მონაცემთა ბაზას, გადაიტანოს სხვა დომენურ დასახელებაზე. აღნიშნულ მეთოდს ხშირად მიმართავენ ინტერნეტ მეკობრეები.

<sup>322</sup> ის მატარებელი, რომლის საშუალებითაც საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტი აღქმადია წარმოადგენს უშუალოდ ამ ობიექტისგან გამიჯნულ ქონებრივ ობიექტს, რომელზეც პირს მართლზომიერი ასლის არსებობის შემთხვევაში წარმოეშობა საკუთრების უფლება. ვრცლად იხ. *Liu J. P.*, *Owning Digital Copies: Copyright Law and the Incidents of Copy Ownership*, *William & Mary Law Review*, Vol. 42, Issue 4, 2001, 1254-1255.

### 1.3. ბლოკჩეინი და ახალი საზიარო უფლებები

წინამდებარე ნაშრომში განხილული ქონების ტოკენიზაცია, როგორც საკუთრების უფლებების დიგიტალიზაციის საფუძველი, პირდაპირ არის დაკავშირებული საზიარო უფლებების ახალ მოდელთან, რომელიც ბლოკჩეინ ტექნოლოგიების ფარგლებში შეიძლება არსებობდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, საკუთრების ტრანსფერის განხორციელება შესაძლებელია ბლოკჩეინის საშუალებით. ასეთი ტრანზაქცია შესაძლოა რამდენიმე უპირატესობით გამოირჩეოდეს, მაგალითად, სიიფით, უფრო მეტი გამჭვირვალობით როგორც უშუალოდ წინა ტრანზაქციებთან დაკავშირებით ასევე უძრავი ქონების ინფორმაციასთან მიმართებით და ახალი ბაზრების შექმნით.<sup>323</sup>

ტოკენიზაციითა და ბლოკჩეინის საშუალებით ქონებაზე, იქნება ეს მოძრავი თუ უძრავი, შესაძლოა არსებობდეს თანაზიარი საკუთრების უფლება და შესაბამისად, მესაკუთრეებს წარმოეშობოდათ ასეთ ქონებაზე საზიარო უფლებები. ქონების თავდაპირველი ტოკენიზაციისას არსებობს ერთიანი საკუთრების უფლება, შესაბამისად, ერთი ტოკენი შესაძლოა თანაბარწილად გაიყოს ორ ან უფრო მეტ პოტენციურ მესაკუთრეზე. ეს უკანასკნელი იმ მოცულობით შეიძენს საკუთრების უფლებას ქონებაზე, ტოკენის რა ნაწილის მფლობელიც გახდება.<sup>324</sup>

ინტერნეტში არსებული საზიარო უფლებები პრაქტიკაში უკვე გამოიყენება როგორც საინვესტიციო მექანიზმებად. ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული კომპანია RealT,<sup>325</sup> რომელიც იყენებს ეთერიუმის ბლოკჩეინს და ქმნის ციფრულ აქტივს სახელად RealTokens, რომელიც თავის მხრივ მოიცავს იმ ქონებაზე

---

<sup>323</sup> *García-Teruel R. M., Simón-Moreno H., The digital tokenization of property rights. A comparative perspective, Computer Law & Security Review, Vol. 41, 2021, 2*

<sup>324</sup> *Konashkevych O., General Concept of Real Estate Tokenization on Blockchain, European Property Law Journal, Vol. 9 (1), 2020, 35.*

<sup>325</sup> კომპანიის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://realt.co/> [28.05.2023]

ქონებრივ ინტერესს, რომლის მესაკუთრეა RealT, ხოლო როდესაც ინვესტორი ყიდულობს RealTokens იგი იძენს თანაზიარ უფლებებს ამ ტოკენზე.<sup>326</sup>

თავის მხრივ, ნათელია, რომ ზემოგანხილული შემთხვევები ძირითადად მხარეთა შორის რეგულირებული და მოწესრიგებულია სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, ხოლო საზიარო უფლებების მოწესრიგება გამოყენებადი ხდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული საკითხები არ ექცევა მხარეთა შეთანხმებაში. მაგალითისთვის, ასეთი შესაძლოა იყოს გადაწყვეტილების მიღება საზიარო საგნის მართვისას, რომელიც მოწესრიგებულია სსკ-ს 954-ე მუხლით.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტში საზიარო უფლების ობიექტები უდავოდ შესაძლოა არსებობდეს, ქართული სამოქალაქო ბრუნვისთვის პრობლემურია ბლოკჩეინში არსებული საზიარო უფლებები.<sup>327</sup> ტექნიკურად იგი შესაძლებელია საქართველოშიც არსებობდეს, გამომდინარე იქიდან რომ ბლოკჩეინის ინფრასტრუქტურის გამართვა არ წარმოადგენს აკრძალულ საქმიანობას. თუმცა, საინტერესოა სამოქალაქო ბრუნვაში ტოკენიზაციისა და ტოკენის გამოშვების საკითხი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ტოკენისა და კოინის საკუთრებაში ქონა აკრძალული არ არის და მისი სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენებაც ნებადართულია. ეს არ ნიშნავს იმას რომ ნებისმიერ პირს შეუძლია ახალი ტოკენის ან კოინის გამოშვება და მისი საინვესტიციო ინსტრუმენტად გამოყენება. განსახილველ შემთხვევაში ბლოკჩეინი მოიაზრება როგორც პლატფორმა საზიარო უფლების მქონე გაციფრებული საკუთრებისთვის. იმისთვის რომ ბლოკჩეინში არსებული თანაზიარო საკუთრება მიჩნეული იყოს როგორც ტოკენიზაციის პროდუქტი და საინვესტიციო ინსტრუმენტი,

---

<sup>326</sup> *Moriarty C.*, Is RealT Reality? Investigating the Use of Blockchain Technology and Tokenization in Real Estate Transactions and Tokenization in Real Estate Transactions, *Minnesota Journal of Law, Science & Technology*, Vol. 24, Issue 2, 2023, 474-475.

<sup>327</sup> ობიექტები, როგორებიცაა დომენი, საიტზე განთავსებული მასალა ან ინტერნეტში არსებული სხვა ისეთი ობიექტები, რომელზეც შესაძლოა საზიარო უფლებები არსებობდეს, თუმცა არ საჭიროებენ დამატებით რეგულატორულ მოწესრიგებას, ბლოკჩეინში არსებულ ობიექტებთან შედარებით არ წარმოადგენს პრობლემურ საკითხს.

ტოკენიზაციის პროცესი ქართულ კანონმდებლობასთან მიმართებაში უნდა იქნეს განხილული.

განსახილველ საკითხთან მიმართებით ტოკენიზაციის პროცესი შესაძლოა სამ ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი ეს არის სტრუქტურირიზაცია, რა ეტაპზეც იმ ობიექტის მესაკუთრეები, რომელზეც არსებული საკუთრების უფლების ტოკენიზაცია უნდა მოხდეს, თანხმდებიან მათი ურთიერთობის შინაარსზე. კერძოდ, განსაზღვრავენ თუ რა სამართალურთიერთობის ფარგლებში უნდა მოხდეს ტოკენიზაცია, რა უფლება ექნებათ ტოკენის თანამესაკუთრეებს, როგორ გაინაწილებენ შემოსავალს ტოკენიდან და თანხმდებიან უშუალოდ ობიექტის მართვის სპეციფიკაზე.<sup>328</sup> მეორე ეტაპზე, მესაკუთრეები არჩევენ პლატფორმას, რომელზეც მოხდება უშუალოდ ქონებაზე უფლების ტოკენიზაცია და შეიქმნება ახალი ტოკენი. ეს პლატფორმები იყენებენ ბლოკჩეინს, ტრანზაქციების ავტომატიზაციისთვის კი გონიერ ხელშეკრულებებს, რაც უზრუნველყოფს ტოკენზე ტრანზაქციის განხორციელების სამართლებრივ მხარეს.<sup>329</sup> ხოლო, მესამე ეტაპზე კი ხდება გამოშვებული ტოკენის საჯარო შეთავაზება.<sup>330</sup> აღნიშნულ ეტაპზე, ტოკენი უკვე წარმოდგენილია როგორც რეგულირებული ციფრული აქტივი, თუმცა საკითხთან მიმართებაში ბოლომდე სამართლებრივი სიციხადე არ არსებობს. U.S. Securities and Exchange Commission-ის (SEC) მოსაზრებით ასეთი ტიპის ტოკენი წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, ხოლო, ალტერნატიული მოსაზრების მიხედვით, ასეთი ტოკენი მოიაზრება საკუთრების ობიექტად.<sup>331</sup>

---

<sup>328</sup> *Mkrtchyan C.*, Tokenization of Real Estate: Revolutionizing Real Estate through Digitalization and Reduced Market Barriers, USC Gould's Business Law Digest, 2019, ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://lawforbusiness.usc.edu/tokenization-of-real-estate-revolutionizing-real-estate-through-digitalization-and-reduced-market-barriers/> [10.02.2023]

<sup>329</sup> იქვე.

<sup>330</sup> საჯარო შეთავაზების ფარგლებში გაცემულია ტოკენი, რომლის სანაცვლოდაც ინვესტორები გამოთქვამენ მზადყოფნას არსებული პირობების შესაბამისად განახორციელონ ინვესტიცია შეძენილი ტოკენისთვის. ვრცლად იხ. *Roosenboom T.*, Security token offerings, *Small Business Economics*, Vol. 59, 2022, 305-307.

<sup>331</sup> *Mkrtchyan C.*, Tokenization of Real Estate: Revolutionizing Real Estate through Digitalization and Reduced Market Barriers, USC Gould's Business Law Digest, 2019, ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://lawforbusiness.usc.edu/tokenization-of-real-estate-revolutionizing-real-estate-through-digitalization-and-reduced-market-barriers/> [10.02.2022]

ქართულ რეალობაში რეგულირებასთან შესაბამისობა შესაძლებელია ვირტუალური აქტივის ცნების ფარგლებში. საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონი იძლევა ვირტუალური აქტივის დეფინიციას, რომლის მიხედვით, ვირტუალური აქტივი ესაა „ღირებულების ციფრული გამოხატულება, რომელიც არის ურთიერთჩანაცვლებადი და არ არის უნიკალური, წარმოადგენს ციფრული ფორმით გადაცემის ან ვაჭრობის საგანს და გამოიყენება ინვესტირების ან/და გადახდების განხორციელების მიზნით. ვირტუალური აქტივი არ მოიცავს ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ციფრულ გამოხატულებას“. აღნიშნულ ნორმაში გასათვალისწინებელია, რომ ციფრული აქტივი მოიაზრებს მხოლოდ ურთიერთჩანაცვლებად და არაუნიკალურ აქტივს, რაც თავის მხრივ, ტოვებს ილუზიას, რომ ამ რეგულირებაში არაა მოაზრებული NFT, რაც სრულიად მართებული გადაწყვეტაა. თავად NFT არაა ღირებულების ციფრული გამოხატულება, არამედ მონაცემთა ერთობლიობაა, უნიკალური ჩანაწერი ბლოკჩეინში, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს მულტიმედიური გამოხატულება და იგი გადაიცვლება ვირტუალურ აქტივებში. ბუნდოვანია საკითხი ისეთი ტოკენებისთვის, რომელიც არ წარმოადგენს NFT-ს, თუმცა აქვთ სხვა დანიშნულება, მაგალითად ამ თავში განხილული ტოკენების რეგულირება ბუნდოვანია ექცევა თუ არა საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილებაში.

ამრიგად, რეკომენდაციის სახით, ვირტუალური აქტივის დეფინიცია ეროვნულ კანონმდებლობაში მიზანშეწონილი იქნებოდა დამატებით ეხებოდეს ისეთ ვირტუალურ აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს პირდაპირ ღირებულების ციფრულ გამოხატულებას, თუმცა მისი გადაცვლა შესაძლებელია სხვა ვირტუალურ აქტივებში.

## 2. უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები ინტერნეტში

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც კონტინენტური ევროპის<sup>332</sup> ისე საერთო სამართლის ქვეყნების მართლწესრიგში.<sup>333</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის, როგორც ვალდებულებითი სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბება უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში მოხდა.<sup>334</sup> მოცემულ პერიოდამდე უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი საერთო სამართლის ქვეყნებისთვის მოიაზრებოდა როგორც კვაზი ხელშეკრულებების ერთ-ერთი ნაირსახეობა.<sup>335</sup> თავის მხრივ, კვაზი ხელშეკრულებებისადმი უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიკუთვნება რომაული სამართლიდან მომდინარეობს.<sup>336</sup> უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის სახეები, როგორც კონდიქციები (condictio), ასევე რომის სამართალს უკავშირდება.<sup>337</sup>

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ქართული მართლწესრიგისთვის წარმოადგენს გერმანული უსაფუძვლო გამდიდრების მონათესავე მოწესრიგებას. ეს გამომდინარეობს იქიდან რომ გერმანელი სამართალმეცნიერის დეტლეფ კონიგის მიერ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სარეფორმო კანონპროექტი თითქმის მთლიანად უცვლელად ასახული იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 976-991 მუხლების ფარგლებში.<sup>338</sup> მიუხედავად ამისა, ნორმატიული მოწესრიგება სტრუქტურულად თითქმის აბსოლუტურად განსხვავებულია ქართულ და გერმანულ სამართალში.

---

<sup>332</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017, 16.

<sup>333</sup> Bant E., Barker K., Degeling S., The evolution of unjust enrichment law: theory and practice, Research Handbook on Unjust Enrichment and Restitution, Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, 2020, 3-4.

<sup>334</sup> Barker K., Grantham R., Unjust Enrichment, 2nd edition, LexisNexis Butterworths, Chatswood, 2018, 4.

<sup>335</sup> იქვე.

<sup>336</sup> Birks P., The Roman Law of Obligations, Ed. Descheemaeker E., Oxford University Press, Oxford, 2014, 259.

<sup>337</sup> იქვე, 260.

<sup>338</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, 7.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იცნობს ეგრეთ წოდებულ გენერალურ დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების სარჩელთან მიმართებაში,<sup>339</sup> რომელიც მოცემულია 812-ე პარაგრაფში, რაც, თავის მხრივ, ერთმანეთისგან გამოყოფს შესრულების<sup>340</sup> და არაშესრულების კონდიქციებს.<sup>341</sup> აღნიშნული მნიშვნელოვანი წინააღმდეგობრივობით გამოირჩეოდა მანამ სანამ ვოლტერ ვილბურგისა და ერნსტ ფონ კემერერის დაყოფის პრინციპი საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებული არ გახდა.<sup>342</sup> ეს დაყოფა თავის მხრივ დეტლევ კონიგის მიერ მომზადდა კანონპროექტის ფორმით, რომელიც ცვლილების სახით უნდა შესულიყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, რაც საბოლოოდ არ განხორციელდა.<sup>343</sup> კონიგის მთავარი მიზანი იყო გადაეჭრა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებული უსაფუძვლო გამდიდრების პრობლემატიკა - კერძოდ, წარმოადგენს თუ არა 812-ე პარაგრაფი ერთიანი მოთხოვნის საფუძველს უსაფუძვლო გამდიდრების სარჩელებისთვის, თუ იგი მოიცავს სხვადასხვა მოთხოვნის საფუძველებს ერთმანეთისგან განსხვავებული მოთხოვნის წინაპირობებით.<sup>344</sup> თუმცა, პრობლემატიკის გადაჭრა და უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების გამარტივება და სისტემატიზაცია კი კრიტიკის საფუძველი გახდა, სწორედ იმიტომ რომ უსაფუძვლო

---

<sup>339</sup> საგულისხმოა მოსაზრება, რომ გერმანული სამართლისთვის საფუძვლიანი გამდიდრება არის ყველა ის ტრანზაქცია, რომელიც შესაბამისი ნორმატიული საფუძვლიდან ან ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, საკმარისია მხოლოდ კონკრეტული ტრანზაქცია აკმაყოფილებდეს უსაფუძვლო გამდიდრების გენერალურ წინაპირობებს, იგი ჩაითვლება *prima facie* უსაფუძვლო გამდიდრებად. ვრცლად იხ. *Zimmermann R., Plessis J., Basic Features of the German Law of Unjustified Enrichment, Restitution Law Review, Vol. 2, 1994, 14.*

<sup>340</sup> აღსანიშნავია, რომ ქართული სამართალწარმოება იცნობს ტერმინოლოგიურად შესრულებისა და არაშესრულების კონდიქციებს. მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016.

<sup>341</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017, 81.

<sup>342</sup> *Basedow J., Klaus H. J., Zimmermann R., Stier A., Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Oxford University Press, 2012, 1744.*

<sup>343</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, 7.

<sup>344</sup> *Basedow J., Klaus H. J., Zimmermann R., Stier A., Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Oxford University Press, 2012, 1744.*



გამდიდრების რთული თემატიკა<sup>345</sup> რიგ შემთხვევებში ადგილს არ ტოვებს სიმარტივისთვის.<sup>346</sup>

კონდიქციური ტიპოლოგიის მიხედვით, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ იზიარებს და რომელიც გერმანულ სამართალში განმტკიცებულია იურიდიულ დოქტრინასა და სამართალწარმოების ფარგლებში, არსებობს ოთხი კონდიქციის ტიპი - შესრულების კონდიქცია (Leistungskondiktion), ხელყოფის კონდიქცია (Eingriffskondiktion), რეგრესის კონდიქცია (Rückgriffskondiktion) და დანახარჯების კონდიქცია (Verwendungskondiktion). აღნიშნულ კონდიქციათა ყველა ტიპს სხვადასხვა წინაპირობა და სამართლებრივი მოწესრიგება აქვს.<sup>347</sup> მიუხედავად იმისა რომ მოცემულ ტიპოლოგიას სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მიზანი აქვს, მათი საერთო ფუნქცია ერთია - შეავსოს უპირატესად გამოსაყენებელ მოთხოვნებში არსებული სიცარიელე.

ასევე აღსანიშნავია, რომ საერთო სამართლისთვის უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი<sup>348</sup> არ იზიარებს იგივე სტრუქტურასა და ტიპოლოგიას, როგორც ეს გერმანულ სამართალშია.<sup>349</sup> ვილბურგისა და კემერერის ტიპოლოგიები არაერთხელ გამხდარა შედარებითი სამართლებრივი კვლევის საფუძველი, უფრო მეტიც, ინგლისური სამართლის თანამედროვე რესტიტუციისა და უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის

---

<sup>345</sup> უსაფუძვლო გამდიდრების რთული თემატიკა, განსაკუთრებით კი მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრის ნაწილში, ახასიათებს არა მხოლოდ გერმანიასა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებს, არამედ საერთო სამართალსაც. ვრცლად იხ. *Sinel Z., Through Thick and Thin: The Place of Corrective Justice in Unjust Enrichment, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 31, No. 3, 2011, 551-552.*

<sup>346</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017, 81-82.

<sup>347</sup> *Basedow J., Klaus H. J., Zimmermann R., Stier A.*, Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Oxford University Press, 2012, 1744.

<sup>348</sup> *რუსიაშვილი გ.*, რესტიტუციის ფარგლები ანგლო-ამერიკულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2020, 2020, 34-35.

<sup>349</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ინგლისში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 5/2020, 2020, 4-5.

ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა სამართალმეცნიერმა პიტერ ბირქსმა<sup>350</sup> ინგლისური უსაფუძვლო გამდიდრების სამართლისთვის პირდაპირ გააკეთა ერთ-ერთი წინაპირობის - „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ ინგლისურ დოქტრინაში ინტეგრაცია. ეს როგორც გერმანული, ისე ქართული უსაფუძვლო გამდიდრების ტიპოლოგიისთვის უნივერსალურ წინაპირობას წარმოადგენს.<sup>351</sup>

## 2.1. უსაფუძვლო გამდიდრების ტრანსფორმაცია ინტერნეტში

უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ინტერნეტ სივრცეში თავისუფლად შესაძლოა ითქვას, რომ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისთვის სიახლეს წარმოადგენს, არა მხოლოდ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისთვის, არამედ საერთო სამართლის ქვეყნებისთვისაც. განცალკევებით ქართული სამართლისთვის კი არ არსებობს არცერთი იურიდიული ნაშრომი, მოსაზრება დოქტრინაში ან სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ამ საკითხს შეეხება, თუმცა საკითხი ქართულ ინტერნეტ სივრცისთვის პრაქტიკული მნიშვნელობისაა და მას მნიშვნელოვანი როლი უნდა ჰქონდეს ქართულ ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის.

ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე, სადაც პირებს შორის ფიზიკური სივრცე საერთოდ არ არსებობს, გამდიდრება<sup>352</sup> შესაძლოა ნებისმიერი პირისთვის მარტივად ხელმისაწვდომ ფენომენს წარმოადგენდეს, შესაბამისად, შესაძლოა ეს გამდიდრება ასევე იყოს უსაფუძვლო. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ძირეული მიზანი ნებისმიერი არსებული სამართლებრივი სივრცისთვის შინაარსობრივად ერთსა და იმავეს წარმოადგენს - მოაწესრიგოს უსაფუძვლოდ გადადინებული ქონებრივი მასის

---

<sup>350</sup> *Bant E., Barker K., Degeling S.*, The evolution of unjust enrichment law: theory and practice, Research Handbook on Unjust Enrichment and Restitution, Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, 2020, 2.

<sup>351</sup> *Basedow J., Klaus H. J., Zimmermann R., Stier A.*, Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Oxford University Press, 2012, 1744.

<sup>352</sup> გამდიდრება, როგორც პირთან ქონებრივი სიკეთის თავმოყრა, ასევე, სხვა პირის ხარჯზე რაიმეს დაზოგვა. გამდიდრების შესახებ მოსაზრებები კონტინენტური ევროპის სამართლისთვისა და საერთო სამართლისთვის მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. ვრცლად იხ. *Edelman J.*, The Meaning of Loss and Enrichment, Philosophical Foundations of the Law of Unjust Enrichment, Eds. Chambers R., Mitchell C., Penner J., Oxford Academic, Oxford, 2009, 226-227.

რესტიტუცია.<sup>353</sup> რესტიტუციის ფარგლებში გამდიდრება უნდა დაბრუნდეს იმ ოდენობით რა ოდენობითაც მიმღები გამდიდრებულია,<sup>354</sup> შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების მთავარი მიზანი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადადინებული ქონების უკუქცევა.<sup>355</sup> იგი თავის თავში მოიცავს პრობლემატიკასაც თუ როგორ უნდა დადგინდეს გამდიდრების მოცულობა.<sup>356</sup> ინტერნეტში წარმოშობილი უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევებისთვის კიდევ უფრო რთულია გადადინებული ქონების მოცულობის განსაზღვრა, რასაც ისიც ემატება, რომ რიგ შემთხვევაში გამდიდრების მიმღები პირის დადგენაც კი მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული.<sup>357</sup>

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის როლს ინტერნეტისთვის ასევე განაპირობებს ის, რომ ვირტუალურ სამყაროში სარგებლის მომტანი სამართლებრივი სიკეთეები<sup>358</sup> განსხვავდება ფიზიკურ სამყაროში არსებული სიკეთეებისგან და შესაბამისად, მათი დაცვის ერთადერთი საშუალება სწორედ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ფარგლებში შესაძლოა იყოს მიღწევადი.

---

<sup>353</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ინგლისში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 5/2020, 2020, 1.

<sup>354</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017, 16.

<sup>355</sup> *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, იურისტთა ბიბლიოთეკა, თბილისი, 2016, 106.

<sup>356</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017, 16.

<sup>357</sup> მაგალითისთვის, კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული ტრანზაქციები ხშირად მოიაზრება როგორც ანონიმური, თუმცა უმეტესწილად აღნიშნული მოსაზრება მცდარია. კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია ინახება ბლოკჩეინზე და იგი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, ანონიმურობის ილუზიას ქმნის ის, რომ კრიპტო საფულის შექმნა ყველას შეუძლია, რაც საბანკო ანგარიშისგან განსხვავებით რაიმე რთულ პროცედურულ საკითხთან არ არის დაკავშირებული. მიუხედავად აღნიშნულისა, უმეტესი კრიპტო საფულის სერვისის პროვაიდერი თავის მომხმარებლებისგან ითხოვს პერსონალურ მონაცემებს პირის იდენტობის დასადასტურებლად (KYC), რაც საბოლოოდ სპობს ანონიმურობის შესაძლებლობას. ვრცლად იხ. *Watters C.*, When Criminals Abuse the Blockchain: Establishing Personal Jurisdiction in a Decentralised Environment, *Laws*, Vol. 12 (2), 2023, 6-7.

<sup>358</sup> *რუსიაშვილი გ.*, *ვენატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 91.

## 2.2. შესრულების კონდიქცია ინტერნეტში

შესრულების კონდიქცია წარმოადგენს არანამდვილი შესრულების უკუქცევის ინსტრუმენტს<sup>359</sup> და სწორედ ამიტომ, მას ხშირად მოიაზრებენ როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობების ერთგვარ დანამატსა და გაგრძელებას.<sup>360</sup> შესრულების კონდიქციის ურთიერთობის მხარეები არიან კრედიტორი და ვითომ-კრედიტორი, პირი რომელმაც მიიღო შესაბამისი სამართლებრივი სიკეთე, რომლის შენარჩუნების საფუძველიც მას არ გააჩნია.<sup>361</sup> შესრულების კონდიქცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-981-ე მუხლების ფარგლებშია მოწესრიგებული და მას, როგორც სამოქალაქო სამართალში არსებულ ყველა ინსტიტუტს, გააჩნია თავისი წინაპირობები.

შესრულების კონდიქციის პირველ წინაპირობად შეიძლება მოვიხსნათ რაიმეს გადაცემა.<sup>362</sup> რაიმეში იგულისხმება ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთე. ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის ეს წინაპირობა თითქმის უცვლელი სახით უნდა იქნეს გაზიარებული, გამომდინარე იქიდან რომ ვირტუალურ სამყაროში არსებულ სამართლებრივ სიკეთეებზე ზუსტად იგივე პოზიციონირება ხდება უფლებრივ ჭრილს როგორც ეს ფიზიკურ სამყაროშია. მაგალითისთვის, ვირტუალური ქონების შემთხვევაში, საკუთრების გადაცემა ხდება ისე როგორც ეს ფიზიკურ სამყაროში მატერიალურად არსებული ქონების შემთხვევაშია.

შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს გადაცემა შესრულებით, რომელშიც იგულისხმება სხვისი ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული შევსება.<sup>363</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით პრობლემური საკითხი ინტერნეტში შემთხვევით განხორციელებული ტრანზაქციებია, რომელიც არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მოაზრებული როგორც

<sup>359</sup> იქვე, 89.

<sup>360</sup> *Peters P.*, Die Entbehrlichkeit der Figur der Leistungskondiktion, Juristische Rundschau, Vol. 2014, No. 8, 2014, 319-320.

<sup>361</sup> *რუსიაშვილი გ.*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017, 85.

<sup>362</sup> *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 91.

<sup>363</sup> იქვე, 91-92.

შესრულების კონდიციის ფარგლებში მოწესრიგებადი ურთიერთობა, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ დროს არ ხდება სხვისი ქონების გაცნობიერებული და მიზანმიმართული შევსება.

შესრულების კონდიციის ბოლო წინაპირობას წარმოადგენს სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა, რაც გულისხმობს იმას, რომ არ უნდა არსებობდეს არც კანონისმიერი და არც სახელშეკრულებო საფუძველი პირთან გადადინებული ქონებრივი სიკეთის დატოვებისთვის.<sup>364</sup> აღნიშნული წინაპირობა უნივერსალურია ყველა კონდიციისთვის.

### 2.2.1. პრაქტიკული გამოყენება

გერმანული იურიდიული ლიტერატურა იცნობს და აღიარებს ინტერნეტში შესრულების კონდიციის გამოყენებასა და მის პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო უსაფუძვლო გამდიდრების სამართალწარმოების ფარგლებში გამოყენებას იცნობს ვირტუალურ სამყაროში არსებული ვირტუალური ქონების საწყისი ეტაპიდანვე.<sup>365</sup> მნიშვნელოვანია მიდგომა კრიპტოვალუტასთან დაკავშირებითაც. რადგან გერმანიაში კრიპტოვალუტა ითვლება უფრო მეტად არაქონებრივ სიკეთედ, შესრულების კონდიციის ფარგლებში მისი გადაცემა აკმაყოფილებს ვითომ-კრედიტორისთვის რაიმეს მოპოვების წინაპირობას, გამომდინარე იქიდან, რომ რაიმე შესაძლოა იყოს ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთე.<sup>366</sup> შესაბამისად, კრიპტოვალუტაზე დადებული გარიგების ჩაშლის შემთხვევაში, მისი უკუგება უნდა მოხდეს შესრულების კონდიციის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ უკან დაბრუნდება სუროგატიც,<sup>367</sup> რომელიც

<sup>364</sup> იქვე, 92.

<sup>365</sup> *Mu X.*, The challenge of the emergence of virtual property to the traditional legal theory and the corresponding solutions, *European Journal of Law and Technology*, Vol. 14, No.1, 2023, 9.

<sup>366</sup> Gesetzgeberischer Handlungsbedarf im zivilrechtlichen Umgang mit Krypto-Token, *Digitaler Neustart*, 2022, 38. ხელმისაწვდომია ონლაინ - [https://www.justiz.nrw.de/JM/schwerpunkte/digitaler\\_neustart/index.php](https://www.justiz.nrw.de/JM/schwerpunkte/digitaler_neustart/index.php) [10.01.2023]

<sup>367</sup> სუროგატი არის ნებისმიერი ის ჩამნაცვლებელი ქონება, რაც იკავებს შესრულებით მიღებულის ადგილს. სუროგატზე მითითება გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მოცემულია 818 II პარაგრაფში, ხოლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში კი 979 I მუხლში. ვრცლად იხ. *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ.,*

შესაძლოა წარმოიშვას ერთი კრიპტოვალუტის სხვა სახის კრიპტოვალუტაზე გადაცვლისას.<sup>368</sup> ეს მიდგომა აბსოლუტურად გაზიარებული უნდა იქნეს ქართული სამართლისთვისაც, გამომდინარე იქიდან რომ ქართული მოწესრიგება ემთხვევა გერმანულ მოწესრიგებას. უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში მიღებული კრიპტოვალუტის უკუგებას იზიარებს ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მართლწესრიგი.<sup>369</sup> უფრო ფართო პერსპექტივიდან კი განხილული მიდგომა, რომელიც კრიპტოვალუტას ეხება, გაზიარებული უნდა იყოს ზოგადად ვირტუალური ქონების მიმართ.

მნიშვნელოვანია გაერთიანებული სამეფოს სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *Jones v. Persons Unknown*,<sup>370</sup> სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს შეეძლო გადაცემული ბიტკოინები უკან დაებრუნებინა უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში,<sup>371</sup> რადგან იგი კრიპტო-თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდა და თაღლითური სქემის ფარგლებში გარკვეული რაოდენობის ბიტკოინი გადასცა საინვესტიციო ფონდს. ეს საქმე არა მხოლოდ იმის გამოა მნიშვნელოვანი რომ გადაცემული ვირტუალური ქონება უკან დაბრუნდა უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში, არამედ იმიტომ რომ მოპასუხედ შესაძლოა დაყენებულ იქნეს ის კრიპტო საფულის პროვაიდერი, რომელიც ინახავს უსაფუძვლოდ გადადინებულ კრიპტოვალუტას, რაც იძლევა შესაძლებლობას მიღებული გადაწყვეტილების

---

კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 107.

<sup>368</sup> Gesetzgeberischer Handlungsbedarf im zivilrechtlichen Umgang mit Krypto-Token, Digitaler Neustart, 2022, 38-39. ხელმისაწვდომია ონლაინ - [https://www.justiz.nrw.de/JM/schwerpunkte/digitaler\\_neustart/index.php](https://www.justiz.nrw.de/JM/schwerpunkte/digitaler_neustart/index.php) [10.01.2023]

<sup>369</sup> *Lehmann M.*, Who Owns Bitcoin? Private Law Facing the Blockchain, *Minnesota Journal of Law, Science & Technology*, Vol. 21, Issue 1, Article 4, 2020, 121.

<sup>370</sup> *Jones v Persons Unknown* [2022] EWHC 2543 (Comm)

<sup>371</sup> გამომდინარე იქიდან რომ საერთო სამართლის მოწესრიგება არ ყოფს ტიპოლოგიებად უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნებს, ქართული სამართლისთვის აღნიშნული შემთხვევა მოექცევა შესრულების კონდიქციის ფარგლებში, გამომდინარე იქიდან რომ მოსარჩელემ გადასცა სამართლებრივი სიკეთე სხვა პირს თაღლითური სქემის ფარგლებში, რაც თავის მხრივ გადაცემის შემდეგ გახდა მოსარჩელისთვის ცნობილი. შესაბამისად, სუბსიდიარულობის დოგმის მიხედვით რაც მოპოვებულია შესრულებით ვერ იქნება მოპოვებული ხელყოფით. ვრცლად იხ. *Wandt M.*, Gesetzliche Schuldverhältnisse, Deliktsrecht, Schadensrecht, Bereicherungsrecht, GoA, Verlag Franz Vahlen, München, 2019, 239-240.

აღსრულების ფარგლებში გამდიდრების უკუგება დაევალოს კრიპტო საფულის პროვაიდერს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ამ დავის ფარგლებში დაკმაყოფილდა იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, რომელიც აღსასრულებლად ასევე კრიპტო საფულიდან მიექცა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ ვირტუალური ქონებით აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილების დაკმაყოფილება შესაძლებელია.

### **2.2.2. შესრულების კონდიციის სპეციალური შემთხვევები ინტერნეტში**

ინტერნეტში განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქცია ეფუძნება კომპიუტერული კოდის ოპერირებას. მიუხედავად იმისა რომ კომპიუტერული კოდის ფარგლებში მითითებას აკეთებს კოდის მომხმარებელი, საბოლოო ტრანზაქციის აღსრულებას მაინც კოდი ახორციელებს, თუმცა შესაძლოა რომ მითითება კოდმა ხარვეზის გამო არა იმ ფარგლებში განახორციელოს, როგორც ეს მიმთითებელს სურს, არამედ გაზრდილი მოცულობით, რამაც მიმღების უსაფუძვლო გამდიდრება გამოიწვიოს (შეცდომა ტრანზაქციის მოცულობაში).

ასევე, შესაძლოა კომპიუტერული კოდის მესაკუთრეს საკუთარ პლატფორმაზე კოდისთვის ჰქონდეს მითითება განხორციელებული არა უშუალოდ ტრანზაქციასთან დაკავშირებით, არამედ ზოგადი ოპერირების პრინციპებთან მიმართებით, მაგალითად კრიპტოვალუტის გადამცვლელ პლატფორმას ჰქონდეს განსაზღვრული კონკრეტული გაცვლითი კურსი, ხოლო კოდის შეცდომის გამო გაცვლითი კურსი გაიზარდოს, რამაც გამოიწვიოს მომხმარებლების გამდიდრება, რომლებიც ასეთი შეცდომის ფარგლებში გადაცვლიან სხვადასხვა კრიპტო აქტივს პლატფორმაზე (შეცდომა განსაზღვრულ ოპერაციაში).

დამატებით, კიდევ ერთ სპეციალურ შემთხვევად შესაძლოა მოაზრებული იქნეს გარემოება როდესაც მომხმარებელი თავად პოულობს კომპიუტერულ კოდში ხარვეზს და

ამ ხარვეზის საფუძველზე იგი უსაფუძვლოდ მდიდრდება. ამერიკის შეერთებული შტატების სამართალწარმოება იცნობს ასეთ შემთხვევას, როდესაც ფიზიკურმა პირმა ცნობილი კრიპტოვალუტა ICX<sup>372</sup> დააგენერირა კომპიუტერულ პროგრამაში არსებული ხარვეზის ხარჯზე. არსებული ხარვეზის ფარგლებში გენერირებული ICX ტოკენების რაოდენობა 14 მილიონი იყო, რომელთა ჯამური ღირებულება ICON Foundation-ის შეფასების მიხედვით, დაახლოებით 9 მილიონი ამერიკული შეერთებული შტატების დოლარი იყო.<sup>373</sup> ეს საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ სასამართლომ მიიღო მოპასუხის შეგებებული სარჩელი მოსარჩელის მიერ მიღებული კრიპტოვალუტის უკან დაბრუნების მოთხოვნის უსაფუძვლო გამდიდრებაზე მითითებით (სისტემური ხარვეზი).<sup>374</sup>

### 2.2.3. სპეციალური შემთხვევების გადაწყვეტა

#### 2.2.3.1. შეცდომა ტრანზაქციის მოცულობაში

ტრანზაქციის მოცულობასთან დაკავშირებული შეცდომის დროს წარმოიშობა სამ პირს შორის კონდიციური ურთიერთობა, რომლის დროსაც თითოეული მხარე მიღებულის უკან დაბრუნებას ითხოვს თავისი კონტრაქტისგან, გამომდინარე იქიდან რომ პირმა უნდა შეინარჩუნოს თავისი კონტრაქტის წინაშე შესაგებლის წარდგენის უფლება და ასევე, მხოლოდ მან უნდა ატაროს თავისი კონტრაქტის გადახდისუნარიანობის რისკი.<sup>375</sup> მაგალითისთვის, პირი ონლაინ ბანკინგის მეშვეობით ახორციელებს თანხის გადარიცხვას მის კრედიტორთან, რათა დაფაროს არსებული სესხი, თუმცა ონლაინ ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებული ხარვეზის გამო მიმღებს ჩაერიცხება სესხის თანხის ათმაგი მოცულობა. ასეთ შემთხვევაში, სამ პირს შორის არსებული

---

<sup>372</sup> ICX წარმოადგენს The ICON Network ბლოკჩეინზე არსებულ კრიპტოვალუტას. ვრცლად იხ. <https://docs.icon.community/v/icon1/introduction/the-icon-network> [13.01.2023]

<sup>373</sup> Shin v. Icon Found., 20-cv-07363-WHO (N.D. Cal. Jun. 28, 2023).

<sup>374</sup> იქვე, Filing 97 ORDER DENYING #77 MOTION TO DISMISS COUNTERCLAIM by Judge William H. Orrick. (jmd, COURT STAFF) (Filed on 12/27/2021).

<sup>375</sup> რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 107. 191.



კონდიციური ურთიერთობის დროს სესხის მოცულობა წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებულ თანხას, ხოლო თანხა, რომელსაც გადაჭარბებით იღებს მიმღები არის კონდიციური ურთიერთობის ფარგლებში დასაბრუნებელი. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სამ პირს შორის არსებული კონდიციური ურთიერთობის დროს ტრანზაქციათა უკუგებისთვის მნიშვნელოვანია ობიექტური მიმღების თვალსაწიერი,<sup>376</sup> თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემატიკას წარმოადგენს შეერაცხება თუ არა მითითება პირს, რომელიც ინტერნეტის საშუალებით სხვა პირთან ახორციელებს თანხის გადარიცხვას ან რაიმე სხვა სამართლებრივი სიკეთის გადაცემას.<sup>377</sup> ასეთ შემთხვევაში, შუამავლის კომპიუტერული კოდი უშვებს შეცდომას, შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს რომ შუამავლის კლიენტს არანაირი მითითება არ განუხორციელებია ზედმეტად გადარიცხული თანხის ფარგლებში. ამრიგად, მას არ შეერაცხება მითითება და კლიენტს პირდაპირ ექნება მისი ანგარიშიდან ზედმეტად გადარიცხული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა ბანკისგან, ხოლო ბანკი მოითხოვს ამ თანხას პირისგან, რომელსაც გადაურიცხა იგი.

### 2.2.3.2. შეცდომა განსაზღვრულ ოპერაციაში

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ თუ გამდიდრება ხდება კოდში გაწერილი სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში არსებული შეცდომის გამო და ასეთი შემთხვევა მოწესრიგებულია პლატფორმასა და მომხმარებელს შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება. მაშინ როდესაც ოპერაციული შეცდომა ექცევა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებს გარეთ, გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები, თუმცა პრობლემატიკას წარმოადგენს თუ რომელი კონდიციური ურთიერთობა უნდა იქნეს ასეთ დროს გამოყენებული. ამ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ სახეზეა შესრულების კონდიცია, გამომდინარე იქიდან რომ პლატფორმა თავად განსაზღვრავს ოპერაციის შინაარს, მათ შორის თუ ეს

---

<sup>376</sup> იქვე, 178.

<sup>377</sup> იქვე, 192.

დაკავშირებულია კრიპტოვალუტასთან ან სხვა ვირტუალურ ქონებასთან და მის ღირებულებასთან. შესაბამისად, მომხმარებელს უჩნდება წარმოდგენა, რომ იგი სამართლებრივ სიკეთეს იღებს პლატფორმის მიერ გაცნობიერებული გადაცემის ფარგლებში, თუმცა ეს არ არის სწორი. მნიშვნელოვანია მიმღების თვალსაწიერი შეფასდეს ობიექტურად.<sup>378</sup> პლატფორმის მომხმარებლისთვის, რომელიც კოდის ხარვეზის გამო სარგებლობს და იღებს არაგონივრულად გადაჭარბებულ ქონებრივ სარგებელს, სავარაუდოა რომ პლატფორმას აღნიშნულის განხორციელება არ სურს, შესაბამისად, შესრულების კონდიქცია გამოირიცხება. ასევე უნდა გამოირიცხოს ხელყოფის კონდიქცია, გამომდინარე იქიდან რომ ხელყოფის ელემენტი არ არის სახეზე, შესაბამისად, გამოსაყენებლად რჩება სსკ-ს 991-ე მუხლი, გენერალური კონდიქციური დათქმა.

### 2.2.3.3. სისტემური ხარვეზი

სისტემური ხარვეზი,<sup>379</sup> რომელიც კომპიუტერული კოდის მომხმარებელს აძლევს საშუალებას ისარგებლოს პლატფორმით და უსაფუძვლოდ მიიღოს რაიმე სამართლებრივი სიკეთე, შეუძლებელია ჩაითვალოს პლატფორმის მხრიდან განხორციელებულ ქმედებად, რომელიც მიმართულია მომხმარებლის ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შევსებისკენ. გამომდინარე აქედან, რადგანაც ეს ელემენტი უმთავრესია შესრულების კონდიქციისთვის,<sup>380</sup> ისეთ შემთხვევაში როდესაც მომხმარებელი კოდის ხარვეზს თავად პოულობს და შემდეგ სარგებლობს ამ ხარვეზით, რათა მიიღოს ქონებრივი სარგებელი, ასეთი გამდიდრება ვერ ჩაითვლება შესრულების კონდიქციის ფარგლებში წარმოშობილ გამდიდრებად და ტრანსფორმირდება ხელყოფით

---

<sup>378</sup> იქვე, 114.

<sup>379</sup> სისტემური ხარვეზი ძირითადად გამოიხატება კოდის უფუნქციოობაში განახორციელოს მისთვის დავალბებული მოქმედება ან პირიქით, ხელი შეუშალოს მის მომხმარებელს ისეთი ქმედების განხორციელებისგან, რომელიც კოდის ძირეულ ფუნქციას არ წარმოადგენს. ვრცლად იხ. Zollers F. E., McMullin A., Hurd S. N., Shears P., No More Soft Landings for Software: Liability for Defects in an Industry That Has Come of Age, Santa Clara High Technology Law Journal, Vol. 21, Issue 4, 2005. 750.

<sup>380</sup> რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 91.

მოპოვებულ გამდიდრებაში. აღნიშნულს ისიც ემატება, რომ განსხვავებით განსაზღვრულ ოპერაციაში შეცდომისგან, სისტემური ხარვეზის დროს მომხმარებლის თვალსაწიერიდან არც კი შეიძლება განხილული იქნეს ის ფაქტი, რომ პლატფორმა შეგნებულად უშვებს სისტემური ხარვეზის არსებობას, რათა გამოიწვიოს მისი მომხმარებლების გამდიდრება რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, რომელიც მოგვიანებით ჩაიშლება. ეს კი გამომდინარე იქიდან რომ მომხმარებელმა, რომელიც პლატფორმით სარგებლობას იწყებს ზუსტად იცის ან უნდა იცოდეს პლატფორმის ოპერირების ფარგლები, რაც განპირობებული იმით რომ მომხმარებელი პლატფორმით სარგებლობისას ეთანხმება სახელშეკრულებო პირობებს, რომელსაც პლატფორმა განსაზღვრავს.

#### 2.2.4. შესრულების კონდიციის პერსპექტივის შეფასება ინტერნეტში

შესრულების კონდიციის შემთხვევები ინტერნეტ სივრცეში ტრანსფორმირებს იმავე წინაპირობებით როგორც ეს ფიზიკურ სამყაროშია. მიუხედავად ამისა, პრობლემური საკითხია რაიმეს მოპოვება. შესაბამისად, იდენტიფიცირებული უნდა იქნეს რაიმეს მოპოვებად რა ჩაითვლება ინტერნეტში, რაც საბოლოოდ რაიმეს მოპოვების ქვეშ სამართლებრივი სიკეთის დეფინიციის გაფართოებას იწვევს. აღნიშნული გამოიხატება იმაში რომ ვირტუალური საკუთრების ობიექტების გადაცემა, მაგალითად, კრიპტოვალუტისა, უნდა ჩაითვალოს რაიმეს გადაცემად. ასევე, ისეთი შემთხვევა თუ გადაცემული სამართლებრივი სიკეთე, რომელიც ინტერნეტშია ხელმისაწვდომი ჩანაცვლდება სუროგატით და აღნიშნული სუროგატიც ექვემდებარება დაბრუნებას.

შესრულების კონდიციის ფარგლებში მოთხოვნის ფარგლების პრობლემატიკა ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე კიდევ უფრო გართულებულია, რასაც ემატება ისიც, რომ ვითომ-კრედიტორი შესაძლოა დაუდგენელი პირი იყოს ინტერნეტში ანონიმური ტრანზაქციების სიმარტივიდან გამომდინარე.<sup>381</sup> შესაბამისად,

---

<sup>381</sup> ინტერნეტში პირი არა მხოლოდ ანონიმური შესაძლოა იყოს, არამედ მან შესაძლოა მიითვისოს სხვა პირის პერსონალური მონაცემები, რითიც ნახოს ქონებრივი სარგებელი. აღნიშნულ შემთხვევებს იცნობს ქართული სისხლის სამართალწარმოებაში არსებული პრაქტიკა. მაგ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 09 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1/2445-17.

აბსოლუტურად გასაზიარებელია დიდი ბრიტანეთის მიდგომა მოპასუხედ ისეთი პირის დაყენების ნაწილში, რომელიც მართალია უშუალოდ არ შესულა კონდიქციის კრედიტორთან სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, მაგრამ საბოლოო გამდიდრება მასთან დაილექა.<sup>382</sup> მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი მიდგომა არ გამოიყენება ისეთ შემთხვევაში როდესაც ტრანზაქცია უშუალოდ ფულს ეხება, მიუხედავად იმისა რომ იგი განხორციელებულია ინტერნეტში.<sup>383</sup>

მნიშვნელოვანია, რომ შესრულების კონდიქციისთვის ინტერნეტში წარმოიშობა სპეციალური შემთხვევები, რომელიც ფიზიკურ სამყაროში არსებული ურთიერთობებისთვის სრულიად უცხოა. ასეთ შემთხვევებად უნდა ჩაითვალოს შეცდომა ტრანზაქციის მოცულობაში და შეცდომა განსაზღვრულ ოპერაციაში, ხოლო ისეთი სისტემური ხარვეზი, რომლითაც მომხმარებელი შეგნებულად სარგებლობს და კომპიუტერულ კოდზე ზემოქმედებით იღებს სარგებელს, უნდა ჩაითვალოს ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში გადაწყვეტად საკითხად. ტრანზაქციის მოცულობაში შეცდომის დროს სავალდებულოა, რომ შეფასებული იქნეს იმ კომპიუტერული კოდის ოპერირების პრინციპები, რომლითაც ინტერნეტში ხდება ტრანზაქციის განხორციელება, რამაც შესაძლოა ორ პირს შორის კონდიქციური ურთიერთობა გადაზარდოს სამ პირს შორის კონდიქციურ ურთიერთობაში, მაშინ როდესაც ტრანზაქციის განმახორციელებელი მესამე პირის კომპიუტერული კოდის გამო ხდება ტრანზაქციის მოცულობაში შეცდომის დაშვება. ხოლო, განსაზღვრულ ოპერაციაში შეცდომის დროს სავალდებულოა, რომ იდენტიფიცირებული იქნეს სტანდარტული ოპერაციის შეცდომა კოდის ხარვეზის გამო მომხმარებლის ჩაურევლად არის გამოწვეული, თუ მომხმარებელი თავად ახდენს კოდზე რაიმე ტიპის აქტიურ ზეგავლენას და ამით იღებს ქონებრივ სარგებელს, გამომდინარე

---

<sup>382</sup> Jones v Persons Unknown [2022] EWHC 2543 (Comm)

<sup>383</sup> საქმეზე Tecnimont Arabia Limited v National Westminster Bank PLC არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნა ინტერნეტ ბანკის საშუალებით, თაღლითური სქემის ფარგლებში გადარიცხული ფულადი სახსრების იმ ბანკისგან დაბრუნების შესახებ, რომელთანაც საბოლოოდ დაილექა აღნიშნული თანხები. რაც სავარაუდოდ ფულის და საბანკო ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს, რაც ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი საბანკო ტრანზაქციებისთვის შეუცვლელ მიდგომას წარმოადგენს ფიზიკურ სამყაროში არსებული მოდგემებისგან. ვრცლად იხ. Tecnimont Arabia Limited v National Westminster Bank PLC [2022] EWHC 1172 (Comm)

იქიდან, რომ ეს უკანასკნელი არ ჩაითვლება შესრულების კონდიქციის ფარგლებში მოწესრიგებად ურთიერთობად და ტრანსფორმირებული იქნება ხელყოფის კონდიქციაში.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ვირტუალური ქონების უკუგების ნაწილში აღსრულების განხორციელება შესაძლებელია პირდაპირ იმ პლატფორმიდან, რომელზეც ვირტუალური ქონებაა თავმოყრილი. თავის მხრივ, აღნიშნული მიდგომა, გაზიარებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება ვირტუალური ქონების უკუგების მოთხოვნის აღსრულება, არამედ ზოგადად, ვირტუალური ქონების აღსასრულებლად მიქცევისას.

### 2.3. ხელყოფის კონდიქცია ინტერნეტში

წინამდებარე ქვეთავის კვლევის საგანია კონდიქციური ტიპოლოგიიდან<sup>384</sup> ერთ-ერთის, ხელყოფის კონდიქციის ფარგლების განხილვა ინტერნეტ სივრცეში. გამომდინარე იქიდან რომ ინტერნეტი ყოველი მომხმარებლისთვის ფართოდ ხელმისაწვდომია, ნებისმიერ პირს შეუძლია განახორციელოს, ფაქტობრივად შეუზღუდავად, მისთვის სასურველი მოქმედებები. ხშირად ასეთი ქმედებები სხვა პირების სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფით სრულდება. სწორედ ამიტომ, ხელყოფის კონდიქცია, როგორც სამართლებრივი სიკეთეების დაცვის ინსტრუმენტი (სკ-ის 982-ე მუხლი),<sup>385</sup> შესაძლოა ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის და მასში ჩართული პირებისთვის უმნიშვნელოვანესი დაცვის მექანიზმი იყოს.

აღნიშნული ასევე შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობებისას პირს ხშირად შესაძლოა არ ადგებოდეს რაიმე ტიპის

---

<sup>384</sup> შესრულების კონდიქციის შემდეგ ყველა სხვა კონდიქციური მოთხოვნის ტიპი ექცევა არაშესრულების კონდიქციის სახელდების ქვეშ, გამომდინარე იქიდან რომ რაიმეს მოპოვება არ ხდება შესრულების საფუძველზე. ვრცლად იხ. *Neyers J. W., McInnes M., Pitel S., Understanding Unjust Enrichment*, Hart Publishing, Portland, 2004, 250-251.

<sup>385</sup> *რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, 88-89.*

ზიანი, თუმცა მის ხარჯზე სხვა პირი მდიდრდებოდეს, ხოლო ვინაიდან ხელყოფის კონდიქცია და ზოგადად უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი<sup>386</sup> არ არის ზიანის ანაზღაურების ინსტრუმენტი და ის ქონების სწორედ ასეთი უსაფუძვლო ტრანზაქციის მაკორექტირებელ სამართალს წარმოადგენს,<sup>387</sup> მისი ფუნქცია ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვანი განხილვის საგანია.

კონდიქციური მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც ხელყოფით კონდიქციის კრედიტორს არაფერი არ დააკლდა და შესაბამისად, არ მიაღვა ზიანი, რაც ნათელია, რომ არამატერიალური სივრცისთვის - ინტერნეტისთვის კიდევ უფრო აქტუალური შეიძლება იყოს.

ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის ხელყოფის კონდიქციის წინაპირობები იგივეა, რაც ფიზიკურ სამყაროში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის, რომელიც შემდეგი სახით შესაძლოა იყოს წარმოდგენილი: რაიმეს მოპოვება ხელყოფის საშუალებით, ხელყოფის ობიექტი უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთე, რომელზეც განკარგვა/გამოყენების უფლება ექსკლუზიურად<sup>388</sup> მიეკუთვნება კონდიქციის კრედიტორს და ბოლოს, გამდიდრება უნდა მოხდეს სწორედ კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე.<sup>389</sup>

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია რაიმეს მოპოვების დეფინიცია ინტერნეტისთვის. შესრულების კონდიქციის ფარგლებში კონდიქციის კრედიტორი თავად გადასცემს სამართლებრივ სიკეთეს კონდიქციის მოვალეს. ასეთ დროს გადაცემული სამართლებრივი სიკეთის იდენტიფიცირება არ არის პრობლემური საკითხი,

---

<sup>386</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020, 7.

<sup>387</sup> *Neyers J. W., McInnes M., Pitel S.*, Understanding Unjust Enrichment, Hart Publishing, Portland, 2004, 251.

<sup>388</sup> Zuweisungstheorie - ე. წ. მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროს თეორია. ექსკლუზიურობა თავის მხრივ, არა მხოლოდ ქართული და გერმანული სამართლისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ანგლო-ამერიკული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალშიც ერთ-ერთ ცენტრალურ მახასიათებელს წარმოადგენს. ვრცლად შეგიძლიათ იხ. *Barker K.*, Unjust Enrichment: Containing the Beast, Oxford Journal of Legal Studies, Vol. 15, No. 3, 461-463.

<sup>389</sup> *Loewenheim U.*, Bereicherungsrecht, 3 Aufl., C.H. Beck, München, 2007, 96-98.

გამომდინარე იქიდან, რომ იგი არსებული, თუმცა მოგვიანებით ჩამოიშალა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრულია. ამისგან განსხვავებით, ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში, სამართლებრივი სიკეთე ინტერნეტში არსებული ობიექტია, რომელიც, ფიზიკური სამყაროსგან განსხვავებით, ბევრად მარტივად ხელმისაწვდომია ხელყოფი პირისთვის.<sup>390</sup> ფართო გაგებით, ხელყოფით რაიმეს მოპოვება ინტერნეტ სივრცეში ნიშნავს ნებისმიერი ვირტუალური სამართლებრივი სიკეთის – ვირტუალური ქონების, რომელიც მოიცავს კრიპტოპროვალუტასაც, გაციფრულებული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების და მათ შორის მონაცემების ხელყოფით რაიმეს მოპოვებას.

### 2.3.1. ხელყოფის კონდიქციის შემთხვევები ინტერნეტში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982 I მუხლი (ზოგადი) ხელყოფის კონდიქციის განმსაზღვრელი და ცენტრალური ნორმაა, რომელიც მიუთითებს ხელყოფის ისეთ ქმედებებზე, რომლითაც შესაძლოა იგი უსაფუძვლოდ გამდიდრდეს. სწორედ ამ ნორმის საფუძველზე ხდება შესაძლებელი კონდიქციური მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრა. თავის მხრივ, ხელყოფის კონდიქცია წარმოადგენს დელიქტური და, ზოგადად, აბსოლუტური უფლებების დაცვის სამართლის შემავსებელს და ერთგვარ დანამატს.<sup>391</sup> თუმცა, დელიქტური სამართლისგან განსხვავებით, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, კერძოდ კი ხელყოფის კონდიქცია, არა ზიანის ანაზღაურების სამართალს, არამედ ქონების უსაფუძვლო ტრანზაქციის მაკორექტირებელ სამართალს წარმოადგენს. კონდიქციური მოთხოვნა შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც უფლებამოსილ პირს ამით არაფერი არ დააკლდა, არ მიადგა ზიანი და არ წარმოიშვას, მიუხედავად მეორე

---

<sup>390</sup> *Ludwig J.*, Protections for Virtual Property: A Modern Restitutory Approach, *Loyola of Los Angeles Entertainment Law Review*, Vol. 32, No. 1, 2011, 1-3.

<sup>391</sup> *შნიტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ.*, მუხლი 982, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, [gcc.ccc.tsu.ge](http://gcc.ccc.tsu.ge), ველი 1. [21.11.2022]

პირისათვის მიყენებული ზიანისა, თუ სხვისი ქონების ხელმყოფი ამ ზიანის სანაცვლოდ არ გამდიდრებულა ან არაფერი არ მიუღია.<sup>392</sup> ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ხელყოფის კონდიქციის შემთხვევები სწორედ აღნიშნულ ფარგლებშია წარმოშობილი.

### 2.3.1.1. ინტერნეტის საშუალებით კომპიუტერული სისტემის ხელყოფა

როგორც უკვე აღინიშნა, კომპიუტერული სისტემის ხელყოფა ამერიკული მართლწესრიგისთვის უმეტესწილად დაკავშირებული დელიქტურ სამართალთან, კონკრეტულად კი Trespass დელიქტებთან. Trespass, როგორც ხელყოფის ან ზიანის მიყენების<sup>393</sup> ტრანსფორმაცია ინტერნეტ სივრცეში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების დამსახურებაა. თუმცა აღსანიშნავია, რომ სანამ ხელყოფიდან (trespass) გამომდინარე დოქტრინის ინტერნეტ ხელყოფის (Cybertrespass) დამკვიდრება მოხდებოდა, რომელიც Compuserve v. Cyber Promotions<sup>394</sup> და eBay, Inc. v. Bidder's Edge<sup>395</sup> საქმეებს უკავშირდება, მისი ჩამოყალიბება არა უშუალოდ ინტერნეტთან დაკავშირებულ დავაზე, არამედ ტელეკომუნიკაციებთან ასოცირებულ საქმეზე მოხდა Thrifty-Tel v. Bezenek.<sup>396</sup> თუმცა კომპიუტერული სისტემის ხელყოფა შესაბამისი თანმდევი ზიანის გარეშე შესაძლოა მოექცეს ხელყოფის კონდიქციის მოთხოვნის ფარგლებში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კრიპტოვალუტის ფასის მატებასთან ერთად სხვადასხვა საიტებმა, მათ შორის ქართულ ინტერნეტ სივრცეში, დაიწყეს ფარული მაინინგი, რომელიც გულისხმობს მომხმარებელთა კომპიუტერული სისტემებით სარგებლობას როდესაც საიტზე შესაბამისი ინტერაქცია ხორციელდება. ამის შესახებ ხშირად მომხმარებლებმა არაფერი იციან, თუმცა მათ ხარჯზე არა მხოლოდ მდიდრდება მესამე პირი - კონდიქციის მოვალე, არამედ შესაძლოა აღნიშნულმა კომპიუტერული

<sup>392</sup> რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2020, 12.

<sup>393</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, რედ. ნინიძე თ., ჯისიაი, თბილისი, 2001, 297–298.

<sup>394</sup> Compuserve Inc. v. Cyber Promotions, 962 F. Supp. 1015 (S.D. Ohio 1997)

<sup>395</sup> eBay, Inc. v. Bidder's Edge LLC, 100 F. Supp. 2d 1058 (N.D. Cal. 2000)

<sup>396</sup> Thrifty-Tel, Inc. v. Bezenek, 46 Cal. App. 4th 1559 (4th Dist. 1996)



სისტემის ცვეთა და დაზიანება გამოიწვიოს, რაც საფუძველი გახდეს დელიქტური მოთხოვნისთვის.

#### **2.3.1.1.1. „რაიმეს“ მოპოვება ხელყოფით**

განსახილველ შემთხვევაში, კონდიქციის მოვალე მოიპოვებს არა უშუალოდ კომპიუტერულ სისტემას ან კომპიუტერული სისტემით სარგებლობის შესაძლებლობას, არამედ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც კომპიუტერული სისტემის მუშაობიდან შესაძლოა გამომდინარეობდეს. ასეთი შესაძლოა იყოს სწორედ ფარული მაინინგით მოპოვებული კრიპტოვალუტა, ან კომპიუტერული სისტემის საშუალებით ხელოვნური ინტერნეტ-ტრეფიკის შექმნა.

#### **2.3.1.1.2. რეალიზაცია-გამოყენების ექსკლუზიური უფლება – „მიკუთვნილი უფლების დაცვითი სფერო“**

ექსკლუზიური განკარგვა / გამოყენების უფლება<sup>397</sup> ერთ-ერთი უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ხელყოფის კონდიქციის მოთხოვნის არსებობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი კონკრეტული კომპიუტერული სისტემა სტატიკურ სიტუაციაში სავარაუდოა, რომ განკუთვნილია მხოლოდ მისი მესაკუთრის სარგებლობისთვის, მაშინაც კი როდესაც ასეთი კომპიუტერული სისტემა დათმობილია მესამე პირის სარგებლობისთვის. შესაბამისად, კომპიუტერული სისტემის განკარგვა / გამოყენების ექსკლუზიური უფლება გააჩნია მის მესაკუთრეს.

#### **2.3.1.1.3. გამდიდრება კომპიუტერული სისტემის მესაკუთრის ხარჯზე**

მიუხედავად იმისა, რომ კომპიუტერული სისტემის ხელყოფისას შესაძლოა სახეზე არ იყოს არც უშუალოდ კომპიუტერულ სისტემის ცვეთა ან ზიანი, ასევე, არც მისი

---

<sup>397</sup> *Wandt M.*, Gesetzliche Schuldverhältnisse, Deliktsrecht, Schadensrecht, Bereicherungsrecht, GoA, Verlag Franz Vahlen, München, 2019, 171.

მესაკუთრის რაიმე სახით, თუნდაც სუფთა ქონებრივი ზიანის შედეგად გადარიბება,<sup>398</sup> კონდიქციის მოვალე ანუ ხელმყოფი პირი კომპიუტერული სისტემით სარგებლობისას მოიპოვებს შესაბამის გამდიდრებას, როგორც დანაზოგის სახით, რომელიც მას უნდა გადაეხადა შესაბამისი კომპიუტერული სისტემით სარგებლობისთვის. ასევე, იგი მოიპოვებს პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელსაც, როდესაც ხელყოფით იღებს რაიმე ქონებრივ სარგებელს.

#### 2.3.1.1.4. რეალიზაციის შესაძლებლობა

რეალიზაციის უფლება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს იგი მოიცავს მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის გასხვისების უფლებას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეს კომპიუტერულ სისტემებსა და ინტერნეტს ეხება. რეალიზაციის უფლება ნიშნავს არა მხოლოდ გასხვისების უფლებას, არამედ ნებისმიერი სახით სამართლებრივი სიკეთის გამოყენებასა და ეკონომიკური სარგებლის მიღებას.<sup>399</sup> კომპიუტერული სისტემის რეალიზება შესაძლებელია მისი დისტანციურად გაქირავებით, ეგრეთ წოდებული VPN სერვერად გამოყენებისას, სასერვერო სისტემად გამოყენებისას და სხვა. რაც ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო ბრუნვაში კომპიუტერული სისტემის რეალიზაციის შესაძლებლობა მის მესაკუთრეს ან უფლებამოსილ პირს გააჩნია.

ამრიგად, ნათელია, რომ კომპიუტერული სისტემის ხელყოფა, თუნდაც ისე როდესაც მისი აქტიური ქმედებით გამოყენება არ ხდება, ექცევა ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში და კონდიქციის კრედიტორს ანიჭებს შესაბამის კონდიქციურ მოთხოვნას.

---

<sup>398</sup> *Currie R. J., Of Neighbours and Netizens, Or, Duty of Care in the Tech Age: A Comment on Cooper v. Hobart, Canadian Journal of Law and Technology, Vol. 3, No. 2, 2004, 84-86.*

<sup>399</sup> *რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ.,* სანივთო სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2019, 101-102

### 2.3.1.2. ფარული მაინინგი - მომხმარებლის ხარჯზე გამდიდრება

ფარული მაინინგი წარმოადგენს ინტერნეტ ბრაუზერის საშუალებით კრიპტოვალუტის მოპოვების ერთ-ერთ შესაძლებლობას მომხმარებლისგან, ყოველგვარი თანხმობის მიღების გარეშე. ასეთი ტიპის მაინინგი ასევე ცნობილია ტერმინით - Cryptojacking.<sup>400</sup> ფარული მაინინგის დროს პირის გამდიდრება, რომელიც იღებს არამართლზომიერად მოპოვებულ კრიპტოვალუტას, ხდება მისი ინტერნეტ საიტის მომხმარებლის კომპიუტერული სიმძლავრის ხარჯზე.<sup>401</sup> ფარული მაინინგი ხორციელდება კომპიუტერული კოდის საფუძველზე, რომელიც ძირითადად პროგრამირების ერთ-ერთ ენაზე JavaScript-ზე იწერება და ოპერირებს ისე, რომ მომხმარებელი ვერ ხვდება მიმდინარე მაინინგის პროცესების მსვლელობას,<sup>402</sup> თუმცა, მომხმარებლისთვის აღქმადია ასეთ დროს მისი კომპიუტერის ოპერირების სიჩქარის შემცირება, რამაც შესაძლოა კომპიუტერული სისტემის დაზიანებაც კი გამოიწვიოს.

ფარული მაინინგი წარმოადგენს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს,<sup>403</sup> რომელიც ქართულ სამართალსივრცეში ექცევა სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე და 286-ე პრიმა მუხლების ფარგლებში, რაც გულისხმობს კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფას. ფარული მაინინგი ქართული ინტერნეტ სივრცისთვისაც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს და არაერთხელ გამხდარა ყურადღების საგანი.<sup>404</sup>

სამოქალაქო სამართლებრივი პერსპექტივიდან, ფარული მაინინგით მოპოვებული უსაფუძვლო გამდიდრება შესაძლოა რესტიტუციის ფარგლებში მოექცეს ხელყოფის

---

<sup>400</sup> *Gohwong S.*, The State of the Art of Cryptography-Based Cyber-Attacks, International Journal of Crime, Law and Social Issues, Vol. 6, No. 2, 2019, 26.

<sup>401</sup> იქვე.

<sup>402</sup> *Zimba A., Wang Z., Mulenga M.*, Cryptojacking injection: A paradigm shift to cryptocurrency-based web-centric internet attacks, Journal of Organizational Computing and Electronic Commerce, 2019, 44.

<sup>403</sup> *Gohwong S.*, The State of the Art of Cryptography-Based Cyber-Attacks, International Journal of Crime, Law and Social Issues, Vol. 6, No. 2, 2019, 28-30.

<sup>404</sup> მაგ. იხ. სტატია „როგორ იყენებენ საიტები თქვენს კომპიუტერს ფარულად, კრიპტოვალუტის გამოუმუშავებისთვის“, ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://tabula.ge/ge/news/602376-rogor-iqeneben-saitebi-tkvens-kompiuters-parulad> [11.10.2022]

კონდიციის შესაბამისად. კონკრეტული შემთხვევისთვის რაიმეს მოპოვებად ჩაითვლება იმ კრიპტოვალუტაზე საკუთრების მოპოვება, რომლის გამომუშავებაც ხდება ფარული მაინინგის დროს. ხელყოფის ელემენტის ნაწილში, მიუხედავად იმისა რომ ფარულმა მაინინგმა მომხმარებლის გადარიბება ან მასთან რაიმე ზიანის აკუმულირება შეიძლება არ გამოიწვიოს, ხელყოფა გამოიხატება მომხმარებლის კომპიუტერული სიმძლავრის უნებართვოდ გამოყენებაში, რომლის ხარჯზეც მდიდრდება ფარული მაინინგის განმხორციელებელი პირი.

ამრიგად, ხელყოფის კონდიციის ფარგლებში შესაძლებელია ფარული მაინინგით უსაფუძვლოდ მოპოვებული კრიპტოვალუტის უკუგება.

### **2.3.1.3. მონაცემთა ხელყოფა როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი**

#### **2.3.1.3.1. მონაცემთა დეფინიცია**

მონაცემთა ხელყოფა, როგორც ქმედების სახელდება, რთული სამართლებრივი კონსტრუქციაა, გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემთა დეფინიცია განუსაზღვრელი ცნებაა და ნებისმიერი ინფორმაცია შესაძლოა მონაცემად იქნეს აღქმული. თუმცა ინტერნეტ სივრცისთვის ასეთი მონაცემები ორ კატეგორიად შესაძლოა დაიყოს, პერსონალური მონაცემები, რომელიც უშუალოდ მომხმარებელთა მიერ ხდება ხელმისაწვდომი სხვადასხვა ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებისთვის/საიტებისთვის და ინფორმაციული მონაცემები, რომელსაც მომხმარებლები ქმნიან ინტერნეტ სივრცეში, მაგალითად, მომხმარებელთა ბრაუზერის ისტორია, საიტებზე აქტივობა და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება რომ ის მიეკუთვნება ვირტუალური საკუთრების ობიექტებს, როგორც უსხეულო ნივთი,<sup>405</sup> თუმცა აღნიშნული მოსაზრება, რა თქმა უნდა, სადავოა.<sup>406</sup>

<sup>405</sup> ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მეორე შევსებული გამოცემა, მერიდიანი, თბილისი, 2019, 203.

<sup>406</sup> იქვე.

### 2.3.1.3.2. პერსონალური მონაცემები და ხელყოფა

პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ყოველი ქვეყნის მართლწესრიგი მისთვის დამოუკიდებელ მოწესრიგებას გვთავაზობს, თუმცა არა ხელყოფის კონდიქციური გაგების ფარგლებში, არამედ პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.<sup>407</sup> აღნიშნული ძირითადად საჯარო მოწესრიგების ფარგლებში ექცევა და მიმართულია სახელმწიფოს მხრიდან პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფისკენ.<sup>408</sup> თუმცა მნიშვნელოვანია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში დამკვიდრდა მოსაზრება, განსაკუთრებით კი საერთო სამართლის სისტემისთვის, რომ პერსონალური მონაცემების ხელყოფა შესაძლოა სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში ჩაითვალოს როგორც უსაფუძვლო გამდიდრება და დაექვემდებაროს რესტიტუციას.<sup>409</sup>

### 2.3.1.3.3. გამდიდრება პერსონალური მონაცემების ხარჯზე

მნიშვნელოვანი საკითხია თუ როგორ შეიძლება პერსონალური მონაცემის ხარჯზე პირი გამდიდრდეს უსაფუძვლოდ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემად ჩაითვლება ნებისმიერი ისეთი მონაცემი, რომელიც ფიზიკურ პირთან არის დაკავშირებული, მასზე არის მიკუთვნებული ან შექმნილია მის მიერ.<sup>410</sup> გამდიდრება პერსონალური მონაცემების ხარჯზე უპირველესად შესაძლებელია

<sup>407</sup> *Chao B.*, Privacy Losses as Wrongful Gains, *Iowa Law Review*, Vol. 106, Issue 2, 2021, 571-574.

<sup>408</sup> მაგალითისთვის ქართულ მართლწესრიგში პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულატორული მოწესრიგება გამომდინარეობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონიდან, რომელიც ნათელია რომ პირთა შორის წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხს არ აწესრიგებს.

<sup>409</sup> *Chao B.*, Unjust Enrichment: Standing Up for Privacy Rights, *Iowa Law Review Online*, Vol. 108, 2023, 62-63.

<sup>410</sup> *Scholz L. H.*, Privacy Remedies, *Indiana Law Journal*, Vol. 94, Issue 2, 2019, 659-661.

განკარგვითი ხელყოფის ფარგლებში, მაშინ როდესაც პირი ინტერნეტში შეგროვებულ და დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებს გადასცემს სხვა პირს.<sup>411</sup>

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების ხარჯზე გამდიდრება ექცევა ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში, რაშიც საერთო სამართლისა და უმეტესად კონტინენტური ევროპის სამართლის მიდგომა ერთმანეთს ემთხვევა,<sup>412</sup> ვინაიდან პერსონალური მონაცემის ხელყოფით პირს ზიანი შესაძლოა არ მიადგეს, თუმცა ხელმყოფმა პირმა შესაძლოა მნიშვნელოვანი რესურსი დაზოგოს არამართლზომიერი პერსონალური მონაცემების მოპოვებით და შემდეგ ის გაასხვისოს როგორც არაუფლებამოსილმა პირმა.<sup>413</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნასთან დაკავშირებით რესტიტუციის ფარგლებში მოექცევა პერსონალური მონაცემების მხოლოდ ისეთი ხელყოფა, რომელიც არამართლზომიერი ქმედებით, ხშირად სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ფარგლებშია მოპოვებული.<sup>414</sup> ეს მოსაზრება საჭიროებს გავრცობას, ვინაიდან პერსონალური მონაცემების შეგროვების ფარგლებში მათი მოპოვება ჯერ კიდევ შესაძლოა არ იყოს არამართლზომიერი და არ შეიცავდეს რაიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ელემენტებს, თუმცა დარღვეულ იქნეს მათი შემდგომი შენახვისა და დამუშავების წესები, რომელიც სხვადასხვა მართლწესრიგის მიერ ინდივიდუალურად არის განსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიური სასამართლო პრაქტიკა გამორიცხავს პერსონალური მონაცემების ხელყოფისთვის უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის განხორციელებას.

---

<sup>411</sup> *Chao B.*, Unjust Enrichment: Standing Up for Privacy Rights, Iowa Law Review Online, Vol. 108, 2023, 62.

<sup>412</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის მიდგომა ინდივიდუალურად ყველა ქვეყნის მართლწესრიგისთვის არ არის ერთიანი უსაფუძვლო გამდიდრების, როგორც რესტიტუციასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, ჰოლანდიური სამართალი უსაფუძვლო გამდიდრების მოწესრიგებას აღიარებს ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნის ფარგლებში. ვრცლად იხ. *Moosdijk M. V. D.*, Unjust enrichment in European Union Law, Law of Business and Finance, Eds. *Kortmann S., Faber D.*, Vol 16, Wolters Kluwer, Deventer, 2018, 31.

<sup>413</sup> იქვე, 63.

<sup>414</sup> *Scholz L. H.*, Privacy Remedies, Indiana Law Journal, Vol. 94, Issue 2, 2019, 672.

ერთ-ერთ საქმეზე Facebook-ის<sup>415</sup> წინააღმდეგ,<sup>416</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ხელყოფილი პერსონალური მონაცემები მიუხედავად იმისა რომ მნიშვნელოვანი ღირებულების მატარებელი იყო ხელყოფისთვის, ამ შემთხვევაში Facebook-სთვის, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნა გამოირიცხებოდა რადგან მოსარჩელეებს ზიანი არ მიადგათ ხელყოფის ფარგლებში.

#### 2.3.1.3.4. მონაცემების ხელყოფა ფართოდ

განსხვავებული მდგომარეობაა მომხმარებელთა მიერ შექმნილი ისეთი მონაცემების მიმართ, რომელიც რთულია რომელიმე სამართლებრივი განმარტების ფარგლებში მოექცეს, უფრო კონკრეტულად კი, იმის იდენტიფიცირება, რჩება ასეთი მონაცემები პირის პერსონალური მონაცემების ფარგლებში თუ უნდა ჩაითვალოს ის საკუთრებად.

მაგალითისთვის, Cookies წარმოადგენს მცირე ზომის ტექსტურ ფაილებს, რომელიც ინახება მოწყობილობებზე და რომელსაც აქვს წვდომა ინტერნეტთან. Cookies-ს შესაძლოა სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს, მაგალითად, ინახავდეს მომხმარებლის განხორციელებულ ქმედებებს და შეყვანილ ინფორმაციას ინტერნეტ პლატფორმაზე. Cookies-ს, ასევე შესაძლოა ჰქონდეს კონფიდენციალურობის დარღვევის ფუნქცია, რომლის ფარგლებშიც მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც მომხმარებელზე თვალყურის დევნების (Tracking), პროფილირების (Profiling) და პერსონალური რეკლამირების ინსტრუმენტი (Behavioural Advertising).<sup>417</sup> თუმცა საინტერესოა, წარმოადგენს თუ არა კონკრეტულად Cookies პერსონალური მონაცემების ერთობლიობას თუ იგი მომხმარებლის საკუთრებაა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახაა, კერძოდ, რომ Cookies არის პერსონალური მონაცემების ერთობლიობა, რომელიც მომხმარებლის

---

<sup>415</sup> Facebook წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებად სოციალურ ქსელს. ვრცლად იხ. *გაბისონია ზ.*, ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2022, 346-349.

<sup>416</sup> ECLI:NL:RBAMS:2023:1407

<sup>417</sup> *Naithani P.*, Curtailling the Cookie Monster through Data Protection by Default, *Tilburg Law Review*, Vol. 27, 2022, 26.

ინტერნეტში ქცევასთან არის დაკავშირებული.<sup>418</sup> იგი ვერ ჩაითვლება ვირტუალური საკუთრების ან რაიმე სხვა ტიპის უფლებრივ ობიექტად. შესაბამისად, ხელყოფის ფარგლებში ისეთ მონაცემებთან, რომელიც მომხმარებლის მიერ ინტერნეტ სივრცეში განხორციელებული მოქმედების შედეგად არის შექმნილი და ექცევა პერსონალური მონაცემების დეფინიციის ქვეშ, საჯარო სამართლებრივი დაცვის მიღმა, ხელყოფის კონდიქცია შესაძლოა ერთადერთი საშუალება იყოს რესტიტუციისთვის.

არსებობს ინფორმაციის კატეგორია, რომელიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, თუმცა ექცევა სხვა სპეციალური სამართლებრივი დაცვის ფარგლების ქვეშ, მათ შორის ინტერნეტ სივრცეში. ასეთ ინფორმაციად მაგალითისთვის შეიძლება ჩაითვალოს სავაჭრო საიდუმლოება, რომელიც უპირატესად დაცულია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მომწესრიგებელი კომპლექსით, რომელთან მიმართებით ხელყოფის კონდიქცია შესაძლოა გამოყენებული იყოს როგორც დამატებითი ინსტრუმენტი.<sup>419</sup>

ფართო პერსპექტივის შესაბამისად, პრობლემატიკას წარმოადგენს უშუალოდ გამდიდრების ელემენტი, თუ როგორ შეიძლება ერთი პირი გამდიდრდეს მეორე პირის პერსონალური, რაიმე სხვა ტიპის მონაცემებით ან ინტერნეტში შექმნილი აქტივობების საფუძველზე. აღნიშნულ გამდიდრებას განაპირობებს სწორედ შესაბამისი მონაცემების ნებისმიერი სახით გამოყენება, რომელსაც თანმდევი კომერციული სარგებელი შესაძლოა ჰქონდეს ან მოპოვებული მონაცემების ხარჯზე იღებდეს რაიმე სახის დანაზოგს. თავის მხრივ, ხელყოფისთვის სავალდებულო არ არის პირს რაიმე მატერიალური სახის ზიანი მიადგეს ან ჩადენილი იქნეს სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც პირის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევას გულისხმობს.

---

<sup>418</sup> იქვე, 26-28.

<sup>419</sup> *Sandeen S.*, Out of Thin Air: Trade Secrets, Cybersecurity, and the Wrongful Acquisition Tort, *Minnesota Journal of Law, Science & Technology*, Vol. 19, Issue 2, 2018, 391-392.



### 2.3.1.3.5. Davis v. Facebook, Inc.

მოცემულ საქმეზე,<sup>420</sup> ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ოლქის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ Facebook-ი იყენებდა მის საკუთრებაში არსებულ საიტებზე დანამატებს ე.წ. Plug-in-ს<sup>421</sup>, რათა თვალყური ედევნებინა მომხმარებლების ინტერნეტ ბრაუზერის ისტორიაზე<sup>422</sup> როცა ისინი მესამე პირების საკუთრებაში არსებულ საიტებზე შედიოდნენ. შემდეგ კი Facebook-ი ამ ბრაუზერის ისტორიების მონაცემებს არგებდა მომხმარებლების პირად პროფილებს და რეკლამის დამკვეთებზე ყიდდა. ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ოლქის სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, საიტის მომხმარებლებს აქვთ გონივრული მოლოდინი კონფიდენციალურობაზე იმ მომენტიდან მოყოლებული, როდესაც წყვეტენ სოციალური ქსელის სისტემით სარგებლობას. სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ Facebook-ის მეთვალყურეობის სისტემა და მონაცემების შეგროვება შეიძლება არღვევდეს ელექტრონული კომუნიკაციების კონფიდენციალურობის აქტს (Electronic Communications Privacy Act of 1986 (ECPA)) და განმარტა, მიუხედავად იმისა რომ ეს ნორმატიული აქტი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს ინდივიდს, რომელიც „მხარეს“ წარმოადგენს კომუნიკაციისთვის, Facebook-ი არ უნდა იყოს მიჩნეული მხარედ იმ საიტების ლინკების შესაბამისად, რომელიც მომხმარებლის პირადი ისტორიიდან გაეგზავნა მესამე პირებს.

---

<sup>420</sup> Davis v. Facebook, Inc., No. 17-17486 (9th Cir. 2020)

<sup>421</sup> Plug-in ეს არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მომხმარებელს აძლევს დამატებით საშუალებას საკუთარ ინტერნეტ ბრაუზერში სხვადასხვა ფორმატის ფაილი გახსნას. ვრცლად იხ. <https://edu.gcfglobal.org/en/internetsafety/installing-and-updating-browser-plugins/1/> [07.12.2022]

<sup>422</sup> მომხმარებლის ინტერნეტ ბრაუზერის ისტორია წარმოადგენს მონაცემთა ერთობლიობას მომხმარებლების მიერ ინტერნეტში განხორციელებული აქტივობების შესახებ, თუ რა დროს, რომელ საიტზე განხორციელეს მათ ვიზიტი. ასეთი მონაცემები ითვლება ასევე პერსონალურ მონაცემებად, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის, ისე ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (General Data Protection Regulation / GDPR) მიხედვით. ვრცლად იხ. Opinion 3/2018, EDPS, Opinion on online manipulation and personal data, ხელმისაწვდომია ონლაინ - [https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/opinions/online-manipulation-and-personal-data\\_en](https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/opinions/online-manipulation-and-personal-data_en) [20.01.2023]

სასამართლო ასევე დაეთანხმა მოსარჩელეს პოზიციას უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ და უარყო Facebook-ის არგუმენტაცია იმის თაობაზე რომ მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა, გეგმავდნენ თუ არა მომხმარებლები გაეყიდათ საკუთარი პერსონალური ინფორმაცია ან ნაკლებად ღირებული გახდა თუ არა მათი ინფორმაცია Facebook-ის მიერ ამავე მონაცემების გამოყენების გამო. სასამართლოდ დაასკვნა, რომ კალიფორნიის შტატის კანონმდებლობა ცნობს უსაფუძვლო გამდიდრებით გამოწვეული გამდიდრების დაბრუნების უფლებას, მაშინაც კი, როდესაც ფიზიკურ პირს შესაბამისი ზიანი არ განუცდია.<sup>423</sup>

ამრიგად ნათელია, რომ ინტერნეტ სივრცეში მომხმარებელთა მიერ შექმნილი მონაცემები, როგორც ინფორმაცია, ატარებს მნიშვნელოვან ღირებულებას და მათი ხელყოფით პირმა შესაძლოა ფინანსური სარგებელი მიიღოს.

#### **2.3.1.3.6. მონაცემების ხელყოფიდან გამომდინარე მოთხოვნა ქართულ სამართალში**

მონაცემების ხელყოფასთან მიმართებით განხილული ხელყოფის კონდიქციის მოთხოვნის არსებობა ქართული სამართლისთვისაც დასაშვებია. გამომდინარე იქიდან რომ იგი ექცევა სსკ-ს 982-ე მუხლის ფარგლებში და ასეთი ტიპის ხელყოფა აკმაყოფილებს ხელყოფის კონდიქციის მოთხოვნის წინაპირობებს. დაცულ სიკეთედ ჩაითვლება პერსონალური მონაცემები ან მონაცემები ფართო გაგებით, ხოლო ხელყოფით მოპოვებულ სიკეთედ კი ის ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც ხელმყოფი მიიღებს არაუფლებამოსილი განკარგვის ფარგლებში ან ის დანაზოგი, რომელსაც გაიღებდა ხელმყოფი მონაცემების მართლზომიერად შექმნის დროს.

პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მონაცემების მიკუთვნებული უფლების ეკონომიკური სფერო (Zuweisungsgehalt). მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობით

---

<sup>423</sup> Davis v. Facebook, Inc. (In re Facebook, Inc. Internet Tracking Litig.), 956 F.3d 589 (9th Cir. 2020), 16.

მონაცემებს გააჩნია ეკონომიკური ღირებულება, საპირისპიროდ ერთი პირის მონაცემების ეკონომიკური ღირებულების შეფასება შეუძლებელია.<sup>424</sup>

ასევე, პრობლემურია მოთხოვნის სამართალწარმოების ფარგლებში განხორციელება. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მონაცემების ხელყოფიდან გამომდინარე, მოთხოვნები სასამართლოს ძირითადად წარედგინება კოლექტიური სარჩელის სახით, რომლის ფარგლებშიც ერთ ან რამდენიმე მოსარჩელეს მოთხოვნის დაყენება შეუძლია კონკრეტული პირთა წრის სახელით (Class Action).<sup>425</sup> აღნიშნულისგან განსხვავებით არც გერმანული<sup>426</sup> და არც ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი არ იცნობს კოლექტიური სარჩელის ისეთ ტიპს, რომლის ფარგლებშიც ერთ ან რამდენიმე მოსარჩელეს აქვთ შესაძლებლობა სარჩელი წარადგინონ სხვა პირების სახელით, რომელსაც ასევე წარმოეშვათ მოსარჩელების მსგავსი ტიპის მოთხოვნა. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება საპროცესო წარმომადგენლობის ნაწილს, მარწმუნებლისა და წარმომადგენლის ურთიერთობას სამოქალაქო პროცესის ფარგლებში.<sup>427</sup>

ინტერნეტში მონაცემების ხელყოფიდან გამომდინარე კოლექტიური სარჩელი განპირობებულია იმით, რომ ძირითადად ინდივიდუალური მოთხოვნა მხოლოდ ერთი პირის მონაცემების ხელყოფის ფარგლებში ძალიან მცირე მოცულობისაა.<sup>428</sup> მიუხედავად ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს დავის საგნის ღირებულების მოცულობას პირველი ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, ის რომ

---

<sup>424</sup> Schur N. B., Die Lizenzierung von Daten, Mohr Siebeck, Tübingen, 2020, 107

<sup>425</sup> Hu Y., Mainstreaming Unjust Enrichment and Restitution in Data Security Law, UC Irvine Law Review, Vol. 13, Issue 3, 2023, 880.

<sup>426</sup> Bellinghausen R., Erb M., Kollektiver Rechtsschutz in Deutschland – neue Instrumente nötig?, AnwBl Online 2018, 2018, 698-699.

<sup>427</sup> ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს ერთობლივი სარჩელის ცნებას, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე მოსარჩელეს ერთი მოთხოვნის ფარგლებში შეუძლია მოთხოვნის დაყენება ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ. მაგ. იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/34873-18; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-190-183-2013.

<sup>428</sup> Hu Y., Mainstreaming Unjust Enrichment and Restitution in Data Security Law, UC Irvine Law Review, Vol. 13, Issue 3, 2023, 880.

ინტერნეტში ხელყოფილი მონაცემები შესაძლოა მცირე ღირებულების იყოს, არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ასეთი ტიპის მოთხოვნის სამართალწარმოების ფარგლებში განხორციელებისთვის.

### **2.3.2. ხელყოფის სპეციალური შემთხვევები ინტერნეტ სივრცეში**

მნიშვნელოვანია ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ისეთი სპეციალური ხელყოფის შემთხვევების განხილვა, რომელიც არ ექცევა არცერთი ზემოჩამოთვლილი ურთიერთობის ფარგლებში.

#### **2.3.2.1. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების გავრცელება ინტერნეტით**

ერთ-ერთი ასეთი სპეციფიკური შემთხვევა შესაძლოა პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების ინტერნეტით გავრცელება იყოს. თავისთავად ნათელია, რომ ციფრული სამყაროს განვითარებამდე პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი განცხადებებიდან გამომდინარე დავები ძირითადად მასმედიის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცაღა ინტერნეტის ფართო ხელმისაწვდომობასთან ერთად მოპასუხეებად ძირითადად საიტების, ონლაინ პლატფორმების, სოციალური მედიისა და სხვადასხვა ონლაინ ფორუმის მომხმარებლები გვევლინებიან.<sup>429</sup>

აღნიშნულმა წარმოშვა მთელი რიგი ისეთი ახალი პრობლემური საკითხები, როგორცაა საიტზე გამოქვეყნებული ცნობა, როგორც ზიანის წყარო, არაადეკვატური და არასაკმარისი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ვის უნდა დაეკისროს

---

<sup>429</sup> *Kwok K.*, Liability of Online Service Providers for Defamatory Content: The Case of Online Discussion Forums, *The Law Quarterly Review*, Vol. 130, 2014, 206-207.

პასუხისმგებლობა ინტერნეტში ანონიმური ცნობების გავრცელებისთვის და ბოლოს, ინტერნეტ სერვის პროვაიდერების (ISP) პასუხისმგებლობის საკითხი.<sup>430</sup>

ხელყოფის კონდიციის წინაპირობებიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია ქართული მართლწესრიგისთვის, არა მხოლოდ ინტერნეტ სივრცისთვის, არამედ ფიზიკურ სამყაროშიც ზიანის მომტანი ცნობების გავრცელების შესაბამისი მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრა ხელყოფის კონდიციის მიხედვით, რასაც ისიც ემატება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების გავრცელების ზიანის მომტანი შედეგებისთვის შესაბამისი მოწესრიგება ტრანსფორმირებულია როგორც დელიქტური ვალდებულების წარმომშობი შემთხვევა. აღნიშნული ასევე განპირობებულია იმით რომ პატივისთვისა და ღირსებისთვის ეკონომიკური სფეროს განსაზღვრა (Zuweisungsgehalt) შეუძლებელია.

### 2.3.2.2. პირადი გამოსახულების უნებართვო გამოყენება

ყოველი ფოტო, რომელიც საავტორო უფლების ობიექტისთვის აკმაყოფილებს შესაბამის წინაპირობებს, თავისთავად წარმოადგენს საავტორო უფლებით დაცულ ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს. თუმცა, გარდა კონკრეტული შემთხვევებისა,<sup>431</sup> ფოტოზე ასახულ პირს აღნიშნულ ფოტოზე საავტორო უფლებები არ ეკუთვნის და შესაბამისად, მისი გამოყენებისას, რომელზეც პირი თავად არის ასახული, იგი უფლების აღსრულებას ვერ შეძლებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის შესაბამისად.

ზემოგანხილულ შემთხვევაში პირს შეუძლია იმ მოსარგებლეს მოსთხოვოს მიღებული სარგებლის გადაცემა, რომელმაც მიიღო სარგებელი პირის გამოსახულების

---

<sup>430</sup> *ჟორჯოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 70-71.

<sup>431</sup> მაგალითისთვის, როდესაც ფოტოზე გამოსახული პირი თავად იღებს ფოტოს. ვრცლად იხ. *Reed M.*, Who Owns Ellen's Oscar Selfie? Deciphering Rights of Attribution Concerning User Generated Content on Social Media, *The John Marshall Review of Intellectual Property Law*, Vol. 14, 574-575.

გამოყენებით.<sup>432</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი ინტერნეტ სივრცეში, ურთულეს წინააღმდეგობას წარმოადგენს მოსარჩელისთვის ის მტკიცების ტვირთი, რომლის მიხედვითაც ფოტოზე გამოსახულმა პირმა ფაქტობრივად უნდა დაადასტუროს საკუთარი გამოსახულებიდან გამომდინარე კონდიქციის მოვალესთან დალექილი შესაბამისი ქონებრივი სარგებლის მოცულობა. აღსანიშნავია, რომ პირადი გამოსახულების შემთხვევაში არსებობს მიკუთვნებული ეკონომიკური სფერო (Zuweisungsgehalt).

მოთხოვნის ფარგლების პრობლემატიკა პერსონალური ფოტოების გამოყენებასთან დაკავშირებით შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევა გერმანულ და ამერიკულ მართლწესრიგში. ორივე შემთხვევაში გამდიდრების მოცულობა გამოითვლება იმ დაზოგილი თანხით, რომელიც უნდა გადაეხადა ხელმყოფ პირს ფოტოს გამოყენებისთვის. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მსჯელობის საგანი იყო პლატფორმა Clearview AI, რომელიც ინტერნეტში პირების საჯაროდ ხელმისაწვდომ ფოტოებს აგროვებდა და შემდეგ მათ იყენებდა სახის ამომცნობ პროგრამულ უზრუნველყოფაში.<sup>433</sup> აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც პლატფორმამ მსგავსი შემთხვევებისთვის უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში რესტიტუცია უნდა განახორციელოს იმ საბაზრო ღირებულების მიხედვით, რასაც საკუთარი გამოსახულების გამოყენებისთვის მოითხოვდა პირი, რომლის პერსონალური გამოსახულებაც ხელყოფილი იქნა.<sup>434</sup>

პირადი გამოსახულების უნებართვო გამოყენებისთვის მოთხოვნის ფარგლები ხელყოფის კონდიქციისთვის ქართულ სამართალშიც განსაზღვრული უნდა იქნეს იმ

---

<sup>432</sup> *Mostert F., Cruz S.*, Image rights in the digital universe, *Journal of Intellectual Property Law & Practice*, Vol. 17, Issue 7, 2022, 552.

<sup>433</sup> *Sobel B.*, A New Common Law of Web Scraping, *Lewis & Clark Law Review*, Vol.25, Issue 1, 2021, 149.

<sup>434</sup> იქვე, 181.

ღირებულების შესაბამისად, რასაც ზოგად საბაზრო ფასთან მიმართებაში პირი მოითხოვდა სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისას.

აქვე უნდა აღინიშნოს Memoji,<sup>435</sup> რომელიც წარმოადგენს პირის გრაფიკულ გამოსახულებას,<sup>436</sup> რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სოციალურ ქსელსა და კომუნიკაციის პროგრამულ უზრუნველყოფაში ე.წ Messenger-ებში. აღნიშნული Memoji-ს დამზადება მესამე პირების გამოსახულებით მათი ნებართვის გარეშე ხდება და საინტერესოა მისგან გამდიდრების მიღების საკითხიც, მაგალითად, Memoji-ს კომერციული მიზნებით გამოყენება შესაძლოა ჩაითვალოს გამდიდრებად ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში. ასევე, შესაძლებელია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობაც Memoji-ს გამოყენების შემთხვევაში.<sup>437</sup>

### 2.3.2.3. საფირმო სახელწოდების ხელყოფა

უპირველესად უნდა აღინიშნოს რომ საფირმო სახელწოდება, თუ ის არ არის რეგისტრირებული როგორც სასაქონლო ნიშანი, არ იძენს ამ უკანასკნელისთვის განკუთვნილ დაცვის ფარგლებს.<sup>438</sup> საფირმო სახელწოდების დაცვის ფარგლებს ქართული სამართალსივრცისთვის ქმნის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 16 X მუხლი, რომლის მიხედვით, საფირმო სახელწოდებაზე უფლების მფლობელ სამეწარმეო საზოგადოებას წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება პირის მიმართ, რომელიც არამართლზომიერად იყენებს საფირმო სახელწოდებას. ასევე, ზიანის ანაზღაურების ნაცვლად საფირმო სახელწოდების უფლებისმფლობელს შეუძლია დამრღვევ ხელმყოფ პირს მოსთხოვოს საფირმო სახელწოდებით მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით მიღებული სარგებლის სამეწარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან

---

<sup>435</sup> Memoji წარმოადგენს Emoji-ს ნაირსახეობას. ვრცლად Emoji-ს შესახებ იხ. *Goldman E.*, Emojis and the Law, *Washington Law Review*, Vol. 93, 2018, 1231-1232.

<sup>436</sup> *ჯორბენაძე ს.*, სხვისი ვიზუალური შექმნილი „Memoji-ს“ გამოყენების სამართლებრივი ფარგლები, *სამართლის ჟურნალი*, №1, 2021, 5-6

<sup>437</sup> იქვე, 8.

<sup>438</sup> *ბუაძე ქ., შევილაძე ნ., ჟორჯოლიანი გ.*, სასაქონლო ნიშნის დაცვის ეკონომიკური მნიშვნელობა, შედარებით სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 10/2020, 2020, 1.

ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ნათელია, რომ პირველი ნაწილი წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობიდან ნაწარმოებ ზიანის მოთხოვნის საფუძველს, ხოლო, მეორე ნაწილი კი ნაწარმოებია უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნიდან, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მიღებული გამდიდრების რესტიტუცია. ამრიგად, საფირმო სახელწოდება, რომელიც არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშანს და არ გააჩნია სპეციალური დაცვა როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს,<sup>439</sup> შესაძლოა დაცული იყოს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის ფარგლებში.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უნდა გაიმიჯნოს ხელყოფა, როდესაც საფირმო სახელწოდების გამოყენება ხდება კომპანიისთვის რეპუტაციული ზიანის მისაყენებლად. მაგალითად, საფირმო სახელწოდების რეგისტრაცია დომენად, რომელზეც მოგვიანებით განთავსდება კომპანიისთვის არადაამახასიათებელი და ირონიული ხასიათის მატარებელი პროდუქცია და ხელყოფა, რომლის დროსაც კარგი რეპუტაციის მქონე საფირმო სახელწოდების გამოყენება ხდება მის ხარჯზე საკუთარი საქმიანობის უკეთეს პოზიციაში ჩასაყენებლად. სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხელყოფის კონდიქცია წარმოადგენს ინტერნეტ სივრცეში საფირმო სახელწოდების არამართლზომიერი გამოყენების შედეგად მიღებული გამდიდრების უკან დაბრუნების მექანიზმს.

სპეციალურ შემთხვევას წარმოადგენს საფირმო სახელწოდების გამოყენება ინტერნეტში საძიებო სისტემების ან საიტების მიერ, რომლებიც ინფორმაციული შინაარსით იყენებენ საფირმო სახელწოდებებს მომხმარებელთა მოსაზიდად.<sup>440</sup> ინტერნეტში არსებული მთელი რიგი პლატფორმები იყენებენ საკვანძო სიტყვებს ე.წ. Keywords, რათა მოიზიდონ მომხმარებლები,<sup>441</sup> რის საფუძველზეც ახდენენ სარეკლამო შემოსავლის აკუმულირებას, თუმცა საკვანძო სიტყვებში, რომლებშიც ჩართულია ცნობილი კომპანიების საფირმო

---

<sup>439</sup> იქვე, 3-5.

<sup>440</sup> *Gervais D., Holmes M., Kruse P., Perdue G., Roberts C., Is Profiting from the Online Use of Another's Property Unjust? The Use of Brand Names as Paid Search Keywords*, IDEA: The IP Law Review, Vol. 53, 2013, 151-152.

<sup>441</sup> მაგალითისთვის, მომხმარებელი როდესაც ინტერნეტში ეძებს საკვანძო სიტყვას Adidas, იგი საძიებო სისტემის ფარგლებში ასევე შესაძლოა აწყდებოდეს ამ საძიებო სისტემის რეკლამებს, რაშიც მას შესაბამისი საფასური აქვს მიღებული.



სახელწოდებები და რომლებსაც ისინი ასევე ბრენდის სახითაც იყენებენ, ინტერნეტ პლატფორმები არანაირი საფასურს არ იხდიან.<sup>442</sup> ამასთან დაკავშირებით რთულია იმ მოსაზრების გაზიარება, რომ ასეთი ტიპის საფირმო სახელწოდების გამოყენება ექცევა უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში და ინტერნეტ პლატფორმებმა ყოველი შემთხვევისთვის როდესაც ისინი იყენებენ სხვა კომპანიების საფირმო სახელწოდებებს ან ბრენდის დასახელებებს რესტიტუციის ფარგლებში უნდა აუნაზღაურონ კონკრეტული გამდიდრება, რომელიც მიიღეს გამოყენებისგან.<sup>443</sup> ამ მოსაზრების უარყოფა უფრო მეტად სამართლებრივად სწორი იქნებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ საძიებო სისტემები და მსგავსი პლატფორმები თითქმის არცერთ შემთხვევაში არ ახდენენ საფირმო სახელწოდების ხელყოფას რაიმე გამდიდრების მიღებით, უფრო მეტიც, ისინი საერთოდ არ ახდენენ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, ვინაიდან ისინი ძირითადად ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციას აწვდიან მომხმარებლებს, რითიც ასრულებენ ერთგვარი შუამავლის ფუნქციას, შესაბამისად აღნიშნული შემთხვევა არ ექცევა სკ-ს 985 I მუხლის გამოყენების ფარგლებში.

### 2.3.3. ხელყოფის კონდიქციის პერსპექტივის შეფასება ინტერნეტში

ინტერნეტ სივრცის განვითარებამ და მისმა ფართო ხელმისაწვდომობამ თანამედროვე ყოველდღიურობის ყოველი დეტალური შეცვალა და თავდაყირა დააყენა, მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობებიც. ნათელია, რომ ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობები, კონკრეტულად კი ხელყოფის კონდიქციის ფარგლებში, ნაწილობრივ იდენტურია ფიზიკურ სამყაროში წარმოშობილი ურთიერთობებისა, ხოლო, სხვა შემთხვევებში რადიკალურად განსხვავდება მისგან.

---

<sup>442</sup> *Gervais D., Holmes M., Kruse P., Perdue G., Roberts C., Is Profiting from the Online Use of Another's Property Unjust? The Use of Brand Names as Paid Search Keywords*, IDEA: The IP Law Review, Vol. 53, 2013, 154-155.

<sup>443</sup> აღსანიშნავია ე.წ. Web Scraping პროცესი რომლის მიხედვით საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია რომელიც ინტერნეტშია გავრცელებული და არ წარმოადგენს სამართლებრივად დაცვად ობიექტს შესაძლებელია აღებული და გადამუშავებული იყოს სხვა პირების მიერ. ვრცლად იხ. *HiQ Labs, Inc. v. LinkedIn Corp.*, 31 F.4th 1180 (9th Cir. 2022).

შესასწავლი საგნის განხილვის ფარგლებში ნათლად გამოჩნდა, რომ ხელყოფის კონდიქცია ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის მოთხოვნის განმსაზღვრელი მექანიზმია. განსაკუთრებით კი მაშინ როდესაც ინტერნეტ სივრცეში ჩართული კომპიუტერული სისტემები, მომხმარებელთა მონაცემები ან მომხმარებელთა მიერ შექმნილი ინფორმაცია მესამე პირების ხელყოფისთვის განსაკუთრებულად მარტივად ხელმისაწვდომია.

არსებული ნორმატიული მოწესრიგების ტრანსფორმაციასთან მიმართებაში, შესაძლოა აღინიშნოს, რომ ხელყოფის კონდიქცია სპეციალური მისადაგების გარეშე შესაძლოა გამოყენებული იქნეს ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ინსტიტუტად.

### 3. ინტერნეტ დელიქტები

ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, ინტერნეტ დელიქტები მალევე მნიშვნელოვანი განხილვის საგანი გახდა, როგორც სამართლებრივ სივრცეში, ასევე ტექნოლოგიური კუთხითაც. დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლები ინტერნეტისთვის განსაკუთრებულად ფართო შესაძლოა იყოს და მოიცავდეს ქმედებებს მომხმარებლის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადებიდან დაწყებული, დამთავრებული ნებისმიერი კომპიუტერული კოდის ინტერნეტის საშუალებით ხელყოფით. შესავალშივე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი შემთხვევა კაზუსად არის ქცეული ინტერნეტ დელიქტებთან მიმართებით, როდესაც საქართველოს 75 წლის მოქალაქემ 2011 წელს გადაჭრა ინტერნეტის ცენტრალური კაბელი, რის გამოც თითქმის მთელი სომხეთი ინტერნეტის გარეშე დარჩა.<sup>444</sup>

მსგავსად წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხებისა, ინტერნეტ დელიქტების ცნებას არ იცნობს არც ქართული და არც სხვა რომელიმე მართლწესრიგის ნორმატიული ბაზა. მიუხედავად ამისა, ინტერნეტში წარმოშობილი დელიქტის სახელდებასთან

---

<sup>444</sup> *Rustad M. L.*, How Armenian Cybertorts Can Advance Civil Society, Main Issues of Pedagogy and Psychology, Vol. 3, 2011, 117.

დაკავშირებით მეტ-ნაკლებად ერთიანი მიდგომაა, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე მას მოიხსენიებენ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში როგორც კიბერ დელიქტს (Cyber Tort),<sup>445</sup> რასაც ასევე იზიარებს ევროპის კავშირთან მიმართებაში არსებული იურიდიული ლიტერატურაც.<sup>446</sup> განსხვავებული სახელწოდება აქვს ამ მოვლენას გერმანული სამართლისთვის, სადაც კიბერ ჩანაცვლებულია ინტერნეტ დელიქტით (Internet-Delikte),<sup>447</sup> მიუხედავად ამისა აღნიშნული ცვლილება შინაარსობრივ და სამართლებრივ განსხვავებას არ იძლევა.

### 3.1. დელიქტური ვალდებულებების ტრანსფორმაცია ინტერნეტში

ნებისმიერი აბსოლუტურად დაცული სიკეთის<sup>448</sup> ხელყოფა ყველა სამართლებრივ სივრცეში მართლსაწინააღმდეგოა და წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველს.<sup>449</sup> აღნიშნული პასუხისმგებლობის ნორმატიულ საყრდენს წარმოადგენს შესაბამისი დელიქტური შემადგენლობა, იქნება ეს გენერალური თუ კონკრეტული დათქმის სახით მოცემული.<sup>450</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს დელიქტურ გენერალურ დათქმას 992-ე მუხლის სახით და, ასევე, კონკრეტულ დათქმებს მომღვენო მუხლების სახით, რითიც უფრო მეტად იზიარებს ფრანგულ მიდგომას ვიდრე გერმანულს.<sup>451</sup> თავის მხრივ, დელიქტური ვალდებულების წინაპირობები ჩამოყალიბებულია სასამართლო პრაქტიკის მიერ, რაც გაზიარებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც და იყოფა შემდეგნაირად: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი

<sup>445</sup> *Rustad M. L.*, *Global Internet Law in a Nutshell*, Third Edition, West Academic Publishing, St. Paul, 2016, 149.

<sup>446</sup> *Savin A.*, *EU Internet Law*, Third Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2020, 94.

<sup>447</sup> *Rauscher T.*, *Internationales Privatrecht: Mit internationalem Verfahrensrecht*, C.F. Müller, Heidelberg, 2017, 368;

<sup>448</sup> დაცული უფლებისთვის და ინტერესისთვის ვრცლად იხ. *Dam C. V.*, *European Tort Law*, Second Edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 167-169

<sup>449</sup> *რუსიაშვილი გ.*, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 2019, 1.

<sup>450</sup> იქვე.

<sup>451</sup> *Tunc A.*, *A Codified Law of Tort - The French Experience*, *Louisiana Law Review*, Vol. 39, No. 4, 1979, 1055-1056.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი.<sup>452</sup> უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ კონკრეტულ დელიქტურ დათქმასაც თითქმის იდენტური წინაპირობები აქვს.<sup>453</sup> ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით კი მიუხედავად იმისა, რომ დელიქტის საფუძველი ძირითადად ორ ნაწილად იყოფა და დამოკიდებულია განზრახვასა და გაუფრთხილებლობაზე, არ არსებობს ერთიანი მიდგომა, რომელიც დელიქტური ვალდებულების სტრუქტურას განსაზღვრავს ამერიკის შეერთებული შტატების მართლწესრიგისთვის.<sup>454</sup> თუმცა, ხაზგასასმელია მსგავსება მოცემულ სამ მართლწესრიგს შორის, მაგალითად, მართლწინააღმდეგობა მიზეზობრივ კავშირსა და ზიანის არსებობის ნაწილში.

ინტერნეტში დელიქტური ვალდებულებები წინაპირობებთან მიმართებით იზიარებს ფიზიკურ სამყაროში არსებულ მიდგომებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ინტერნეტ დელიქტების შემთხვევაში ზიანი შესაძლოა გამოხატული იყოს როგორც ფიზიკურ ისე ვირტუალურ სამყაროში.<sup>455</sup> ინტერნეტის განვითარებასთან ერთად მთელი რიგი სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი დელიქტური ვალდებულებებისა თითქმის მუდმივად ახალ გამოხატულებას ჰპოვებს, რისი ნათელი მაგალითი შეიძლება იყოს ინტერნეტში ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება,<sup>456</sup> ასევე, პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის.<sup>457</sup>

---

<sup>452</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-769-737-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 04 ოქტომბრის განჩინება საქმეზე საქმე №ას-176-163-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1086-2022; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1080-2022.

<sup>453</sup> *Wagner G.*, Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl., 2020, § 823 Rn. 64.

<sup>454</sup> *Galligan T. C.*, The Structure of Torts, Florida State University Law Review, Vol. 46, 2019, 486.

<sup>455</sup> *Butler A.*, Products Liability and the Internet of (Insecure) Things: Should Manufacturers Be Liable for Damage Caused by Hacked Devices?, University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 50, Issue 4, 2017, 925-926.

<sup>456</sup> *Magaldi J., Davis W.*, Into the Bowels of Hell' Examining Online Defamation Law Through the Twitter Account of James Woods, Southern Law Journal, Volume XXIX (2), 2019, 157

<sup>457</sup> *Kirtley J., Memmel S.*, Rewriting the "Book of the Machine": Regulatory and Liability Issues for the Internet of Things Issues for the Internet of Things, Vol. 19, Issue 2, 2018, 456-457.

წინაპირობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ელემენტი. სამწუხაროდ, ქართული რეგულატორული კომპლექსი არ იცნობს ინტერნეტთან მიმართებით ისეთ ნორმატიულ საფუძვლებს, რომელიც კერძო პირთა შორის ურთიერთობის ფარგლებში განსაზღვრავდა რაიმე ტიპის დაცვის სტანდარტს.<sup>458</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ნებისმიერი ქმედება, რომელიც ინტერნეტ სივრცეში ან ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება და ზიანის გამოწვევია, უნდა ჩაითვალოს სსკ-ს 992-ე მუხლის ფარგლებში არსებულ მართლწინააღმდეგობად და მნიშვნელობა არ აქვს ზიანი დგება ვირტუალურ სამყაროში თუ ფიზიკურ სამყაროში. შესაბამისად, ზიანთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ დელიქტით გამოწვეული შედეგი შესაძლოა დადგეს ზიანის სახით როგორც ინტერნეტ სივრცეში, ისე ფიზიკურ სამყაროშიც.<sup>459</sup>

### 3.2. ვირტუალური ქონება და ინტერნეტ დელიქტები

ფიზიკურ სამყაროში არსებული დელიქტური პასუხისმგებლობა ყოველთვის დაკავშირებულია ზიანთან და პირის ქონების შემცირებასთან. აქედან გამომდინარე, შესაძლოა არსებობდეს კითხვა - როგორ უნდა დაზიანდეს ის, რაც ვირტუალურია? წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა ვირტუალური ქონების ცნება, მისი სამართლებრივი არსი და მისი პერსპექტივა, როგორც ქონებრივი ობიექტისა, რომელიც იმსახურებს და აუცილებლად უნდა იქნეს სამართლებრივად დაცული.<sup>460</sup> თუმცა, ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხი მხოლოდ სამართლებრივი გადაწყვეტით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია ასევე ტექნიკური ასპექტები, თუ როგორ შეიძლება

---

<sup>458</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, საჯარო მიზნებიდან გამომდინარე რეგულატორული კომპლექსი იცნობს ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის მოწესრიგებას, რომელიც ასახულია სხვადასხვა კანონში, მაგ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“.

<sup>459</sup> Koch B. A., *Cyber Torts: Something Virtually New?*, *Journal of European Tort Law*, Vol 5 (2), 2014, 144-145.

<sup>460</sup> Balkin J. M., *Law and Liberty in Virtual Worlds*, *NYLS Law Review*, Vol. 49, Issue 1, 2005, 72-73.

ვირტუალურ საკუთრებას მიადგეს ზიანი ინტერნეტში, სადაც ყველაფერი, მათ შორის სამართლებრივი რეგულირებაც კი, კოდის შესაძლებლობებით არის შემოფარგლული.<sup>461</sup>

ზემოაღნიშნულის უარყოფა, რომ კოდის ოპერირება შემოფარგლავს ინტერნეტში პირთა ქმედებას და შესაბამისად, სამართლებრივი რეგულირებისთვის ადგილი აღარ რჩება მართებულია, რაც ზიანის ნაწილშიც გასაზიარებელია, გამომდინარე იქიდან რომ ზიანი შესაძლოა როგორც ინტერნეტში დადგეს, ასევე, მისი ტრანსფორმირება ფიზიკურ სამყაროშიც მოხდეს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით გასამიჯნია ვირტუალური ქონების ზიანი და ფიზიკური ქონების ზიანი. პირველის შემთხვევაში მისი ტრანსფორმაცია თანმდევი ზიანის სახით ფიზიკურ სამყაროში თითქმის არასდროს ხდება. შესაბამისად, ინტერნეტში წარმოშობილი დელიქტური ვალდებულება, რომელიც ვირტუალურ ქონებას არ ეხება და წარმოშობს ფიზიკურ სამყაროში ზიანს, ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს.

ინტერნეტის განვითარების საწყის ეტაპზე, მაშინ როდესაც ვირტუალური ქონების დეფინიცია არ არსებობდა, ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, ინტერნეტ დელიქტის არსებობა პირდაპირ დაკავშირებული იყო ტრადიციული დელიქტის შემადგენლობასთან ე.წ. Trespass დელიქტებთან,<sup>462</sup> რომლისთვისაც თავის მხრივ, ინტერნეტით განხორციელებული დელიქტური ქმედებისთვის დამატებით საჭირო იყო უფლების ხელყოფიდან გამომდინარე ფიზიკურ სამყაროში არსებული შედეგი ზიანის სახით. ეს მიდგომა დროთა განმავლობაში ჩანაცვლებული იქნა და ინტერნეტ დელიქტებმა უფრო ფართო სამართლებრივი არეალი მოიცვა.<sup>463</sup> დელიქტური პასუხისმგებლობა წარმოიშობა ვირტუალური ქონების ყველა იმ ობიექტის მიმართ, რომელიც შესაძლოა ინტერნეტ სივრცეში არსებობდეს, მაგალითისთვის და

---

<sup>461</sup> Lessig L., Code and Other Laws of Cyberspace, Basic Books, New York, 1999, 6.

<sup>462</sup> *ჟორჯოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 68-69.

<sup>463</sup> *Adrian A.*, Mischief and grief: virtual torts or real problems?, International Journal of Private Law, Vol. 3, 2010, 71-72.

არამომწურავად: ვირტუალური სამყაროსა და კომპიუტერული თამაშების კომპონენტები, ონლაინში განთავსებული ციფრული ფაილები<sup>464</sup> და არა მათთან დაკავშირებული საავტორო/მომიჯნავე უფლებები, კრიპტოვალუტა, სოციალური ქსელების მომხმარებლის ანგარიშები და<sup>465</sup> არაჩანაცვლებადი ტოკენები.

საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემატიკაა ის რომ მოთხოვნის საფუძვლები, რომელიც ფიზიკურ სამყაროში არსებობს, აღიარებული უნდა იქნეს ვირტუალური ქონებისთვისაც,<sup>466</sup> რის გარეშეც მის არსებობას, ფაქტობრივად, სამართლებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობა ეკარგება.<sup>467</sup>

### 3.3. ინტერნეტ დელიქტების სპეციალური შემთხვევები

#### 3.3.1. კრიპტოვალუტა

კრიპტოვალუტის ხელყოფა, რომელიც შედეგად იწვევს კრიპტოვალუტის მესაკუთრის ქონებრივ ზიანს, შესაძლოა დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში მოექცეს.<sup>468</sup> ანგლო-ამერიკულ სამართალში არსებული ეს მოსაზრება გაზიარებული უნდა იქნეს ქართული მართლწესრიგისთვისაც. გამომდინარე იქიდან რომ საქართველოში კრიპტოვალუტა მიჩნეულია როგორც ვირტუალური აქტივი საჯარო მიზნებისთვის, კერძო სამოქალაქო ურთიერთობებში იგი უნდა ჩაითვალოს საკუთრების ობიექტად და შესაბამისად, ვირტუალურ ქონებად. ამრიგად, მისი ნებისმიერი სახით ხელყოფა, რომელიც აკმაყოფილებს დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებს და შედეგად

---

<sup>464</sup> *Erlank W.*, Books, Apps, Movies and Music – Ownership of Virtual Property in the Digital Library, *European Property Law Journal*, Vol 2, Issue 2, 2013, 196-200.

<sup>465</sup> *Nekit K.*, Social Media Account as an Object of Virtual Property, *Masaryk University Journal of Law and Technology*, Vol. 14, No. 2, 2020, 211-213.

<sup>466</sup> *Fairfield J.*, Anti-Social Contracts: The Contractual Governance of Virtual Worlds, *McGill Law Journal*, Vol. 53, 2008, 475-476.

<sup>467</sup> *Nelson J. W.*, The Virtual Property Problem: What Property Rights in Virtual Resources Might Look Like, How They Might Work, and Why They are a Bad Idea, *McGeorge Law Review*, Vol. 41, 2010, 285-287.

<sup>468</sup> *Stafford A.*, Chapman-Booth J., Technology & the law: when worlds collide, *New Law Journal*, Vol. 171, Issue 7952, 2021, 11-12

დგება ზიანი, ჩაითვლება ქონების, როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფად.<sup>469</sup> მაგალითად, საქმეზე AA v Persons Unknown ინგლისისა და უელსის სასამართლოების მიერ დადგინდა, რომ კომპიუტერული ვირუსის ე.წ. Ransomware-ის<sup>470</sup> მოთხოვნის შესაბამისად გადახდილი კრიპტოვალუტა წარმოადგეს ქონებრივ დანაკლისს, შესაბამისად, ზიანს და იგი უნდა მოექცეს დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში.<sup>471</sup>

ცალკე არის განსახილველი კრიპტოვალუტის გამცვლელი ოპერატორების (Cryptocurrency Exchange) პასუხისმგებლობა გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისთვის. გულისხმიერების ვალდებულება (Duty of Care) დელიქტური სამართლისთვის წარმოადგენს ანგლო-ამერიკული სამართლის ერთ-ერთ ელემენტს დელიქტური პასუხისმგებლობისთვის, თუმცა რიგ შემთხვევებში მისი ინკორპორირება ქართულ სამართალში არ უნდა იყოს გაუმართლებელი,<sup>472</sup> განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული ურთიერთობების ფარგლებში პირს ეკისრება სხვა პირის ქონების მიმართ გულისხმიერების ვალდებულება.<sup>473</sup>

უმეტეს შემთხვევაში გამცვლელ ოპერატორს მისსავე პლატფორმაზე აქვს მომხმარებლისთვის განკუთვნილი კრიპტო საფულე, რომელშიც მომხმარებელი ინახავს თავის კრიპტოაქტივს. ამრიგად, მომხმარებელსა და გამცვლელ ოპერატორს შორის ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში.<sup>474</sup>

---

<sup>469</sup> იქვე.

<sup>470</sup> Ransomware წარმოადგენს კომპიუტერული ვირუსის ტიპს, რომელიც კომპიუტერულ სისტემაში შეღწევის შემდეგ მთლიან სისტემას ან კონკრეტულ კომპიუტერულ პროგრამას ადებს კრიპტოგრაფიულ შიფრს ადებს, რომლის მოხსნაც შესაძლებელია მხოლოდ გამოსასყიდის (Ransom) გადახდის შემდეგ. ვრცლად იხ. *Lubin A.*, The Law and Politics of Ransomware, *Vanderbilt Journal of Transnational Law*, Vol. 55, 2022, 1183-1184.

<sup>471</sup> In AA v Persons Unknown [2019] EWHC 3556, ველი 68.

<sup>472</sup> *რუსიაშვილი გ.*, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ - გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუდამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 2019, 4.

<sup>473</sup> *Steele J.*, Tort Law: Text, Cases, and Materials, Third Edition, Oxford University Press, Oxford, 2014, 139-140.

<sup>474</sup> *Schwinger R. A.*, Blockchain Law: When plaintiffs raise claims of platforms behaving badly, *New York Law Journal*, 2021, 1-2.



თუმცა, აღნიშნულისგან გადახვევას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მხარეთა შორის არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, თუმცა გამცვლელი ოპერატორის პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს დელიქტური პასუხისმგებლობის შესაბამისად.

საქმეზე Fabian v. LeMahieu<sup>475</sup> მოსარჩელე მხარე ერთ-ერთი კრიპტოვალუტის შემქმნელი კომპანიის Nano-ს და გამცვლელი ოპერატორის BitGrail-ის წინააღმდეგ კოლექტიური სარჩელის ფარგლებში სასარჩელო მოთხოვნას ამყარებდა დელიქტური პასუხისმგებლობით, ვინაიდან მოპასუხეებს არ ჰქონდათ შესაბამისი კიბერუსაფრთხოების ზომები მიღებული კომპიუტერულ კოდში, რამაც გამოიწვია 170 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტის მითვისება ჰაკერთა ჯგუფის მიერ.<sup>476</sup> მოცემულ საქმეზე სასამართლომ დელიქტისთვის ყველა წინაპირობა - მოპასუხის ქმედება (უმოქმედობა), განჭვრეტადობა, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი და ზიანი დაკმაყოფილებულად ჩათვალა და დაადგინა, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის გამოყენება ასეთი შემთხვევებისთვის შესაძლებელია.<sup>477</sup>

მიუხედავად იმისა რომ ქართული და ანგლო-ამერიკული დელიქტური სამართლის საფუძვლები ერთმანეთისგან განსხვავდება, ზემოგანხილული მიდგომა ქართული სამართალსივრცისთვის გაზიარებული უნდა იყოს. ქართული ინტერნეტ სივრცისთვის კრიპტოვალუტა მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მისი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო იზრდება, რასაც ისიც ემატება, რომ ის არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის კრიპტოვალუტის გაცვლით არის შემოფარგლული, არამედ ბაზარზე ასევე არსებობს კრიპტო ბირჟები და კრიპტოვალუტის გამცვლელი ოპერატორები.

---

<sup>475</sup> Fabian v. LeMahieu, CASE NO. 19-cv-00054-YGR (N.D. Cal. Oct. 4, 2019)

<sup>476</sup> *Schwinger A.*, Blockchain Law: Redressing cryptocurrency losses through negligence claims, New York Law Journal, 2019, 3.

<sup>477</sup> იქვე, 3-4.

### 3.3.2. მონაცემების წაშლა როგორც დელიქტი

საიტი, როგორც ინფორმაციული ერთობლიობა, წარმოადგენს ვირტუალურ ქონებას. შესაბამისად, მასზე განთავსებული ნებისმიერი მასალა, რომელიც არ წარმოადგენს სხვა უფლების, მაგალითად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს.<sup>478</sup> ასევე, სოციალური მედიის თუ სხვა ინტერნეტ პლატფორმის ანგარიშების ვირტუალური ქონების ფარგლებში იდენტიფიცირება მიჩნეულ უნდა იყოს სწორი მოსაზრებად.<sup>479</sup> გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია, რომ დელიქტური სამართალი იცავდეს ზემოჩამოთვლილ საკუთრების ობიექტებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „წაშლა“ ატარებს ტექნიკური ხასიათის შინაარს და მატერიალურ სამყაროში ობიექტების განადგურების ანალოგია.

შესაბამისად, მონაცემები, რომელიც არის პირის საკუთრება, მისი ინტერნეტში განადგურებით, წაშლით ან სხვა ხელყოფით, რომელსაც ზიანი მოჰყვება წარმოადგენს დელიქტური ვალდებულების საფუძველს. ასევე მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების პარალელი, როდესაც ხდება, მაგალითად, საავტორო უფლების ობიექტის ფიზიკურად განსხეულებული მატარებლის განადგურება. ინტერნეტ საიტზე განთავსებული ობიექტი შეიძლება იყოს საავტორო უფლების ობიექტი, თუმცა იგი ასევე არის ელექტრონული ფაილიც,<sup>480</sup> შესაბამისად, ობიექტი წარმოდგენილია ორი ქონების სახით.<sup>481</sup> ამრიგად, თუ ფიზიკურ სამყაროში ნივთის განადგურება ან დაზიანება ითვლება დელიქტად, ასეთივე ქმედება უნდა ჩაითვალოს დელიქტად ინტერნეტ სივრცეშიც.

პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მონაცემის, მაგალითად, სხვა პირის მიერ სოციალური ქსელიდან მიმოწერის წაშლა სოციალური ქსელის ანგარიშის

---

<sup>478</sup> *Erlank W.*, Introduction to virtual property: Lex virtualis ipsa loquitur, Potchefstroom Electronic Law Journal, Vol. 18, No. 7, 2015, 2526-2527.

<sup>479</sup> *Nekit K.*, Social Media Account as an Object of Virtual Property, Masaryk University Journal of Law and Technology, Vol. 14, No. 2, 2020, 221-223

<sup>480</sup> *Erlank W.*, Books, Apps, Movies and Music – Ownership of Virtual Property in the Digital Library, European Property Law Journal, Vol 2, Issue 2, 2013, 196.

<sup>481</sup> ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მეორე შეესებული გამოცემა, მერიდიანი, თბილისი, 2019, 219.

არამართლზომიერი გზით დაუფლების დროს.<sup>482</sup> თავის მხრივ, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს არის თუ არა ელექტრონული მიმოწერა სამართლებრივი სიკეთე დელიქტური დაცვის ფარგლებში, მაგალითად, როგორც საკუთრების ობიექტი. ამ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს ცალსახა, რომ მიმოწერა საკუთრების ობიექტი ან რაიმე სხვა აბსოლუტური უფლების ობიექტი<sup>483</sup> არ არის და შეუძლებელია მისი დაცვა სსკ-ს 992-ე მუხლის ფარგლებში. ამის საპირისპიროდ, თუ სოციალური ქსელის ანგარიშები უნდა ჩაითვალოს საკუთრების ობიექტად,<sup>484</sup> მაშინ მასში არსებული მიმოწერის ხელყოფა უნდა ჩაითვალოს სწორედ სოციალური ანგარიშის ხელყოფად და თუ აღნიშნულმა გამოიწვია ზიანი, იგი მოექცევა სსკ-ს 992-ე მუხლის ფარგლებში.<sup>485</sup>

ზემოგანხილულ შემთხვევაში, დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი სრულიად დამოკიდებულია ზიანის არსებობაზე.<sup>486</sup> რთულია იმის განსაზღვრა, რა მოცულობის ზიანი შეიძლება მიადგეს პირს კონკრეტული ელექტრონული მომიწეროს ან მისი ნაწილის წაშლით, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაცია მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება იყოს სამართლებრივი გარემოებისთვის, მაგალითად, ადასტურებდეს მხარეთა შორის კონკრეტული ტიპის სამართალურთერთობას. ხაზგასასმელია ისიც, რომ წაშლილი ინფორმაციის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც ინფორმაციის არსებობაზე მიუთითებს დავის ფარგლებში.

საიტზე არსებული მასალის და პერსონალურ ანგარიშში არსებული მონაცემების წაშლისგან განსხვავებული შემთხვევაა როდესაც პლატფორმა თავად შლის ინფორმაციას, რომელსაც მომხმარებელი აქვეყნებს. ამასთან დაკავშირებით გასაზიარებელია

---

<sup>482</sup> Koch B. A., Cyber Torts: Something Virtually New?, Journal of European Tort Law, Vol 5 (2), 2014, 144-145.

<sup>483</sup> რუსიაშვილი გ., არაპირდაპირ დაზიანებული პირის მოთხოვნის გამორიცხვა (ნაწილი I), შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2020, 2020, 26

<sup>484</sup> McGarvey Hidy K., Let Them Eat Cake: Social Media Accounts Property Rights, and the Digital Rights Revolution the Digital Rights Revolution, DePaul Law Review, Vol. 71, Issue 1, 2021, 86.

<sup>485</sup> საპირისპიროდ დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში ვერ მოექცევა შემთხვევა როდესაც მონაცემებზე ზეგავლენა ხდება სხვა პირის ანგარიშიდან, მაგალითად როდესაც მომხმარებელი შლის იმ ანგარიშს რომლიდანაც გამოიგზავნა ან გაიგზავნა მონაცემები. ვრცლად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-33-2022.

<sup>486</sup> Dam C. V., European Tort Law, Second Edition, Oxford University Press, Oxford, 2013, 347-348.

გერმანული მიდგომა,<sup>487</sup> რომლის მიხედვითაც სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადება ექცევა გამოხატვის თავისუფლების სფეროში და მისი საკუთრების ობიექტად განხილვა შეუძლებელია. შესაბამისად, თუ პლატფორმა გადაწყვეტს მომხმარებლის მიერ განთავსებული ინფორმაციის წაშლას, ამ უკანასკნელს აქვს ე.წ. ალდგენის მოთხოვნის უფლება, რომელიც დაკმაყოფილდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში თუ წაშლილი ინფორმაცია არ არის მართლსაწინააღმდეგო და მისი წაშლით შეიზღუდება გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლება.<sup>488</sup> აღსანიშნავია, რომ გერმანიაში სოციალურ ქსელში კანონის აღსრულების აქტის (Netzwerkdurchsetzungsgesetz) 2018 წელს ძალაში შესვლის შემდეგ ალდგენის მოთხოვნების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში.<sup>489</sup>

### 3.4. ცილისწამებისა და ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება ინტერნეტში

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მექანიზმს სკ-ს მე-18 მუხლის ფარგლებში და ასევე, სსკ-ს 993-ე მუხლის ფარგლებში პასუხისმგებლობას ზიანის მომტანი ცნობების გახმაურებისთვის. დამატებით ეროვნულ რეგულატორულ კომპლექსში მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში ცილისწამების განმარტება, რომლის მიხედვით ცილისწამებაა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.<sup>490</sup> თავის მხრივ, საერთო სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს დიფამაციას (Defamation)<sup>491</sup> და ზიანის მომტან მცდარ ცნობებს (Malicious Falsehood).<sup>492</sup> მოცემულ განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ Defamation უშუალოდ მიმართულია პირისკენ, ხოლო, Malicious Falsehood-ის

<sup>487</sup> *Kettemann M., Tiedeke A. S.*, Back up: can users sue platforms to reinstate deleted content?, *Internet Policy Review*, Vol. 9, Issue 2, 2020, 8-9.

<sup>488</sup> იქვე, 10.

<sup>489</sup> იქვე.

<sup>490</sup> ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-547-2020.

<sup>491</sup> *Docherty B.*, Defamation Law: Positive Jurisprudence, *Harvard Human Rights Journal*, Vol. 13, 2000, 264-265.

<sup>492</sup> *Howarth D.*, Libel: Its Purpose and Reform, *The Modern Law Review*, Vol. 74 (6), 2011, 875.

შემთხვევაში პირის ფინანსური ან ეკონომიკური ინტერესების ზიანისკენ და არა მაინცდამაინც რეპუტაციისკენ.<sup>493</sup>

ინტერნეტის უდავო და უდიდესი მონაპოვარია სოციალური ქსელები, ბეჭდვითი მედიის გაციფრულება და ფართო ხელმისაწვდომობა, ღია ტიპის საინფორმაციო საიტებისა და საძიებო სისტემების შექმნა. ამ ყველაფერმა ცილისწამებისა და ზიანის მომტანი ცნობების გავრცელება განსაკუთრებით გაამარტივა და გაზარდა პირთა წრეც, რომელსაც შეუძლია ცნობების გავრცელება.<sup>494</sup>

### 3.4.1. სპეციალური საკანონმდებლო რეგულაცია

ინტერნეტ სივრცეში ცილისწამებასთან ან ზიანის მომტან ცნობასთან დაკავშირებით ქართული მართლწესრიგისთვის სპეციალური მომწესრიგებელი კანონი არ არსებობს. თუმცა განცალკევებულად უნდა აღინიშნოს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, რომელიც ინტერნეტს მიიჩნევს მედია საშუალებად.<sup>495</sup> სპეციალურ მოწესრიგებას გერმანიისთვის წარმოადგენს გერმანიაში „სოციალურ ქსელში უფლების აღსრულების შესახებ“ კანონი (Netzwerkdurchsetzungsgesetz), ხოლო, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის „კომუნიკაციურ ქსელში წესიერების შესახებ“ კანონი (Communications Decency Act).

### 3.4.2. ცნობების გავრცელების სივრცეები

ნებისმიერი პლატფორმა შეიძლება ავრცელებდეს ცნობებს, თუ კოდი იძლევა საშუალებას და სარედაქციო კონტროლი არ წარმოადგენს დაბრკოლებას. სწორედ ამიტომ,

---

<sup>493</sup> *Corker J., Morath J., When the Boot is on the Other Leg, Communications Law Bulletin, Vol. 22, No. 1, 2003, 10.*

<sup>494</sup> *Ardia D. S., Freedom of Speech, Defamation, and Injunctions, William & Mary Law Review, Vol. 55, 2013, 4-5.*

<sup>495</sup> აღნიშნული კანონის მიხედვით, მედია არის მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი. რაც შესაბამისად განსაზღვრავს სამართალწარმოების ფარგლებში მოპასუხედ იმ საიტის მესაკუთრეს, რომელზეც ჟურნალისტი აქვეყნებს შესაბამის ცილისწამებას, ამავე კანონის 6 II მუხლის შესაბამისად.

ინტერნეტში ყველაზე მეტად ცნობების გამავრცელებლად წარმოდგენილი არიან სოციალური ქსელების მომხმარებლები და ბლოგერები.<sup>496</sup> ამრიგად, ცნობების გავრცელების არეალი ინტერნეტში შესაძლოა მოცული იყოს ნებისმიერი ონლაინ სერვისის პროვაიდერით (OSP),<sup>497</sup> რაც თავის თავში გულისხმობს ნებისმიერ სოციალურ ქსელს, ონლაინ ფორუმს,<sup>498</sup> საინფორმაციო საიტებს და ნებისმიერ საიტს, სადაც ინფორმაციის გამოქვეყნება შესაძლებელია.

ხსენებული სივრცეებიდან გამონაკლის წარმოადგენს ე.წ Messenger-ები, გამომდინარე იქიდან რომ ორ პირს შორის პირადი მიმოწერა არ ნიშნავს ასეთი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებას., მაშინაც როცა იგი შეიცავს ცილისწამებას ან რაიმე ზიანის მომტანი განცხადებებს. ამასთან დაკავშირებით სრულიად გასაზიარებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობა, რომლის მიხედვით „Facebook Messenger“-ის მეშვეობით განხორციელებულია პირადი მიმოწერა, რომელიც შეიცავს უცენზურო, შეურაცხმყოფელ, მიუღებელ გამონათქვამებს და, ცხადია, ის არა მხოლოდ უსიამოვნო, არამედ შესაძლოა მტკივნეულად აღქმადიც იყოს ადრესატისათვის, თუმცა, სამართლებრივად არ ადგენს ისეთ შემთხვევას, რაც განაპირობებს სსკ-ის მე-18 მუხლისა და 413-ე მუხლების საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილებას და, მორალური ზიანის სახით მოპასუხისათვის ფულადი თანხის დაკისრებას.<sup>499</sup> თუმცა, ეს საგამონაკლისო შემთხვევა არ გაითვალისწინება მაშინ, როდესაც ე.წ Messenger-ების საშუალებით ფართოდ ხდება ცილისწამების ან ზიანის მომტანი ცნობების გავრცელება და იგი ეგზავნება არა ერთ, არამედ რამდენიმე პირს. აღნიშნულს იზიარებს ავსტრალიის

---

<sup>496</sup> *Ardia D. S.*, Freedom of Speech, Defamation, and Injunctions, *William & Mary Law Review*, Vol. 55, 2013, 5.

<sup>497</sup> Online Service Provider (OSP) - ონლაინ სერვისის პროვაიდერი არის ნებისმიერი პლატფორმა რომელიც ინტერნეტში მომხმარებელს აწვდის რაიმე ტიპის სერვისს, მაგალითად საინფორმაციო საიტი, სოციალური ქსელი, ელექტრონული კომერციის საიტი და სხვა. ვრცლად იხ. *Taddeo M., Floridi L.*, *New Civic Responsibilities for Online Service Providers, The Responsibilities of Online Service Providers*, Eds., *Taddeo M., Floridi L.*, Springer, London, 2017, 1-2.

<sup>498</sup> *Kwok K.*, Liability of Online Service Providers for Defamatory Content: The Case of Online Discussion Forums, *The Law Quarterly Review*, Vol. 130, 2014, 206-207.

<sup>499</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 05 მარტის განჩინება საქმეზე №ას-810-2019.

სასამართლო პრაქტიკა,<sup>500</sup> რომლის მიხედვით, დიფამაციად ჩაითვლება შემთხვევა თუ ცნობები გავრცელებული იქნა რამდენიმე პირის წინაშე, რაც თავის მხრივ ქართული სამართალწარმოებისთვისაც, ორივე სსკ-ს მე-18 და სსკ-ს 993-ე მუხლებით მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში გასაზიარებელია.

### 3.4.3. ცნობების წყარო

ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე წყაროში უნდა იგულისხმებოდეს არა სტანდარტული გაგებით ის ინფორმაცია, რომელიც ცილისწამების ან ზიანის მომტანი ცნობების საფუძველია, არამედ ფორმა, თუ როგორ იქნა გამოხატული ცილისწამება, პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ან ზიანის მომტანი ცნობები. უპირველესად, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გავრცელება, როგორც ეს ფიზიკურ სამყაროშია, ინტერნეტშიც ანალოგიურად ტრანსფორმირდება, მაგალითად, ბექდურ მედიას ანაცვლებს ციფრული მედია, სატელევიზიო ეთერი შესაძლოა ინტერნეტ ტელევიზიამ ან ვიდეო ჰოსტინგ საიტებმა, მაგალითად YouTube-მა,<sup>501</sup> ჩაანაცვლოს.

პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ისეთი წყაროები, რომელიც სრულიად ახალი მოვლენაა შინაარსობრივად და მხოლოდ ინტერნეტისთვის არის დამახასიათებელი. ასეთია საძიებო სისტემის მიერ საკუთარ ბაზაში დამახსოვრებული ინფორმაცია, რომლის პირველწყაროც უკვე წაშლილია.<sup>502</sup> ასეთ შემთხვევაში საძიებო სისტემას არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ფაქტის შეტყობინებამდე ან იმ მომენტამდე, როდესაც მას უნდა სცოდნოდა ასეთი ცნობების არსებობის შესახებ მის ბაზებში.<sup>503</sup> მნიშვნელოვანია ხელახალი გამოქვეყნების საკითხი<sup>504</sup> ინტერნეტისთვის და სოციალური მედიისთვის, რაც

<sup>500</sup> *Mulley v Hayes* [2021] FCA 1111

<sup>501</sup> YouTube წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ვიდეო ჰოსტინგ პლატფორმას, რომელიც თავის მხრივ იზიარებს სოციალური ქსელის ელემენტებს. ვრცლად იხ. *გაბისონია ზ.*, ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2022, 340-341.

<sup>502</sup> *Turner R.*, Internet Defamation Law and Publication by Omission: A Multi-Jurisdictional Analysis, University of New South Wales Law Journal, Vol. 37, No. 1, 2014, 36.

<sup>503</sup> იქვე, 42.

<sup>504</sup> *Standen J.*, Republication Liability on the Web, Marquette Law Review, Vol. 105, Issue 3, 2022, 670-672.

გულისხმობს ე.წ. გადაზიარებას. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი მოსაზრებით გადამზიარებელი უფრო მეტად იყო დაცული ვიდრე უშუალოდ ცნობების ავტორი ან საერთოდ არ იყო პასუხისმგებელი გადაზიარებული ინფორმაციის შინაარსზე,<sup>505</sup> უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მეტად მყარდება მოსაზრება, რომ გადამზიარებელი უნდა იყოს პასუხისმგებელი გადაზიარებული ცნობების შინაარსზე. მაგალითისთვის, ინგლისისა და უელსის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,<sup>506</sup> გადამზიარებელი პირი ატარებს პასუხისმგებლობას იმ ზიანისთვის, რომელიც გადაზიარებულმა ცნობებმა გამოიწვია. ასევე, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შესაძლოა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგეს პირის მიმართ, რომელიც სოციალურ ქსელში გადააზიარებს ცილისწამების შემცველ ინფორმაციას.<sup>507</sup>

#### 3.4.4. ხელოვნური ინტელექტის მიერ გავრცელებული ცნობები

ხელოვნური ინტელექტის მიერ შესაძლებელია არა მხოლოდ განხორციელდეს ის მითითებები და დავალებები, რომელსაც მას აძლევენ, არამედ მას შეუძლია ინტერაქციის განხორციელებაც, როგორც ადამიანებთან ისე სხვა ხელოვნურ ინტელექტთან. ხელოვნური ინტელექტი ოპერირებს ალგორითმების საფუძველზე, რომელთაგან ყველაზე მეტად გამოყენებადია მანქანური სწავლების (Machine Learning) და სიდრმისეული სწავლების (Deep Learning) ალგორითმები.<sup>508</sup> პირველ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტი სწავლობს მხოლოდ იმ შესაძლო შემთხვევებს, რომელსაც მას მიაწვდიან, ხოლო, მეორე შემთხვევაში მას აქვს შესაძლებლობა თავად იკვლიოს დასმული საკითხი.<sup>509</sup>

---

<sup>505</sup> *Allen A. A., Twibel Retweeted: Twitter Libel and the Single Publication Rule, Journal of High Technology Law, Vol. 15, 2014, 84-88.*

<sup>506</sup> *Riley & Oberman v Heybroek [2020] EWHC 1259 (QB)*

<sup>507</sup> *OLG Frankfurt, 26.11.2015 - 16 U 64/15*

<sup>508</sup> სირდაძე ლ. ჟორჯოლიანი გ., საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართლ-გერმანული ჟურნალი 5/2020, 2020, 12-13.

<sup>509</sup> იქვე.



ხელოვნურ ინტელექტთან კომუნიკაციის ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალებაა ე.წ. Chatbot-ები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ChatGPT. იგი წარმოადგენს წინასწარ განსწავლულ გენერაციულ ბოტს, რომელსაც განსაკუთრებულად შეუძლია ადამიანის მსგავსი კომუნიკაციის დამყარება.<sup>510</sup> ChatGPT-ის გაშვებიდან რამდენიმე თვეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი იძლევა არასწორ ინფორმაციას სხვადასხვა ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მათ შორის მოიცავს ინფორმაციას კონკრეტულ პირებთან დაკავშირებით.<sup>511</sup> სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ერთი წელიც არ იყო გასული ChatGPT-ის გაშვებიდან, როცა იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული ხელოვნური ინტელექტის ბოტი, დაიწყო პირველი სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელე მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ბოტმა არასწორად დააგენერირა მასზე ინფორმაცია, რომლის მიხედვით იგი სისხლის სამართლებრივ დანაშაულში იყო ბრალდებული.<sup>512</sup>

#### 3.4.4.1. ხელოვნური ინტელექტის დაცვა

ხელოვნური ინტელექტის ბოტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მისი შინაარსიდან გამომდინარე შესაძლოა იყოს ცილისწამება ან ზიანის მომტანი ცნობა პირის შესახებ, რაც თავის მხრივ სცდება კერძო მიმოწერის ფარგლებს ორ პირს შორის, ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი კონკრეტული ფაქტის შესახებ დასმულ კითხვას ერთი და იგივე პასუხს დაუბრუნებს პირთა ფართო წრეებს.<sup>513</sup> თუმცა, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა? ხელოვნური ინტელექტის ბოტის შემქმნელს თუ იმ წყაროს ავტორს, საიდანაც ხელოვნური ინტელექტისთვის ინფორმაციის მიწოდება მოხდა?

---

<sup>510</sup> *Hacker P., Engel A., Mauer M., Regulating ChatGPT and other Large Generative AI Models*, arXiv:2302.02337, 2023, 1-2.

<sup>511</sup> *Faber B., Warning: ChatGPT may produce inaccurate information about people, places, or facts.*, ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://journals.library.columbia.edu/index.php/stlr/blog/view/510> [15.05.2023]

<sup>512</sup> ვრცლად იხ. - <https://www.theverge.com/2023/6/9/23755057/openai-chatgpt-false-information-defamation-lawsuit> [15.06.2023]

<sup>513</sup> მაგ. იხ. კვლევა ChatGPT: its answers are very similar [exclusive research], ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://www.intotheminds.com/blog/en/chatgpt-its-answers-are-very-similar-exclusive-research/> [15.06.2023]

ამ კითხვებზე პასუხისთვის უნდა შეფასდეს, ქმნის თუ არა ხელოვნური ინტელექტი შინაარსობრივად ახალ ინფორმაცია დასმული კითხვის შესაბამისად.<sup>514</sup> წინასწარ განსწავლული გენერაციული ბოტი, მიუხედავად იმისა რომ ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რაც მას მიაწოდეს, მისი განსაკუთრებული კოდის გამო პასუხებს აძლევს ახალ შინაარსობრივ დატვირთვას,<sup>515</sup> რამაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს სწორ ინფორმაციასთან ფაქტობრივი აცდენა და მიღებული პასუხი შეიცავდეს ცილისწამებას ან ზიანის მომტან ცნობებს. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი ქმნის ახალ ინფორმაციას, რომლის ავტორიც არის თვითონ, გამომდინარე აქედან პასუხისმგებლობის მატარებელი არის ის.

ამერიკის შეერთებული შტატების „კომუნიკაციურ ქსელში წესიერების შესახებ“ კანონის (Communications Decency Act) 230-ე მუხლი განსაზღვრავს ინტერნეტში სერვისის პროვაიდერების პასუხისმგებლობის გამომრიცხველ შემთხვევას, რომლის მიხედვითაც, ინფორმაციული სერვისის პროვაიდერს არ ეკისრება პასუხისმგებლობა სხვა პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე.<sup>516</sup> შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი დაცვის ღირსი იქნება მაშინ, როდესაც მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სრულად დაეყრდნობა მესამე პირისგან აღებულ ცნობებს, ხოლო, ისეთ შემთხვევაში როცა ხელოვნური ინტელექტი თავად ახდენს ინფორმაციის გენერირებას, მას ეკისრება პასუხისმგებლობა.<sup>517</sup>

საკითხი ქართული მართლწესრიგისთვისაც მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ ხელოვნური ინტელექტის ბოტები ინტერნეტის ქართველი მომხმარებლებისთვისაც არის ხელმისაწვდომი. უფრო მეტიც, ასეთ ბოტებს ხშირად ქართული კომპანიებიც ქმნიან. სამწუხაროდ ქართული მართლწესრიგისთვის ინტერნეტში გავრცელებული ცნობების

---

<sup>514</sup> *Bambauer D., Surdeanu M., Authorbots, Arizona Legal Studies, Discussion Paper No. 23-13, 2023, 5-6.*

<sup>515</sup> იქვე, 7-8.

<sup>516</sup> *ჟორჯოლიანი გ., ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 71.*

<sup>517</sup> *Faber B., Warning: ChatGPT may produce inaccurate information about people, places, or facts., ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://journals.library.columbia.edu/index.php/stlr/blog/view/510> [15.05.2023].* საპირისპირო მოსაზრებისთვის იხ. *Bambauer D., Surdeanu M., Authorbots, Arizona Legal Studies, Discussion Paper No. 23-13, 2023, 13-14.*

მომწესრიგებელი სპეციალური კანონი არ არსებობს, თუმცა სამართლებრივად სწორი იქნება გაზიარებულ იქნეს ზემოგანხილული მსჯელობა ბოტების პასუხისმგებლობაზე.

### 3.4.4.2. მოთხოვნის ფარგლები, უფლების აღსრულება და სასამართლო პრაქტიკა

მოთხოვნის ფარგლები ინტერნეტ სივრცისთვის იგივეა, რაც ფიზიკურ სამყაროში გავრცელებული ცნობებისთვის. სსკ-ს მე-18 მუხლის შესაბამისად, პირს შეუძლია მოითხოვოს მოპასუხისგან ქმედების განხორციელება, ცნობების უარყოფა და ზიანის ანაზღაურება, ასევე, პირს შეუძლია იმავე საშუალებით გამოქვეყნოს საპასუხო ცნობები. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 II მუხლის მიხედვით, დაუშვებელია ბოდიშის მოხდის სასარჩელო მოთხოვნად განსაზღვრა ცილისწამებისთვის. ხოლო ისეთი შემთხვევებისთვის, რომელიც არ ექცევა სპეციალური კანონისა და სსკ-ს მე-18 მუხლის ფარგლებში, მოსარჩელეს ზიანის მომტანი ცნობებისთვის შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ს 993-ე მუხლის შესაბამისად.

ქართული სასამართლო პრაქტიკა ზემოგანხილული მოთხოვნის ფარგლებში არის განვითარებული.<sup>518</sup> პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მოპასუხის ვინაობასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი.<sup>519</sup> მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ერთგვარი მტკიცების ტვირთის სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს თავად ეკისრება გავრცელებული ცნობების ავტორის ვინაობის მტკიცება, ისეთ შემთხვევაში თუ გავრცელებული ცნობები ეკუთვნის ანონიმურ პირს, გამომდინარე იქიდან რომ ინტერნეტში ცნობების გავრცელება შეუძლია ნებისმიერ პირს და მხოლოდ მოსარჩელის ვარაუდი რომ ცნობები კონკრეტულ პირს ეკუთვნის, არ კმარა.<sup>520</sup> ასევე,

<sup>518</sup> მაგ. ინტერნეტში საქმიანი რეპუტაციის შემლახავი, ცილისმწამებლური ცნობების უარყოფისთვის იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/11550-17. ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/20169-17.

<sup>519</sup> ჯორბენაძე ს., მუხლი 18, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რედ. ჭანტურია ლ., თბილისი, 2016, ველი 55, 124.

<sup>520</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1378-1300-2012.

უმნიშვნელოვანესია უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც თუ მომხმარებლის ინტერნეტში არსებული ანგარიშზე მოცემული ინფორმაციით, ფოტოსურათებით, მეგობართა წრით და სხვა დეტალებით იქმნება ვარაუდი ანგარიშის კუთვნილების შესახებ, მაშინ ივარაუდება, რომ ეს ანგარიში ეკუთვნის შესაბამის პირს, რომელმაც თავად უნდა დაადასტუროს საპირისპირო.<sup>521</sup>

მნიშვნელოვანია ინტერნეტ სივრცეში სსსკ-ს 198-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ ცნობებზე. ინტერნეტში გავრცელებული ცნობები თავისი ბუნებით მუდმივად ხელმისაწვდომია და დროში განგრძობადად შესაძლოა აყენებდეს პირს ზიანს, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ინტერნეტის მასშტაბი გაცილებით დიდია ვიდრე ნებისმიერი სხვა მედია საშუალებისა.<sup>522</sup> შესაბამისად, სამართალწარმოების ეტაპზე, რომელიც შესაძლოა ხანგრძლივი პროცესი იყოს. შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის შესაძლოა მოთხოვნილი იყოს კონკრეტული ცნობის საჯაროდ წვდომის შეზღუდვა,<sup>523</sup> რაც ტექნიკურად განხორციელებადია როგორც სოციალური ქსელებისთვის, ისე განცალკავებულად საიტებისთვის.<sup>524</sup>

### 3.5. პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა ინტერნეტში

#### 3.5.1. პასუხისმგებლობა ნივთების ინტერნეტიდან წარმოშობილი ზიანისთვის

ნივთების ინტერნეტი (Internet of Things / IoT) წარმოადგენს ფიზიკურ სამყაროში არსებული ნივთების, მასში ინტეგრირებული კომპიუტერული სისტემისა და

---

<sup>521</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-208-201-2012.

<sup>522</sup> *Bendor A. L., Tamir M.*, Prior Restraint in the Digital Age, *William & Mary Bill of Rights Journal*, Vol. 27, Issue 4, 2019, 1172-1173.

<sup>523</sup> *ჯორბენაძე ს.*, სხვისი ვიზუალით შექმნილი „Memoji-ს“ გამოყენების სამართლებრივი ფარგლები, *სამართლის ჟურნალი*, №1, 2021, 11.

<sup>524</sup> მაგალითად, Facebook-ისთვის პოსტის Only Me-ზე გადაყვანის ფუნქციით, ხოლო, საიტისთვის კონკრეტული ცნობის URL მისამართის დაბლოკვით.

ინტერნეტის ერთობლიობას, რომელზეც აქვს წვდომა ამ ნივთებს.<sup>525</sup> მიუხედავად აღნიშნული განმარტებისა, ნივთების ინტერნეტთან მიმართებით ერთიანი ცნება არ არსებობს. მაგალითად, ევროპის კავშირის კიბერუსაფრთხოების სააგენტო (ENISA) მას აღწერს როგორც კიბერ-ფიზიკურ კომპლექსურ სისტემას, რომელსაც შეუძლია ინტელექტუალური გადაწყვეტილებების მიღება.<sup>526</sup> ცნების პარალელურად, თვალსაჩინოებისთვის უნდა გამოიყოს ის მოწყობილობები ან მასთან დაკავშირებული სერვისები, რომლებიც ნივთების ინტერნეტად შეიძლება ჩაითვალოს: ჯანმრთელობის მონიტორინგის სენსორები, ავტოსატრანსპორტო საშუალების თვითმართვადი სისტემები, ჭკვიანი სახლის მოწყობილობები და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იძლევა ნივთების ინტერნეტის მართვის საშუალებას სხვადასხვა მოწყობილობის საშუალებით.<sup>527</sup>

### 3.5.2. წუნის კატეგორიზაცია

გამომდინარე იქიდან რომ ნივთების ინტერნეტი უმეტეს შემთხვევაში რთული ტექნოლოგიური პროდუქტია, მისი წუნი ნებისმიერი სახით შეიძლება არსებობდეს.<sup>528</sup> თუმცა გასაზიარებელია ამერიკის შეერთებული შტატების დელიქტური სამართლის მიდგომა წუნის კატეგორიზაციის სამ შემთხვევისადმი: პირველი ეს არის საწარმოო წუნი (Manufacturing Defect), რაც გულისხმობს, რომ წუნი წარმოიშვა პროდუქტის დამზადების ეტაპზე. მეორე, ეს არის კონსტრუქციული წუნი (Design Defect), რომლის დროსაც

---

<sup>525</sup> *ჟორჯოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 65.

<sup>526</sup> *Howells G., Twigg-Flesner C.*, Interconnectivity and Liability: AI and the Internet of Things, The Cambridge Handbook of Artificial Intelligence, Eds. *Dimatteo L., Poncibo C., Cannarsa M.*, Cambridge University Press, Cambridge, 2022, 180.

<sup>527</sup> *ჟორჯოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 65.

<sup>528</sup> *Howells G., Twigg-Flesner C.*, Interconnectivity and Liability: AI and the Internet of Things, The Cambridge Handbook of Artificial Intelligence, Eds. *Dimatteo L., Poncibo C., Cannarsa M.*, Cambridge University Press, Cambridge, 2022, 180.

მომხმარებლის ზოგადი მოლოდინი პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დარღვეულია. ხოლო, მესამე კატეგორიზაციას წარმოადგენს ინსტრუქციის წუნი (Failure to Warn), რომელიც გულისხმობს გამოყენების წესების არასათანადოდ მიწოდებას მომხმარებლისთვის.<sup>529</sup> ამის გათვალისწინებით ინტერნეტ დელიქტებთან მიმართებაში განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც წუნი დაკავშირებულია უშუალოდ ინტერნეტთან და არა ზოგადად ნებისმიერი წუნი.

### 3.5.3. მწარმოებლის პასუხისმგებლობის ფარგლები

ქართული მართლწესრიგისთვის პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სსკ-ს 1009-ე მუხლის და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული დანაწესები უნივერსალურია და გამოიყენება როგორც ფიზიკური, ისე ინტერნეტ სივრცისთვის. თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსიც და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსიც, წუნდებული პროდუქტის მსგავს დეფინიციას იძლევა. მისი მიხედვით, წუნდებულია პროდუქტი, რომელიც არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოლოდინებს, რომელსაც მისგან პირი ელის.

ნივთების ინტერნეტი, როგორც წუნდებული პროდუქტი, უნიკალური პრობლემატიკის მატარებელია,<sup>530</sup> რადგან ნივთების ინტერნეტის წუნი არა თავისთავად რეალიზებადია, არამედ მისი რეალიზება ხდება მესამე პირების ჩარევის შედეგად, მაგალითად, ჰაკერული თავდასხმით.<sup>531</sup> გამომდინარე აქედან, ნივთების ინტერნეტისთვის წუნის შეფასება ინტერნეტ დელიქტებთან მიმართებაში უნდა მოხდეს იმ კიბერუსაფრთხოების

---

<sup>529</sup> *ჯორჯოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 66.

<sup>530</sup> *Butler A.*, Products Liability and the Internet of (Insecure) Things: Should Manufacturers Be Liable for Damage Caused by Hacked Devices? University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 50, 2017, 926.

<sup>531</sup> იქვე.

სტანდარტის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტის საშუალებით მესამე პირების ზეგავლენის აღკვეთას პროდუქტზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,<sup>532</sup> მომხმარებლის ვარაუდი, რომ ნივთების ინტერნეტი, როგორც პროდუქტი ვერ აკმაყოფილებს ბაზარზე არსებულ უსაფრთხოების სტანდარტს, პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის არ არის საკმარისი. პროდუქტთან დაკავშირებით სისტემურად უნდა დასტურდებოდეს, რომ წუნი არაერთხელ არის რეალიზებული და სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ნივთების ინტერნეტის მოწყობილობა წარმოადგენს წუნდებულ პროდუქტს.<sup>533</sup>

---

<sup>532</sup> Cahen v. Toyota Motor Corp., 147 F. Supp. 3d 955 (N.D. Cal. 2015); Flynn v. FCA U.S., LLC, 39 F.4th 946 (7th Cir. 2022).

<sup>533</sup> Fichtner J. R., Strader T. J., Will Products Liability Litigation Help Protect IoT Users from Cyber-Physical Attacks? Journal of International Technology and Information Management, Vol. 31, Issue 1, 2022, 88-91.

## V. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები სამოქალაქო კოდექსის მიღმა

გამომდინარე იქიდან რომ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები არ ამოიწურება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსში მოცემული ურთიერთობების ჩამონათვლით, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის განხილული უნდა იყოს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები ფართოდ, რომელიც მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და პერსპექტივას მონაცემებთან, მათ შორის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით.

### 1. ინტელექტუალური საკუთრება ინტერნეტ სივრცეში

#### 1.1. ინტერნეტ მეკობრეობა

ინტერნეტ სივრცეში მეკობრეობა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებისთვის, კონკრეტულად კი საავტორო უფლებებისთვის.<sup>534</sup> 2023 წლის წინასწარი მონაცემებით მხოლოდ კინონდუსტრიისთვის ინტერნეტ მეკობრეობის მიერ მიყენებული ზიანი 40 მილიონიდან 100 მილიონამდე მერყეობს.<sup>535</sup> მიუხედავად იმისა რომ უკანასკნელ ათწლეულში საკმაოდ განვითარდა უფლებების აღსრულება ინტერნეტში, მათ შორის უფლებების მართვის ციფრული (Digital Rights Management) ტექნოლოგიები,<sup>536</sup> ინტერნეტ მეკობრეობაც მუდმივად ახალ გზებს ნახულობს ყოველგვარი სამართლებრივი და ტექნოლოგიური წინაღობებისგან თავის დასაღწევად.

---

<sup>534</sup> *Llewelyn D., Aplin T.*, Intellectual Property: Patents, Copyright, Trade Marks and Allied Rights, Ninth Edition, Sweet & Maxwell, London, 2019, 20–052.

<sup>535</sup> ვრცლად იხ. - <https://dataprot.net/statistics/piracy-statistics/> [05.05.2023]

<sup>536</sup> *Quintais J., Poort J.*, The Decline of Online Piracy: How Markets – Not Enforcement – Drive Down Copyright Infringement, American University International Law Review, Vol. 34, No. 4, 2019, 822-823.



### 1.1.1. რეგულატორული ჩარჩოს შედარებით სამართლებრივი ანალიზი

სამწუხაროდ, საქართველოში, ინტერნეტ სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების მომწესრიგებელი სპეციალური კანონი არ არსებობს, შესაბამისად, ამ უფლებებისთვის ფიზიკურ და ვირტუალურ სამყაროშიც გამოიყენება საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი.<sup>537</sup> განცალკევებით აღსანიშნავია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის დადგენილება №3. ესაა ერთადერთი კანონქვემდებარე აქტი, რომელიც მოიცავს როგორც დეფინიციებს ინტერნეტში არსებულ ობიექტებზე, ისე სხვადასხვა მექანიზმებს ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლებთან დაკავშირებით.

საქართველოსგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ორ ათწლეულზე მეტია ინტერნეტ სივრცეში საავტორო უფლებებს არეგულირებს ციფრული ათასწლეულის საავტორო უფლებების შესახებ კანონით (Digital Millennium Copyright Act). მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ კანონთან მიმართებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს,<sup>538</sup> მისი დამსახურებაა, რომ ისეთ საიტებზე, რომელიც პირდაპირ ექცევა ამ კანონის რეგულირების სფეროში, საავტორო და მომიჯნავე უფლებებზე უფლების აღსრულება შესაძლებელია გეოგრაფიული შეზღუდვის გარეშე ეგრეთ წოდებული შეტყობინებისა და წაშლის (Notice and Takedown) სისტემების საშუალებით.<sup>539</sup> აღნიშნული სისტემები გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის 512-ე მუხლიდან, რომლის დამსახურებაა ასევე ონლაინ სერვის პროვაიდერებისთვის (OSP) უსაფრთხო ნავსადგომის წესის შექმნა (Safe Harbor), რომელიც საიტებსა და სხვადასხვა პლატფორმებს არიდებს პასუხისმგებლობას ისეთი შემთხვევებისთვის,

---

<sup>537</sup> მიუხედავად იმისა, რომ იგეგმებოდა ახალი კანონის მიღება, რომელიც მოაწესრიგებდა ინტერნეტ სივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, ასეთი კანონი არ მიღებულა ქართული მართლწესრიგისთვის. ვრცლად იხ. „ინტერნეტში საავტორო უფლებებს ახალი კანონი დაარეგულირებს“, ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://forbes.ge/internetshi-saavtoro-uphle/> [21.03.2023]

<sup>538</sup> *Asp E. M.*, Section 512 of the Digital Millennium Copyright Act: User Experience and User Frustration, *Iowa Law Review*, Vol. 103, Issue 2, 2018, 774.

<sup>539</sup> *Urban J. M., Karaganis J., Schofield B. L.*, Notice and Takedown: Online Service Provider and Rightsholder Accounts of Everyday Practice, *Journal, Copyright Society of the U.S.A.*, Vol. 64, 2017, 373-374.

როდესაც მათთვის უცნობი იყო საავტორო უფლების დარღვევის შესახებ და შეტყობინების შემდეგ განახორციელეს ყველაზე ქმედითი ღონისძიება უფლების დარღვევის აღსაკვეთად.<sup>540</sup> მოცემული საკანონმდებლო მოწესრიგების შედეგია ისეთი სისტემების არსებობა როგორცაა YouTube Content ID,<sup>541</sup> Meta Rights Manager და სხვა მსგავსი მექანიზმები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №3-ის მე-10<sup>1</sup> IV მუხლის მიხედვით, ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელი ვალდებულია შეიმუშავოს მექანიზმები, რომელიც აღკვეთავს ისეთი მომხმარებლის წვდომას ინტერნეტზე, რომელიც ავრცელებს დაუშვებელ პროდუქციას, რაც მოიცავს საავტორო უფლებებით მოპოვებულ მატერიალს. ამავე დადგენილების 10<sup>3</sup> II მუხლის მიხედვით, ანალოგიური ვალდებულება ეკისრება ინტერნეტდომენის გამცემს, რომელმაც უნდა გააფრთხილოს დომენის მფლობელი დაუშვებელი პროდუქციის ამოღების შესახებ, რისი არ გათვალისწინების შემდეგ კი იგი უნდა დაბლოკოს.

მიუხედავად იმისა რომ ზემოაღნიშნული მოწესრიგება იძლევა მინიმალურ სტანდარტს ქართული ინტერნეტ სივრცისთვის მეკობრეობის აღსაკვეთად, იგი მაინც არ არის საკმარისი და არ გააჩნია შესაბამისი მექანიზმები. საკითხი ქართული რეალობისთვის იმდენად მწვავეა, რომ სარეკომენდაციო სახით უნდა გამკაცრდეს ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან მონიტორინგის მექანიზმები ინტერნეტ სივრცეში, რადგან ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლის (ISP) და დომენის გამცემის მიერ საიტის დაბლოკვა მხოლოდ დროებითი მექანიზმია და მეკობრულ საიტს ყოველთვის შეეძლება ახალი დომენის რეგისტრაცია, რომელიც ქართული ინტერნეტ სივრცის სამართლებრივ რეგულირებაში არ იქნება მოქცეული. მეორე მხრივ, მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლის (ISP) ვალდებულება, რომ მათი მიმართვის საფუძველზე დაბლოკონ მეკობრული მატერიალის შემცველი საიტები, უნდა

---

<sup>540</sup> *Matthew S.*, Internet Safe Harbors and the Transformation of Copyright Law, Notre Dame Law Review, Vol. 93, Issue 2, 2018, 511-513.

<sup>541</sup> *Andrea R.*, No Safe Harbor: YouTube's Content Id and Fair Use, Boston College Intellectual Property & Technology Forum, Vol. 2020, 2023, 1-2.

ჩანაცვლდეს უფლების მფლობელის მიმართვის შედეგად რეაგირების ვალდებულებაზე, რისი შეუსრულებლობაც უნდა იწვევდეს ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლის (ISP) პასუხისმგებლობას.

### 1.1.2. სასამართლო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა რომ ინტერნეტ სივრცესთან მიმართებით ქართული სასამართლო არ მოიცავს მრავალ საქმეს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/26484-15,<sup>542</sup> რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ საავტორო უფლების დარღვევა, თავის მხრივ, არის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველი.<sup>543</sup> ასევე, ამ საქმეზე ნათლად გამოჩნდა საკანონმდებლო მოწესრიგების არსებობის საჭიროება, რომელიც ერთგვარ ფარს შექმნის საიტებისთვის და სხვა ონლაინ სერვისის მიმწოდებლებისთვის, რაც გულისხმობს უსაფრთხო ნავსადგომის (Safe Harbor) წესის უზრუნველყოფას.<sup>544</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეზე №2/3941-19<sup>545</sup> დაადგინა ინტერნეტში საავტორო უფლებით დარღვეული აუდიოვიზუალური ნაწარმოების გავრცელებისთვის პასუხისმგებლობის ფარგლები, რომლის მიხედვითაც უფლების დამრღვევს უნდა დაეკისროს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც უფლების დარღვევის პროპორციულად იქნა მიყენებული ინტერნეტში მომხმარებელთა ქცევის შესაბამისად.<sup>546</sup>

---

<sup>542</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/26484-15.

<sup>543</sup> საპირისპირო მოსაზრებისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინება №ას-924-874-2015.

<sup>544</sup> *ჟორჟოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 78.

<sup>545</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3941-19.

<sup>546</sup> მოცემულ საქმეზე მეკობრული საიტის მომხმარებლები აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს უყურებდნენ არასრულად, შესაბამისად სასამართლომ ზიანის მოცულობა გაყო იმ პროპორციულობაზე, რა მოცულობითაც უყურებდა მომხმარებელი აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს.

## 1.2. კიბერსქვათინგი

კიბერსქვათინგი ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ დამკვიდრებულ ცნებას წარმოადგენს,<sup>547</sup> რომელიც სასაქონლო ნიშნების დომენურ სახელებად გამოყენებას უკავშირდება.<sup>548</sup> კიბერსქვათინგის შემთხვევაში პირი წინასწარ არეგისტრირებს ცნობილ სასაქონლო ნიშანს დომენური სახელწოდების სახით, რომლის მართლზომიერად გამოყენების მიზანი მას არ გააჩნია. ამის შემდეგ იგი სთავაზობს უკვე რეგისტრირებულ დომენურ სახელწოდებას სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეს გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ.<sup>549</sup> კიბერსქვათინგი უკავშირდება არა მხოლოდ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის არამართლზომიერი გზით დომენურ სახელად რეგისტრაციას, არამედ სოციალურ ქსელებში ანგარიშების შექმნასაც.<sup>550</sup> აქედან გამომდინარე კიბერსქვათინგი უნდა მივიჩნიოთ როგორც სასაქონლო ნიშნის ხელყოფის სპეციალურ საშუალებად ინტერნეტ სივრცეში, რომლის არსებობის შემთხვევაშიც სასაქონლო ნიშნის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს ნიშნის გამოყენების აკრძალვა დომენურ დასახელებად ან ისეთ შემთხვევებში თუ ანგარიშის URL ემთხვევა სასაქონლო ნიშანს ასეთი ანგარიშისთვის სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა.<sup>551</sup> ასევე, აღსანიშნავია კიბერსქვათინგის სახეცვლილი შემთხვევა ე.წ. Domaingrabbing, რომლის ფარგლებშიც პირი წინასწარ არეგისტრირებს დომენებს სამომავლოდ სარფიანად

---

<sup>547</sup> *Intermatic v. Toeppen* 947 F. Supp. 1227 (N.D. Ill. 1996); *Panavision International, L.P. v. Toeppen*, 141 F.3d 1316 (9th Cir. 1998).

<sup>548</sup> ტერმინი კიბერსქვათინგი (Cybersquatting) დამკვიდრებულია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაში და მისი ტრანსლიტერაცია გაზიარებულია მრავალი მართლწესრიგის მიერ, მათ შორის გერმანული პრაქტიკის მიერ ნაცვლად თარგმანისა Domänenbesetzung. შესაბამისად, ქართული სამართლისთვისაც გაზიარებული უნდა იქნეს ტერმინის ტრანსლიტერაცია და არა თარგმანი.

<sup>549</sup> *Bridy A.*, Notice and Takedown in the Domain Name System: ICANN's Ambivalent Drift into Online Content Regulation, *Washington and Lee Law Review*, Vol. 74, 2017, 1353-1354.

<sup>550</sup> *Curtin T. J.*, The Name Game: Cybersquatting and Trademark Infringement on Social Media Websites, *Journal of Law and Policy*, Vol. 19, Issue 1, 2010, 355-356.

<sup>551</sup> *Hoeren T., Sieber U., Holznel B.*, *Handbuch Multimedia-Recht*, 58. Aufl., Verlag C.H. Beck, München, 2022, Rn. 46.

გაყიდვის მიზნით,<sup>552</sup> რაც უნდა ჩაითვალოს კლიენტის დაუშვებელი გზით მოპოვების შემთხვევად და შესაბამისად, ექცევა გსკ-ს 826-ე პარაგრაფის მოწესრიგებაში, ხოლო, საქართველოსთვის სკ-ს 992-ე მუხლის შესაბამისად მართლსაწინააღმდეგოა.<sup>553</sup>

### 1.2.1. საკანონმდებლო რეგულაცია

ქართული მართლწესრიგისთვის არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც გადაწყვეტდა სასაქონლო ნიშნის დომენურ სახელად რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დავებს, რაც, ერთი შეხედვით, არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემურ საკითხს, ვინაიდან სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონის 45-ე მუხლი ამოწურავს მოთხოვნას დომენური სახელების შემთხვევისთვისაც.<sup>554</sup>

ზემოაღნიშნულთან ერთად 2018 წლიდან .GE დომენური სივრცეში რეგისტრირებული დომენებისთვის ხელმისაწვდომია დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკა (Uniform Domain Name Dispute Resolution Policy / UDRP),<sup>555</sup> რომლის საწყისი ვერსია შემუშავებულია ინტერნეტში დომენების განაწილების მაკონტროლებელი საერთაშორისო ორგანიზაციის (ICANN) მიერ. დავების მოგვარების პოლიტიკის საფუძველზე პრეტენზიის მფლობელს, რომელიც არის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მესაკუთრე, შეუძლია მიმართოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (WIPO) და მოითხოვოს რეგისტრირებული დომენური სახელის

---

<sup>552</sup> თავის მხრივ, პირმა დომენური სახელი უნდა შეარჩიოს ისე, რომ არ დაარღვიოს სხვისი უფლება ან გამოიყენოს რეგისტრირებული დომენი არაკეთილსინდისიერად. ვრცლად იხ. *ჯორჯენაძე ს.*, სოციალური მედიის სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2019, 51.

<sup>553</sup> *რუსიაშვილი გ.*, სინდიცირება, პარალელური სესხები და „მოლაპარაკების“ ამხანაგობა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 8/2021, 2021, 20.

<sup>554</sup> მოთხოვნის არსებობა შესაძლებელია სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვისა და ზიანის ანაზღაურების ფარგლებში.

<sup>555</sup> .GE დომენური სახელის ადმინისტრატორი, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს დომენური სახელის რეგისტრატორებს უფლებამოსილება დაარეგისტრონ მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი დომენები, აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში ადმინისტრატორი სახელმეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ბოჭავს რეგისტრატორს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მომხმარებელს, რათა დაეთანხმოს დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების პოლიტიკას. ვრცლად იხ. *ბუაძე ქ., შეყილაძე ნ., ჟორჯოლიანი გ.*, სასაქონლო ნიშნის დაცვის ეკონომიკური მნიშვნელობა, შედარებით სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 10/2020, 2020, 8.

გაუქმება ან მისთვის გადაცემა. აღნიშნული დავის ფარგლებში შეუძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.<sup>556</sup> მიუხედავად იმისა რომ UDRP ითვლება ქმედით და ეფექტურ ინსტრუმენტად კიბერსქვათინგის შემთხვევაში, მას ზიანის მოთხოვნის არარსებობის გამო ხშირად დავის გადაწყვეტის არასრულ საშუალებას უწოდებენ. იგი არ წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულაციის ფარგლებში არსებულ ინსტრუმენტს, თუმცა ვრცელდება ყველა დომენზე რომელიც .GE დომენურ სივრცეშია რეგისტრირებული.

### 1.2.2. კიბერსქვათინგთან დაკავშირებული განვითარების პერსპექტივა

მიუხედავად იმისა რომ ერთი შეხედვით კიბერსქვათინგთან დაკავშირებით არ უნდა არსებობდეს პრობლემატიკა ეროვნულ სამართალსივრცეში, უნდა ითქვას, რომ WIPO-ს მზარდი სტატისტიკის ფონზე<sup>557</sup> საკითხთან დაკავშირებით საჭიროა დამატებითი რეგულაციები.

მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს „კიბერსქვათინგის წინააღმდეგ მომხმარებელთა დაცვის“ კანონი (Anticybersquatting Consumer Protection Act / ACPA), რომელიც UDRP-სგან განსხვავებით მოიცავს ფართო მოთხოვნის ფარგლებს, მათ შორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.<sup>558</sup> გასათვალისწინებელია ფრანგული მიდგომა, სადაც კიბერსქვათინგის წინააღმდეგ ნორმებს შეიცავს ფოსტისა და ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსი (Code des Postes et des Communications Electroniques), რომლის L. 45-1 მუხლი უნდა ჩაითვალოს UDRP-ის ერთგვარ დერივაციად, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას დომენის ჩამორთმევის შესახებ.

ქართული რეალობისთვის, ნათელია, რომ კიბერსქვათინგისთვის დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტი ვერ იარსებებს. შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების

---

<sup>556</sup> იქვე.

<sup>557</sup> 2018 წლიდან ყოველწლიურად იზრდება დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების რაოდენობა, ვრცლად იხ. [https://www.wipo.int/amc/en/domains/statistics/countries\\_yr.jsp?party=R&country\\_id=64](https://www.wipo.int/amc/en/domains/statistics/countries_yr.jsp?party=R&country_id=64) [06.05.2023]

<sup>558</sup> *ჟორჟოლიანი გ.*, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019, 71-72.

პრაქტიკა გასაზიარებელია ცვლილების სახით სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონში, რომელიც დამატებით მოწესრიგებს შეიმუშავებს დომენურ სახელებთან მიმართებაში. ხოლო ფრანგული პრაქტიკა კი გასაზიარებელია ადმინისტრაციული მოწესრიგების მხრივ, რომლის ფარგლებშიც, მაგალითად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის დადგენილება №3-ში დაემატება UDRP-ის მსგავსი მოწესრიგება, რომელიც უფლების მფლობელს მისცემს საშუალებას WIPO-ს გარეშე მოითხოვოს არამართლზომიერად რეგისტრირებული დომენის გაუქმება ან მისთვის გადაცემა.

### 1.2.3. სასამართლო და UDRP პრაქტიკა

დავა,<sup>559</sup> რომელიც უზენაესმა სასამართლომ ჯერ კიდევ 2000 წელს განიხილა, შეიძლება ითქვას, რომ საწყისი წერტილია ინტერნეტ დავებისთვის. მოცემული საქმე ეხება არასტანდარტულ კიბერსქვათინგს, რომლის ფარგლებშიც პირმა არამართლზომიერად დაარეგისტრირა სხვა პირის დომენური სახელის სასაქონლო ნიშანი და შემდეგ ამ საფუძვლით მოითხოვა დომენური სახელის გამოყენების აკრძალვა. სასამართლო მიუთითებს, რომ „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით ინტერნეტში დომენად დარეგისტრირდეს ნიშანი, რომელიც უკვე არსებული გარკვეული რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია. ასევე, არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული უკვე დარეგისტრირებული დომენური სახელის სხვა პირის მიერ სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია“, რაც გასაზიარებელი აღნიშნული ტიპის დავებისთვის.

არასასამართლო პრაქტიკის ნაწილში, რომელიც UDRP-ის ეხება .GE დომენური სივრცისთვის მოიცავს ცნობილი ბრენდების სასაქონლო ნიშნების არამართლზომიერ რეგისტრაციას და მათ გადაცემას გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. აღნიშნული დავები უმეტეს შემთხვევაში წყდება სასაქონლო ნიშნის მესაკუთრის სასარგებლოდ.<sup>560</sup>

<sup>559</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №3კ/589.

<sup>560</sup> მაგ. იხ Carrefour S.A. v. Albert Giubaziani Case No. DGE2020-0001 (March 13, 2023); Glovoapp23, S.L. v. Ketevan Vadachkoria, WIPO, No. DGE2018-0001 (November 8, 2018).

## 2. ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა ინტერნეტ სივრცეში

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები ყველაზე ხშირად ინტერნეტ სივრცეში გავრცელებად ობიექტებს წარმოადგენს და მათი ბუნებიდან გამომდინარეობს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, რომლებიც თავის მხრივ, მატერიალური ქონებისგან განსხვავებით არაკონკურენტულობით გამოირჩევა.<sup>561</sup> მიუხედავად იმისა რომ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს უმეტეს შემთხვევაში აქვს ფიზიკური განსხეულება, მათ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს რეპროდუცირების უნარი, რაც ნიშნავს იმას, რომ უფლების მქონე პირის გარდა სასურველ დროსა და ადგილას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისთვის, რაც თავისთავად ხელყოფას შედარებით ამარტივებს, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე.

ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის მთავარი მახასიათებელი მისი მოშორებული ბუნებაა უფლების მფლობელისგან. განსხვავებით მოძრავ და უძრავ ნივთებზე წარმოშობილ უფლებაში ჩარევისას, რომელიც თითქმის ყოველთვის უშუალოდ უფლების ობიექტზე ზემოქმედებით ხდება, ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა მის საპირისპიროდ, ეფემერულ ელემენტს მოიცავს და პირდაპირ კონკრეტული ნივთისადმი ქმედებით არ ხასიათდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ინტერნეტი პოტენციურად კიდევ უფრო ამარტივებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ხელყოფას.

მნიშვნელოვანია, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი კონდიქციის კრედიტორის მოთხოვნა ხელყოფის კონდიქციის შემთხვევაში მოიცავდეს არა მხოლოდ უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის ხელყოფიდან მიღებულ შესაბამის სარგებელს, არამედ ასეთი ობიექტის ხელყოფიდან გამოწვეულ თანმდევ სარგებელსაც. მაგალითისთვის, ასეთი შესაძლოა იყოს ცნობილ ვიდეო სოციალურ პლატფორმა YouTube-ზე ატვირთული საავტორო უფლების ობიექტი, აუდიოვიზუალური

---

<sup>561</sup> *Barnes D. W.*, Congestible Intellectual Property and Impure Public Goods, *Northwestern Journal of Technology and Intellectual Property*, Vol. 9, Issue 8, 2011, 533-534.



ნაწარმოები, რომელიც შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულების გარეშე განთავსდა საიტზე და მოიპოვა განსაკუთრებული პოპულარობა, რამაც გამოიწვია ამტვირთავის - ხელმყოფი პირის, კონდიქციის მოვალის პერსონალური არხის დამატებითი წარმატება და მისი შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდა. ასეთ დროს კონდიქციის კრედიტორის მოთხოვნის ფარგლები განისაზღვრება არა მხოლოდ ხელყოფილი ობიექტიდან მიღებული სარგებლით, არამედ სრულად იმ შემოსავლებით, რომელიც კონდიქციის მოვალემ მიიღო ხელყოფის შედეგად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კონდიქციური მოთხოვნა შესაძლოა წარმოიშვას უშუალოდ YouTube-ის მიმართაც.<sup>562</sup>

## 2.1. სპეციალური მოწესრიგებისა და ხელყოფის კონდიქციის კონკურენცია

სპეციალური რეგულატორული კომპლექსი, რომელიც თითქმის ყველა მართლწესრიგისთვის დამოუკიდებელ საკანონმდებლო აქტებს მოიცავს, არ უპირისპირდება ხელყოფის კონდიქციის გამოყენებას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევისას, თუმცა ეს არ იძლევა იმის გადაჭრით თქმის საშუალებას, რომ ხელყოფის კონდიქცია უპირატესად გამოსაყენებელია სპეციალურ რეგულატორულ კომპლექსთან მიმართებაში ან რომ ის უკეთეს დაცვის ფარგლებს ქმნის უფლების მფლობელისთვის. აღნიშნული თანაბრად მიესადაგება, როგორც ფიზიკურ სამყაროში წარმოშობილ ურთიერთობებს, ასევე ინტერნეტ სივრცეს.

ამრიგად, კონკრეტულად ინტერნეტ სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების უნებართვოდ გამოყენებისას ხელყოფის კონდიქცია შესაძლოა გვევლინებოდეს უფლების მფლობელისთვის დამატებითი მოთხოვნის ფარგლების გაზრდის ერთ-ერთ მექანიზმად.

---

<sup>562</sup> მაგალითისთვის იხ. Daniels v. Alphabet Inc., Case No. 20-cv-04687-VKD (N.D. Cal. Mar. 31, 2021)

## 2.2. ხელყოფის კონდიქციისა და დელიქტური ვალდებულების კონკურენცია

ამერიკის შეერთებულ შტატებში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა წარმოადგენს დელიქტს.<sup>563</sup> თუმცა მნიშვნელოვანია რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ გვაქვს ზიანი, არცერთი მართლწესრიგისთვის, მათ შორის ქართული სამართლისთვისაც, დელიქტური ნორმების გამოყენება შეუძლებელია. გამომდინარე აქედან, ინტერნეტ სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა უნდა გაიმიჯნოს ორ კატეგორიად. შემთხვევა, როდესაც ხელყოფის დროს ზიანი თანმდევია და მეორე შემთხვევა, როდესაც ხელყოფისას, ხელყოფი პირი, კონდიქციის მოვალე უბრალოდ მდიდრდება კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე. შესაბამისად, ხელყოფის კონდიქციისა და დელიქტური ვალდებულების კონკურენცია ამოიწურება ამ ორი კატეგორიის საერთო წინაპირობის ზიანის არსებობის შემოწმების შემდეგ.

კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია გერმანული სამართლის მიდგომა, რომლის მიხედვითაც მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში და უშუალოდ სასამართლო პრაქტიკაშიც მოცემულ საკითხზე ნეიტრალური მიდგომა არსებობს, ბოლო დროს სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს უსაფუძვლო გამდიდრება ინტელექტუალური საკუთრების სამართალში, რამაც შესაძლოა კიდევ უფრო ფართო დამკვიდრება ჰპოვოს ინტერნეტ სამართლისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ ისეთ საკითხებზე, რომელიც ინტერნეტ სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ხელყოფიდან გამომდინარეობს და არ რეგულირდება სპეციალური კანონებით, ხელყოფის კონდიქციამ, როგორც სუბიექტურად აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის მექანიზმმა, განსაკუთრებული გამოყენება ნახოს.

---

<sup>563</sup> მაგ. Grayton v. United States, 92 Fed. (Cl. 327 (2010) April 28, 2010); Bucklew v. Hawkins, Ash, Baptie & Co. United States Court of Appeals, Seventh Circuit. May 27, 2003. 329 F.3d 923 (7th Cir. 2003).

### 3. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

არაკეთილსინდისიერი კონკურენციისთვის ინტერნეტი იდეალური საშუალებაა მისი ხელმისაწვდომობიდან და უსაზღვრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომელიც რეალურ სამყაროში არც კი შეიძლება არსებობდეს.<sup>564</sup> ინტერნეტ სივრცეში არაკეთილსინდისიერი კონკურენცია შესაძლოა განხორციელდეს იყოს სხვადასხვა მარკეტინგული და სარეკლამო გზით. მაგალითად, საწარმოს შეუძლია კონკურენტი საწარმოს რეკლამა განათავსოს მისთვის მიუღებელ და არასასურველ საიტებზე, ასევე, შექმნას კონკურენტი საწარმოს საფირმო სახელწოდებით სხვადასხვა გვერდი, რომელიც მისი რეპუტაციის შელახვას ემსახურება.<sup>565</sup>

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მოწესრიგების მხრივ საინტერესოა ჩინეთის მიდგომა, რომელსაც ინტერნეტში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის საკითხი მოწესრიგებული აქვს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის შესახებ კანონში (Anti-Unfair Competition Law of the People's Republic of China). ამ კანონის მე-12 მუხლი სრულად ეთმობა განსახილველ საკითხს და ნებისმიერ მეწარმე სუბიექტს, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია ინტერნეტთან, უკრძალავს გამოიყენოს სხვა მეწარმე სუბიექტის საიტის ბმულები თანხმობის გარეშე, მოუწოდოს მომხმარებლებს არ გამოიყენოს სხვა მეწარმის პროდუქცია და ნებისმიერი ხერხით ხელი შეუშალოს მის ოპერირებას.<sup>566</sup>

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქართული პრაქტიკიდან უნდა აღინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/30577-16,<sup>567</sup> რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა ინტერნეტში მეწარმე სუბიექტთა შორის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევა. მოცემულ საქმეზე სასამართლომ

---

<sup>564</sup> *Vermeer M.*, Unfair Competition Online and the European Electronic Commerce Directive, Annual Survey of International & Comparative Law, Vol. 7, Issue 1, 2001, 88.

<sup>565</sup> იქვე, 89.

<sup>566</sup> მოცემული კანონი ხელმისაწვდომია ონლაინ - <https://wipolex-res.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/cn/cn409en.pdf> [20.11.2022].

<sup>567</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 08 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/30577-16.

მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ადგებოდა ზიანი მისი მოპასუხის მიერ შექმნილი საიტიდან და Facebook გვერდებიდან, რომელიც ემსახურებოდა მოსარჩელისთვის ზიანის მიყენებას არასასურველი პროდუქციის განთავსებით. საქმეზე სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურება, და მიიჩნია, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციისთვის ინტერნეტში დამატებითი დაცვის მოსაპოვებლად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო ელემენტი, არამედ საფირმო სახელწოდების მსგავსი დომენური სახელის რეგისტრაცია და სოციალურ ქსელებში გვერდების შექმნა საკმარისია ზიანის არსებობისთვის. აღსანიშნავია რომ სასამართლო წარმატებით ართმევს თავს გამოიყენოს დელიქტური მოწესრიგება აღნიშნულ დავაში, რითიც ნათლად იკვეთება რომ ინტერნეტ დელიქტები ქართული სამართალწარმოების ნაწილია.

## დასკვნა

ინტერნეტი, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, აღქმული უნდა იყოს როგორც სამართლის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. ინტერნეტი თავისი ბუნებიდან გამომდინარე შესაძლოა იმეორებდეს ფიზიკურ სამყაროში არსებული სამოქალაქო ურთიერთობების შინაარსს, ახლებურ პერსპექტივას სძენდეს მას ან სულაც შესაძლოა წარმოშობდეს ახალი ურთიერთობების ტიპს. წინამდებარე ნაშრომში განხილული სამართლებრივი საკითხები იძლევა შეფასების საშუალებას, რომ ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობები შესაძლოა მოერგოს ფიზიკურ სამყაროში არსებული ურთიერთობების რეგულატორულ ჩარჩოებს და ასევე, რიგ შემთხვევებში საჭიროებდეს ახალი სამართლებრივი მოწესრიგების არსებობას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე წინამდებარე კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების შეჯამება შესაძლებელია შემდეგი დასკვნითი თეზისების სახით:

1. ინტერნეტის სამართლებრივი რეგულირება შეუძლებელია მისი ტექნოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე. ინტერნეტის და ინტერნეტში არსებული ყველა ობიექტის მთავარი საფუძველია კომპიუტერული კოდი, რომელიც თავის თავში მოიცავს არასამართლებრივ მოწესრიგებას, რაც ინტერნეტის მომხმარებლისთვის განსაზღვრავს ერთგვარ ქცევის წესს, რომელიც შეიცავს მითითებებს იმის შესახებ თუ რა არის მომხმარებლისთვის დაშვებული და რა აკრძალული, რაც თავის მხრივ, ემსგავსება სამართლებრივ მოწესრიგებას. თუმცა კომპიუტერული კოდი, როგორც თვითრეგულატორი, რა თქმა უნდა, ვერ იარსებებს სამართლებრივი მოწესრიგებისგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, ინტერნეტსივრცეში კერძო სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რაც ფიზიკურ სამყაროში არსებულ კერძო სამართალურ ურთიერთობებს ახასიათებს. გამომდინარე აქედან, სავალდებულოა, რომ ინტერნეტთან მიმართებით არსებულმა სამოქალაქო სამართლებრივმა მოწესრიგებამ განიცადოს შესაბამისი ტრანსფორმაცია.

2. ინტერნეტის სტრუქტურიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს რთულ ტექნოლოგიურ კონსტრუქციას, რაც საშუალებას იძლევა პირებს შორის სამართალურთიერთობები მიმდინარეობდეს ყოველგვარი დროისა და ტერიტორიული შეზღუდვის გარეშე. თავის მხრივ, ინტერნეტის აღნიშნული უსაზღვრო ბუნება მომხმარებლებში წარმოშობს მოლოდინს რომ მისი რეგულირება არ ხდება და ინტერნეტ სივრცეში ნებისმიერი ქმედება სამართლებრივი შედეგის გარეშე სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის განვითარების საწყის ეტაპზე მისი რეგულირება და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა ფაქტობრივ პრობლემას წარმოადგენდა, მე-20 საუკუნის მიწურულს სხვადასხვა ქვეყნის მართლწესრიგში, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, იქმნებოდა ინტერნეტთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და ვითარდებოდა სასამართლო პრაქტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მართლწესრიგისთვისაც ინტერნეტი განსაკუთრებული ინტერესის სფერო უკვე მე-20 საუკუნის ბოლოდან არის და მისი აქტუალობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

3. წინამდებარე ნაშრომში ნათლად არის წარმოჩენილი, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები ინტერნეტში არამხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ფარგლებშიც ვითარდება. შესაბამისად არასწორია მოსაზრება რომ ინტერნეტის მომხმარებლები უმეტესწილად სამომხმარებლო ხელშეკრულებით (EULA) არიან შებოჭილნი.

4. ინტერნეტთან მიმართებით, ტრანსფორმაციას განიცდის როგორც კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი, ისე სახელშეკრულებო სამართალი. ეს უკანასკნელი ინტერნეტ სივრცეში სრულიად ახალ ფორმებს იძენს, რომელიც ერთი მხრივ, ამარტივებს სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოშობას, გამოირჩევა სიმარტივით და ტექნოლოგიური ინოვაციით. ხოლო, მეორე მხრივ, კი დაკავშირებულია სამართლებრივ სირთულეებთან, მაგალითად, როდის ითვლება სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის ნება გამოხატულად, როცა მხარეებს შორის კომუნიკაცია ინტერნეტის საშუალებით ხდება, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ელექტრონული

ხელმოწერა მისი ნამდვილობისთვის და როდის უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულება დადებულიად.

5. სახელშეკრულებო სამართლის მთავარი ტრანსფორმაცია ინტერნეტთან მიმართებით ელექტრონული ხელშეკრულებებია. წინამდებარე ნაშრომი იმ ძირითადი ელექტრონული ხელშეკრულების ტიპების იდენტიფიცირებას ახდენს, რომელიც შესაძლოა ინტერნეტში არსებობდეს. განცალკევებით უნდა აღინიშნოს ელექტრონული ხელშეკრულებების Wrap-ტიპოლოგია, რაც თავის თავში აერთიანებს ისეთი ტიპის ხელშეკრულებებს, რომელიც დადებულიად ითვლება მომხმარებლის ქმედების შესაბამისად და უთანაბრდება ხელმოწერას ინტერნეტში არსებული ელექტრონული ხელშეკრულებებისთვის. ასეთი ხელშეკრულებები ქართულ ინტერნეტ სივრცეშიც მრავლად არსებობს და მათი გამოყენება ძალიან ფართოა. Wrap ხელშეკრულებებთან მიმართებით გაზიარებული უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა, რომ ნებისმიერი ასეთი ხელშეკრულება მომხმარებლისთვის უნდა იყოს ნათლად აღქმადი, მუდმივად ხელმისაწვდომი და მისი შეცვლა დაუშვებელი უნდა იყოს ტექნოლოგიური საშუალებებით მისი დადების შემდეგ. ასევე, გასაზიარებელია ევროპის კავშირის მიდგომა, რომ Wrap ტიპის ხელშეკრულებების გაფორმებამდე, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს მისი შენახვის და შემდეგ ამობეჭდვის საშუალება, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარისთვის ასეთი ხელშეკრულების ეგზემპლარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

6. წინამდებარე ნაშრომში დადგინდა, რომ ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობებისთვის არ არსებობს უნივერსალური წესი თუ როდის ითვლება ინტერნეტში ხელშეკრულება დადებულიად. აღნიშნულთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს ორი გარემოება, პირველი ეს არის იმის დადგენა თუ რა ტიპის პლატფორმის საშუალებით ხდება ხელშეკრულების დადება, არის ეს საიტი, ელექტრონული ფოსტა თუ რაიმე სხვა პლატფორმა. ხოლო მეორე მხრივ, უნდა დადგინდეს აღნიშნულ პლატფორმაზე მხარეთა კომუნიკაციას ახასიათებს თუ არა ასინქრონულობა, რაც საბოლოო ჯამში გადამწყვეტია აქცეპტანტის მხრიდან აქცეპტის გამოხატვისთვის.

7. ინტერნეტ სივრცეში არსებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები მოიცავს არა მხოლოდ სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, არამედ სანივთო უფლებებსაც. აღნიშნულის ნათელი და უმთავრესი მაგალითია ვირტუალური ქონება, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ახალ ქონებრივ ობიექტს. მიუხედავად იმისა რომ ვირტუალური საკუთრება ფიზიკურ სამყაროში განსხეულებას ვერ პოულობს, ეს მის ეკონომიკურ ღირებულებაზე ან სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობაზე ზეგავლენას არ ახდენს.

8. ვირტუალური ქონებისთვის, უპირველესად ქართული მართლწესრიგისთვის იდენტიფიცირებული უნდა იქნეს თუ რა უნდა ჩაითვალოს ვირტუალურ ქონებად, რაც წინამდებარე ნაშრომში ნათლად არის დადგენილი და მისი ცნება შეიძლება განისაზღვროს როგორც ნებისმიერი ობიექტი, რომელიც ინტერნეტ სივრცეში არსებობს და შესაძლოა იძლეოდეს ქონებრივი პოზიციონირების საშუალებას, უფრო კონკრეტულად კი განკარგვისა და სარგებლობის შესაძლებლობას. ვირტუალური ქონება შესაძლოა წარმოადგენდეს, რომელიმე სხვა უფლების, მაგალითად, საავტორო უფლების ობიექტს. ასეთ შემთხვევაში ის მატარებელი, რომელზეც წარმოდგენილია ვირტუალური ქონება, უნდა გაიმიჯნოს სხვა უფლებრივი ობიექტისგან და უნდა იქნეს დამოუკიდებელი დაცვის ფარგლებს.

9. ნაშრომის ფარგლებში დადგინა, რომ ვირტუალური ქონება წარმოადგენს საკუთრების უფლების ობიექტს და შესაბამისად, მისთვის უნდა არსებობდეს სათანადო დაცვის სამართლებრივი ჩარჩო. ვირტუალურ ქონებასთან მიმართებით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სანივთო სამართლის ისეთი დაცვის საშუალებები როგორცაა ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელები, მიუხედავად იმისა რომ ვირტუალური საკუთრების ობიექტები არ წარმოადგენენ პირდაპირი გაგებით ფიზიკურ სამყაროში არსებული ნივთების მსგავს ობიექტებს. მნიშვნელოვანია, რომ ვირტუალურ ქონებასთან მიმართებით უნდა იქნეს გამოყენებული დელიქტური და უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი. დელიქტური პასუხისმგებლობა განისაზღვრება მაშინ, როდესაც ვირტუალური ქონების ობიექტი ზიანდება ან ნადგურდება და დაკმაყოფილებულია



დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობები. ასევე, შესაძლოა ვირტუალურ ქონებასთან მიმართებით დადგეს უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები, კერძოდ კი შესრულების კონდიცია, როდესაც ვირტუალური ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქცია მოგვიანებით ჩაიშლება, მაგალითად, რაიმე არამართლზომიერი ინტერნეტ სქემის გამო. ხოლო, ხელყოფის კონდიცია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხელმოწერილი მდიდრდება ვირტუალური ქონების მესაკუთრის ხარჯზე. ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე საგულისხმოა ფაქტი, რომ ვირტუალური ქონების დასაცავად შესაძლოა გამოყენებული იქნეს თვითდახმარების საშუალებებიც.

10. განცალკევებით უნდა აღინიშნოს ბლოკჩეინისა და კრიპტოაქტივის როლი ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის. ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული ორი მოვლენა არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ფენომენს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღირებულებისაა, არამედ მათ უშუალოდ გავლენა აქვთ სამართლებრივ ურთიერთობებზე, მათ შორის კანონისმიერ ვალდებულებით სამართალზე, მაგალითად, ბლოკჩეინში წარმოიშობა ახალი ტიპის საზიარო უფლებები; კრიპტოაქტივით კი შესაძლებელია პირი უსაფუძვლოდ გამდიდრეს და სხვა შემთხვევები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომშია მოცემული.

11. კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის ტრანსფორმაცია უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტრანსფორმაციას არ სჭირდება დამატებითი ნორმატიული საფუძვლების შექმნა ინტერნეტისთვის. შესაბამისად, იგი არის ტექნოლოგიური სიახლის სამართლებრივი რეგულირების ვაკუუმის შემავსებელი. ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ნაშრომში ნათლად გამოჩნდა, კანონისმიერი ვალდებულებითი სამართლის გამოყენება ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის ფართოდ არის შესაძლებელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ შემოთავაზებული ყველა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის ტიპი არ განიცდის ტრანსფორმაციას ინტერნეტში,

ასეთებია დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, ასევე, უსაფუძვლო გამდიდრებიდან დანახარჯებისა და რეგრესის კონდიქციები.

12. თანაზიარი უფლებები ვირტუალური საკუთრების ობიექტებზე წინამდებარე ნაშრომში განხილული სამართლებრივი კონსტრუქციის შესაბამისად რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 953-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად. მიუხედავად იმისა რომ ვირტუალური სივრცეში ნებისმიერ სამართლებრივ სიკეთეზე წვდომა ტექნიკური საშუალებით არის შესაძლებელი, ეს არ წარმოადგენს პირთათვის თანაზიარი უფლებების წარმოსაშობად დაბრკოლებას. საგულისხმოა, რომ ბლოკჩეინ ტექნოლოგიების საშუალებით ინტერნეტში წარმოიშობა საზიარო უფლებების ახალი ტიპი, რომელიც არა მხოლოდ ტექნოლოგიური გადაწყვეტაა უფლებების სამართავად, არამედ თავისი შინაარსით ურთიერთობის სრულიად ახალი ტიპია. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არსებობს რეგულატორული აცდენა არსებულ მოწესრიგებასა და სამოქალაქო ბრუნვაში ფაქტობრივი დანიშნულებით კრიპტოაქტივის გამოყენებას შორის, გამომდინარე იქიდან რომ ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, ვირტუალური აქტივი არის ღირებულების ციფრული გამოხატულება, ხოლო, ტოკენს, რომელიც ფრაქციული საკუთრების სახით არის წარმოდგენილი, შესაძლოა არ გააჩნდეს ღირებულების ციფრული გამოხატულება.

13. უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ინტერნეტისთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა რომ ქართული ინტერნეტ სივრცისთვის არსებობს პრაქტიკული შემთხვევები, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია წარმოდგენილი, სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არცერთი ნაშრომი არ არსებობს. რაც თავის მხრივ განაპირობებს იმას, რომ არ არსებობს დოქტრინალური საყრდენი ქართული სამართლისთვის ინტერნეტში უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით. წინამდებარე ნაშრომი ნაწილობრივ ავითარებს მოსაზრებას, რომ ისეთი სამართლებრივი სიახლეებისთვის, რომელიც კერძო ურთიერთობებში უკვე წარმოიშობა და მას ეროვნული სამართალი ფებს ვერ უბამს, გაზიარებული უნდა იქნეს სხვა ქვეყნების პრაქტიკა, მიუხედავად სამართლებრივი

სისტემების განსხვავებულობისა. წინამდებარე ნაშრომი გამოკვეთს, რომ ფიზიკური სამყაროს მსგავსად, ინტერნეტშიც უსაფუძვლო გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი პრობლემატიკა უსაფუძვლოდ გადადინებული ქონების მოცულობის განსაზღვრაა, რისი გადაჭრაც შესაძლებელია იმ ვირტუალური სამართლებრივი სიკეთის იდენტიფიცირებით, რომელიც უსაფუძვლოდ იქნა მოპოვებული და ასევე, იმ ტრანზაქციის ანალიზით, რომლის საფუძველზეც მოხდა სამართლებრივი სიკეთის გადადინება.

14. ნაშრომის ფარგლებში დადგინდა, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ტიპოლოგიიდან მხოლოდ ორი - შესრულებისა და ხელყოფის კონდიქციები შესაძლოა იქნეს გამოყენებული ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევებისთვის.

15. ინტერნეტში შესრულების კონდიქციის გამოყენება შესაძლებელია როგორც უშუალოდ ინტერნეტში განხორციელებული ტრანზაქციებისთვის, ასევე ინტერნეტში არსებული სამართლებრივი სიკეთეების მიმართაც. ამ უკანასკნელისთვის ტრანზაქციაც და უსაფუძვლოდ გადადინებული გამდიდრებაც არსებობს ინტერნეტ სივრცის ფარგლებში. ინტერნეტ სივრცეში შესრულების კონდიქციის გამოყენება აღიარებულია გერმანულ სამართალში, რომელიც სრული მოცულობით იზიარებს ინტერნეტში შესრულების კონდიქციის გამოყენებას, მათ შორის მოთხოვნის ფარგლების ნაწილშიც და ასევე, გერმანული მიდგომის მიხედვით ინტერნეტში შესრულების კონდიქციის ფარგლებში დაბრუნებული უნდა იქნეს არა მხოლოდ უსაფუძვლოდ გადადინებული, არამედ მისგან წარმოშობილი სუროგატიც.

16. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ ინტერნეტში არსებობს შესრულების კონდიქციის სპეციალური შემთხვევები, რომელიც სრულიად ტექნოლოგიურ მოვლენაზეა დამოკიდებული, კონკრეტულად კი კოდის ოპერირებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოდის ოპერირებასთან დაკავშირებით შესაძლოა სამი შემთხვევის იდენტიფიცირება: შეცდომა ტრანზაქციის მოცულობაში, შეცდომა განსაზღვრულ ოპერაციაში და

სისტემური ხარვეზი. ამ სამი შემთხვევიდან საბოლოოდ მხოლოდ შეცდომა ტრანზაქციის მოცულობაში ექცევა შესრულების კონდიციის ფარგლებში. რაც შეეხება შეცდომას განსაზღვრულ ოპერაციაში და სისტემურ ხარვეზს, პირველის შემთხვევაში შესრულების კონდიცია გამოირიცხება, რადგან გამდიდრების მიმღების თვალსაწიერიდან შეუძლებელია არსებობდეს მოლოდინი გადაჭარბებული რაოდენობით მიღებული სიკეთის საფუძვლიანობაზე. ხოლო, სისტემური ხარვეზის დროს გამდიდრებული პირი თავად სარგებლობს აღნიშნული ხარვეზით და იღებს სარგებელს, რაც ხელყოფად უნდა იქნეს მოაზრებული.

17. ხელყოფის კონდიციის შემთხვევაშიც, როგორც ეს შესრულების კონდიციის მაგალითზეა განხილული, მისი გამოყენების წინაპირობები იმეორებს ფიზიკურ სამყაროში არსებულ წინაპირობებს. ხელყოფის კონდიციის მნიშვნელობას ინტერნეტ სივრცეში განაპირობებს ის ფაქტორი, რომ ვირტუალურ სამყაროში ხშირად ზიანის წარმოშობა, როგორც პირდაპირი გაგებით მატერიალური ზიანი შეუძლებელია არსებობდეს. შესაბამისად, ისეთი შემთხვევისთვის როდესაც პირი ხელყოფს სხვის სამართლებრივ სიკეთეს, ისე რომ პირს არ ადგება ზიანი და აქედან იღებს გამდიდრებას, ხელყოფის კონდიცია შესაძლოა ერთადერთი საშუალება იყოს მიღებული გამდიდრების უკუგებისთვის.

18. ინტერნეტში ხელყოფის კონდიციისთვის კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ე. წ. მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროს თეორია (Zuweisungstheorie). გამომდინარე იქიდან რომ ინტერნეტის ბუნება იძლევა შესაძლებლობას, არსებობდეს ილუზია ვირტუალურ სამყაროში სამართლებრივი სიკეთის არაექსკლუზიურობაზე, რაც განსაკუთრებულად უნდა იქნეს შემოწმებული. ხელყოფის კონდიციის შემთხვევაში, სამართლებრივი სიკეთე ინტერნეტში არსებული ობიექტია, რომელიც ფიზიკური სამყაროსგან განსხვავებით, მარტივად ხელმისაწვდომია და შესაბამისად მასზე ხელყოფის განხორციელებაც არ წარმოადგეს სირთულეს, გამომდინარე აქედან ყოველი ხელყოფის ფარგლებში უნდა დადგინდეს სიკეთის მიმართება მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროსადმი.

19. ნაშრომში დადგინდა, რომ ხელყოფის კონდიცია შესაძლოა ფართოდ იყოს გამოყენებული ინტერნეტთან დაკავშირებული ქონებრივი სიკეთეების მიმართ, საიდანაც საგამონაკლისო შემთხვევას სავარაუდოა რომ წარმოადგენდეს მონაცემების ხელყოფა, გამომდინარე იქიდან რომ იგი შესაძლოა ვერ მოექცეს მიკუთვნებული უფლების ეკონომიკური სფეროს (Zuweisungsgehalt) ფარგლებში, რაც გაზიარებულია გერმანულ სამართალში. თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატების მართლწესრიგის მიხედვით, მონაცემების ხელყოფა შესაძლებელია გადაწყდეს უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში.

20. ინტერნეტში წარმოშობილი დელიქტური ვალდებულებებისთვის ქართულ სამართალშიც მართებულია, რომ დამკვიდრდეს სახელდება ინტერნეტ დელიქტი, როგორც ეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის მართლწესრიგშია.

21. ინტერნეტ დელიქტების წარმოშობის წინაპირობები იგივეა, რაც ფიზიკურ სამყაროში არსებული დელიქტური შემთხვევებისა. გასათვალისწინებელია, რომ ზიანთან მიმართებით ინტერნეტ დელიქტებს შესაძლოა ახასიათებდეს როგორც ვირტუალურ სამყაროში დამდგარი ზიანი, ისე ფიზიკურ სამყაროში ტრანსფორმირებული ზიანიც.

22. ინტერნეტ დელიქტები ქართული მართლწესრიგისთვის პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია და წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის ნაწილსაც. პირთა დამოკიდებულება ინტერნეტის ბუნებასთან დაკავშირებით, რომ ყველაფერი დასაშვებია ყოველგვარი სამართლებრივი შედეგის გარეშე, ყველაზე ნათლად ინტერნეტ დელიქტების შემთხვევაში ჩანს. ნებისმიერ პირს შეუძლია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფარგლებში ინტერნეტ დომენის შეძენა და სხვა პირისთვის ზიანის მიყენება. ასევე, სოციალური ქსელის ფარგლებში ყველანაირი ფინანსური დანახარჯების გარეშე ინფორმაციის გავრცელება რომელმაც ზიანი შესაძლოა მიაყენოს სხვა პირს.

23. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ ინტერნეტ დელიქტებისათვის ზიანის წარმოშობის სივრცე ნებისმიერი პლატფორმა შეიძლება იყოს. მათ შორის კომპიუტერული კოდის

ფუნქციაში ჩარევა, ე.წ. დაჰაკვა, უნდა ჩაითვალოს დელიქტურ ქმედებად და შესაბამისი ზიანი ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს.

24. ნაშრომში ინტერნეტ დელიქტების კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ ზიანის გამოწვევა ტექნოლოგიური განვითარების ფონზე არა მხოლოდ პირს არამედ ხელოვნურ ინტელექტსაც შეუძლია. შესაბამისად, წარმოიშობა ახალი პრობლემატიკა, თუ ვის ეკისრება ზიანის ანაზღაურება ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოწვეული ზიანისთვის. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის მიერ გავრცელებული ცნობების შედეგად ზიანის ანაზღაურების პრობლემატიკის გადაწყვეტა, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ ისეთ შემთხვევაში როცა ხელოვნური ინტელექტი ცნობებს თავად ქმნის, პასუხისმგებლობა ეკისრება მის ოპერატორს, ხოლო თუ ის მხოლოდ ინფორმაციის გამტარს წარმოადგენს, მას პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეს.

25. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების კუთხით, ნაშრომში განხილულია ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის სპეციალური შემთხვევები ინტერნეტში, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება, რაც ონლაინ სერვისის მიმწოდებლებს აარიდებს პასუხისმგებლობას მათი მომხმარებლების მიერ განთავსებულ მასალაზე. ასევე, შემოთავაზებულია უფლების აღსრულებისთვის უფლების მფლობელებისთვის ფართო დაცვის მექანიზმები. აღნიშნულთან დაკავშირებით გაზიარებული უნდა იქნეს ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა ე.წ. შეტყობინებისა და წაშლის (Notice and Takedown) ნაწილში.

საბოლოო შეჯამების სახით კი შეიძლება ითქვას, რომ კანონისმიერ ვალდებულებით სამართალს უმნიშვნელოვანესი და მრავალმხრივი გამოყენება აქვს ინტერნეტში წარმოშობილი ურთიერთობებისთვის, რომელიც ქართული მართლწესრიგისთვის სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

## ბიბლიოგრაფია

### ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015.
2. ბალიშვილი ე., მუხლი 328, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., 2019.
3. ბუაძე ქ., შეყილაძე ნ., ჟორჟოლიანი გ., სასაქონლო ნიშნის დაცვის ეკონომიკური მნიშვნელობა, შედარებით სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 10/2020, 2020.
4. ბრაიდენბახი შ., გლატცი ფ., სამართლის დიგიტალიზაცია, შედარებით სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2020, 2020.
5. ბრაიდენბახი შ., გადაწყვეტილებების, პროცესისა და ნორმების გამოყენების ავტომატიზირება: წესების მომავალი კოდია, შედარებით სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2020.
6. გაბისონია ზ., ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, იურისტების სამყარო, თბილისი, 2022.
7. გაბისონია ზ., ინტერნეტში გამოსაყენებელი საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები და სამომხმარებლო შეთანხმებებში არსებული დათქმები, შედარებით სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 7/2020, 2020.
8. დარჯანია თ., მუხლი 69, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, წიგნი I, რედ. ჭანტურია ლ., თბილისი, 2017.
9. ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მეორე შევსებული გამოცემა, მერიდიანი, თბილისი, 2019.
10. ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები: ქონება, მფლობელობა, საკუთრება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016.
11. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2006.

12. თოთლაძე ლ., მუხლი 147, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, წიგნი II, რედ. ჭანტურია ლ., თბილისი, 2018.
13. ჟორჯოლიანი გ., ვირტუალური ქონება, როგორც სანივთო სამართლის ობიექტი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 3/2019.
14. ჟორჯოლიანი გ., ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019, 2019.
15. რუსიაშვილი გ., არაპირდაპირ დაზიანებული პირის მოთხოვნის გამორიცხვა (ნაწილი I), შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 11/2020, 2020.
16. რუსიაშვილი გ., „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, 2019.
17. რუსიაშვილი გ., სირდაძე ლ., ეგნატაშვილი დ., სანივთო სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2019.
18. რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი ინგლისში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 5/2020, 2020.
19. რუსიაშვილი გ., სინდიცირება, პარალელური სესხები და „მოლაპარაკების“ ამხანაგობა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 8/2021, 2021
20. რუსიაშვილი გ., რესტიტუციის ფარგლები ანგლო-ამერიკულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2020, 2020.
21. რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2017.
22. რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016.
23. რუსიაშვილი გ., ალადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. ჭანტურია ლ., თბილისი, 2019.



24. რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020.
25. სირდაძე ლ., ჟორჟოლიანი გ., საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართლ-გერმანული ჟურნალი 5/2020, 2020.
26. სირდაძე ლ., ჟორჟოლიანი გ., საკანონმდებლო პროცესის დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტივები საქართველოს პარლამენტში, შედარებითი სამართლის ქართლ-გერმანული ჟურნალი 5/2020, 2020.
27. შოთაძე თ., სამომავლო საკუთრების უფლების აღიარების პრობლემები ქართულ მართლმსაჯულებაში, სამართალი და მსოფლიო, N2, 2015.
28. შნიტგერი ჰ., შატბერაშვილი ლ., მუხლი 982, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარები, gccc.tsu.ge, ველი 1.
29. ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. 2, რედ. ნინიძე თ., ჯისიაი, თბილისი, 2001.
30. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, რედ. ჯუღელი გ., მერიდიანი, თბილისი, 2014.
31. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2011.
32. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017.
33. ჯორბენაძე ს., სხვისი ვიზუალით შექმნილი „Memoji-ს“ გამოყენების სამართლებრივი ფარგლები, სამართლის ჟურნალი, №1, 2021.
34. ჯორბენაძე ს., სოციალური მედიის სამართალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2019.

## უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. Abbott F. M. On the Duality of Internet Domain Names: Propertization and Its Discontents. *New York University Journal of Intellectual Property and Entertainment Law*, Vol. 3 No. 1, 2013.
2. Adrian A. Mischief and grief: virtual torts or real problems? *International Journal of Private Law*, Vol. 3, 2010.
3. Allen A. A. Twibel Retweeted: Twitter Libel and the Single Publication Rule. *Journal of High Technology Law*, Vol. 15, 2014.
4. Andrea R. No Safe Harbor: YouTube's Content Id and Fair Use. *Boston College Intellectual Property & Technology Forum*, Vol. 2020, 2023.
5. Ardia D. S. Freedom of Speech Defamation and Injunctions *William & Mary Law Review* Vol. 55, 2013.
6. Asp E. M. Section 512 of the Digital Millennium Copyright Act: User Experience and User Frustration, *Iowa Law Review*, Vol. 103 Issue 2, 2018.
7. Ayres H. L. Landry E. R. The Distinction Between Negotiorum Gestio and Mandate, *Louisiana Law Review*, Vol. 49 No. 1, 1988.
8. Balganesch S. Common Law Property Metaphors on the Internet: The Real Problem with the Doctrine of Cybertrespass, *Michigan Technology Law Review*, Vol. 12 Issue 2, 2006.
9. Balkin J. M. Law and Liberty in Virtual Worlds *NYLS Law Review*, Vol. 49 Issue 1, 2005.
10. Bambauer D. Surdeanu M. Authorbots *Arizona Legal Studies*, Discussion Paper No. 23-13, 2023.
11. Bant E. Barker K. Degeling S. The evolution of unjust enrichment law: theory and practice *Research Handbook on Unjust Enrichment and Restitution*, Edward Elgar Publishing Limited Cheltenham, 2020.
12. Barker K. Grantham R. *Unjust Enrichment* 2nd edition LexisNexis, Butterworths Chatswood, 2018.

13. Barker K. Unjust Enrichment: Containing the Beast Oxford Journal of Legal Studies Vol. 15 No. 3, 1995.
14. Basedow J. Klaus H. J. Zimmermann R. Stier A. Max Planck Encyclopedia of European Private Law Vol. II, Oxford University Press, 2012.
15. Baur F. Baur J. Stürner R. Sachenrecht C.H. Beck, München, 2009.
16. Belli L. Venturini J. Private ordering and the rise of terms of service as cyber-regulation, Internet Policy Review, Vol. 5(4), 2016.
17. Bellinghausen R. Erb M. Kollektiver Rechtsschutz in Deutschland – neue Instrumente nötig? AnwBl Online, 2018.
18. Bendor A. L. Tamir M. Prior Restraint in the Digital Age, William & Mary Bill of Rights Journal Vol. 27 Issue 4, 2019.
19. Benoliel U. Becher S. The Duty to Read the Unreadable, Boston College Law Review Vol. 60, 2019.
20. Birks P. The Roman Law of Obligations Ed. Descheemaeker E. Oxford University Press Oxford, 2014.
21. Blazer C. The Five Indicia of Virtual Property, The University of New Hampshire Law Review, Vol 5 No. 1, 2006.
22. Blount S. Electronic Contracts Second Edition, LexisNexis: Chatswood, 2015.
23. Bowers J. Churcher J. Local and global structuring of computer mediated communication: developing linguistic perspectives on CSCW in cosmos. Proceedings of the 1988 ACM Conference on Computer-Supported Cooperative Work, 1988.
24. Bridy A. Notice and Takedown in the Domain Name System: ICANN's Ambivalent Drift into Online Content Regulation, Washington and Lee Law Review, Vol. 74, 2017.
25. Butler A. Products Liability and the Internet of (Insecure) Things: Should Manufacturers Be Liable for Damage Caused by Hacked Devices? University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 50 Issue 4, 2017.

26. Butler A. Products Liability and the Internet of (Insecure) Things: Should Manufacturers Be Liable for Damage Caused by Hacked Devices? *University of Michigan Journal of Law Reform*, Vol. 50, 2017.
27. Button C. The Forking Phenomenon and The Future of Cryptocurrency in the Law *UIC Review of Intellectual Property*, Vol. 19 No. 1, 2019.
28. Bygrave L. Contract Versus Statute in Internet Governance *Research Handbook on Governance of the Internet* Ed. Brown I. Edward Elgar Publishing: Cheltenham, 2013.
29. Carrier A. M. Lastowka G. Against Cyberproperty, *Berkeley Technology Law Journal*, Vol. 22, 2007.
30. Carroll R. NFTs: The Latest Technology Challenging Copyright Law's Relevance Within a Decentralized System, *Fordham Intellectual Property, Media and Entertainment Law Journal*, Vol. 32 No. 4, 2022.
31. Caterina J. Feitel J. Inadvertent Contract Formation under New York Law: An Update *Syracuse Law Review*, Vol. 69, 2019.
32. Ceruzzi P. E. The Internet before Commercialization, *The Internet, and American Business* Eds. Ceruzzi P. E. Aspray W. The MIT Press Cambridge, 2008
33. Chandler J. A. Technological Self-Help and Equality in Cyberspace *McGill Law Journal*, Vol. 56 No. 1, 2010.
34. Chang E. W. Bidding on Trespass: eBay Inc. v. Bidder's Edge Inc. and the Abuse of Trespass Theory in Cyberspace-Law, *AIPLA Quarterly Journal*, Vol. 29, 2001.
35. Chao B. Privacy Losses as Wrongful Gains, *Iowa Law Review*, Vol. 106 Issue 2, 2021.
36. Chao B. Unjust Enrichment: Standing Up for Privacy Rights, *Iowa Law Review Online*, Vol. 108, 2023.
37. Chin B. Regulating Your Second Life: Defamation in Virtual Worlds, *Brooklyn Law Review*, Vol. 72 No. 4, 2007.
38. Chohan U. Non-Fungible Tokens: Blockchains Scarcity and Value. *Critical Blockchain Research Initiative (CBRI), Working Papers*, 2021.

39. Christensen S. Formation of Contracts by Email - Is it Just the Same as the Post? QUT Law Review, Vol. 1 No. 1, 2001.
40. Corker J. Morath J. When the Boot is on the Other Leg, Communications Law Bulletin Vol. 22 No. 1, 2003.
41. Currie R. J. Of Neighbours and Netizens or Duty of Care in the Tech Age: A Comment on Cooper v. Hobart, Canadian Journal of Law and Technology, Vol. 3 No. 2, 2004.
42. Curtin T. J. The Name Game: Cybersquatting and Trademark Infringement on Social Media Websites Journal of Law and Policy, Vol. 19 Issue 1, 2010.
43. Dam C. European tort law Second Edition Oxford University Press, Oxford, 2013.
44. Dam C. V. European Tort Law Second Edition Oxford University Press Oxford, 2013.
45. Davis G. G. Internet Domain Names and Trademarks: Recent Developments in Domestic and International Disputes Hastings Communications and Entertainment Law Journal Vol. 21 No. 3, 1999
46. Defossez D. Acceptance sent through email; is the postal rule applicable? Law State and Telecommunications Review, Vol. 11 No. 1, 2019.
47. Docherty B. Defamation Law: Positive Jurisprudence, Harvard Human Rights Journal, Vol. 13, 2000.
48. Edelman J. The Meaning of Loss and Enrichment Philosophical Foundations of the Law of Unjust Enrichment Eds. Chambers R. Mitchell C. Penner J. Oxford Academic Oxford, 2009.
49. Edward L. Warming Up to User-Generated Content, University of Illinois Law Review, Vol. 2008 No. 5, 2008.
50. Epstein R. Cybertrespass, University of Chicago Law Review: Vol. 70 Issue, 2003.
51. Erlank W. Books Apps Movies and Music – Ownership of Virtual Property in the Digital Library, European Property Law Journal, Vol 2 Issue 2, 2013.
52. Erlank W. Finding Property in New Places – Property in Cyber and Outer Space Potchefstroom, Electronic Law Journal Vol. 18 No. 5, 2015.

53. Erlank W. Introduction to virtual property: *Lex virtualis ipsa loquitur* Potchefstroom, Electronic Law Journal, Vol. 18 No. 7, 2015.
54. Fairfield J. Anti-Social Contracts: The Contractual Governance of Virtual Worlds, McGill Law Journal, Vol. 53, 2008.
55. Fairfield J. Bitproperty, Southern California Law Review, Vol. 88, 2015.
56. Fairfield J. Nexus Crystals: Crystallizing Limits on Contractual Control of Virtual Worlds Virtual Worlds, William Mitchell Law Review, Vol. 38 Issue 1, 2005.
57. Fairfield J. Virtual Property, Boston University Law Review, Vol. 85, 2005.
58. Fichtner J. R. Strader T. J. Will Products Liability Litigation Help Protect IoT Users from Cyber-Physical Attacks? Journal of International Technology and Information Management, Vol. 31 Issue 1, 2022.
59. Founds G. Shrinkwrap and Clickwrap Agreements: 2B or Not 2B? Federal Communications Law Journal, Vol. 51, Issue 1, 1999.
60. Galligan T. C. The Structure of Torts, Florida State University Law Review, Vol. 46, 2019.
61. Garcia-Teruel R. M. Simón-Moreno H. The digital tokenization of property rights. A comparative perspective Computer Law & Security Review, Vol. 41, 2021.
62. Gaur A. E-Contracts Legal issues and challenges involved: An overview Journal of Emerging Technologies and Innovative Research, Vol. 8 Issue 1, 2021.
63. Gervais D. Holmes M. Kruse P. Perdue G. Roberts C. Is Profiting from the Online Use of Another's Property Unjust? The Use of Brand Names as Paid Search Keywords IDEA: The IP Law Review, Vol. 53, 2013.
64. Gideon S. BitMint Hard Wallet: Digital Payment without Network Communication: No Internet yet Sustained Payment Regimen between Randomness-Verifiable Hard Wallets 2020 IEEE International IOT Electronics and Mechatronics Conference (IEMTRONICS), 2020.
65. Glushko B. Tales of the (Virtual) City: Governing Property Disputes in Virtual Worlds, Berkeley Technology Law Journal, Vol. 22 No. 1, 2007.
66. Goldman E. Emojis and the Law, Washington Law Review, Vol. 93, 2018.

67. Goldman E. *Internet Law: Cases & Materials 2022 Edition*, 2022.
68. Goold P. R. *Is Copyright Infringement a Strict Liability Tort?* *Berkeley Technology Law Journal*, Vol. 30: 1, 2015
69. Goossens S. Breen N. *Ownership in the metaverse – the great illusion of non-fungible tokens (NFTs)*, *Reed Smith Guide to the Metaverse*, Issue 1, 2021.
70. Grimmelmann J. *Virtual Borders: The Interdependence of Real and Virtual Worlds*. *First Monday* 11(2), 2006
71. Hacker P. Engel A. Mauer M. *Regulating ChatGPT and other Large Generative AI Models* *arXiv:2302.02337*, 2023.
72. Hart H. L. A. *The Concept of Law Second Edition*, Oxford University Press: Oxford, 1994.
73. Hay P. *Unjust Enrichment in the Conflict of Laws: A Comparative View of German Law and the American Restatement 2d*. *The American Journal of Comparative Law* Vol. 26 (1), 1978.
74. Hedley S. *Cybertrespass – A Solution in Search of a Problem?* *Journal of European Tort Law*, Vol. 5 Issue 2, 2014.
75. Heverly R. A. *More Is Different: Tort Liability of Compromised Systems in Internet Denial of Service Attacks*, *Florida State University Law Review*, Vol. 47 Issue 3, 2020.
76. Hoeren T. Sieber U. Holznapel B. *Handbuch Multimedia-Recht 58. Aufl.* Verlag C.H. Beck: München, 2022.
77. Howarth D. *Libel: Its Purpose and Reform*, *The Modern Law Review*, Vol. 74 (6), 2011.
78. Howells G. Twigg-Flesner C. *Interconnectivity and Liability: AI and the Internet of Things*, *The Cambridge Handbook of Artificial Intelligence* Eds. Dimatteo L. Poncibo C. Cannarsa M. Cambridge University Press: Cambridge, 2022.
79. Hu Y. *Mainstreaming Unjust Enrichment and Restitution in Data Security Law*, *UC Irvine Law Review*, Vol. 13 Issue 3, 2023.
80. Hurner E. *The international domain name classification debate: are domain names 'virtual property' intellectual property or not property at all?* *The Comparative and International Law Journal of Southern Africa*, Vol. 42 No. 3, 2009.

81. Iacovino L. Recordkeeping Ethics and Law Regulatory Models Participant Relationships and Rights and Responsibilities in the Online World, Springer: Dordrecht, 2006.
82. Ibold V. Private Geldschöpfung durch virtuelle Währungen Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik 2/2019, 2019.
83. Ibrahim M. Ababneh A. Tahat H. The Postal Acceptance Rule in the Digital Age, Journal of International Commercial Law and Technology, Vol. 2 Issue 1, 2007.
84. Jansen N. The Concept of Non-Contractual Obligations: Rethinking the Divisions of Tort, Unjustified Enrichment and Contract Law, Journal of European Tort Law, Vol. 1(1), 2010.
85. Jiang W. Public Key Encryption, Georgetown Law Technology Review, Vol. 1, 2016.
86. Johnson D. R. Post D. G. Law and Borders - the Rise of Law in Cyberspace, Stanford Law Review, Vol. 48, 1996.
87. Kereselidze D. Der allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997 Eine rechtsvergleichende Untersuchung, Peter Lang GmbH: Frankfurt, 2004.
88. Kerr O. S. The Problem of Perspective in Internet Law, Georgetown Law Journal, Vol. 91, 2003.
89. Kettemann M. Tiedeke A. S. Back up: can users sue platforms to reinstate deleted content? Internet Policy Review, Vol. 9 Issue 2, 2020.
90. Kilminster-Hadley S. Loza de Siles E. The Law of Electronic Contracts: The New United Nations Convention, The Advocate, Vol. 50, 2007.
91. Kim S. N. The Wrap Contract, Morass Southwestern University Law Review, Vol. 44 No. 2, 2014.
92. Kirtley J. Memmel S. Rewriting the "Book of the Machine": Regulatory and Liability Issues for the Internet of Things Issues for the Internet of Things, Vol. 19 Issue 2, 2018.
93. Knapp C. Is There a "Duty to Read"? Hastings Law Journal, Vol 66, 2015.
94. Koch B. A. Cyber Torts: Something Virtually New? Journal of European Tort Law, Vol 5 (2), 2014.
95. Konashevych O. General Concept of Real Estate Tokenization on Blockchain, European Property Law Journal, Vol. 9 (1), 2020.



96. Kustron K. G. *Internet and Technology Law: A U.S. Perspective* BookBoon, 2015.
97. Kwok K. *Liability of Online Service Providers for Defamatory Content: The Case of Online Discussion Forums*, *The Law Quarterly Review*, Vol. 130, 2014.
98. Lastowka G. F. Hunter D. *The Laws of the Virtual Worlds*, *California Law Review*, Vol. 92 No. 1, 2004.
99. Lehmann M. *Who Owns Bitcoin? Private Law Facing the Blockchain*, *Minnesota Journal of Law, Science & Technology*, Vol. 21 Issue 1 Article 4, 2020.
100. Lemley M. *Terms of Use*, *Minnesota Law Review*, Vol. 91, 2006.
101. Lemley M. A. Volokh E. *Law Virtual Reality and Augmented Reality* Vol. 166 No. 5, 2018.
102. Lessig L. *Code and Other Laws of Cyberspace*, Basic Books: New York, 1999.
103. Lichtman D. Posner E. *Holding Internet Service Providers Accountable*, *Supreme Court Economic Review*, Vol. 14, 2006.
104. Liu J. P. *Owning Digital Copies: Copyright Law and the Incidents of Copy Ownership*, *William & Mary Law Review*, Vol. 42 Issue 4, 2001.
105. Llewelyn D. Aplin T. *Intellectual Property: Patents Copyright Trade Marks and Allied Rights* Ninth Edition, Sweet & Maxwell: London, 2019.
106. Loewenheim U. *Bereicherungsrecht* 3 Aufl. C.H. Beck: München, 2007.
107. Lubin A. *The Law and Politics of Ransomware*, *Vanderbilt Journal of Transnational Law*, Vol. 55, 2022.
108. Ludwig J. *Protections for Virtual Property: A Modern Restitutionary Approach*, *Loyola of Los Angeles Entertainment Law Review*, Vol. 32 No. 1, 2011.
109. Ly M. K. *Coining Bitcoin's "Legal-Bits": Examining the Regulatory Framework for Bitcoin and Virtual Currencies*, *Harvard Journal of Law & Technology*, Vol. 27 No. 2, 2014.
110. Magaldi J. Davis W. *Into the Bowels of Hell' Examining Online Defamation Law Through the Twitter Account of James Woods*, *Southern Law Journal*, Vol. XXIX (2), 2019.
111. Markesinis S. Bell J. Janssen A. *Markesinis's German Law of Torts, A Comparative Treatise* Fifth Edition, Hart Publishing: Oxford, 2019.

112. Mason S. Documents signed or executed with electronic signatures in English law, *Computer Law & Security Review*, Vol. 34 Issue 4, 2018.
113. Mason S. *Electronic Signatures in Law*, University of London Press: London, 2016.
114. Matthew S. Internet Safe Harbors and the Transformation of Copyright Law, *Notre Dame Law Review*, Vol. 93 Issue 2, 2018.
115. McGarvey Hidy K. Let Them Eat Cake: Social Media Accounts Property Rights and the Digital Rights Revolution the Digital Rights Revolution, *DePaul Law Review*, Vol. 71 Issue 1, 2021.
116. McIntyre J. J. Balancing Expectations of Online Privacy: Why Internet Protocol (IP) Addresses Should Be Protected as Personally Identifiable Information, Vol. 60 Issue 3, 2011.
117. McJohn S. M. McJohn I. The Commercial Law of Bitcoin and Blockchain Transactions, *Uniform Commercial Code Law Journal*, Vol. 47, 2017.
118. Moosdijk M. V. D. Unjust enrichment in European Union Law, *Law of Business and Finance* Eds. Kortmann S. Faber D. Vol 16, Wolters Kluwer: Deventer, 2018.
119. Moriarty C. Is RealT Reality? Investigating the Use of Blockchain Technology and Tokenization in Real Estate Transactions and Tokenization in Real Estate Transactions, *Minnesota Journal of Law Science & Technology*, Vol. 24 Issue 2, 2023.
120. Moringiello J. Odinet C. The Property Law of Tokens, *University of Iowa Legal Studies*, Research Paper No. 2021-44, 2021.
121. Moringiello J. M. Odinet C. K. Blockchain Real Estate and NFTs, *William & Mary Law Review*, Vol. 64 Issue 4, 2023.
122. Moringiello M. J. Reynolds W. L. Electronic Contracting Cases 2009-2010, *The Business Lawyer*, Vol. 66 No. 1, 2010.
123. Mostert F. Cruz S. Image rights in the digital universe, *Journal of Intellectual Property Law & Practice*, Vol. 17 Issue 7, 2022.
124. Mu X. The challenge of the emergence of virtual property to the traditional legal theory and the corresponding solutions, *European Journal of Law and Technology*, Vol. 14 No.1, 2023.

125. Naithani P. Curtailing the Cookie Monster through Data Protection by Default, *Tilburg Law Review*, Vol. 27, 2022.
126. Nancy K. *Wrap Contracts: Foundations and Ramifications*, Oxford University Press: Oxford, 2013.
127. Nekit K. Social Media Account as an Object of Virtual Property, *Masaryk University Journal of Law and Technology*, Vol. 14 No. 2, 2020.
128. Nelson J. W. The Virtual Property Problem: What Property Rights in Virtual Resources Might Look Like, How They Might Work and Why They are a Bad Idea, *McGeorge Law Review*, Vol. 41, 2010.
129. Neyers J. W. McInnes M. Pitel S. *Understanding Unjust Enrichment*, Hart Publishing: Portland, 2004.
130. Nimmer T. R. *Electronic Contracting: Legal Issues UIC* *John Marshall Journal of Information, Technology & Privacy Law*, Vol. 14 Issue 2, 1996.
131. Nolan D. *Offer and Acceptance in the Electronic Age Contract Formation and Parties* Eds. Burrows A. Peel E. Oxford University Press: Oxford, 2010.
132. Oakley R. *Fairness in Electronic Contracting: Minimum Standards for Non-Negotiated Contracts*, *Houston Law Review*, Vol. 42, 2005.
133. Oliveira L. Zavolokina L. Bauer I. Schwabe G. *To Token or not to Token: Tools for Understanding Blockchain Tokens*, Zurich Open Repository and Archive, 2018.
134. Ooi V. Peng S. *Cryptocurrencies and Code Before the Courts*, *King's Law Journal*, Vol. 30 Issue 3, 2019.
135. Peters P. *Die Entbehrlichkeit der Figur der Leistungskondiktion* *Juristische Rundschau*, Vol. 4 No. 8, 2014.
136. Quintais J. Poort J. *The Decline of Online Piracy: How Markets – Not Enforcement – Drive Down Copyright Infringement*, *American University International Law Review*, Vol. 34 No. 4, 2019.
137. Rauscher T. *Internationales Privatrecht: Mit internationalem Verfahrensrecht*, C.F. Müller: Heidelberg, 2017.

138. Reed C. *Computer Law Seventh Edition*, Oxford University Press: Oxford, 2012.
139. Reed M. Who Owns Ellen's Oscar Selfie? Deciphering Rights of Attribution Concerning User Generated Content on Social Media, *The John Marshall Review of Intellectual Property Law*, Vol. 14, 2011.
140. Reidenberg J. R. *Technology and Internet Jurisdiction*, *University of Pennsylvania Law Review*, Vol. 153 No. 6, 2005.
141. Reyes C. L. *Conceptualizing Cryptolaw*, *Nebraska Law Review*, Vol. 96 Issue 2, 2017.
142. Robinson P. E. Zhu Y. Beyond "I Agree": Users' Understanding of Web Site Terms of Service, *Social Media + Society*, Vol. 6(1), 2020.
143. Roosenboom T. *Security token offerings*, *Small Business Economics*, Vol. 59, 2022.
144. Rustad M. L. *Global Internet Law in a Nutshell Third Edition*, West Academic Publishing: St. Paul, 2016.
145. Rustad M. L. *How Armenian Cybertorts Can Advance Civil Society*, *Main Issues of Pedagogy and Psychology*, Vol. 3, 2011.
146. Ryan J. *A history of the Internet and the digital future*, Reaktion Books: London, 2010.
147. Samuel G. *Law of Obligations and Legal Remedies Second Edition*, Cavendish Publishing Limited: London, 2001.
148. Sandeen S. *Out of Thin Air: Trade Secrets Cybersecurity and the Wrongful Acquisition Tort*, *Minnesota Journal of Law Science & Technology*, Vol. 19 Issue 2, 2018.
149. Sarel R. *Property Rights in Cryptocurrencies: A Law and Economics Perspective*, *North Carolina Journal of Law & Technology*, Vol. 22 Issue 3, 2021.
150. Savin A. *EU Internet Law Third Edition*, Edward Elgar Publishing: Cheltenham, 2020.
151. Scholz L. H. *Privacy Remedies*, *Indiana Law Journal*, Vol. 94 Issue 2, 2019.
152. Schur N. B. *Die Lizenzierung von Daten*, Mohr Siebeck: Tübingen, 2020.
153. Schwinger A. *Blockchain Law: Redressing cryptocurrency losses through negligence claims*, *New York Law Journal*, 2019.
154. Schwinger R. A. *Blockchain Law: When plaintiffs raise claims of platforms behaving badly*, *New York Law Journal*, 2021.

155. Shrier D. L. *Basic Blockchain: What It Is and How It Will Transform the Way We Work and Live*, Robinson: London, 2020
156. Sinel Z. De-Ciphering Self-Help, *The University of Toronto Law Journal*, Vol. 67 No. 1, 2017.
157. Sinel Z. Through Thick and Thin: The Place of Corrective Justice in Unjust Enrichment, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 31 No. 3, 2011.
158. Smith J. Vora M. Benedetti H. Yoshida K. Vogel Z. *Tokenized Securities & Commercial Real Estate MIT Digital Currency Initiative, Working Group Research Paper*, 2019.
159. Sobel B. A New Common Law of Web Scraping, *Lewis & Clark Law Review*, Vol.25 Issue 1, 2021.
160. Solum L. B. Chung M. *The Layers Principle: Internet Architecture and the Law*, *Notre Dame Law Review*, Vol. 79 Issue 3, 2004
161. Stafford A. Chapman-Booth J. *Technology & the law: when worlds collide*, *New Law Journal*, Vol. 171 Issue 7952, 2021.
162. Standen J. *Republication Liability on the Web*, *Marquette Law Review*, Vol. 105 Issue 3, 2022.
163. Steele J. *Tort Law: Text Cases and Materials Third Edition*, Oxford University Press: Oxford, 2014.
164. Swan E. J. *Internet Law a Concise Guide to Regulation Around the World*, Wolters Kluwer: The Netherlands, 2022.
165. Swinkels L. *Empirical evidence on the ownership and liquidity of real estate tokens*, *Financial Innovation*, Vol. 9 Article 45, 2023.
166. Taddeo M. Floridi L. *New Civic Responsibilities for Online Service Providers, The Responsibilities of Online Service Providers Eds. Taddeo M. Floridi L.* Springer: London, 2017.
167. Takahashi K. *Cryptocurrencies Entrusted to An Exchange Provider: Shielded from the Provider's Bankruptcy? Annual Banking Law Update 2018: Recent Legal Developments of Special Interest to Banks Eds. Hugo C. Juta: Johannesburg, 2018.*

168. Trautman L. J. Bitcoin Virtual Currencies and the Struggle of Law and Regulation to Keep Pace, *Marquette Law Review*, Vol. 102 Issue 2, 2018.
169. Tunc A. A Codified Law of Tort - The French Experience, *Louisiana Law Review*, Vol. 39 No. 4 1979.
170. Turner R. Internet Defamation Law and Publication by Omission: A Multi-Jurisdictional Analysis, *University of New South Wales Law Journal*, Vol. 37 No. 1, 2014.
171. Urban J. M. Karaganis J. Schofield B. L. Notice and Takedown in Everyday Practice, *American Assembly*, 2017.
172. Urban J. M. Karaganis J. Schofield B. L. Notice and Takedown: Online Service Provider and Rightsholder Accounts of Everyday Practice, *Journal Copyright Society of the U.S.A.*, Vol. 64, 2017.
173. Urban J. M. Quilter L. Efficient Process or 'Chilling Effects'? Takedown Notices Under Section 512 of the Digital Millennium Copyright Act, *Santa Clara Computer and High Technology Law Journal*, Vol. 22, 2006.
174. Veloso M. G. Virtual Property Rights a Modified Usufruct of Intangibles, *Philippine Law Journal*, Vol. 82 No. 4, 2008.
175. Vermeer M. Unfair Competition Online and the European Electronic Commerce Directive, *Annual Survey of International & Comparative Law*, Vol. 7 Issue 1, 2001.
176. Vijayakumaran A. NFTs And Copyright Quandary, *Journal of Intellectual Property, Information Technology and E-Commerce Law*, Vol 12 Issue 5, 2021.
177. Vitelaru E. Persia L. Fractional Vehicle Ownership and Revenue Generation Through Blockchain Asset Tokenization, *Transport and Telecommunication Journal*, Vol. 24 Issue 2, 2023.
178. Waddams S. *Dimensions of Private Law: Categories and Concepts in Anglo-American Legal Reasoning*, Cambridge University Press: Cambridge, 2003.
179. Wagner G. *Münchener Kommentar zum BGB* 8. Aufl. 2020 § 823 Rn. 64.
180. Wandt M. *Gesetzliche Schuldverhältnisse Deliktsrecht Schadensrecht Bereicherungsrecht GoA* Verlag, Franz Vahlen: München, 2019.

181. Watters C. When Criminals Abuse the Blockchain: Establishing Personal Jurisdiction in a Decentralised Environment *Laws*, Vol. 12 (2), 2023.
182. Werbach K. Trust But Verify: Why the Blockchain Needs the Law, *Berkeley Technology Law Journal*, Vol. 33 Issue 2, 2018.
183. Youngs R. *Sourcebook on German Law Second Edition*, Cavendish Publishing Limited: London, 2002.
184. Zetsche D. A. Buckley R. P. Arner D. W. The Distributed Liability of Distributed Ledgers: Legal Risks of Blockchain, *University of Illinois Law Review*, Vol. 2018, 2018.
185. Zhang Q. Study on Legal Attribute of the Network Virtual Property, *Advances in Social Science Education and Humanities Research*, Vol. 300, 2018.
186. Zimmermann R. Plessis J. Basic Features of the German Law of Unjustified Enrichment, *Restitution Law Review*, Vol. 2, 1994.
187. Zimmermann R. Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 15 No. 3, 1995.

**საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/11550-17.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/20169-17.
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/18450-17
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/218
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 09 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1/2445-17.
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/34873-18;

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3941-19
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 07 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №2/26484-15.
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 08 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/30577-16.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 05 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-812-2022
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 05 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-812-2022.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1161-2018
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-132-2022
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 06 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-205-198-2012
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-769-737-2016;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 04 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-176-163-2015.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-33-2022.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-190-183-2013.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-769-737-2016;



21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 04 ოქტომბრის განჩინება საქმეზე საქმე №ას-176-163-2015;
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1086-2022;
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1080-2022.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 14 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-547-2020.
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 05 მარტის განჩინება საქმეზე №ას-810-2019.
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1378-1300-2012.
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-208-201-2012.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის განჩინება №ას-924-874-2015.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №3კ/589.

### **უცხო ქვეყნების სასამართლოების გადაწყვეტილებები**

#### **ამერიკის შეერთებული შტატები**

1. ProCD, Inc. v. Zeidenberg, 86 F.3d 1447 (7th Cir. 1996)
2. Bragg v. Linden Research, Inc. - 487 F. Supp. 2d 593 (E.D. Pa. 2007)
3. Currier v. PDL Recovery Grp., LLC, Case No. 14-12179 (E.D. Mich. Feb. 23, 2017)
4. Temurian v. Piccolo, CASE NO.: 18-CV-62737-SMITH/VALLE (S.D. Fla. Nov. 13, 2019)
5. CompuServe Inc. v. Cyber Promotions, Inc., 962 F. Supp. 1015 (S.D. Ohio 1997)
6. eBay, Inc. v. Bidder's Edge LLC, 100 F. Supp. 2d 1058 (N.D. Cal. 2000)
7. Facebook, Inc. v. Power Ventures, Inc., 844 F. Supp. 2d 1025 (N.D. Cal. 2012).

8. Compuserve Inc. v. Cyber Promotions, 962 F. Supp. 1015 (S.D. Ohio 1997)
9. eBay, Inc. v. Bidder's Edge LLC, 100 F. Supp. 2d 1058 (N.D. Cal. 2000)
10. Thrifty-Tel, Inc. v. Bezenek, 46 Cal. App. 4th 1559 (4th Dist. 1996)
11. Davis v. Facebook, Inc., No. 17-17486 (9th Cir. 2020)
12. HiQ Labs, Inc. v. LinkedIn Corp., 31 F.4th 1180 (9th Cir. 2022).
13. Fabian v. LeMahieu, CASE NO. 19-cv-00054-YGR (N.D. Cal. Oct. 4, 2019)
14. Intermatic v. Toeppen 947 F. Supp. 1227 (N.D. Ill. 1996).
15. Panavision International, L.P. v. Toeppen, 141 F.3d 1316 (9th Cir. 1998).
16. Cahen v. Toyota Motor Corp., 147 F. Supp. 3d 955 (N.D. Cal. 2015).
17. Flynn v. FCA U.S., LLC, 39 F.4th 946 (7th Cir. 2022).
18. Grayton v. United States, 92 Fed. (Cl. 327 (2010) April 28, 2010);
19. Bucklew v. Hawkins, Ash, Baptie & Co. United States Court of Appeals, Seventh Circuit. May 27, 2003. 329 F.3d 923 (7th Cir. 2003).
20. Daniels v. Alphabet Inc., Case No. 20-cv-04687-VKD (N.D. Cal. Mar. 31, 2021)

#### **ინგლისისა და უელსის სასამართლო გადაწყვეტილებები**

1. RE GATECOIN LTD (IN LIQUIDATION) [2023] HKCFI 914; HCCW 18/2019 (31 March 2023)
2. AA v Persons Unknown [2019] EWHC 3556
3. Jahangir Piroozzadeh v Persons Unknown et al [2023] EWHC 1024 (Ch).
4. Jones v Persons Unknown [2022] EWHC 2543 (Comm)
5. Tecnimont Arabia Limited v National Westminster Bank PLC [2022] EWHC 1172 (Comm)
6. Mulley v Hayes [2021] FCA 1111
7. Riley & Oberman v Heybroek [2020] EWHC 1259 (QB)

#### **ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. Tiketa UAB v MS (C-536/20) EU:C:2022:112 (24 February 2022).
2. El Majdoub v CarsOnTheWeb.Deutschland GmbH (C-322/14) EU:C:2015:334 (21 May 2015).

## გერმანიის სასამართლოების გადაწყვეტილებები

1. FG Baden-Württemberg Urteil vom 11.6.2021, 5 K 1996/19.
2. OLG Frankfurt, 26.11.2015 - 16 U 64/15

## WIPO UDRP გადაწყვეტილებები

1. Carrefour S.A. v. Albert Giubaziani Case No. DGE2020-0001 (March 13, 2023);
2. Glovoapp23, S.L. v. Ketevan Vadachkoria, WIPO, No. DGE2018-0001 (November 8, 2018).

## ინტერნეტ წყაროები

1. <https://www.theartnewspaper.com/2023/03/10/the-nft-bubble-has-popped-but-theres-still-untapped-potential-in-digital-art>
2. <https://www.statista.com/topics/871/online-shopping/#dossierKeyfigures>
3. <https://www.shopify.com/enterprise/global-ecommerce-statistics>
4. <https://www.rand.org/about/history.html>
5. <https://iccwbo.org/news-publications/policies-reports/icc-white-paper-on-delivering-universal-meaningful-connectivity/>
6. <https://support.google.com/youtube/answer/2797370?hl=en>
7. <https://support.google.com/legal/troubleshooter/1114905?hl=en>
8. <https://policies.google.com/terms?hl=en-US>
9. <https://dataprot.net/statistics/piracy-statistics/>
10. <https://forbes.ge/internetshi-saavtoro-uphle/>
11. <https://www.srz.com/images/content/1/5/v2/151882/New-York-Law-Journal-Scrollwrap-Agreement-to-Arbitrate-Held-Enfo.pdf>
12. <https://wipo.lex-res.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/cn/cn409en.pdf>
13. <https://napr.gov.ge/p/1544>
14. <https://www.grantthornton.ee/en/insights1/estonia-is-at-the-forefront-of-the-worlds-crypto-scene/>

15. <https://coinmarketcap.com/legal-tender-countries>
16. <https://coinmarketcap.com/currencies/bitcoin/>
17. <https://opensource.com/resources/what-open-source>
18. <https://www.nytimes.com/2021/05/12/magazine/nft-art-crypto.html>
19. <https://finance.yahoo.com/news/top-five-most-expensive-nft-150249487.html>
20. <https://decentraland.org>
21. <https://lawforbusiness.usc.edu/tokenization-of-real-estate-revolutionizing-real-estate-through-digitalization-and-reduced-market-barriers>
22. <https://markets.businessinsider.com/news/currencies/metaverse-property-sandbox-virtual-real-estate-deal-record-4-million-2021-11>
23. <https://www.reuters.com/markets/currencies/virtual-real-estate-plot-sells-record-24-million-2021-11-23/>
24. <https://coinmarketcap.com/currencies/bitcoin/>
25. <https://oceanrep.geomar.de/id/eprint/57955/>
26. <https://english.elpais.com/economy-and-business/2023-05-01/an-nft-sold-for-29-million-is-now-worth-280-has-the-bubble-burst.html>
27. <https://www.namecheap.com/blog/fractionalized-domain-ownership-becomes-a-reality/>
28. <https://realt.co/>
29. [https://www.justiz.nrw.de/JM/schwerpunkte/digitaler\\_neustart/index.php](https://www.justiz.nrw.de/JM/schwerpunkte/digitaler_neustart/index.php)
30. <https://crypto.news/georgian-coinbase-users-profit-from-hodling-price-bug/>
31. <https://docs.icon.community/v/icon1/introduction/the-icon-network>
32. <https://tabula.ge/ge/news/602376-rogor-iqeneben-saitebi-tkvens-kompiuters-parulad>
33. <https://edu.gcfglobal.org/en/internetsafety/installing-and-updating-browser-plugins/1/>
34. [https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/opinions/online-manipulation-and-personal-data\\_en](https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/opinions/online-manipulation-and-personal-data_en)